იოსებ ომაძე

მხიარული ზაფხული ბაკურიანში

მოთხრობები

Copyright: იოსებ ომაძე, 2003 წ.

ISBN 99928-30-48-4

თბილისი

გამომცემლობა "რაეო", 2003 წ.

სარჩევი

ავტორისგან 2

მივემგზავრებით ბაკურიანში! 2
ბებერი ვერხვი 3
პირველი ღამე ბაკურიანში 4
მარტო მივდივარ ტყეში 5
ღორის მოთვინიერება 7
ტყის სიმღერა 8
დათუნას წერილი 10
ბესოს დახატული ძროხა 11
კალმახასოკო 13
კუნძი, კუნძში – ყვავილები 15
დათუნა-ბურთი 18
შუადღე 19
დიდი წრე 20
ბურუსი 22
მარწყვის დღე 24
ცვარი 25
ყურუსები 26
მივდივართ კურდღლის დასაჭერად 27
ცაცხვი 30
ერთი მოღრუბლული დღის ამბავი 30
სახლს აშენებენ 32
ბესიკი ჰყვება: "როგორ შემილოცეს" 35
უიღბლო დღე 36
ბაკურიანი: აგვისტოს "ეპიდემიები" 38
ნახტომი 39
ზორბა 41
ბიძია პავლეს ღორი – ტუხა 42
აქედან წასვლა აღარ მინდა! 42
ახალი თამაში – "მენეჯერი"! 44
გავისეირნოთ ჟოლოს მოსაკრეფად 45
დათუნა და ჯადოქარი (ბაკურიანული ზღაპარი) 51
კოხტაგორის აღმართი 53
ბესოს დაბადების დღე 56
"ჩემი მამიდა გულიკო ჩამოვიდა!" 57
მაჟალო 59
ქალბატონი ლია შეუძლოდაა... 60
სოკოს შეჭამანდი 61
მივდივართ ბორჯომში? 63
ბაკურიანი – ბორჯომი – ბაკურიანი 64
ჩვენ ვთამაშობთ ფეხბურთს! 66
ცხრაწყარო 67
მანჭკვალა ჩანთებში აღარ გვეტევა! 69
გოგრა 70
გასეირნება ტყეში მაყვლის მოსაკრეფად,
დაგვირგვინებული პეიზაჟით 71
მოცეკვავე ხე 75
ნახვამდის, ბაკურიანო! 76

ავტორისგან

ბაკურიანი!

1980-1993 წლებში ჩემს ოჯახთან ერთად ყოველ ზაფხულს დასასვენებლად ბაკურიანს ვეს-ტუმრებოდი ხოლმე. “კი, ბატონო, ზამთარი ბაკურიანში ნამდვილად ზღაპრულია, ზაფხულში რა უნდა იყოს იქ მიმზიდველი?” – შესაძლოა, ეს აზრი გაუჩნდეს მკითხველს წიგნის სათაურის წა-კითხვისას... ძველი ჭეშმარიტებაა: უინტერესო ადგილი, ისევე, როგორც უინტერესო ადამიანი, არ არსებობს! ნებისმიერი მთა, ტყე, მდელო, მდინარე – ამოუწურავი მრავალფეროვნების შემცველი თვალწარმტაცი სამყაროა, ბაკურიანში კი ერთიც არის, მეორეც, მესამეც და მეოთხეც!

წიგნში წარმოდგენილი მოთხრობები და ჩანახატები ნელ-ნელა იწერებოდა მრავალი წლის განმავლობაში; ამასთანავე, დოკუმენტურ სიზუსტეს არ ვესწრაფოდი: რომელიმე ამბის მოგონება (ხშირად 2-3 და მეტი წლის შემდეგ) მხოლოდ ბიძგს მაძლევდა თავისუფალი თხრობისთვის.

მინდა, მადლობა მოვახსენო გამოჩენილ მხატვარს, გივი (გიორგი) კასრაძეს, რომელმაც ჩემი თხოვნით ჯადოქრობა მოახდინა – სულ ათიოდ წუთში ჩემს თვალწინ იმპროვიზაციულად შექმნა ჯადოქარ ბაქრიბუქრის მოზრდილი ზომის (20 X 50 სმ) შესანიშნავი პორტრეტი ბაკურიანული ზღაპრისთვის “დათუნა და ჯადოქარი”.

წიგნი დიდი სიყვარულით ეძღვნება ლიას, ბესოსა და დათუნას.

მივემგზავრებით ბაკურიანში!

ბაკურიანში მივდივართ!

აუჰ, რა ხანია, ველით ამ ამაღელვებელ დღეს, თითქმის მთელი წელი!

უკვე ათ წელზე მეტია, ყოველ წელს ზაფხულს იქ ვისვენებთ – დავდივართ ტყეში ჟოლოს, მარწყვისა და შავი მოცხარის მოსაკრეფად, სოკოს მოსაგროვებლად; თვითონ დაბაშიც ბიჭები კარგად ერთობიან ტოლ-ამხანაგებთან ერთად – თამაშობენ ფეხბურთს, დამალობანას, დაჭერობანას, ბანქოს, ლოტოს, უყურებენ კინოფილმებს კინოთეატრში, დაძვრებიან ხეებზე და ათას სხვა გასართობს მოძებნიან ხოლმე...

დილას გვიჭირს ადრე ადგომა – წინა საღამოს დიდხანს მოვუნდით ბარგი-ბარხანის ჩაწყობა-ჩალაგებას; ძალიან ბევრი სათრევი დაგვიგროვდა, არ ვიცი, როგორ მოვახერხებთ თორმეტი თავი ბარგის ზიდვას.

როგორც იქნა, ჩავედით ეზოში, მერე ქუჩაში ვდგავართ და ველით ტაქსის გამოჩენას. რვა საათია, ერთ საათში ელექტრომატარებელი გადის ვაგზლიდან. წესით, უნდა მივასწროთ, ვარკეთილის დასახლებიდან ნახევარ საათზე მეტი დასჭირდება ვითომ ავტომანქანას?

ჩაიარა ერთმა ტაქსმა – დაკავებულია, მერე – მეორემ, მესამემ... უკვე ვნერვიულობთ. გავიდა ათი წუთი, ოციც... ავტობუსები და ტროლეიბუსები კი დადის მეტრომდე, მაგრამ ამდენი ბარგით სად წახვალ? მერე მეტროთი მოგვიწევს რვა სადგურის გავლა, მერე – ზევით ამოსვლა... არა, ამ გზით ვერ ვივლით, დავაგვიანებთ. ბედად თავისუფალი კერძო ტაქსი გამოჩნდა. ჩავსხედით; საბარგული ხომ გამოვჭედეთ ჩემოდნებით, მუხლებზეც გვიდევს კალათები და ფუთები.

მატარებლის გასვლას 25 წუთი აკლია, მოვასწრებთ, მგონია! მოკლე გზით მივდივართ – ავლაბრის ვიწრო ქუჩებში მივძვრებით... სდექ! ავტოინსპექტორი გვაჩერებს. ბედი არ გინდა?!.

ხუთ წუთში განვაგრძეთ გზა. ჩქარა, ჩქარა! ჩავსრიალდით ბარათაშვილის დაღმართზე, მერე გავივაკეთ და, როგორც იქნა, ფიროსმანის ქუჩით გავდივართ ვაგზლის მოედანზე – ვაშა! ათი წუთი გვაქვს მარაგში, წკიპზე მოვასწარით!.

მოედნის შესასვლელთან კიდევ ვჩერდებით – აქ ავტოინსპექციის რეიდის მონაწილენი გვაჩერებენ... გადავხტი მანქანიდან, ვემუდარები ერთ ფორმიანს, მეორეს – მალე გაგვიშვან; თუ რაიმე წესი დავარღვიეთ, აგერ მე თვითონ მივცემ ჯარიმის საზღაურს, ოღონდ ნუ დაგვაბრკოლებენ...

აქაც ხუთი წუთი დაიკარგა, მივჯლიგინდით პირდაპირ საბილეთო სალაროებთან. მე ბილეთების ასაღებად გავრბივარ, ლია და ბიჭები ბარგს ეზიდებიან პლატფორმაზე. შევვარდი საბილეთო სალაროების დარბაზში და რას ვხედავ: ბილეთებზე ისეთი ზედახორაა, ჭკუათმყოფელი კაცი ახლოსაც არ გაეკარება... რა ვქნა? ჯანდაბას, აქ რიგში გაჭყლეტას, ჯობს, უბილეთოდ წავიდეთ, ჯარიმას გადავიხდით და ის იქნება.

ავირბინე კიბეები და თვალებად ქცეულ ბიჭებს და ლიას ვხედავ ახორხლილ ბარგთან. აბა, ჩქარა, შევყაროთ ბარგი ვაგონში და ჩვენც შევასწროთ!

ამ დროს ვაგონის კარები ხმაურით იკეტება და ელექტრომატარებელი ადგილიდან იძვრის. საათს დავხედე – ორი წუთით ადრე გავიდა ეს ოხერი! (საათი ამ დილით გავასწორე რადიოს სიგნალზე). სხვა დროს არ დაადგება ხოლმე მატარებლის დროზე გასვლას საშველი, ზოგჯერ ნახევარი საათი და მეტიც დაგვიანდება, დღეს რა ჭირი შეეყარა?

დაბნეულობამ მხოლოდ ერთ წუთს გასტანა.

– ჩქარა, მანქანა დავიჭიროთ და მატარებელს მცხეთაში მივუსწროთ! საგარეუბნო მატარებელია, სანამ დიდუბესა და ავჭალაში გაჩერდება, ჩვენ წინ გადავუსწრებთ!

ოფლში გახვითქულები რამდენიმე წუთში ტაქსების რიგში ვიდექით. კიდევ კარგი, თავისუფალი მანქანები ჯგროდ მოდიოდნენ და მალე ერთ-ერთში ჩავსხედით.

შოფერს ავუხსენი ჩვენი გასაჭირი და მანაც გაგვაქროლა. დიღმის ველის ბოლოში მატარებელიც დავინახეთ – კოხტად მიგოგმანობდა მოსახვევში, ხიდზე შემოდგა; ჩვენ ხიდქვეშ გავძვერით და აგერ ვეჯიბრებით სიჩქარეში მატარებელს – ვინ წინა და ვინ უკანა!

აშკარად დავჯაბნეთ მატარებელი, გვიხარია და ტაშს ვუკრავთ.

მივგრიალდით მცხეთის რკინიგზის სადგურთან და საჩქაროდ ბარგი გადმოვცალეთ. სულ სირბილ-სირბილით ავიტანეთ ბარგი ბაქანზე და ამასობაში მატარებელიც გამოჩნდა. ბილეთის აღებას ვერც ახლა მოვასწრებთ, მაგრამ არა უშავს, მთავარია, რომ მივუსწარით!

ჩამოდგა ელექტრომატარებელი და... და კარები არ გააღო! უფრო სწორედ, კარები კი გააღო, მაგრამ ჩვენგან მოწინააღმდეგე მხარეს – იქით მაღალი სამგზავრო ბაქანი იყო... რაღა ვქნათ? ვდგავართ ყურებჩამოყრილნი... ფანჯარაში მგზავრები იჭყიტებიან, ხელს გვიქნევენ...

ორ-სამ წუთში ელექტრომატარებელმა მხიარულად დაიზმუვლა და წავიდა, ჩვენ კი დაგვტოვა – სიმწრით გაცინებულები...

არა, დღეს აშკარად არ გვწყალობს ბედი.

ახლა რაღა ვქნათ? ტაქსი, რაღა თქმა უნდა, ჩვენ არ მოგვიცდიდა. ვიდგეთ ახლა აქ და ვყლაპოთ სუფთა ჰაერი...

...შინ მიბრუნებულ-მიჩანჩალებულებს ტელეფონის ზარი შეგვეგება.

უხალისოდ ავიღე ყურმილი – ლაპარაკის ხასიათზე ვარ ახლა?

– ალო, სოსო ხარ?

– დიახ, გისმენთ.

– რობერტი გაწუხებს! გამარჯობა! ბაკურიანში მივდივარ, ვიცი, თქვენც აპირებდით და ხომ არ გადაიფიქრეთ? წაგიყვანდით!

– გამარჯობა ნუ მოგიშალოს ღმერთმა, ჩემო რობერტ, რით მიდიხარ?

– ჩემი "ნივით".

– ჩავეტევით მერე ყველანი? ოთხნი ვართ.

– კი, კაცო, – ერთი წინ დაჯდება და სამნი – უკან.

– შენ როდისთვის აპირებ? ჩვენ მზადა ვართ, რომ იტყვიან, ბარგზე ვსხედვართ...

– კარგი, აბა მოიცადეთ ნახევარი საათი და მანდ გავჩნდები!

– აგაშენა ღმერთმა!..

ბებერი ვერხვი

ბორჯომ-წაღვერის საავტომობილო გზა გუჯარეთისწყლის ნაპირს მიუყვება. გაფაციცებული ვიყურები მანქანის ფანჯრიდან – ერთ ადგილას, დაახლოებით შუა გზაზე, "ჩემი" ვერხვი მინდა დავინახო. ვშიშობ, ვაითუ ბებერი ვერხვი ცოცხალი აღარ დამხვდეს...

მღვრიე მდინარე მიხტის მოშავო-რუხ ქვებზე. რიყეზე ის ზოგან მცირე კუნძულებს ჰქმნის, მუქი მწვანე მურყნებით დამშვენებულს, ზოგან კი მის ნაპირებს ნორჩ ფიჭვთა კორომები მიუყვება. აქეთ-იქიდან ხეობის ციცაბო, ტყით შემოსილი კალთები უშფოთველად შესცქერიან გუჯარეთისწყლის – იგივე თორისწყლის – თამაშ-ლიკლიკს, მიხვევ-მოხვევას, ხან ოდნავ დამდოვრებას, ხან თეთრად აქოჩვრას ჩქერებზე...

აი, ზედ წყლის პირას ჩემი ძველი ნაცნობის გოლიათური ტანიც გამოჩნდა. გახარებული მივესალმები: "გამარჯობა, გამარჯობა!" ვინ იცის, რამდენი მოხიბლულა ბებერი ვერხვის სილამაზით, სიძლიერით, სიცოცხლის გაუტეხავი ჟინით... თვითონაც ხომ, უეჭველია, ბევრის შემსწრეა და მრავლისმნახველი – სისხლის წვიმების დროის საბრძოლო ბუკის ექოც მოუსმენია, ვიწრო ხეობის ფერდობებიდან მრავალგზის არეკლილი, და მშვიდობიანი შრომის ხალისიანი სიმღერაც. როგორ ამაყად წამომართულა მდინარის პირად – ნამეხარი, ისევ თეთრად ანათებს მსხვილი ტანით; ისევ ამწვანებულა მოუსვენრად აცეკვებული ფოთლებით მისი გადამტვრეული, დალეწილი, მაგრამ გაცოცხლებულ-განახლებული ტოტები, რომლებიც ძველებურად მაღლა-მაღლა იწევენ და გვერდზეც იბარტყებენ... აგერ, ერთი მსხვილი ქვემო ტოტი ვერხვს გადაუწვენია-გაუშლია ტალღების თავზე, მეორე ნაპირს წვდება – თითქოს უნდა, მდინარე ჩაიხუტოს. აქ უფრო ღრმაა წყალი და ალბათ გაბარჯღული ტოტის ჩრდილში ნებიერად დასრიალებენ თევზები, შესაძლოა, კალმახებიც კი.

მდინარის დინებას დროთა განმავლობაში ჩაუჭრია კალაპოტი, სულ უფრო ღრმად აშიშვლებს უხუცესის ფესვებს, რომელთა ნაწილი წყალზევით დარჩენილა და ჰაერში გამოშვერილა; ნაწილს მდინარის ჭავლები ელამუნება და აგრილებს; მხოლოდ ქვედა ფესვები ჯერ კიდევ საიმედოდ ეჭიდებიან რიყეს.

ბებერ ვერხვს ფუღუროც აქვს, კარგა დიდი და პირქუში, და ალბათ ვინმე სახლობს კიდეც შიგ. ალაგ-ალაგ გამხმარი ტოტების შავად გაბარჯღვაში უღონო, ბედს მინდობილი, კარგსა და ავს შეგუებული უშფოთველობა ჩუმად კვნესის... ნუ გგონიათ, რომ ბებერი ვერხვი უიმედობას შეუპყრია – ის მაინც გაუტეხელია, ახალ ქარტეხილებს არ უფრთხის და მომავლის იმედით სულდგმულობს. როცა ნიავი დაჰქროლებს, გამხმარი ტოტები ოდნავ თუ შეირხევიან და შემწყალობელი, წყნარი ღიმილით შესცქერიან გვერდით, ახალნამატ ქორფა რტოებზე ვერცხლისფრად აფართქალებულ ფოთლებს, რომლებიც ერთმანეთს ეჩურჩულებიან არა ბებერი ვერხვის ძველ იარებსა და ტკივილებზე, არამედ მზის სხივების მხიარულ ანარეკლებზე მდინარის ცელქი ტალღებიდან; მაღლა – ლურჯ ცაზე ეულად მიმქროლავ ღრუბლის თეთრ ქულაზე; დაბლა – მწვა-

ნედ აფეთქებულ ბალახზე და ლამაზ ყვავილებს შორის უზრუნველად მოფარფატე ფრთახატულა პეპლებზე – ყველაფერზე, რასაც სიცოცხლე ჰქვია.

პირველი ღამე ბაკურიანში

ნოეს კიდობანს ჰგავს ბარბალეს სახლი: მდგმურად ხუთი ოჯახი ჰყავს უკვე და მეექვსეც მიემატა მეორე სართულის ერთ ოთახში – ჩვენ.

– იფ, მშვენივრად ვიქნებით! – ვამბობ მე, როცა, როგორც იქნა, დავლაგდით. – ცოტა ძვირად კი ვიქირავეთ ოთახი, 250 მანეთი ჩემი თითქმის ორი თვის ხელფასია, მაგრამ, სამაგიეროდ, რა სიწყნარეა! სად – თბილისის ხმაური, გრიალ-ხრიალი, სიცხე და ჭუჭყი, მტვერი და ბუღი და სად – ბაკურიანის გრილი და სუფთა ჰაერი, მყუდროება და სიწყნარე!

მგზავრობის შემდგომ დაღლილები ვიყავით და ადრიანად დავწექით დასაძინებლად...

ვინ გვაცალა დასვენება!

მთელი სახლი ფუტკრის სკასავით ზუზუნებდა.

მეზობელ ოთახში, ხის თხელი კედლის უკან, ვიღაცა კაცი პატარა ბიჭს ამეცადინებდა მათემატიკაში. ბიჭი ვერ იგებდა ახსნილს, ჭიჭყინებდა და შიგადაშიგ ტიროდა კიდეც.

მეორე მხარის მეზობლები ბანქოს თამაშობდნენ, ხორხოც-სიცილით და ხმამაღალი შეძახილებით.

აღარას ვჩივი იმაზე, რომ სადღაც გვიან ვახშმობდნენ და იყო ერთი დანა-ჩანგლისა და თეფშების წკრიალი, გაუთავებელი ყაყანი.

ერთ ოთახში ვიღაცა რადიოს უსმენდა, ნაწილი მდგმურებისა კი ბარბალესთან შეკრებილიყო ტელევიზორის საყურებლად...

ბოლოს, დაღლილობამ თავისი გაიტანა და ჩაგვეძინა.

ის იყო, ოდნავ ინათლა, რომ სახლის თითქმის მთელი მოსახლეობა ნახევრად ჩაცმული გამოეფინა გრძელ, ღია აივანზე.

– ან ეგ ყვინჩილა გააჩუმეთ, ან არ ვიცი, რას ვიზამ! – ყვიროდა საზარელი ხმით ის ჩვენი მეზობელი, რომელიც წინა საღამოს ბავშვს ამეცადინებდა მათემატიკაში და, ეტყობა, ნერვული სისტემა საკმაოდ მოშლილი ჰქონდა.

მამლაყინწა მართლაც გაუთავებლად გაჰყიოდა, საოცრად ხრინწიანი და, ამავე დროს, გამყივანი ხმა ჰქონდა. გაახურა და აღარ გაჩერდა... მერე გავიგეთ: ასეთი უცნაური ხმის პატრონი ეს ერთი ციდა, იაპონური თუ ჩინური ჯიშის მამალი ბარბალეს რძალს აჩუქა თურმე ვიღაცამ... იმ დალოცვილმა ალბათ მოისვენა, ჩვენ კი რას გვერჩოდა? პატარა მამალი კი მართლაც ლამაზი იყო – ცეცხლისფერ-იისფერი შეფერილობის, თან ისე ამაყად მოსიარულე, თითქოს მთელი ბაკურიანი მას ეკუთვნოდა. ბარბალეს თქმით, მან მეზობელთა დიდ-დიდი მამლები ყველა იფრინა – არც ერთი არ გააჭაჭანა თავის ეზოში, ისეთი ანჩხლი გამოდგა. ეს ოხერი, დღესა და ღამეს მაინც არჩევდეს – როცა მოეპრიანება, მაშინ იწყებს ყივილს... ეტყობა, იაპონური დროით "მუშაობს"!

ცოტა თვალი მოვატყუე და ახლა ბარბალეს ძროხამ მორთო ბღავილი. ბღავილი კი არა, რაღაც საშინელება იყო – თითქოს მოთქვამდა გაუთავებლად... დროდადრო მეორე ძროხაც აძლევდა ბანს.

მეზობლის ქალი ცუდად გახდა.

როცა მოასულიერეს, სულ იმას იძახდა – ის არ ეყო მაგ ვერანას, სამი საპონი რომ შემიჭამა ამ უსაპნობის დროს (ქალს ეზოში ონკანთან რჩებოდა), ახლა უნდა, უძილობით მომკლასო.

ბარბალემ ორივე ძროხა საჩქაროდ გადენა ქუჩაში, ბედად ნახირმაც ამ დროს ჩამოიარა.

არ გასულა ნახევარი საათი და ახლა მეზობლის ძაღლმა ატეხა ყეფა – გაუთავებლად, მომაბეზრებლად... იდიოტურად უაზროდ, მონოტონურად ღავღავებდა და ღავღავებდა, სხვა ძაღლებიც ეხმიანებოდნენ – ზოგი ახლოდან და ზოგიც შორიდან...

თითქოს არ იყო საკმარისი და ძაღლის ყეფა გაფხრიწა ღორის საზარელმა ჭყვირილმა, ყურის გამხვრეტმა და გულის გამაწვრილებელმა. მას მაშინვე მეორე ღორი აჰყვა – ეტყობა, ღორები წაიკიდნენ და ჯოჯოხეთური დუეტი შეახმატკბილეს.

ჩაუცმელი კინაღამ გავვარდი აივანზე წყევლა-კრულვით, მაგრამ ნებისყოფა დავძაბე და თავი შევიკავე, თავზე საბანი წავიხურე...

კარგად კი დაიწყო ჩვენი დასვენება, ღმერთო, შენ გვიშველე!

მარტო მივდივარ ტყეში

ბევრი ვეღიჭინე ბესიკსაც და დათუნასაც, წამომყოლოდნენ ტყეში – ბიჭებო, კალმახასოკო დავკრიფოთ-მეთქი, თან ამ მზიან დღეს გავისეირნოთ, ტყეში წანწალს რა სჯობს?.. შეაყარე კე-

დელს ცერცვი! არ მოისურვეს წამობრძანება, ზარმაცუნებმა... გუშინ ჩამოვედით, დაღლილები ვართო.

რაღამც გადავწყვიტე, მარტოც წავალ ტყეში...

შევაბიჯე ტყის გრძნეული კალთის ქვეშ, შიგადაშიგ პატარა ამწვანებულ მდელოებს გადავივლი ხოლმე... რა კარგია ტყის სიმყუდროვე! გამარჯობა, ხეებო, ბალახებო, ყვავილებო, მწერებო, ჩიტუნებო და სხვანო და სხვანო! აგერ ხამუშ-ხამუშ რომ ყრანტალებ რაღაცას, შენც გაგიმარჯოს, ყვავო!

აი, პირველი ნადავლიც: ხის ძირში მომჯდარან მოყავისფრო-მოყვითალოქუდიანი სოკოები – ერთი მოდიდო, მეორე მომცრო, მასთან შეტყუპებული. რა ლამაზებია და როგორი ნაზი სურნელი აქვთ! (სახელს მოგვიანებით ჩავიწერ, ასეთი სოკო ბაკურიანში ჯერ არ შემხვედრია და სოკოების ატლასში მოვიძიებ).

აქ ძალზე გამეჩხერებულია ტყე, ხეებზე მეტი კუნძებია (ერთ-ერთ მათგანზე ჩამოვჯექი ახლა დასასვენებლად და დასაწერად). ჩახჩახა მზით არის ავსილი ნაძვებისა და წიფლების ნიავით აქანავებულ-აშრიალებული რტოები; ჩრდილიანში – მუქი მწვანე, განათებულში – ხასხასა მწვანე ბალახით შემოსილ მიწაზე შიგადაშიგ ჩაწინწკლულა ყვავილთა ფერადები – ყვითელი, იისფერი, მსხვილყვავილა გვირილების თეთრი.

პატარა ხევის პირას წაფერდებულა დიდი კუნძი, მის ცალ მხარეს მიწიდან ამოშვერილი ფესვები გველეშაპის გამოჩრილ კბილებს ჰგავს. ჩავედი ხევში, გავედი მეორე მხარეს – იქ მცირე ამაღლებაზე ნაძვებისა და კუნძების გარშემო მარწყვი მეგულება. წლეულს გვიან დათბა, ნეტა თუ შემოვიდა? დავბოდიალობ და ნაყოფს კი არა, მარწყვის ფოთლებსაც ვერ ვხედავ... უჰ, ბოდიში! – აგერ ერთი კუნძის გარშემო მთელი პლანტაციაა მარწყვისა და ლალისფერი საყურეებივით გაბნეულა მარცვლები... დაჩოქილი ვაგროვებ ხელისგულზე; როცა საკმაო რაოდენობისა მოვაქუჩე, დავყნოსე და მერე ერთიანად გადავუძახე პირში...

ისევ მივაბიჯებ ნება-ნება. რა სასიამოვნო სიგრილეა ჩრდილში! ნიავი ნაზად მელამუნება სახეზე; მერე, მზეზე გასული, ისევ ალერსიან სხივებს ვეფიცხები. წამოუქროლე, ნიავო, აათამაშე ტოტები, აათამაშე შუქ-ჩრდილიც! ეჩურჩულეთ ერთმანეთს, ხეებო, ააცეკვეთ ფოთლები!

ცა? ცა სულ დამავიწყდა! მოიცა, აი, გადავივლი კოლბოხებზე ხტუნვა-ხტუნვით ამ ჭყანტობსაც (გუბურაში ტყაპატყუპი გააქვთ ჩამხტარ ბაყაყებს, მაგრამ მათი ყურებისთვის ახლა არ მცალია), მერე მივჯდები ერთი ბებერი წიფლის ძირში, ტანზე უზარმაზარი გამონაზარდი რომ აქვს დევის მეჭეჭივით, და ცასაც მივუზღავ საკადრისს... ლურჯი ცა, მზით გასხივოსნებული და ჩემსავით მოხეტიალე ღრუბლებით თეთრად მოქარგული... მეტი რა ვთქვა? მეფე-მზე დაგვყურებს ყველასა და ყველაფერს; მასაც შევასხამდი ქებას, მაგრამ ლაქუცი და მაამებლობა არ მიყვარს, თანაც თვალს რომ ვერ ვუსწორებ? ჯობს, ადექ, სოსო, და განაგრძე სეირნობა!

ჰო-ჰო, რა ლამაზად ჰყვავის ასკილი! დაუბნევია მწვანე კაბაზე თეთრი ღილები, ნიავისგან აქანავებული რტოების ქვეშ მიწაზე დაფანტულა თეთრი, სურნელოვანი ფურცლები ველური ვარდისა.

გავედი მინდორზე – გამოჩნდა თავმოტვლეპილი, მწვანედ აელვარებული მთები; სათიბები ალბათ ახლა ითიბება. ცოტა ქვემოთ და უფრო ახლოს ვხედავ ხუჭუჭა წიფლნარით შემოსილ ფერდობებს, საითაც მე მივეშურები.

ღრუბლები დაბორიალობენ, თამაშობენ ცაში – ხომ არ მოწვიმს? მაინც ვაგრძელებ გზას – უნდა დავზვერო შავი მოცხარის "პლანტაცია" და კალმახასოკოს შინ მიტანაც მაქვს განზრახული გუნებაში.

უზარმაზარი წიფლის ქვეშ ფშუკურასოკოები თეთრ ბურთულებად მიმოფანტულა... რამდენია! არ დამავიწყდეს: უკანა გზობაზე მოვუვლი მაგათ.

აგერ ათიოდე მეტრის შემდეგ შემომხვდა თეთრი ფერის სხვა ჯურის სოკოც – ჩემის ფიქრით, ღვინიოს მკვიდრი ბიძაშვილი უნდა იყოს; განსაკუთრებული სუნი აქვს – სინედლისა, ტყის სიგრილისა (როგორ მოგწონთ ასეთი შედარება?).

გადავიარე ბორცვი და ყურებს ეჯახება ბაგაბუგი – კვერცხის გულისფერი ავტომანქანა "ჟიგულიდან" მუსიკა მოსკდა, იქვე ვიღაც-ვიღაცები აჩაღებენ კოცონს... ტყის სიმფონიას ნამდვილად არ უხდება ასეთი მუსიკა, რომელშიც მხოლოდ ჰიპერტროფირებული რიტმია და მეტი არაფერი.

შემდეგ ბაკურიანი-ციხისჯვრის საავტომობილო გზა გადავკვეთე, გადავხტი პატარა ნაკადულზე და მწვანე მდელოზე აღმართში მიმავალ ბილიკს შევუყევი. აბრაში ცხენი თავს მაღლა წევს, მაკვირდება, რამე საფრთხე ხომ არ გამოჩნდაო, შემდეგ, დაწყნარებული, განაგრძობს ძოვას და კუდით აბეზარი ბუზების მოგერიებას; მის გვერდით გარინდებული დგას წაბლა კვიცი.

მალე ავედი ბაკურიანი-ახალქალაქის გზაზე. რაღა დანგრეულ გზაზე ვიარო, არ ჯობს, ნორჩ ფიჭვნარში შევიდე? ღვინიოები მოჩანს ბლომად, უკვე მობერებულები. მალე ისევ გზაზე გამოვდივარ. გზა სველია – წინა დღეებში ალბათ წვიმდა.

შორიდან შევნიშნე: ერთი ფიჭვის ძირში რაღაც თეთრი მრგვალი საგანი აშუქებდა. არ დავიზარე, გადავხტი გზისპირა წყლიან თხრილზე და ავედი ფერდობზე სანახავად. დიდი ფშუკურა!

ამ გუდაფშუტიდან რამდენიმე ნაბიჯში ჩანან დუმასოკოები, იგივე ქონასოკოები – უკვე დაჭიანებულნი, ყვითლად ანათებენ.

მერე აღმართში ხელმარცხნივ გავუხვიე და დაბურულ ტყეში შევრგე თავი. მალე ტყე გამეჩხერდა; პატარა ხევის პირას ჭყანტობში დავკრიფე ველური პიტნა და, მისი სურნელით გაჟღენთილმა, ნაცნობ მორებს და კუნძებს მივაკითხე. რამდენიმე კუნძი, ჩემი კეთილი მასპინძელი წინა წლებში, ახლა აღარც კი ჩანს მომძლავრებულ ბალახებში, ისე დამპალა და დაშლილა.

როცა წერა განვიზრახე და ხალათის ჯიბიდან ქაღალდის დაკეცილი ფურცელი ამოვიღე, ქაღალდზე იჯდა ლამაზი თეთრი პეპელა – ჭრელი, ისრის წვერის ფორმისა... საიდან მოხვდა ის ჯიბეში?

მოვინახულე რამდენიმე მორი და კუნძი – კალმახასოკოს კვალიც არ ჩანს! სამაგიეროდ, შავი მოცხარის მოსავალია ისეთი, ნუღარ იტყვი! მომსკდარია პირდაპირ, იმდენი ასხია. ჯერ ოდნავ შეთვალებულია და ცოტა ნაყოფი მაინც ჩავყარე ჩანთაში – შინ გაზეთზე გავფენ და რამდენიმე დღეში უფრო შეიფერება და სიმწკლარტე მოაკლდება.

უჰ, რა ტკბილად დამჭიკჭიკებს მაღლიდან რომელიღაც ჩიტი! ხომ არ ვისაუზმო აქ? არა, ბარემ ზევით ავალ, სულ მაღლა... (მაისურის შიგნით რაღაც ცივი ბურთულა ვიგრძენი – შავი მოცხარის მარცვალი! მოცხარი იმდენია, რომ გულისპირშიც ჩამიძვრა!).

წინ!..

დაახლოებით 35-გრადუსიანი ფერდია, წიფლნარს ალაგ-ალაგ შერევია ნეკერჩხალი, თელა... უბედური ქვეტყეა – ჭინჭარი, გვიმრა, უკადრისა, ათასი სხვა ბალახი, აგრეთვე შავი მოცხარის ბუჩქნარი. გაჭირვებით მივძვრები მაღლა-მაღლა და როცა ზოგჯერ შევჩერდები და უკან მოვიხედავ, ხეებს შორის შუალედში ვხედავ: უკვე ზევიდან დავყურებ ბაკურიანის გარშემო ამართულ მთებსაც კი. ახლა სხვა ჩიტი დამჭიკჭიკებს – კარგი აკომპანემენტია ძნელი აღმართის დასაძლევად! დროდადრო ვისვენებ, თან ვათვალიერებ წიფელათა მუქ, მსხვილ ტანებს – ზოგს ცხვირივით გამონაზარდი აქვს, ერთს ნაჯახით ჩამონათალზე კანქვეშა მერქანი გამოსჩენია მრგვლად – მოყვითალო "თვალად"...

არ შემჭამეს ბუზებმა?!. ვითომ ჭინჭარი არ მეყოფოდა! მოიცათ, ბუზებო, თქვენც გეტირებათ ყოფა – ერთი მივაღწიო წაქცეულ წიფელთან, შავად რომ გაუფარჩხავს ტოტები! რამდენ ობობას მოუკალათებია აქ – ქსელ-ბადის თქვენგან შერხევის მოლოდინში!

ეჰ, სულ ტყუილად მოვჩერჩეტდი! იმედი გამიცრუვდა, კალმახასოკო არც აქ ჩანს. წაქცეული გოლიათის ტანზე მხოლოდ ხავსი, აბედასოკო და რაღაც თეთრი, პრიალაქუდიანი, მეტად საეჭვო შესახედაობის სოკო დამხვდა.

კაცის სიმაღლე ბალახებში ძლივს მივძვრები.. ამ ჩრდილო, ნესტიან ფერდობზე რამ გააგიჟათ ასე! ისევ ბალახებს ვებღაუჭები, ისინიც სამაგიეროს მიხდიან – მსუსხავენ, მფხოჭნიან, ფეხებში მებლანდებიან და აგერ, ვხედავ, ერთი ღილიც მოუწყვეტიათ ხალათზე. ისევ უნდა შევისვენო და დავნაყრდე, რომ ბრძოლა ჯანღონემომატებულმა განვაგრძო.

ზოგან ისეთი გაუვალი ბარდებია, რომ იძულებული ვარ უკან დავიხიო. ფეხსაცმელები დამისველდა და სინესტემ წინდებშიც შეატანა; მიკვირს, აქამდე არ დავცემულვარ... ამის გაფიქრება იყო და ტყის შავი, სველი ნეშომპალით დაფარულ ციცაბოზე ფეხი დამიცდა-დამისრიალდა და ჯერ ჩავჯექი, მერე კი წავწექი კიდეც – კიდევ კარგი, რაღაც ბუჩქის ტოტს ვიყავი ჩაფრენილი, თორემ ყირაზეც გადავიდოდი.

ისევ შევისვენე... ქვევით ვხედავ ბაკურიანის გარეუბანს და ახლა იმას ვფიქრობ, აქედან ჩაბობღება და შინ მისვლა არ გინდა? თანაც ცარიელი ჩანთით...

გზას ვაგრძელებ – ხან ზევიდან ვთელავ ჭინჭარსა და გვიმრას, ხან ქვევიდან გავძვრები გადმოხრილ ტოტებქვეშ... მაჩიტაც რომ ჩემზე მაღალია?!. ჭინჭარიც ზევიდან დამყურებს და ხშირად ლამობს (არცთუ წარუმატებლად) ლოყაზე მომელამუნოს. ერთი უზარმაზარი მორი მოვინახულე, მეორე, მესამე... რამდენიმე გამხმარი ხეც... ასეთი რამის მომსწრე ჯერ არ ვყოფილვარ – კალმახასოკოს კვალიც არ არის!

გულაცრუებული, ნელ-ნელა, ფრთხილად ვეშვები ქვევით-ქვევით. თუ ხელი არ გაქვს ჩავლებული ბუჩქსა ან ბალახზე, ისე ნაბიჯის გადადგმაც საშიშია – წაიქცევი და ჭინჭრიანში დაგორდები. ყველაზე უფრო მაღალი გვიმრის მადლიერი ვარ, იმას ჩავაფრინდები ხოლმე ყველაზე ხშირად ხან მარჯვენა, ხან მარცხენა ხელით. ნუ ჩქარობ, გენაცვალე, აქ სულსწრაფობა ისჯება, იცოდე! ხომ დავცურდი გემრიელად, აწი მაინც ისწავლე ჭკუა! აგერ ბუერას მსხვილ ღეროს რომ წაეტანე, სიმსხოს რა ჭკუა აქვს? ტკაცანით გადატყდა მისი ხორციანი, რბილი ტანი და მერე რაც დაგემართა, ახია შენზე!..

ოჰო! ფეხსაცმელსაც პირი დაუღია – შემომჩივის, სად მაბღოტიალებ და მაძრომიალებ, კაცი არა ხარო?!. წინ რომ მწვანე კედელია, ფეხის დასადგმელ ადგილსაც ვერ ხედავ, მე რაღა დავაშავეო.

ცოტა რომ ჩამოვივაკე და წიფლის წვრილიანში ჩამოცვენილ გამხმარ ტოტებს და ჩინჩხვარს ტკაცატკუც-ლაწალუწი ავუყენე, შვებით ამოვისუნთქე. მივაშრიალებ გამხმარ ფოთლებს; მზის სხივები თითქმის ვერ აღწევს მიწამდე და აქ ბალახიც ვერ ხეირობს. არც ნიავი იგრძნობა, მხოლოდ კენწეროების შრიალი ტალღასავით გადაივლის დროდადრო.

თუმცა დაღმართში ჩქარა მივდივარ, მაინც შევამჩნიე ერთფეროვან მოყავისფრო-მოშავო ნეშომპალაში თეთრი, ქათმის კვერცხზე მოდიდო რაღაც მრგვალი – ქვეყნის გული! ასე ჰქვია ამ სოკოს, რომელსაც აქამდე მხოლოდ სოკოთა ატლასით ვიცნობდი. სანამ კანი დაუსკდება და მოგრძო სხეული ზევით წამოიზრდება, საჭმელად ვარგისია. ჯერ არ გამისინჯავს გემო, ვნახოთ ერთი, როგორი იქნება ტაფაზე ადუღებულ ზეთში შემწვარი!

ჰო, გუდაფშუტების მოკრეფაც არ დამავიწყდეს! იმით სოკოს შეჭამანდს გავაკეთებ, თუ შემწვარი აჯობებს? გზაში მოვიფიქრებ და გადავწყვეტ, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, წაგებული არ დავრჩებით – სოკოს გემრიელად მივირთმევთ!

ღორის მოთვინიერება

მზე ჯერ ხეირიანად ამოწვერილიც არ იყო და მამლების გადაძახილი ახალისებდა სოფლის ნათელ დილას, რომ რაღაც წარმოუდგენელი სიძლიერის ღორის კივილმა ლოგინიდან გულგახეთქილი წამომაგდო.

ფანჯარას მივვარდი – ქვეყანა ხომ არ იქცევა-მეთქი... მომეჩვენა თუ ნაღდი იყო: ამ განწირულმა ჭყვიტინმა ცა გახია და ნაპრალში წვერგაბურძგნულმა მამაზეციერმა ჩამოიხედა შეშინებული თვალებით. ალბათ მასაც დაურღვიეს დილის ტკბილი ძილი...

ღორის გაბმული, სულისშემძვრელი მოთქმა კი არა და არ გათავდა, მეც გავთავდი ლამის და რა გამაჩერებდა შინ – დილის სიწყნარის შემაშფოთებელი ღრუტუნასკენ გავეშურე.

ვიწრო ორღობეში სამნი იყვნენ (მთავარი მოქმედი პირნი, თორემ სეირის მაყურებელი სამჯერ მეტიც იქნებოდა და ყოველ წუთს მატულობდა) – ორი შუახნის ჩასხმული მამაკაცი და ერთიც გმირთა გმირი – კარგა მოზრდილი თეთრი ღორი, რომელსაც, დაძაგრულს, ოთხივე ფეხის ჩლიქი მიწაში ჩაესო და, გაჯიქებულს, დინგი ქვევით დაეხარა. წინა კაცი რომ ღორის ყელზე მობმულ თოკს ექაჩებოდა გამეტებით, უკანა ხან მუჯლუგუნს უთავაზებდა ფერდში ჯიუტ ცხოველს, ხან ჯოხს სდრუზავდა ზურგზე, ხან კი ორივე ხელით აწვებოდა, თითქოს ლაფში ჩავარდნილი ავტომობილი იყო.

ღორი წაჭერილი თოკისგან წაიხროტინებდა, მერე გაათმაგებული ძალით აგრძელებდა ჭყვიტინს. გააფთრებული უკნიდან მიმწოლი გინების ნიაღვარს აფრქვევდა, დასისხლიანებულ თვალებს ავად ატრიალებდა ოფლით გახვითქულ სახეზე.

როგორც შევიტყვე, ეს ორნი ღორის მყიდველ-გამყიდველი იყვნენ. მერე, იმ დალოცვილმა მყიდველმა რაღა დილაუთენია მოინდომა მისი წაყვანა?

არაქათგამოცლილი კაცები ღორთან ჭიდაობას შეეშვნენ, ის კი მაინც არ ჩერდებოდა და საზარელი ჭყვიტინით იკლებდა იქაურობას. ალბათ გრძნობდა, რომ შესვენება ხანმოკლე იქნებოდა.

– ქალო, შენი... ქალო, სადა ხარ?!. – იყვირა უცებ გაანჩხლებულმა უკანიდან მიმწოლმა, გამყიდველმა. – სალაფავის ვედრო მოიტა!..

– ახლავე, ახლავე! – მოისმა მიკნავებული ხმა და ბამბაზიის ხალათიანი გამხდარი ქალი ჭიშკარში ფაცხაფუცხით გაუჩინარდა. მალე უკანვე ფეთიანივით გამობრუნდა და ქმარს ვედრო მიაწოდა.

ქმარმა ვედრო გამოართვა, შეშინებულ ქალს გაბრაზებულმა მოუქნია:

– ერთი ჩაგთხლიშო მაგ ცარიელ გოგრაში! ცარიელი რა ფეხებად მინდა, სალაფავი სად არის? – და ვედრო ეზოში ისროლა.

ღორს კი რა ძალა ჰქონდა ნეტავი ისეთი – გაჰკიოდა და გაჰკიოდა! ეტყობა, ქონები ბლომად დაიკრა და გახდომისა არ ეშინოდა.

ქალმა სალაფავით სავსე ვედრო მოარბენინა. კაცმა ვედრო ღორს მიწასთან დაშვებულ დინგთან დაუდგა. ღორმა წვრილი თვალებით ეჭვიანად ახედა ყოფილ პატრონს, წამით გაყუჩდა, თავი ასწია, ჰაერი დასუნა და ჯერ გაუბედავად დაიწყო სალაფავის ჭამა, მერე კი გამეტებით მოჰყვა თქვლეფას.

არ დაისვენეს ყურებმა?!. ჩამომდგარი სიწყნარე ზარივით რეკდა.

– ქუცი, ქუცი! – დახრილი პატრონი ეალერსებოდა ღორს, ნელ-ნელა ასწია ვედრო და უკანა სვლით წავიდა ორღობიდან გასასვლელისკენ. ღორი ერთხანს დანდობილი მიჰყვებოდა, ცდილობდა, დინგი ჩაეყო ვედროში. ასე გაიარეს ათიოდე ნაბიჯი. უცებ ღორი შედგა, რაღაცაზე ღრმააზროვნად ჩაფიქრდა.

– ქუცი, ქუცი, შე გამჩენძაღლო!.. – ხმაში მოუთმენლობა გამოერია გამყიდველს.

ღორმა თავი ასწია, დინგი აათამაშა, მერე მკვეთრად შებრუნდა მშობლიური ეზოსკენ და უკან გაიქცა. ახალ პატრონს, აქამდე რომ ხმას არ იღებდა და მელანქოლიურად შეჰყურებდა ძველი პატრონის ჯახირს, თოკი ჰქონდა ხელზე დახვეული; როცა ღორი გაიქცა, თოკი დაიჭიმა და უცაბედი ბიძგით მყიდველიც გააქცუნა, ჩაცუცქებულ ძველ პატრონს ზედ წაემხო ზურგზე და ორივენი მიწაზე გადაკოტრიალდნენ წაქცეული ვედროდან დაღვრილ სალაფავში...

მაყურებელთაგან ზოგმა ჩაიფხუკუნა, ზოგმაც, უფრო გაბედულმა, სიცილი ვერ შეიკავა.

ღორი კი ორღობეში გარბოდა და თოკს მიათრევდა.

გაჭირვებით დაიჭირეს და უკანვე წამოიყვანეს.

საკუთარ ჭიშკრამდე თვინიერად მოჰყვებოდა, მერე კი ისევ გაჯიქდა, ფეხი ვერ მოაცვლევინეს.

– მიტრო, მიტრო!.. – აყვირდა ისევ ძველი პატრონი. – წადი, ინალა მოიყვა თავისი მოტოროლერით!.. დროზე გაადგი ფეხი!

ნახევარ საათში მოთუხთუხდა სატვირთო მოტოროლერი.

ჭიშკართან დაბმული ღორი გატრუნული იწვა.

ჯერ ორმა კაცმა სცადა მისი წამოყენება, მერე ძველმა პატრონმა გამეტებით დასცხო ჯოხი და წამოახტუნა. ახალი პატრონი მოწმესავით იდგა და უნდილად უყურებდა დანარჩენების ჯახირს.

დამხმარენიც გამოჩნდნენ და ახლა ოთხმა კაცმა თითო-თითო ფეხში წაავლო ხელი, წამოაქციეს ქუცუნა, ასწიეს აფართხალებული და განწირული ჭყვირილის თანხლებით მოტოროლერის ძარაზე დააგდეს. ღორი მაშინვე წამოხტა და ცინცხლად ისკუპა მიწაზე.

კაცები ერთმანეთს ვერაფერს აგებინებდნენ ღორის ყურის გამხვრეტ მოთქმაში და მათმა შეუთანხმებელმა მოქმედებამ სეირის მაყურებლები საკმაოდ გაგვამხიარულა. ღორი საოცარ სიმკვირცხლეს იჩენდა და მისი დატყვევების და ძარაზე მოთავსების ოპერაცია კარგა ნახევარ საათს გაგრძელდა.

მოტოროლერის ვიწრო ძარაზე ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა.

– თქვენი ღორიც და თქვენი პატრონიც! – იწყევლებოდა მოტოროლერის მძღოლი. – მანქანა არ გადამიტრიალოთ, ღორის ფასი მარტო დაჭეჭყილის გასწორებას არ ეყოფა!

ბოლოს მოისაზრეს, ღორს ფეხები თოკით შეუკრეს და ასე, ტომარასავით დადეს ძარაში; ესეც არ აკმარეს და მიაბეს ბორტებს. ახალი პატრონი – მეტი საიმედოობისთვის – ღორს ზედ დააჯდა.

– წადი, წადი!.. – ერთი ათჯერ მაინც დაუძახა ახალმა პატრონმა ინალს, სანამ ღორის განწირულ მოთქმა-გოდებაში რაიმეს გააგონებდა.

ღორის ჭყვიტინს მოტოროლერის ძრავის ტრახტრახი შეუერთდა და ცისფერ გამონაბოლქვთან ერთად ჰაერში მაღლა აიჭრა.

რა აყვირებდა ნეტავი, იქნება ლხინში მიჰყავდათ?!.

ტყის სიმღერა

ქარიანი დღეა, რაღაცნაირად არეული; ღრუბლები გარბიან ცაზე აღმოსავლეთისკენ, ჩვენ კი დასავლეთისკენ ავიღეთ გეზი – შინ ჯდომას ტყეში გასეირნება არ ჯობს?

ტყე დიდებული რამ არის! გავცდით ბაკურიანის ბოლო შენობებს და მაშინვე შევედით ნაძვნარ-ფიჭვნარში; თუმცა, კუნძებს ჯერ მეტს ვხედავთ, ვიდრე ხეებს, თანაც ახალგაზრდა წიწვოვნები სრულებით არ ჩანს, რაც აქ ტყეს ადრე თუ გვიან გაქრობას უქადის. ყოველ ნაბიჯზე საოჯახო ნაგავს უნდა ავუქციოთ გვერდი. რას არ ნახავ გადაყრილს: დაუანგულ ბარის პირს, პირდაფჩენილ ჩექმას, გაჭეჭყილ რადიორეპროდუქტორს, გაფუჭებულ მაცივარს, გატეხილ ციგებს, გაცვეთილ საბურავებს და ქალის პარიკსაც კი! ყველაფერი ეს ნაღვლიან გუნებაზე გვაყენებს, მაგრამ რაც უფრო ღრმად შევდივართ ტყეში, ხასიათიც გვიკეთდება – ახალგაზრდა ნაძვებსაც ვხედავთ, ჯგუფ-ჯგუფად ამოსულებს, ჩიტების ჭიკჭიკიც გვესალბუნება.

– სად მივდივართ? – ბესიკისა და დათუნას მეგობრები შემოგვხვდნენ – სამი ბიჭი.

– ტყეში! – პასუხობს დათუნა.

– ტყეში რა გინდათ?

– მგლები უნდა ვნახოთ! – იცინის დათუნა.

განვაგრძეთ გზა. მივეშურებით ტყე-ტყე, შიგადაშიგ პატარ-პატარა მდელოებია გაქუცული ბალახით – საქონლის მიერ არის გადაძოვილი.

გზა-გზა ვაგროვებთ მცენარეებს, მღიერებს, ხავსებს. წამოღებული გვაქვს ბოტანიკური ატლასი და სოკოების სარკვევი. უმეტესობა ბალახებისა ვერ ვნახეთ ატლასში. საოცარია: ვაშლი, მსხალი, მანდარინი, კარტოფილი და მისთანანი, ბავშვმაც რომ იცის, ყველა მოუთავსებიათ, მრავალი სხვა, საინტერესო მცენარე კი, რომლებიც ახლა გვხვდება, გამოტოვებულია.

დროდადრო ჩამოვსხდებით რბილად ხავსიან ქვაზე ან კუნძზე და ვუსმენთ ქარის მუსიკას ნაძვთა რტოებში... ნაძვთა ტოტებში მოთარეშე ქარი სხვადასხვა ხმაზე მღერის: ჯერ შორიდანვე გუგუნით გვიახლოვდება, მერე ნაძვთა კენწეროებში შრიალი ტალღებად გადაივლის-გადაინავარდებს; რამდენიმე ასეთი მიქცევ-მოქცევის ტალღა მოშლიგინობს-მოედინება, – ზოგი მარცხნივ, ზოგი მარჯვნივ, – გვიახლოვდება თუ გვშორდება... ზოგჯერ უფრო მძლავრად წამოუქროლებს-წამოუბერავს და შრიალი წამიერად აზვირთდება... ისევ და ისევ რიტმულად მეორდება ყოველივე. ქვედა, ხშირ ტოტებში ძრომიალი ქარს უჭირს, ქურდულად, წვრილ ხმაზე მოიპარება,

ნელა სისინებს, ხმელ წიწვებს მოაფრიალებს ჰაერში. ახლო მდგომი ხეები ერთმანეთს ტოტებით-თათებით ეალერსებიან...

და ამ დროს ტყის სიმფონიით ტკბობას გვირღვევს თავზე დაცვენილი გირჩის ნაფცქვენი. ზევით ვიყურებით და ტოტზე არხეინად წამოსკუპებულ ციყვუნიას ვხედავთ. წინა თათებში სასუსნავი უპყრია და გულმოდგინედ საქმიანობს. შავი, წვრილი თვალები მოუსვენრად უბრწყინავს. დაგვინახა, ნირი არ უცვლია – ჩაათავა თავისი საქმე, გირჩის ნარჩენი ჩამოაგდო და როცა ბესიკი მის ასაღებად დაიხარა, ფხაჭაფხუჭით გაიქცა ზევით ნაძვის ხორკლიან ტანზე. გავარდა ტოტზე, შეჩერდა და ქვევით გაკვირვებით იყურება...

მერე იმ ხის ქვედა ტოტზე შემოსკუპდა ბეღურის ოდენა რაღაც ჩიტი, ისიც ბეღურასავით მოუსვენრად ატრიალებს თავს აქეთ-იქით – ფრთხილობს, თან კუდს აქანქარებს. ვუყურებთ, ვუყურებთ და გვწყინს, რომ მისი არც სახელი ვიცით და არც ზნე, ფრინველების სარკვევი კი არ გვაქვს.

ბესიკი ჯოხს ისვრის – ჩიტს კი არ ტყორცნა, ისე, უმიზეზოდ. ჩიტი წამსვე დაგვეკარგა თვალთაგან.

– ბესო, ტყეში წყნარად უნდა იყო, – ვეუბნები, – არც უნდა იჩქარო, თუ გინდა, საინტერესო რამ ნახო. ყველას ჯობს, ერთი ადგილი შეარჩიო და იქიდან უხმაუროდ უთვალთვალო ტყის ცხოვრებას.

ყველაფერს სწორს ვამბობ, მაგრამ ოთხი ადამიანის ერთად სიარული სიჩუმეს გამორიცხავს, ლაპარაკი ხომ გვინდა, თანაც ერთმანეთს დროდადრო თუ არ შევეხმიანეთ, შესაძლოა, რომელიმე გაგვებნეს ტყეში და კვალი აერიოს – შინისკენ მიმავალი გზა ვერ გაიგნოს.

გავედით პატარა, მზით განათებულ მდელოზე – ქრის ნიავი, ეთამაშება ბალახებს; ნაზად ატოკებს ღიღილოს, ნარს, ღოლოს, ჭინჭარს, ჟოლოს, კუნძზე ამოსულ პატარა ნაძვს, აქანავებს-აცოცხლებს ხეებს. მზე ხან აბდღვრიალდება ცაზე, ხან ნაცრისფერ ფთილა ღრუბელს მიეფარება – ირგვლივ ბუნება სუნთქავს, მარადიულ ფერთა ცვალებადობას განიცდის. ბალახთა ნაირფერობას ემატება შუქ-ჩრდილის თამაში და ქარის ამღერებული მუსიკა...

ტყეშიც არ არის იდილია: ტკბილ ჭიკჭიკთან ერთად დროდადრო ყვავთა საზარელი ყრანტალიც გამოერევა; მინდორზე გვირილას თეთრწამწამა ყვითელი თვალებიც ციალებს, ღიღილოს ყვავილები ბრიალებს, მაგრამ აქა-იქ ჭინჭარიც ყელყელაობს, თავს იწონებს, ისიც ჰყვავის რაღა!

აგერ ნეკერჩხალი ეულად ჩამდგარა ნაძვებს შორის, მისი ფოთლების შრიალი სულ სხვა გამაშია; მიწაზე, ბალახებს შორის ნეკერჩხლის რამდენიმე გაწითლებული ფოთოლი გდია. ბიჭები ერთმანეთს არ აცლიან, აკრიფეს ფოთლები და მომირბენინეს. ლამაზად შეფერილი ფოთლები ჩავდეთ ჯერ საშრობ ქაღალდებს შორის, შემდეგ – ბოტანიკურ ატლასში, გასახმობად.

ვაგრძელებთ გზას; სხვადასხვა ყვავილებს, რომლებიც მოგვეწონება, ბოტანიკურ ატლასში ვდებთ იმ გვერდებზე, სადაც მათი სურათებია გამოსახული.

ისევ გავიფანტეთ სოკოების ძებნაში – ბედი არ გვწყალობს, არაფერი შეგვხვდა. მაინც, რას წარმოადგენს ეს ტყე? დაწვრილებით აღსაწერად ალბათ რამდენიმე ტომის დაწერა იქნებოდა საჭირო, ზოგადად კი რომ დავახასიათო – მთლიანი ნაძვნარია, შიგადაშიგ წიფელი და სხვა ფოთლოვანი ხეებიც გამოერევა; მიწა ალაგ-ალაგ ზურმუხტისფერი, რბილი ხავსითაა დაფარული, ალაგ-ალაგ ჭანჭყობია, ზოგან – პატარა მდელოები, რომლებზეც ნაძვთან ერთად ფიჭვიც ხარობს. დაბზუიან მწერები, ჭიკჭიკებენ ჩიტები, ქარი სისინით დანავარდობს ნაძვთა რტოებში, წვეროკინებისკენ კი – შრიალ-შხუილით; სადღაც მაღლა უხილავი ყვავი ზის და "ყვა-ყვა!" – მოკლე-მოკლე წამოძახილებით რაღაცას ამცნობს ტყეს... რას? ალბათ იმას, რომ მაძღარია, ცხოვრებით კმაყოფილი, ახლა კენწეროდან გადმოსცქერის ქვეყნიერებას და მეტი რაღა უნდა ქნას? ყოველ შემთხვევაში, მე ასე "წავიკითხე" მისი ხმოვანი გზავნილი... შორიდან სხვა ყვავი გაეპასუხა და ტყის სიმფონიაში თავის ხმას ურთავს.

ჰო, არ დამავიწყდეს, მიწა ტყეში დაქსელილია თუ დახაზულია საქონლისა და ადამიანის მიერ გაკვალული უთვალავი ბილიკებით.

დათუნა ზის ნაძვის ამოშვერილ ფესვზე, რომელიც სქელი ხავსითა დაფარული, ხელში სოკო უჭირავს ფეხით:

– რა რბილია! – ხავსზე ამბობს, – ამ სოკოს რა ჰქვია?

– ხახვილო! ღვინიოს ძმა არის, ოღონდ ქუდი ალუბლისფერის მაგივრად, ხომ ხედავ, მომწვანო აქვს. უკვე ხანდაზმული ჩანს, გაფუჭებული იქნება.

მართლაც, გადავტეხე თუ არა, მოფუთფუთე თეთრი მატლებით დასახლებული აღმოჩნდა, ორი ლოკოკინაც საუზმობდა მისი თეთრი რბილობით.

– ეტყობა, ვიღაც-ვიღაცებს ჩვენზე ადრე მოსწონებია!

დათუნას მახვილი თვალი აქვს, მოკლე ხანში ისევ მეძახის:

– მამიკო-ო-ო!.. მო-ო-ოდი-ი!..

– არ მოვალ! – უპასუხებს ჩემს მაგივრად ცუღლუტი ბესიკი გამყივანი ხმით.

რა თქმა უნდა, დათუნასკენ მივიჩქარი.

– სამი დათუჩა ერთად ვიპოვე! ნახე, რა ლამაზია! – გაბრწყინებული თვალებით შემომციცინებს გაღიმებული დათუნა.

მართლაც, დათვისსოკოთა მოწითალო-რუხი ქუდები ხავსის მწვანე ფონზე დიდი ქარვის თვალებივით ანათებს. დაგენანება ამ სილამაზის ხელყოფა და მაინც დაიხრები, ხელს მოჰკიდებ სოკოს ფეხს, შეაქანებ აქეთ-იქით, მოარყევ და ფრთხილად ამოიღებ...

იქვე რამდენიმე პატარ-პატარა ქუდებიც ჩანს, ცოდოა მათი მოძრობა, უნდა ვაცალოთ დავაჟკაცება. როგორ მოვაგნოთ მერე ამ აქაურობას? ამ ადგილიდან სამხრეთით, ხუთ ნაბიჯზე, უზარმაზარი ნაძვი დგას. მის კენწეროს რომ ავხედე, სვანური ქუდი გადამივარდა თავიდან.

შევბრუნდით, გეზი შინისკენ ავიღეთ.

ლია კევისთვის ნაძვის ფისს – ქარვისფერ ცრემლებს – აგროვებს დანით.

აგერ დიდი ნაძვი წაუქცევია ქარს, ამოტრიალებული ფესვები ჰაერში ამოჩრილა; მოსულან, მოუჭრიათ ტანი. გადანახერხზე ვიხრები, ვსუნავ...

– ბიჭებო, ნახეთ, ფისის რა სასიამოვნო სურნელი აქვს!

ამ ნაძვის ძირში პატარა ნაძვები იყრიდნენ ტანს, ახლა ისინიც ამოტრიალებულან დედა ნაძვთან ერთად და ალბათ ისინიც დაიღუპებიან. ნაძვის ფესვები ღრმად არ მიდიან ნიადაგში, უფრო განზე მსხვილდებიან.

სოკო კი მეტი არა და არ ჩანს.

აი, ერთი ნაძვის ქვეშ არყასოკოს თეთრად ამოუყვია თავი – მძლავრად გაურღვევია მიწა და ჩაზნექილი ქუდის ზედაპირზე შერჩენია ნიადაგის ნაწილაკები, ხავსი, ჩამოცვენილი წიწვები, ხმელი ჩხირები... იქვე, ორ ნაბიჯზე, მეორე სოკო ჩანს, სანახევროდ ტყის ნაგვით დაფარული, მის იქით კიდევ – მესამე... ყველა დაჭიანებული გამოდგა. გული მაინცდამაინც არ დაგვწყვეტია, არყა დაბალი ხარისხის სოკოდ ითვლება.

სად იმალებით წეროსწვივებო, ირემასოკოებო, ქამასოკოებო, დათვისსოკოებო და სხვანო და სხვანო?

საღამოსპირია, დაღლილები შინისკენ მივეშურებით. ნახირს წამოვეწიეთ და გავუსწარით კიდეც. რვის ნახევარია, აგრილდა, აგრილდა კი არა – აცივდა. ჩრდილები დაგრძელდა, გაიწელა – მზე სწრაფად ჩადის.

იაგორას მინდორი პირდაპირ გადავჭერით, შუა ადგილას მაინც შევჩერდით – აქა-იქ მობალახე ცხენები გაჩერებულან და თავები აუწევიათ; ერთი წაბლა ცხენი ჩვენ მოგვჩერებია და ბესიკი მასთან მივიდა; უშიშრად მოეფერა ბრტყელ, ფართო ყბაზე, მერე შუბლზეც მიეალერსა. დანარჩენებმაც ბესოს მივბაძეთ. ცხენი გატრუნული იდგა, მხოლოდ აბეზარ ბუზებს იგერიებდა კუდით.

ახლაღა შევამჩნიეთ: ქარი ჩამდგარა, ამ წაბლა ცხენივით გატრუნულა გარემო, ველის გარშემო შემოჯარული, ჩამუქებული ნაძვები და ფიჭვები დინჯად ელიან დაღამებას...

აღმართი აუჩქარებლად ავიარეთ, სახლების წინ გაჭიმულ ელექტრომავთულებზე მერცხლები სხედან, მთელი დღის ჯაფით მოღლილნი, და ტკბილად ჭიკჭიკებენ.

მშვიდობა თქვენ, ჩიტუნებო, ხვალისთვის უკეთეს ამინდს ხომ არ გვპირდებით?..

დათუნას წერილი

თბილისში, დიღმის დასახლების ერთ მრავალსართულიან სახლში მცხოვრები მოხუცი, ავადმყოფი ქალი მარტო ვერ გადის გარეთ და გულის ფანცქალით ელის საღამოს, როცა მისი ქალიშვილი მოვა სამსახურიდან და საფოსტო ყუთიდან ჟურნალ-გაზეთებს და წერილებს შემოიტანს – შვილიშვილების წერილს ელის...

ეს რვა წლის, მუქთვალება, ცელქი ბიჭის მიერ ბაკურიანიდან გამოგზავნილი წერილი სასკოლო რვეულის უჯრებიან ფურცელზეა დაწერილი; კალიგრაფია, მართალი მოგახსენოთ, შორს არის სანიმუშოსგან, პუნქტუაციაც მოიკოჭლებს (ჩემს თავს უფლება მივეცი, ალაგ-ალაგ სასვენი ნიშნები დამესვა დათუნას ნაწერში), სტილზეც აღარ გავაგრძელებ საუბარს – თვით წაიკითხავთ. აი, წერილიც:

“გამარჯობა, ბებიკო და მამიდა გულიკო!

როგორ ხართ? ჩვენ ძალიან კარგად ვართ. ჩვენ ძალიან კარგად ვიმგზავრეთ. გზაში ბევრი საინტერესო ვნახეთ. მამიდა! ბესიკის დაბადების დღეზე რომ ჩამოხვალ, ჩამოგვიტანე ბევრი და ლამაზი შოკოლატები, სათამაშოები, ბურთები, სურათი ჩამოგვიტანე, სურათი კი არა, დურბინტივით, ორი თვალი რომ აქვს, გასაჭყეტი. ცირკის მამალი ჩამოგვიტანე, ბუთხუზა როა, მამალი ყიყლიყო, კაი სათამაშოები და კაი კამფეტები ჩამოგვიტანე, ციყვი ჩამოგვიტანე, გალიაში რომ იჯდა. ორი წითელი პიპია ჩამოგვიტანე და პისტოლეთი. ყველას აქვს, მხოლოდ მე არ მაქვს. ბესოს ორი აქვს, მე არ მაძლევს, არც მათხოვებს. კარგი და ლამაზი ბევრი სათამაშოები ჩამოგვიტანე და ერთი ლამაზი, დიდი ბურთი გასაბერი, ჩვენ რომ ერთმა სქელმა გოგომ გაგვიხეთქა, ისეთი. კიდე მე მინდა სათამაშო საათი, რომ იქოქებოდეს და ზარი ქონდეს. კიდე მე მინდა პატარა სათამაშო მთვარე. კიდე მე მინდა მრგვალი რომ არის და პჭყვიალა, კნოპკა რომ აქვს და

ნათურა, კნოპკას დააჭერ და განათდება. მე მინდა სათამაშო საბუთები, სამსახურის საბუთები, რომ გაგისინჯონ და თუ შენია – ფულები მოგცენ.

მამიდა, შენი ნაყიდი კევები სულ დავღეჭეთ. სათამაშოები ჩამოგვიტანე: სათამაშო მანქანა, ამწეკრანი, მაიმუნი, ელექტრონიანი ტანკი. ჩვენ ვიყავით ტყეში და დავკრიფეთ სოკოები; კიდე ვნახეთ მარწყვები და ციყვი. აქ ბევრი ბავშვები არიან და ვთამაშობთ დანასობიას, ფეხბურთს და მშვილდ-ისარს ვისვრით. კიდე მე მინდა პატარა სათამაშო მთვარე და წითელი პიპია, არ დაგავიწყდეს, აუცილებლად წამოიღე! მაინტერესებს, ჩვენი ეზოს ყველა ბავშვები წავიდნენ თუ არა დასასვენებლად. კიდე ჩამომიტანე ფოტოაპარატი. კიდე, მე რომ მიყვარს, ის ნამცხვარი და დიდი საზამთრო, არ დაგავიწყდეს.

ნახვამდის, გკოცნით, თქვენი საყვარელი დათუნა.

ბაკურიანი, 10 ივლისი.”

– ვის დაემსგავსა ნეტავი? – უკვირს მამიდას წერილის წაკითხვის შემდეგ. – ნაღდად ფინანსთა მინისტრი გამოვა ან სათამაშოების მაღაზიის გამყიდველი!

– ენაცვალოს ჩემს ბიჭებს ბებია! – ლოცვასავით ამბობს ბებია და სათუთად დებს მაგიდაზე დათუნას გადაშლილ წერილს, რომ ყოველდღე, შემდეგი წერილის მიღებამდე, ოთხ-ხუთჯერ მაინც გადაიკითხოს დაგემოვნებით.

ბესო, ახლა ბებია შენს წერილს ელის, არ დააგვიანო!

ბესოს დახატული ძროხა

ბატონმა ბესარიონმა, ცხრა წლის ბოჩოლასთვალება ყმაწვილმა, ბაკურიანიდან მამიდას და ბებიას მისწერა წერილი (მართალი მოგახსენოთ, ჩემი დიდი ხნის ხვეწნის შემდეგ); წერილის ზედა ნაწილში ფანქრით ძროხა იყო დახატული. უფრო დაწვრილებით ამ ნახატის შესახებ მოგვიანებით მოგახსენებთ, ახლა კი თვით წერილს გაგაცნობთ:

“21 ივლისი, 1985 წ. წერილი №11.

გამარჯობა, მამიდა და ბებია! როგორა ხართ ჩვენ ყველანი კარგათ ვართ. მე გუშინ ტომსოიერი დავამთავრე და ჰელკბერი ფინის თავგადასავალი დავიწყე. გუშინ მე კრაზანამ მიკბინა. მამიდა თუ შეგხვდება ახლო საჭვრეტი დურბინტი მიყიდე. მე ტყეში ძროხა დახატვას არ მაცლიდა ხან ჩემსკე მოდიოდა ის ხან კი სადღაც იქით ნახატი გამოგიგზავნე. ნახვამდი შენი ბესუნა”.

წერილში არაფერი შემიცვლია. დათუნა და ბესო მორიგეობით ყოველდღე წერენ მამიდასა და ბებიას წერილს: კენტებს – ბესო, წყვილებს – დათო, ოღონდ წერილის ზედა ნახევარში მე ვუხატავ ხოლმე აქაურ პეიზაჟს შავპასტიანი კალმისტრით. მხოლოდ მეთერთმეტე წერილზე ჩემი ნახატის მაგივრად ბესოს მიერ დახატული ძროხაა გამოსახული.

აი, როგორ მოხდა ეს.

თითქმის საღამოს პირი იყო, როცა სასეირნოდ წავედით. გადავიარეთ იაგორას მინდორი და ტყის გზას დავადექით. დათუნამ ხელი შეყო ერთი ფიჭვის ღრმა ფუღუროში და იდაყვამდე საზიზღარ ლაფში ამოისვარა. ჭაობის მცენარეებით ავსილ პატარა გუბურაში ჩაიბანა ხელი, მაგრამ მყრალი სუნი ბოლომდე ვერ მოიცილა. ამასობაში წამოწვიმა, თან ჩამავალი მზეც გვიჭყიტინებდა თვალებში. მაშინვე გადაიღო და გამოვედით დიდი ნაძვის ქვეშიდან, გზა განვაგრძეთ. დათუნამ, ერთხელ გადატანილი მარცხის მიუხედავად, თავისი მაინც არ მოიშალა და ახლა გზისპირა წიფლის ფუღუროში ჩაიჭვრიტა.

– კვერცხი, კვერცხი, ჩიტის კვერცხი! – აყვირდა გახარებული.

მართლაც, ვიწრო და ღრმა ფუღუროს ძირში თეთრი, პატარ-პატარა კენჭებივით კვერცხები დევს... ამ ბუდის პატრონი, შეშფოთებული, ალბათ ახლა შორიახლოს ხეზე ზის და ერთი სული აქვს, როდის გავეცლებით აქაურობას...

ბიჭებს ხელი მოვკიდე და თითქმის ძალით მოვაშორე ბუდიან ხეს. ისე, დასახატად ლამაზი ხეა – გადმოხრილია გზისკენ, მერე ფუღუროს ადგილზე გაღუნულია და შვეულად მიდის მაღლა, სულ ზევით კი ლამაზად იტოტება. ადგილს ვეძებ, საიდანაც ყველაზე კარგად “ჩაჯდება” კომპოზიციაში წიფლის ხე, მაგრამ ვინ გაცლის – წვიმამ ისევ წამოუშინა, მსხვილ-მსხვილი წვეთები გახშირდა და საჩქაროდ მაღალი, ხშირტოტება ნაძვის ქვეშ მოვკალათდით მშრალ ჩამოყრილ წიწვებზე. ჩამოვსხედით და მაშინვე ხატვა დავიწყე – ჩვენს წინ ერთად, ბუჩქად იყო ამოზრდილი ხუთი ახალგაზრდა ფიჭვი; მომეწონა მათი მოწითალო ტანების ქვევიდან ზევით ოდნავ განივად გასვლა, ტოტების ქოლგასავით გადმოხურვა.

ამასობაში წვიმამაც გადაიღო; ისევ სრიალებდა წინ და უკან ჩვენს ახლოს ჭყანტობის თავზე მოლურჯო ნემსიყლაპია. მზე აკიაფებდა ბალახებზე და ხეთა ტოტებზე ბროლის წვეთებს.

ბესომ აიტეხა, ფურცელი მომეცი, მეც მინდა ხატვაო. მივეცი ბესოს ფურცელი და ფანქარი; დათუნა აჭიჭყინდა, რადგან მასაც მოესურვილა ხატვა, მეტი ფანქარი კი აღარ მქონდა...

ბესომ შინისკენ ძოვებ-ძოვებით მიმავალი ერთი წაბლა ძროხა შეარჩია და ფურცელზე მის უკვდავყოფას შეუდგა.

მე შავი პასტიანი კალმით ფიჭვების ნახატს ვამთავრებდი, დათუნა კი მიყვებოდა, რომ გოჩას ბანქოში ორასი ჰოპი მოუგო.

— რა არის ეგ ჰოპი? — ვეკითხები.

— როცა მომეხასიათება, გოჩას დავიძახებ: "ჰოპ!" და იმანაც უნდა შეხტეს, დაიძახოს "ჰოპ!", მერე ფეხები შეატყუპოს, გაიჭიმოს და და მარჯვენა ხელი მიიტანოს საფეთქელთან!

— წყალი რომ მიჰქონდეს ან საჭმელს ჭამდეს?

— მაინც უნდა გააკეთოს! მე ჯერ ას ჰოპს მიგებდა, მერე მე გავაყაიმე და ორასი მოვუგე! — თვალებგაბრწყინებული მიყვება დათუნა.

— მამა! — მესმის ამ დროს ბესოს ძახილი.

წამოვიწიე, გავიხედე — ბესოს თეთრი ფურცელი უჭირავს ხელში და ძროხის წინ დგას; ძროხაც გაჩერებულა (ძროხა კი არა, უფრო უშობელი ეთქმის, ჯერ ერთი ციდა რქები აქვს წამოზრდილი); ერთმანეთს უყურებენ, მერე ძროხა ბესოსკენ იწევს, ბესო გაურბის... ძროხა ერთხანს გაკვირვებით მისჩერებია ბესოს, მერე ისევ უკან მისდევს — არ ვიცი, იქნებ თეთრი ქაღალდი იზიდავს, მისი დაღეჭვა სურს? თუ უნდა დახედოს, რა მოახლაფორთა ბესომ, მისი ნამუშევარი შეაფასოს?

უკმაყოფილო ბესო გასცილდა და ჩვენთან დაბრუნდა.

— მამიკო, არ მიჩერდება; ხან მომდევს, ხან კი გვერდზე მიდის! — შემომჩივლა ბესომ.

— აბა, მანახვე, რა დახატე.

დავყურებ ბესოს ნამოღვაწარს. დაუხატავს, მაგრამ რა დაუხატავს! ძროხა — კუზიანი, ფეხებგაჩაჩხული; ვერ გაიგებ, ყურები აბია თუ რქები... საცრის ტოლა თვალები მოლოდინით და გაოცებით დაუჭყეტია, ქვედა უზარმაზარი ყბა ჩამოვარდნია...

— ბესო, ეს პირი რატომ აქვს ასე საშინლად დაფჩენილი? ალბათ უნდა, დაიზმუვლოს, რატომ მამახინჯებ, რა დაგიშავეო!

დათუნა იცინის, ბესო ყურადღებით დაჰყურებს თავის ნახატს.

— იცი, შენკენ რატომ მოდიოდა? რქენა კი არ უნდოდა, ამ ფურცლის წართმევა სურდა, სამახსოვროდ უნდა წაეღო! კარგი, კარგი, ნუ განაწყენდი! — მხარზე ხელს ვუთათუნებ ბესოს, — გეხუმრები, მშვენიერი ძროხა გამოგივიდა, მე ასე ვერ დავხატავდი.

მართალს ვეუბნებოდი: ბესოს ძროხაში რაღაც საოცარი მიმზიდველობა იგრძნობოდა, იმის მიუხედავად, რომ ნახატი არ იყო ზუსტი — შესაძლოა, სწორედ ამიტომ!

— მამიკო, რატომ არ მომეცი ქაღალდი? მეც მინდოდა ცხენი და მისი კვიცუნია დამეხატა! — ჭმუხნის წარბებს დათუნა.

გაივლის სამი-ოთხი დღე, ბესოს ნახატიანი წერილი მიუვა მამიდასა და ბებიას; ჯერ ხომ წერილი წერილად გაახარებთ, მერე კიდევ ეს უცნაური ძროხა გაახალისებთ! ვინც კი მივა მათთან, ყველას ანახვებენ — ნახეთ, რა კარგი ბიჭი გვყოლია ბესუნა, ნახეთ, რა მშვენივრად დაგვიხატა ძროხაო!

მერე მამიდა გულიკო იმ წერილს წიგნების თაროზე შუშის უკან დადებს, რომ ხშირ-ხშირად შეხედონ ბესოს წერილს.

და ის ძროხაც ოთახში შემოსულებს ყველას გაკვირვებული შეაცქერდება, თვალებდაჭყეტილი...

მართლაც საოცარი ძროხაა, ყოჩაღ ბესარიონ!

კალმახასოკო

დღეს ცოტა შორს მინდა წავიდეთ — გუშინ იწვიმა და კალმახასოკოს "პლანტაციები" უნდა მოვინახულოთ! ამისთვის საჭიროა ბაკურიანი-ახალქალაქის გზით ვიაროთ დაახლოებით ნახევარი კილომეტრი, შემდეგ ხელმარცხნივ წიფლნარ ტყეში უნდა შევიდეთ. დიახ, იქ, დაქანებულ ფერდობზე, თითქმის მხოლოდ წიფელი იზრდება და კალმახასოკოც ხომ მის კუნძებზე და გამხმარ ხეებზე გვხვდება. ამიტომაც ბაკურიანელები ამ სოკოს წიფლისსოკოს ეძახიან. მართალი გითხრათ, საუცხოო რამ არის ერბოში ან კარაქში ხახვთან ერთად შემწვარი! მე ასე ვამზადებ: სოკოს კარგად გავასუფთავებ და გავრეცხავ; დაჭიანებულებს, რაღა თქმა უნდა, გადავყრი; შემდეგ გარეცხილ-გადაწურულს ვშლი ტაფაზე, ტაფას ვდგამ ცეცხლზე და ვახურავ ხუფს. წყალს არ ვამატებ — მიწვისა არ მეშინია, სოკო იმდენ წვენს შეიყენებს, რომ შიგ კოხტად იხარშება ბუებუყითა და ფშვინვით — აუჰ, რა ნერწყვის მომგვრელ სურნელს აფრქვევს გარშემო! ეს წვენი უნდა შეიშროს სოკომ, მანამდე ცოტა ხნით ადრე ერბოს ან კარაქს ვუმატებ, რომ არ მიეწვას

ტაფის ძირს. დროდადრო ვურევ ხის კოვზით, შემდეგ ვუმატებ დაჭრილ ხახვს და ისევ ვურევ ხშირ-ხშირად. როცა სოკო შესამჩნევად შეიბრაწება, ტაფას გადმოვდგამ და მარილს მოვაყრი გემოვნებით. ახლა დაგვრჩენია, გადმოვიღოთ თეფშებზე, მოვიმარჯვოთ ჩანგლები ცალ ხელში და მეორეში – პური ან მჭადი და... ლაპარაკზე დროს ნუღარ დავკარგავთ!.. მხოლოდ გამკეთებელს თუ დავლოცავთ...

ჰოდა, ამ მაცდური პერსპექტივით შეგულიანებულნი, როგორც მოგახსენეთ, ბაკურიანი-ახალქალაქის გზას გავუყევით, შემდეგ გზიდან მარცხნივ გადავედით და პირდაპირ წიფლნარში შევრგეთ თავი – მე, ბესიკმა და დათუნამ.

ასმეტრიანი აღმართის შემდეგ პატარა ჭყანტობია, იმას გატოპავ და – შავი მოცხარის კორომია. ჯერ მხოლოდ შეთვალულია მოცხარის ნაყოფები. იქვე პატარა, წიფლის ხეებით დაბურულ, ციცაბონაპირებიან ხევში წყალი მოწანწკარებს; მის ნესტიან ფერდზე წიფლის ნახევრად დამპალი მორი გდია, მის ოდნავ ზევით – მეორე. სწორედ ამ მორებზე იცის კალმახასოკომ ანუ მეორენაირად – ხეთამხალმა ამოყრა. ეტყობა, ამ "პლანტაციის" არსებობა სხვებმაც იციან, ვიღაცას დაუსწრია და პირწმინდად გაუკრეფია.

სხვა გზა არ არის, ზევით უნდა ავბობღდეთ – ციცაბო, ტყიან ფერდობზე – და იქ ვეძებოთ გამხმარი ხეები, კუნძები, მორები.

მზიანი დღეა, ნიავი მაღლა, ახალგაზრდა წიფლების წვეროებში დაშლიგინობს – ჩვენამდე ვერ აღწევს, ისეთი ხშირი ტყეა; მზის სხივები კი კაშკაშა ლაქებად აკიაფებენ ალაგ-ალაგ ყავისფერი, გამხმარი ფოთლებით დაფარულ მიწას. ზოგან ბალახიც ამოწვერილა და სუნთქავს ამ გრილ, მყუდრო ჩრდილიანში, უმეტესად – გვიმრა.

შედარებით დამრეცი ფერდობი ავათავეთ და ახლა უნდა შევუტიოთ უსაშველოდ ციცაბო, ტყიან ფერდობს. სიტყვა "შეტევა" ტყუილად კი არ ვიხმარე – ისეთი მაღალი და ხშირი ქვეტყეა, რომ ნამდვილი ბრძოლით ვიკვლევთ გზას.

დავსხედით სულის მოსათქმელად და მაშინვე გვესტუმრნენ ბუზები და კოღოები, თითქოს მარტოებს მოგვწყინდებოდა. მერე ვაგრძელებთ ჭაპანწყვეტით გზას. ტანმსხვილ წიფლებს შორის სივრცე დაფარულია ბალახებით – მთის ჩადუნათი, დიყით, ჭინჭრით და სხვებით. შიგადაშიგ ეს ბალახები ადამიანზე მაღალი გაზრდილა და ისეთი ხშირია, რომ ვერ ხედავ, ფეხს სად ადგამ... მივარღვევთ ამ ტევრს, თან ვებღაუჭებით ბალახებს, რომ დაქანებულზე არ დავცურდეთ და ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ, მივიწევთ ფერდობზე მაღლა-მაღლა. გეზს გამხმარ წიფლებზე ვიღებთ ხოლმე; წაქცეული ხეები და კუნძები ბალახებში არც ჩანს და ალალბედზე თუ გადავეყრებით.

მესმის ბესიკის ძახილი:

– მამიკო, სად ხარ? ასე როგორ დამეკარგე?

– ბიჭო, მაინ რიდის რომანები ტყუილად წაიკითხე? – ვუყვირი პასუხად. – იქ ოდნავი ნაკვალევი – კენჭის გადანაცვლება ან ბალახის გადახრა საკმარისი იყო კვალზე მისაყოლად, მე კი თავზევით ბალახში ვკვალავ გზას, განიერ დერეფანს ვქმნი და აქ გაგიჭირდა ჩემს კვალზე გამოყოლა?

მივაღწიე მეტრამდე სიმსხოს გამხმარ წიფლამდე. მისი მხოლოდ ქვედა ნაწილია გადარჩენილი, იმასაც მეხი დასცემია – გული ისე აქვს გამომწვარი, რომ კაცი შიგ ცალი მხრიდან შევა და მეორედან გამოვა; ჰგავს ოსიპ ცადკინის ამსტერდამში დადგმულ ცნობილ ქანდაკებას.

შაშვმა შავად, ჭახჭახით გადაიფრთხიალა იქვე ახლო, შავი მოცხარის ბუჩქებში.

ბიჭებიც ამოფორთხდნენ მაღლა ფერდობზე; გვერდიგვერდ ვსხედვართ, სულს ვითქვამთ. მალევე გავაგრძელეთ გზა, თორემ, ეტყობა, მთელი ტყის კოღოები აპირებდნენ ჩვენს მოსანახულებლად აქ მობრძანებას.

ერთ ადგილას წაქცეულ უზარმაზარ წიფელს წავადექით. მის ამობრუნებულ ფესვებს მიწაც ამოჰყოლია და მასზე რა აღარ დასახლებულა: უპირველესად – ჭინჭარი, შემდეგ – ხავსი, მღიერები, ათასგვარი ბალახები, ჟოლოსა და მარწყვის ბუჩქებიც... სამნაირი, საჭმელად უვარგისი, სოკოც ვნახეთ. იქვე, გვერდით, რამდენიმე მეტრში, სიდამპლისგან სანახევროდ მორღვეული კუნძია; გარე კედელი გამწვანებია ხავსისგან, შავ ფუღუროში კი ჟოლო ამოსულა და ღონივრადაც ამოზრდილა... ნაყოფი ჯერ არ დამწიფებულა. რა თქმა უნდა, ჟოლოს ჭინჭარიც უმშვენებს მხარს.

კიდევ ოციოდ მეტრში ასევე ჩაშავებულ-ჩამპალი მეორე კუნძია. მისკენ გავეშურეთ და მასზე აღმოვაჩინეთ... ფშუკურები! ხუთი-ექვსი ფშუკურასოკო ერთად ამოსულა, კიდევ ოთხი ცალი ცალკე, ჯგუფურად ამოზრდილა ვიწრო ნაპრალში და, ერთმანეთს მიტმასნილნი, მრგვალნი კი აღარ არიან, გაბრტყელებულან!

მალე ხის ტანებს შორის ცა დავლანდეთ; თურმე მთის თხემზე გავედით.

გავაკდა, გაადვილდა სიარულიც. ქვეტყე შეთხელდა, ალაგ-ალაგ გაქრა კიდეც – რბილ ხავსზე მივაბიჯებთ. აქ წიფლებს ნაძვებიც შეერია, ქვევით კი – სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე – თითქმის მთლად ნაძვნარია.

დავსხედით გვერდზე გადახრილი და შემდეგ გამართული წიფლის ტანზე – პატარა სავარძელივითაა. ბიჭებმა წაიჭიდავეს კიდეც ამ "სავარძლის" ერთპიროვნულად დაპატრონების მიზნით. ბოლოს, ორივენი მოთავსდნენ და ჩემთვისაც კი გამოინახა ჩამოსაჯდომად ადგილი.

ჩვენს წინ წაქცეული ნორჩი წიფელია, ჯერაც ამწვანებული. მის მიწიდან ამოტრიალებულ ფესვებზე მეტად ლამაზად, ბლომად ამოზრდილან იასამნისფერ-ლურჯი მაჩიტები.

ხელმარჯვნივ, უზარმაზარი ნაძვის ძირში, ორი დიდი ქამასოკო ვნახეთ, – უკვე დამჭკნარი, მაგრამ მაინც საუცხოო სურნელის მქონე. ეტყობა, სოკოსთვის ამ სიშორეზე არავინ დადის.

რა კარგია კუნძზე ჯდომა და ტყის ხმების მოსმენა! ნიავი გაიშრიალებს ხანდახან, რაღაც ჩიტი საწყალობლად ჭყივის; ბუზების ბზუილი ხომ აქაც არ გვასვენებს.

აგერ მოვარდა დიდი ჭრელი ბზიკი (თუ ტყის ფუტკრის ნაირსახეობაა?), ბანით ბზუის; დაჯდა პატარა ყვავილზე, რომელიც, გადრეკილი, მის სიმძიმეს ძლივს უძლებს; საჩქაროდ მოხილა, არის თუ არა ნექტარიო და ისევ მიბზუის შემდეგი ყვავილისკენ.

ვერ ველევით მზის სხივებსა და სითბოს, მაგრამ ისევ ჩრდილო-აღმოსავლეთის ფერდს უნდა მივუბრუნდეთ...

ისევ მთის ჩადუნა და ჭინჭარი: ხან – ჩემსიმაღლე, ხან – ბევრად მაღალიც. ზოგან ყვავილებიც მოჩანს: მაჩიტა, უკადრისა და ტყის მშვენიერი დედოფალი – ყვითელი შროშანი.

ჩამოსვლა უფრო ძნელია ასვლაზე, ხშირ-ხშირად გვიცდება ფეხი და ჩავხოხიალდებით კიდეც – მაინცდამაინც ჭინჭრებში...

დათუნას ჩვენზე უფრო უჭირს ძრომიალი:

– შემდეგში მე აქ თოკს წამოვიღებ და მთამსვლელივით ვივლი! აქედან ციგით დაშვება შეიძლება?

– დიდი, დიდი ციგა გავაკეთოთ, რომ ყველა ზედ დავეტიოთ! – ამბობს ახალი იდეით აღგზნებული ბესიკი. – მე კაპიტანი ვიქნები!

– არაფერიც! – ყვირის დათუნა. – მე მოვიგონე და კაპიტანიც მე უნდა ვიყო!

– შენ მესაჭე იქნები და საითაც გინდა, იქით წაგვიყვან! – ვცდილობ შევარბილო ძმათა ქიშპობა.

– ყველაფერს ჯობს, აქ საბაგირო გზის გაყვანა! – ახალ ფანტაზიას გვთავაზობს დათუნა და ამით მთავრდება დავაც.

დავისთვის ნამდვილად არ გვცალია – ყოველ წუთს, ყოველ წამს დაძაბული ხარ, რომ არ ჩასრიალდე, არ დაეცე, მაღალ ბალახებში დაგდებულ უხილავ მორს ფეხი არ წამოჰკრა, ჭინჭარს გაეცალო, ტოტი გზიდან ჩამოიცილო...

ისევ დავსხედით. ვხედავთ უზარმაზარ, ფუღუროიან, გამხმარ ხის ტანს; ერთი მესამედიც არ შერჩენია თავდაპირველი სიმაღლისა. ორი შერჩენილი მსხვილი, გაფარჩხული, შიშველი ტოტი განზე გაუშვერია, თითქოს სასოწარკვეთილი შველას ითხოვს... მასთან ახლოს მისვლა ჭირს, ჩემზე მაღალი ჭინჭარი იცავს მის ძირს. ყვითელი "ფქვილით" დამტვერვია ტანი – ეტყობა, ჭიებს უმუშავიათ.

გვერდით, ათიოდ ნაბიჯზე, მეორე გამხმარი წიფლის ტანზე გიგანტური აბედასოკოები გაჩენილა, ჩინ-მედლებივით ჩარიგებულან.

უჰ, ნეტავ როდის გავაღწევთ ამ "ჯუნგლიდან", როდის მოეღება ბოლო ჩვენს ტანჯვას?

ორი მაღალი, გამხმარი თელა გვერდიგვერდ დგას, კალმახასოკოები მათ ტანზე აბჯარივით ასხია, მაგრამ უკაცრავად, ვერ მიწვდები, საკმაო სიმაღლეზე გამოჩეკილან; გარდა ამისა, პატივცემული ჭინჭრის გვარდია დგას საპატიო ყარაულში მათ ძირში და ახლოს არ გვიშვებს.

ფხოტიალ-ფხოჭიალით ისევ ვეშვებით ფერდობზე, ხანაც ჩავსრიალდებით ბალახებზე და ყირაზეც გადავდივართ. სადაც ჩვენ გავივლით, იქ ვიწრო დერეფანივით გათელილი ზოლი რჩება მაღალ ბალახებში.

კვლავ ვისვენებთ... მაღლა-მაღლა რტოებში უხილავი ჩიტი გალობს, მაგრამ რას გალობს! ისეთ რთულ, ხვეულ ჰანგებს ახუჭუჭებს, ისე ტკბილად ჭიკჭიკებს, რომ ფიქრობ, ნეტა არასდროს შეწყვეტდეს ამ ნეტარების მომგვრელ სიმღერასო.

– უმაღლესი დონის კონცერტს ვუსმენთ! – ცოტა მაღალფარდოვნად ვაცხადებ მე.

– მერე მე რა, არაქათი რომ აღარ მაქვს? – ამბობს შეწუხებული სახით ბესო.

– თანაც უსოკოოდ ვბრუნდებით... – ამატებს დათუნა.

და თითქოს დათუნას ამ ჩივილის პასუხად, ამ ადგილიდან არ გაგვივლია რამდენიმე ნაბიჯი, რომ ფერდობზე დაწოლილი უზარმაზარი წიფლის მორი შემოგვხვდა ბუჩქებსა და მაღალ ბალახებს შორის. და ჰოი საკვირველებავ! მთელ მის ტანზე დასხმული იყო დიდ-პატარა კალმახასოკოები: ზოგი – "ბესარიონას ყურები" (ხუმრობით ასე ვუწოდებ მათ), ზოგი – უფრო დიდიც და უფრო მომცროც.

შევუდექით დანებით მუშაობას მე და დათუნა (ბესო გაგვებუტა – დანა არ შეხვდა – და მოშორებით ბალახებში ჩაჯდა, არადა, მან აღმოაჩინა სოკოს ეს "საბადო"). ჰოდა, მე და დათუნამ გავშალეთ ბადე, ესე იგი, ჩანთები და დავიწყეთ კალმახასოკოზე "თევზაობა". კარგა ხანს ვიძრომიალეთ, ორი ნაჭრის ჩანთა პირთამდე გავავსეთ და ნაწილი მომცრო სოკოებისა გასაზრდელადაც დავტოვეთ, რათა რამდენიმე დღეში ჩვენ ან ვინმე სხვამ გაიხაროს...

მანამდე ერთი უჩვეულო მოვლენის მომსწრენიც გავხდით.

მზემ გამოიჭყიტა ხეთა დაბურულ რტოებში, ერთ ადგილას ამ მორს დაეცა და აი, რა დავინახეთ: კალმახასოკოებიდან მოლურჯო ბოლი იბოლქვებოდა! ნელი, სულ ოდნავი ნიავი ქროდა

და ზრდასრული სოკოების ფირფიტებიდან მილიარდობით სპორა იფანტებოდა ჰაერში. ეს სპორები თვალით უხილავია, რამდენიმე მილიმიკრონის ზომისაა, მაგრამ მათი რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ ლურჯ კვამლად აღვიქვამდით.

სასიამოვნო ტვირთით დამძიმებულნი, ვაგრძელებთ გზას ქვევით.

– ძერანა, ბიჭებო, ძერანასოკო! – ვყვირი გახარებული.

ფხაკაფხუკით მივიჩქარი მოზრდილი წიფლის კუნძისკენ. მის ტანზე ხელისგულის ოდენა მუქი, უქერქო დაზიანებული ადგილიდან გვერდზე გამოზრდილა განიერი ძერანასოკო – უზარმაზარი, თბილი ფერის "ენა"... ძერანა მეორეხარისხოვან სოკოდ ითვლება, მაგრამ მაინც ვუკარით თავი ჩანთაში – მონადირის ჟინს დავმორჩილდით, თანაც ხომ უნდა გავუსინჯოთ გემო (მისი მოჭრის პატივი ბატონ ბესარიონს დავუთმეთ).

კიდევ უფრო გახალისებულნი, "მივგორავთ" ქვევით და ქვევით...

და როცა ციცაბო ფერდობის მაღალი ბალახები უკან დაგვრჩა და ცოტა გავივაკეთ, გახარებულმა დათუნამ იყვირა:

– მიწა! – შორეული ნაოსნობიდან დაბრუნებული ძველი მეზღვაურივით, სანატრელ ნაპირს რომ დალანდავს.

ბევრად გაიოლდა სიარული. ახალგაზრდა წიფლნარში გამხმარ, ყავისფერ ფოთლებზე შარიშურით მივაბიჯებთ, დროდადრო წკაპანიც ისმის – გამხმარ წკირს ან ხმელ ტოტს ვადგამთ ფეხს (წიწვოვან ტყეში თითქმის უხმაუროდ დადიხარ ხავსებსა და ჩამოცვენილ წიწვებზე). ალბათ ფოთლოვან და წიწვოვან ტყეებში ჩიტებიც განსხვავებული სახლობენ, ასევე – სოკოებიც, მწერებიც...

გამოვედით ნათელში – საავტომობილო გზაზე, შემდეგ გადავუხვიეთ სათიბში. დაღამართიანი ბილიკის პირას დავსხედით ჭიანჭველების ბუდის გორაკებზე, რისთვისაც კალიების შეწუხება მოგვიხდა – შხეფებივით აქეთ-იქით გახტნენ-გამოხტნენ.

წყნარი საღამოა. მზე ჩადის, მაგრამ არ ჩანს – დასავლეთით ცა ღრუბლებს დაუფარავს.

შარვალთა ტოტები გაგვმწვანებია – როცა მაღალ ბალახებს მივარღვევდით, გვეტმასნებოდა-გვეხვეოდა რა აღარა: უფრო ხშირად – გვიმრა, ხან – ჭინჭარიც კი...

ცოტა დავისვენეთ და შინისკენ მივიჩქარით – დღეს (და ალბათ ხვალაც) შემწვარ სოკოს გეახლებით!

მადლობა შენ, ტყეო! ბევრი კი გვატარე ზევით-ქვევით, მაგრამ არც გულნაკლული დაგვტოვე!

კუნძი, კუნძში – ყვავილები

ზაფხულობით ბაკურიანში ყოფნისას მიყვარს ტყის კუნძების ხატვა! თითოეულს თავისი ხასიათი, გამორჩეული იერი და ფერი აქვს – თავისი მელოდია, საკუთარი სიმღერა...

მივა ამაყად აზიდულ ხესთან დაბღვერილი კაცი, ააღრიალებს ელექტროხერხის ძრავას, ჯერ ერთი მხრიდან ჩაუხერხავს ტანს, მერე – მეორედან; ხე შექანდება, ერთხანს ტოკავს (ეს მისი ქვითინია); ნელ-ნელა გადაიხრება, მერე კი მოწყვეტით გადაქანდება და ზათქით დაენარცხება მიწას... მოჭრილ ხეს ჩამოასხიპავენ ტოტებს და წაიღებენ, იმ ადგილას კი რჩება კუნძი – ხის მოსაგონარი. კუნძიც ცოცხლობს, უფრო სწორედ, აცოცხლებს, საკვებსა და ბინას აძლევს მრავალ სხვა სიცოცხლეს – რამდენიმე წელიწადს, სანამ საბოლოოდ დაფუტურავდება-დაიშლება და მიწად იქცევა. თავიდან კი მოკლე ხანში ვინღა არ ცდილობს მის დაპატრონებას – ათასი უხილავი და ხილული არსება: ბაქტერიები და სოკოები, ხოჭოები და ჭიანჭველები, ბალახები და ხავს-მღიერები, ზოგჯერ – ბუჩქები და ხეებიც კი – ფოთლოვანიც და წიწვოვანიც. არცთუ იშვიათად შეგხვდება: ფიჭვის თუ ნაძვის გამოფუღუროებული, ნახევრად დამპალი კუნძის შუაგულიდან ამოზრდილა ნორჩი ნაძვი, ზოგჯერ კი – ორი-სამიც ერთად. ხშირად მინახავს: მზით ავსილ, ტყის პატარა მინდორზე მორცხვი მარწყვის ბუჩქი თავმდაბლად გატრუნულა ბალახებში, იქვე გვერდით კი ნაძვის კუნძის ფუღუროში ლამაზად, ნებიერად, ბუჩქ-ბუჩქად წამოყელყელავებულან მარწყვები და შორიდანვე დაგანახვებენ გამორჩეულად მსხვილ, წითლად მოკიაფე მარცვლებს. ამითაც არ დაკმაყოფილებულან და გამონაზარდები-ულვაშები დაუგზავნიათ აქეთ-იქით; ზოგს ქერქის ნაპრალში მოუკიდია ფეხი და იქაც ამოზრდილა-გახარებულა ხიზანი, ჰყვავის კიდეც და ნაყოფიც გამოუღია, ოდნავ მშობლის ზომაზე მომცრო, მაგრამ ისეთივე სურნელოვანი...

ერთი ასეთი მარწყვიანი კუნძი იმდენად მომეწონა, რომ აკვარელით მისი სურათი გავაკეთე – სამი დღე დილიდან საღამომდე ვიჯექი კუნძთან, ნება-ნება, ნელ-ნელა ვმუშაობდი, თან კუნძის იდუმალ ცხოვრებას ვაკვირდებოდი. მარწყვის გარდა, სხვაც მრავალი მუდმივი ბინადარი დასახლებულა კუნძზე: სხვადასხვა ბალახი, ხავსი, მღიერი; სტუმრებიც ხშირად ეწვეოდნენ – ფუტკრები ეხვეოდნენ მარწყვის თეთრ ყვავილებს, პეპლებიც მოფარფატდებოდნენ; კუნძის ხორკლიან გვერდებზე ადიოდნენ-ჩამოდიოდნენ მარად მოფუსფუსე ჭიანჭველები, ქერქში გაყვანილ ხვრელებში იმალებოდნენ ნაირ-ნაირი ხოჭოები, ჭიები...

მას შემდეგ ყოველ წელს ვაკითხავ ხოლმე ნაცნობ კუნძს და გული მეკუმშება: ცხადად ვამჩნევ, როგორ ჩიავდება, დაბლდება; მარწყვის ადგილი უტიფარ ჭინჭარს დაუკავებია, ვიღაცას

კუნძისთვის წიხლიც ჩაურტყამს და ცალი მხრიდან სულ მოუფშვნია გვერდი – მოჩანს ჭიების სავალი ნახვრეტებით დაფარული, მოყავისფრო-მოშავო, გამოფიტული მერქანი... ეტყობა, კუნძის დასაპატრონებლად-დასაშლელად განუწყვეტლივ დიდი ბრძოლები მიმდინარეობს; ზოგი ძველი ბინადარი უკვალოდ ქრება, სამაგიეროდ, სხვები, ახლები სახლდებიან – ყველას თავისი დრო-ჟამი აქვს. რამდენიმე წელიწადში ალბათ მეც გამიჭირდება ამ კუნძის კვალის მიგნება... ერთი კია – კუნძი მაინც გადარჩება: თბილისში, მყუდრო ბინაში, კედელზე ჰკიდია მოყვარული მხატვრის მიერ შესრულებული აკვარელი, რომლის ქვედა მარცხენა კუთხეში შეიძლება სურათის სახელის წაკითხვა: "კუნძი და მარწყვი", თარიღიც არის დასმული – "1980 წ."

ახლა კი მინდა, გიამბოთ მეორე სურათზეც.

აქაც კუნძია დახატული, ოღონდ ის მინდორზე კი არა, მცირე არხის ფერდზე დგას. თუ მომისმენთ, ამ სურათის შექმნის საკმაოდ უჩვეულო ამბავს მოგახსენებთ.

ჯობს, სულ თავიდან დავიწყო – ამ კუნძის აღმოჩენიდან.

კალმახასოკო ხომ გაგიგონიათ? იგივე ხეთამხალი – ერთ-ერთი გემრიელი ხის სოკოა. უპირატესად წიფლის გამხმარ ტანებსა და კუნძებზე იზრდება. ტყეში, ცხრაწყაროს უღელტეხილისკენ მიმავალი გზის ზევით, ამოჩემებული მაქვს რამდენიმე ადგილი და წლიდან წლამდე სულ იქ მივდივარ ხოლმე ამ სოკოს საკრეფად.

ერთხელ სოკოს მოსაძიებლად შინიდან გამოვედი, თან ჩანთა მქონდა და არც ჯაყვა დამვიწყებია. მთის ქუჩიდან, სადაც ვცხოვრობთ ზედ ტყის პირას, წამოვედი დასავლეთისკენ; ტყე–ტყე ვიარე ათიოდ წუთი, თან ფხიზლად ვაკვირდებოდი ბილიკის ორთავ მხარეს – ვერაფერი სოკოთაგან ვერ დავლანდე. მივადექი მელიების ძველი ფერმის მავთულის ბადის ღობეს, მერე ჭყანტობიც გადავლახე (საერთოდ, აქ, ტყეში, ხშირია დაჭაობებული ადგილები, ფერდობებზეც კი) და, უკვე მშრალზე გასული, სწორედ ჭყანტობის მკვებავ ღრმა არხის პირს მივუყვებოდი, როცა მეორე ნაპირზე დავინახე საკმაოდ მოზრდილი კუნძი, ასე, შუახნისა – ქერქი აქა-იქ უკვე ასცლოდა კიდეც; ცალ მხარეს ხავსი მოყვითალო-მწვანედ ხასხასებდა, შუაგულში კი დიდად იყო ამოფუღუროებული. წინა წლებშიც ბევრჯერ გამივლია აქ, ალბათ ეს კუნძიც შემიმჩნევია, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია (ადრეც აღვნიშნე: ყველა კუნძი რაიმეთი არის ღირსშესანიშნავი და ყურადღების ღირსიც, როგორც ნებისმიერი ადამიანი, თუნდაც ერთი შეხედვით სრულიად ჩვეულებრივი). ახლა კი გავჩერდი და კარგა ხნითაც: კუნძის იმ ფუღუროდან ყვავილები ამოსულიყო! საოცრად ლამაზი სანახავი იყო: კუნძი და კუნძში – ყვავილები! რა ჰქვია ამ ყვავილს, ახლაც არ ვიცი (ბოტანიკურ ლექსიკონში და ატლასში ვერ ვნახე) – ხშირი, ხშირი ფოთლები, უფრო სწორედ, მაქმანივით ჰაეროვანი ფოთლები ისე ბლომად ჰქონდა, რომ ერთ მთლიან მწვანე მასად ჩანდა... და ამ ფოთლებზე უმრავლესნი წვრილ-წვრილი, მოწითალო ყვავილები ხასხასებდნენ... მოგეხსენებათ, ულამაზო ყვავილი ვის გაუგია, მაგრამ არიან ისეთი, ერთი შეხედვით უბრალო, უპრეტენზიო ყვავილებიც, რომლებიც, კარგად რომ დაუკვირდე, არაფრით ჩამოუვარდებიან სინატიფით სახელგანთქმულ ტიტებს, ნარგიზებს თუ ორქიდეებს. არხის მეორე ნაპირიდან ამ პატარა ყვავილების სილამაზეს, ცხადია, მე ვერ შევაფასებდი, მაგრამ ბუნებას იმდენად გაელაღებინა, რომ ფრიადი სიმრავლე არგუნა და ამიტომ შორიდანვე დიდ, ბრწყინვალე თაიგულად მოჩანდა: ყვავილები ხომ თავისთავად, და ახლა კუნძში რომ იყო ამოსული!

ვდგავარ ასე, ვუყურებ, უნებურად გუნებაში დავიწყე კიდეც ხატვა... ვნანობ, როგორ დამემართა, ფანქარი და ქაღალდის უბრალო ფურცელი მაინც რატომ არ წამოვიღე ესკიზისთვის? არა უშავს, დღეს საღამოს ან ხვალ დილით ისევ ვესტუმრები ამ ადგილს – ჩავუჯდები სურათს...

ამ გუნება-განწყობილებით განვაგრძე გზა.

სოკო ბლომად შემხვდა, კმაყოფილი გამოვბრუნდი უკან. ისევ ჩავუარე კუნძს, ფუღუროში ამოფუებულ თაიგულს... "ხვალამდე!" – გავუღიმე. ბესიკსა და დათუნასაც წამოვიყვან, იმათაც დავახატვინებ, შევეჯიბრებით ერთმანეთს!

შინ მისვლისთანავე ბიჭებს მოვუყევი ჩემი აღმოჩენის ამბავი; იმ წამსვე უნდოდათ, წამოვსულიყავით ყვავილიანი კუნძის სანახავად და ჩასახატადაც, მაგრამ დაღლილი ვიყავი, თან გვიანიც იყო და დილისთვის გადავდეთ ეს საქმე.

მეორე დღეს კი ბიჭები აღარ წამომყვნენ – ბურთის თამაშს ვერ შეელიენ. ავიკიდე სახატავი მოწყობილობა და მარტო გავუდექი გზას.

გვიანი დილაა, ჩახჩახამზიანი, სწორედ მე რომ მინდა, ისეთი. ხალისიანად მივაბიჯებ ბილიკზე, ტყის ფერადები მახალისებს, ჩიტების ჭიკჭიკი მიმაცილებს – ტყის სიმფონიას რა შეედრება!

მივაღწიე ჩემს კუნძამდე და გაოგნებული შევდექი – სადღა არის ყვავილები!.. კუნძი, რა თქმა უნდა, ადგილზეა, ყვავილები კი პირწმინდად გაქრა, მათი კვალიც არ ჩანს...

დაობლებული კუნძის გვერდით მობალახე ძროხამ თავი ასწია და თავისი დიდი, კეთილი თვალები თანაგრძნობით შემომანათა...

"გამარჯობა, ძროხა, შენი!.. კაი ძროხა კი ხარ, – ვეუბნები, – მაგრამ ჩემს ბიჭებს, დათუნასა და ბესიკს, რომ დავპირდი, სურათს დაგიხატავთ-მეთქი და დაწვრილებით ავუწერე კიდეც ეს არ-

ხიც, კუნძიც, კუნძს უკან – თეთრი გვირილებით ავსილი მდელოც; მერე, შორს – ფიჭვები და ტყიანი გორაკები... რა ვუთხრა ბიჭებს?”

ჰო, სულ დამავიწყდა, – კუნძისგან მოშორებით, ხელმარცხნივ თხილნარის კორომი რომ ჩამუქებულა, ნეტავ ის სულ არ ყოფილიყო, – სწორედ ერთ-ერთი ბუჩქის ტოტისთვის მიუბამთ გრძელი თოკით ეს წაბლა ძროხა.

ჩამოვჯექი ბალახზე, ძროხამ თავისი საქმე განაგრძო მუყაითად; თან კუდის ქნევით იგერიებს ბუზებს, ხანაც თავს აიქნევს ან ფეხს... ძროხის ყურება მე რას მარგებს, უნდა გადავწყვიტო – რა ვქნა? სხვა კუნძის საძებნელად ხომ არ წავიდე? იქნებ ჯობს, მაინც ეს კუნძი დავხატო? კაცმა რომ თქვას, ასეც, უყვავილოდ არ არის ეს კუნძი ურიგო...

დავიწყე მუშაობა. კუნძი არსად გამექცევა, მხოლოდ მოვხაზე, მთავარია, მის გარშემო რაც არის, იმის დახატვა მოვასწრო, სანამ ძროხა მდელოს სულ არ მოასუფთავებს ყვავილებისგან...

ჯერ დაბლები: სამყურები, ყვითელთავა ბაბუაწვერები, ცისთვალა ვარდკაჭაჭა; კუნძის განზე გასული ფესვის უბეში ეკლებიანი ნარი ამოზრდილა... რა თქმა უნდა, ჭინჭარიც აქ ბრძანდება, ყველგან უნდა ჩაეჩხიროს... ცოტა ქვევით, არხის კიდეზე – ღოლოა, უკვე გამხმარ-გაყავისფრებული; მერე – ბაიას, მაჩიტას, ფუტკარას ყვავილების ლაქები მთლიან მწვანე ფონზე... სულ ქვევით – არხის დაჭაობებულ ძირზე – წყლის მრავალძარღვა, ისარა, ლაქაში...

შემდეგ ისევ ზევით ამაქვს მზერა: მდელოს იქით – აყვავებული ასკილი, ფიჭვთა მსხვილი, მოწითალო ტანები, გაბარჯღულტოტებიანი წიფელი; სულ უკანა პლანზე კი – ცისფერი გორაკები, წიწვოვნებით ნაბადმოსხმულნი; ცოტა ადგილი რჩება კიდევ სასურათე სიბრტყეზე ცისთვისაც – სუფთა, კრიალა, მბრწყინავი ცისთვის, ღრუბლის ერთი თეთრი ფთილაც რომ არ ამჩნევია...

ახლა კუნძსაც უნდა მივხედო: რუხი, ნაოჭა ქერქი, ასეთივე რუხი, ოღონდ უფრო ღია ფერის, გლუვი, უქერქო ადგილები; შავ ხაზებად დანაპრალიანებულ გადანაჭერზე კუნძისა ფუღუროს გარშემო დასახლებულან და ალაგ-ალაგ ქერქზეც ფეხი მოუკიდიათ მოყვითალო-მომწვანო ხავსსა და წვრილფოთლიანი მჟაველას... კუნძის ფუღუროს რაღა ვუყო? რა შავად დაუღია ხახა, სურათის საერთო ფეროვან გადაწყვეტაში სულ არ ჯდება, გამიდან ამოვარდება... კუნძი კუნძია და არც ისეთი მარტივი დასახატავი გახლავთ; რამდენნაირი რთული გადასვლებია ერთმანეთში ფორმებისა, ახლა ფერები?

შევისვენე – ბალახზე გულაღმა გავიშოტე და თვალები დავხუჭე. ვფიქრობდი... მუშაობის ხალისი გამინელდა, ჯობს, ფუღუროს პრობლემას შევეშვა და შინისკენ დროულად გავწიო; სურათს როგორმე შემდეგ მოვუვლი.

როცა დათუნამ და ბესიკმა დაუმთავრებელი სურათი ნახეს, ცხვირები ჩამოუშვეს. მოვუყევი, რაც მოხდა, სხვა კუნძის დახატვასაც შევპირდი, მაგრამ ნაწყენი ბიჭები მაინც ჭუჭყუნებდნენ...

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ოთახში მარტო ვიყავი, ფანჯრის რაფაზე მიყუდებულ დაუმთავრებელ სურათს ვუყურებდი... და უცებ ძალიან მარტივი აზრი დამებადა: რა იქნება, ზეპირად რომ ჩავსვა ამჟამად უკვე არარსებული ყვავილები?

ამოვიღე აკვარელისა და გუაშის საღებავები და გამალებით განვაგრძე სურათზე მუშაობა. მერე წავედი, იმ მოძოვილი ყვავილისნაირი მოვძებნე ტყეში, ბლომად დავკრიფე, შინ მივიტანე და მინის წყლიან ქილაში ჩავდგი. ვუყურებდი ყვავილებს, მათ ფორმებს, შეფერილობას ხან ახლოდან, ხანაც უფრო მოშორებული წერტილიდან... იქნებ ჯობს კიდეც, რომ ყვავილი ძროხამ მირთვა! ახლა უფრო თავისუფლად ვგრძნობ თავს, შეუბორკავად – როგორც მინდა, ისეთნაირად ვსვამ ყვავილებს კუნძში, იქნებ ოდნავ უფრო გავალაღე, ვიდრე სინამდვილეში მახსოვდა, ფერიც გავამძაფრე... ვუყურებ სურათს, ვწონი, ვანგარიშობ... აქ ერთ ადგილას მაჩიტა დავამატე, იქ კიდევ – ერთი ღერო ჭინჭრისა, ზოგან ბალახები გავამუქე, წინა პლანის ნახატიც და ფერებიც გავამკვეთრე...

ვაშა, მგონი გამომდის სურათი!

მიხარია!

როცა სურათი ბიჭებმა ნახეს, ახალი საზრუნავი გამიჩნდა – რომელს ვაჩუქო, ბესიკს თუ დათუნას?

დათუნა-ბურთი

უჰ, დღესაც რა დღე გათენდა – წვიმა ცრის, ცრის ნელ-ნელა, გაუთავებლად, გულის გამწვრილებლად...

დაბურუსებულია გარემო, ბოლქვა-ბოლქვა თეთრი ნისლი დღაბნის სახლებს, ხეებს... მთებზე რაღა ითქმის – არც კოხტაგორა ჩანს, არც – სხვები.

საღამომდე შორსაა, მაშინ კინოში წავიდოდა კაცი; ტყეში რა გინდა, გაილუმპები, ტალახში ამოიგანგლები და სოკოს მოძებნას ვინ ჩივის, შეიძლება, გზააბნეული, შენ თვითონ გახდე ნისლში მოსაძებნი. ბურთი ცოტა ხანს კი ითამაშეს ბიჭებმა, მაგრამ მაშინვე შეეშვნენ – ტალახში სირბილი რა სახალისოა და მშობლებმაც დაუცაცხანეს – ემანდ არ გაოფლიანდეთ და არ გა-

ცივდეთო. მერე ბანქოს თამაშიც ყელში ამოუვიდათ... ცოტა წიგნებიც წაიკითხეს ბესიკმა და დათუნამ, ბებიასა და მამიდას წერილი მისწერეს.

ახლა რაღა უნდა ქნან? ერთხანს ხატეს, მერე გულმა ვერ მოუთმინათ და მაინც გარეთ გავარდნენ. სახლიდან – ეზოში, ეზოდან – ქუჩაში, ქუჩიდან – სხვა ეზოში...

ერთ დიდ ეზოში შუახანს გადაცილებული კაცი, მიხა, ნაძვის ქვეშ ცელებს წკიპავს. მის გარშემო რამდენიმე ბავშვი შემოკრებილა.

ბიჭები შორიახლო დადგნენ და ისინიც უყურებენ. თმებზე ალმასებივით უბრწყინავთ წყლის წვრილ-წვრილი წვეთები; სახლთა სახურავებს რომ გახედო, ისინიც სველად ბზინავენ.

– წვიმაში თიბვა არ შეიძლება, – ამბობს მიხა, – ქვევითკენ გახურებული ხარ, ზევიდან კი გაწვიმს ცივად, გაცივებას ვერ გადაურჩები... თანაც, ვინ იცის, რამდენ ხანს იწვიმებს კიდევ, გათიბულს ხომ მზე, გახმობა უნდა.

ბიჭები ფეხს ინაცვლებენ და არაფერს პასუხობენ, მის მუშაობას აყოლილ ხელებს არიან მიჩერებულნი.

მიხა ჩერდება, ისვენებს, ჭროდა თვალებს ბესიკსა და დათუნას მიაბჯენს.

– მზის ამოსვლა თუ გინახიათ ცხრაწყაროზე? – უცებ ეკითხება ბიჭებს. – მზის ამოსვლას უნდა აასწრო ასვლა უღელტეხილზე.

– მე დღეს ექვს საათზე ავდექი! – იბრიქება ბესიკი.

ტყუის, რა თქმა უნდა, დათუნა სხვა დროს არ შეარჩენდა, ახლა კი რატომღაც არაფერს ამბობს.

– დაგიგვიანია, ძმაო, – ეუბნება მიხა, – მთიბავები ჯერ ბინდბუნდია, როცა მუშაობას იწყებენ.

– მე კოხტაგორაზე ავალ და მზეს პეპლის საჭერი ბადით დავიჭერ! –ახლა დათუნა იწყებს ტრაბახს.

– რას გვერჩი, უმზეოდ გვტოვებ, საწყლებს? მერე სად წაიღებ, ჯიბეში ჩაისვამ? – ეკითხება ღიმილით მიხა.

– გალიაში დავამწყვდევ!

– თუ თოხლო კვერცხივით უმად გადაყლაპავ? – ისევ ეხუმრება მიხა.

– მსუნაგი კი არ ვარ!

სიმართლე რომ ითქვას, დათუნა ცოტათი კი არის მსუნაგი. უყვარს ჭამა, განსაკუთრებით, თუ მისი საყვარელი საჭმელები დაიგულა – უპირველესად, შემწვარი კარტოფილი და საზამთრო.

სადილობის დროც მოვიდა.

– ი-ი-ი, ისევ ბორშჩი? არ ვჭამ! – ცხვირს იბზუებს დათუნა.

არც ბესიკია აღფრთოვანებული.

– დათუნა, თუ ჭკუით არ იქნები და გააჭირებ საქმეს, – ბურთი მინდაო, საზამთრო მიყიდეთო, – ავიღებთ და შენ თვითონ გაგბერავთ, ისედაც მრგვალი ხარ და არ გაგვიჭირდება, დიახ! – ეუბნები.

ახლა ბესო ებმება თამაშში:

– ძალიან გაგვიადვილდება, კარგადაც ვითამაშებთ გაბერილი დათოთი! მდინარეში რომ ჩაგვივარდეს, წყალში არ ჩაიძირება! ერთხელ კიდევ ისე მაგრად გავბერეთ, კინაღამ გაფრინდა – ძლივს მოვასწარით ულვაშებზე ხელის წავლება!

შემდეგ მე ვაგრძელებ:

– თბილისშიც ადვილად დაგაბრუნებთ: ავალთ კოხტაგორაზე, იღლიაში დათუნა-ბურთამოჩრილნი, იქ მწვერვალზე დავარტყამთ მძლავრად ფეხს ბურთს და გავგზავნით თბილისის მიმართულებით – აღმოსავლეთისკენ! წავა, წავა დათუნა-ბურთი მაღლა-მაღლა, იფრენს, იფრენს ბევრს, გადაივლის მთა-გორებს, გადაუფრენს მდინარეთა ხეობებს, გადაინავარდებს სოფლებს ბლომად, დიდ-პატარა ქალაქ-დაბებსაც... ხან ღრუბლებში გაძვრება და გვერდები დაუსველდება, ხან მზის ბრიალა თვალი შესცინებს მხიარულად...

– ჩვენზე ადრე ჩავა თბილისში? – მიზეზობს ბესო.

– მაგაზე რა მოგახსენო, – ვამბობ მე სერიოზულად, – მგონი, გეოგრაფიაზე მწყრალად უნდა იყოს, გზა აებნევა ალბათ...

– აბა კი! – იხტიბარს არ იტეხს დათუნა.

– კარგი, აბა დამისახელე, რომელი მდინარეების ხეობებს გადაივლი აქედან თბილისამდე?

დათუნა გაჩუმებულია, მერე უცებ გამოცოცხლდება:

– მე მტკვრის კალაპოტს გავყვები! ჩავალ ბორჯომამდე და იქიდან!

– იპოვე ხომ გამოსავალი! – მეცინება მე. – ის მაინც გვითხარი, რომელი ქალაქები შეგხვდება მტკვარზე მოგზაურობისას თბილისამდე?

დათუნა ისევ არ იბნევა:

– ზევიდან ჩავძახებ: "რომელი ხარ? ჭიტა! მითხარი!"

ბესიკი ყოჩაღად იწყებს ჩამოთვლას:

– ჯერ ხაშურია, მერე – გორი, მერე – მცხეთა და თბილისი!

– ორი ქალაქი გამოგრჩა – ქარელი და კასპი. დათუნას კი გეოგრაფიაში დიდი ორიანი ეკუთვნის!

– აბა კი! – ისევ უტეხად მპასუხობს დათუნა.

– დიახ, დიახ! – უხარია ბესიკს. – შემთხვევით თბილისს თუ მიაღწიე, ტელევიზიის ანძაზე გამოედები და ბრახ! – გასკდები! გასკდები დათო-ბურთი და ჩამოვარდები, პირდაპირ მტკვარში მოადენ ტყაპანს!

– ძალიანაც კარგი, გავგრილდები! ცურვა კარგი ვიცი, გავცურავ და გამოვცურავ გემრიელად, შენ კი დადექი და მიყურე!

– ცურვა რომ არ იცი, მატყუარა!

– შენ თვითონ არ თქვი, გაბერილი ბურთი მდინარეში არ ჩაიძირებაო? – ნიშნის მოგებით პასუხობს დათუნა.

– უი, უი! იმდენ ხანში დაიჩუტები! – ჯიუტობს ბესიკი.

ვინ იცის, სადამდე გაგრძელდებოდა ძმების ქიშპობა, რომ დედამ მოუხმოთ:

– ბიჭებო, გამოდით გარეთ! აღარ წვიმს, ნახეთ, მზემაც გამოანათა!

მართლაც, ღრუბლების მხოლოდ ნაფლეთებიღა დარჩენილიყო, დასავლეთით ჩამავალი მზე ალმაცერ სუსტ სხივებს გზავნიდა გარემოზე; ჩანდა, ხვალ მზიანი დღე იქნებოდა და ტყეშიც გავისეირნებდით.

შუადღე

რა უნდა აკეთოს დასასვენებლად ჩამოსულმა ადამიანმა ბაკურიანში? ჭამოს, სვას, ისუნთქოს მთის მაცოცხლებელი ჰაერი, ზომიერად მიეფიცხოს თვალბრიალა მზეს, გაისეირნოს ტყეში – თუკი უყვარს ნაირფერი ყვავილები, ლამაზი პეპლები, მარწყვისა თუ სოკოს მოგროვება, ჩიტების ჭიკჭიკი, ტყის იდუმალ ცხოვრებაში ოდნავ მაინც ცალი თვალით ჩაჭყეტვა...

თუ უმზეო ამინდია, – ცაზე ღრუბლები ირევა, ხანდახან მზეც გამოჩნდება, ვერ გადაგვიწყვეტია, იწვიმებს თუ არა, – მაშინ რა უნდა ქნა? გაისეირნო პარკში, ჯიხურში იყიდო ახალი გაზეთები, გაიარო მაღაზიებში წვრილმანის ან სურსათის შესაძენად, იყიდო ცხელ-ცხელი, ახალგამომცხვარი პური, შემდეგ კი შეხვიდე ბიბლიოთეკაში, გამოცვალო უკვე წაკითხული წიგნი, სამკითხველო დარბაზში ნება-ნება ათვალიერო ჟურნალ-გაზეთები...

ერთ-ერთ ასეთ ღრუბლიან დღეს ყოველივე ეს მე და დათუნამ პატიოსნად მოვითავეთ, ამასობაში სამი საათიც შესრულდა და მოგვშივდა კიდეც. ამიტომ ჩვენი "ექსპედიცია", შენაძენით დატვირთული, შინისკენ გამოეშურა.

ცხელა. ხანდახან ღრუბლებიდან გამოჩენილი მზე ისე აჭერს, გაწვიმების წინ რომ იცის ხოლმე.

გზად კინოთეატრთან გავიარეთ და ვნახეთ, რა ფილმი გადიოდა იმ საღამოს, შემდეგ გადავიარეთ პარკი და შევუდექით რუსთაველის ქუჩის აღმართს.

ისე, კაცმა რომ თქვას, რა ქუჩაა ეს? არც ტროტუარი აქვს, არც ქვაფენილი, ხრეშიც კი არ არის დაყრილი და წვიმიან ამინდში ფუთობით ტალახს აიკიდებ ფეხსაცმელებზე.

ცალ მხარეს ოც-ოცდაათ მეტრში ტყე იწყება, მეორე მხარეს კი, ხელმარჯვნივ – ხის ან მავთულის ღობეებს იქით პატარა ეზოებია, ეზოებში – სახლები, სახლებს მიკრული აქვს რკინის ფირფიტები წარწერით: "რუსთაველის ქუჩა №...". მხოლოდ ამით მიხვდები, რომ ქუჩაზე მიბრძანდები თურმე.

ჩვენს ასეთ ფიქრებს აღუშფოთებია ქუჩის საპატიო მოქალაქენი – ინდაურები. მე და დათუნამ ჩავუარეთ ქუჩაში დაყრილ დახერხილ მორებს, რომლებზეც ეს ინდაურები შესკუპებულიყვნენ: პირველი – სულ მაღლა, მეორე – ერთი საფეხურით დაბლა და მესამე – კიდევ უფრო ქვევით. სამივემ ერთხმად გამოხატეს უკმაყოფილება: "ყულ-ყულ-ყულ!".

დათუნამ იოხუნჯა:

– ნახე, მამიკო, ინდაურები საპატიო კვარცხლბეკზე არიან ასულები – I, II და III ადგილები დაიკავეს!

– რაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, დათუნა?

– ჩატარდა შეჯიბრება სიბრაზეში! აგფხორვაში! აგრეთვე – გალობაში! და კიდევ – კუდის გაშლაში!

– ყულ-ყულ-ყულ! – ისევ ერთხმად დაადასტურეს დათუნას ნათქვამი ინდაურებმა.

გაგვეცინა, გზა განვაგრძეთ.

საღამოობით ამ ქუჩაზე ეზოს ჭიშკრებს ძროხები მიადგებიან ხოლმე და ზმუილით უხმობენ პატრონებს – შინ შემოგვიშვითო.

ახლა, ვხედავთ, მხოლოდ ერთი ლამაზი ბოჩოლა მესერთან გარინდებული დგას. დათუნა მივიდა მასთან და გაშტერებული მიაჩერდა რაღაცას.

– წამოდი, რას უყურებ, დათუნა? – დავიძახე წინ წასულმა.

– უყურე, უყურე!

მივედი და უცნაური სცენის მოწმე გავხდით: ბოჩოლა, ბუზებისა და ხარაბუზებისგან შეწუხებული, უძრავად იდგა... გარშემო კი უვლიდა ერთი ყვინჩილა და მწერებზე ნადირობდა: როგორც კი ბუზი ბოჩოლას დააჯდებოდა, ყვინჩილა მაშინვე შეუცდომლად ჩაუნისკარტებდა... ხან ახტებოდა კიდეც, მაღლა დამჯდარს დაუმიზნებდა ნისკარტს, ხშირად ჰაერში აფრენილებსაც იჭერდა.

— რა ყოჩაღი ყვინჩილაა! — უხარია დათუნას, — და ჭკვიანიც! ბოჩოლაც რა საყვარელია, რა ლამაზი თვალები აქვს!

როცა თითქმის ავივაკეთ, ვხედავთ: უზარმაზარი დედა ღორი მიგდებულა მესრის ძირში, გვერდზე წევს და მის ძუძუებს მისევია თერთმეტი თეთრი გოჭუნა, უფრო ზუსტად — ათი, ერთი დედის ზურგზე აცოცებულა, იქ გამძღარი წევს და ტკბილად თვლემს. გოჭები ძიძგილაობენ, დინგებით წაჰკრავენ ხოლმე ძუძუს, ერთმანეთის ზურგზე გადადიან, ფეხი უსხლტებათ, ჭყვიტინებენ — მოკლედ, არიან ერთ ყოფაში. დედა ღორიც, თვალებმილულული, კმაყოფილი ღრუტუნებს და დიდრონი ყურებით დროდადრო ბუზებს იგერიებს. რამდენიმე გამძღარი გოჭი კიდევ აძვრა დედის ზურგზე და იქ წამოწვა.

დათუნა თვალებგაბრწყინებული შესცქერის ამ იდილიურ სურათს, მკლავზე მქაჩავს:

— მამიკო, მამიკო, შეხედე, ერთი რა პაწუაა! რატომ არის ყველაზე პატარა?

ერთი ბოჭუნა მართლაც საგრძნობლად ჩამორჩება დანარჩენებს სიდიდით, მაგრამ ამის მიუხედავად სხვებზე არანაკლებ ენერგიულად მონაწილეობს საერთო ორომტრიალში, სულაც არ ეპუება მასზე დიდი ზომის და-ძმებს.

— იმიტომ, დათუნა, რომ ცოტას ჭამს. შენც თუ არ ჭამე, კარგად არ გაიზრდები!

ნეტავ ბესიკი იყოს ახლა აქ და მას ვეუბნებოდე ამას — დათუნას რად უნდა ჭამაზე ბევრი ხვეწნა-მუდარა! მართლაც გოჭივითაა ჩამრგვალებული...

დათუნა მიეტანა გოჭებს, უნდა მივეფეროო, მაგრამ მე ხელი ჩავავლე და არ გავუშვი:

— ერთი მაგათაც ჰკითხე, უნდათ კი, რომ მიეფერო? ახლა ჭამენ, მათი სადილობის დროა, ჩვენც შინისკენ გავწიოთ, ჩვენი სადილობის დროც დამდგარა!..

ჩვენს ქუჩაზე რომ გავედით, კიდევ ერთი დედა ღორი ვნახეთ ნებიერად გაშოტილი, მასაც მისეოდნენ გოჭები და ჯიჯგნიდნენ ძუძუებს.

— ნახე, მამიკო, მართლაც ჭამის დრო ყოფილა! — წამოიძახა დათუნამ, — წამო, ჩქარა წავიდეთ შინისკენ!

დიდი წრე

ჰო-ჰო-ჰო, რა ჩახჩახა მზე ამოგორდა კოხტაგორიდან! და ჩვენც სამოგზაუროდ განგვაწყო. ლიას შინ ვტოვებთ, სამნი მივდივართ: მე, ბესიკი და დათუნა. ამ ძილისგუდების ამბავი ხომ იცით, ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ — დღის 12 საათზე ძლივს გავეტიეთ სახლიდან. მიგვაქვს მხოლოდ ვაშლი (პირის გასასველებლად) და ვედრო (სოკოსთვის).

მსუნაგი დათუნა კითხულობს:

— მსხალი წამოვიღეთ?

მზის სხივები ზურგში გვირტყამს, კეფას გვიხურებს.

იაგორას მინდვრის კიდეზე ოჯახები ისვენებენ — ხმაურია, ბავშვების ჟივილ-ხივილი.

მზით გამთბარ გუბეებში თავკომბალები დასხმარტალებენ.

გადავიარეთ იაგორას მინდორი — ბაკურიანის ხმები ნელდება, სამაგიეროდ, ჩიტების ჟღურტულ-ჭყიპინი გვესმის ყოველი მხრიდან.

შევეფარეთ ტყის კალთას — ჩრდილია, მყუდროება, ლაფიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე.

ძალიან ლამაზი ყვითელ-წითელი სოკო შეგვხვდა, ნეტა რა ჰქვია? ნაღდად საჭმელად უვარგისი იქნება.

— აბა ვინ იპოვის დათუჩას პირველი! (დათუჩას დათვისსოკოს ვუწოდებთ).

იმავე წუთს დათუნამ დაიძახა:

— ღვინიო!

შემდეგ ორ წუთში დათუნამ ორი ყვითელი პაჭიჭასოკო აღმოაჩინა ნაძვის მიწასთან დაბლა დახრილი ტოტების ქვეშ, მაგარი თვალი აქვს! იქვე დათუნამ მესამე პაჭიჭაც იპოვა, ცოტა მოშორებით ბესიკმა — კიდევ ორი. ერთიც, ძალიან პატარა, დავტოვეთ მერმისისთვის — ან ჩვენ შეგვხვდება, ან ვიღაცას სხვას, ღმერთმა ხელი ყველას მოუმართოს!

გზის გაყოლებით ტყე-ტყე მივდივართ.

რბილი მწვანე ხავსი, შარშანდელი გამხმარი ფოთლები და ჩამოცვენილი ყავისფერი წიწვი, ნიავით აშრიალებული ნაძვები, მწერთა ბზუილი...

აჰა! — ისევ პაჭიჭასოკოები ვნახეთ და მათაც ვედროში ვუკარით თავი. ჩამოვსხედით კუნძებზე და თითო ვაშლი მივირთვით — არ გვეკუთვნოდა თუ?

— პაჭიჭა ვიპოვეთ! — მღერის დათუნა.

— პაჭიჭა მეც ვიპოვე! — გაჰკივის ბესიკიც.

ბიჭები წამოხტნენ – სოკოები ისევ დაინახეს.

– პაჭიჭების ტყეში მოვხვდით! – ყვირის დათუნა, დანით საქმიანობს, ბესიკი ახლომახლო დაშლიგინობს, ახალ საკბილოს ეძებს და რამდენიმეს პოულობს კიდეც.

ტყე – შუქ-ჩრდილით დალაქავებული სიმწვანე; მზის სხივებში უამრავი მწერი ირევა, ნიავისგან ირხევიან ტოტები; ერთი ტონის გაბმული გუგუნი დგას, მხოლოდ წიწვნარში ეულად მდგარი წიფელი შრიალებს განსხვავებულად დროდადრო უფრო მძლავრად წამოქროლებისას.

– დათვისსოკო გვემალება? – ამბობს ბესიკი და ჩემს გვერდით ნაძვის ხავსიან ფესვზე ჩამოჯდა.

– დათუჩა, სად ხარ?!. მიპასუხე! – შესთხოვს დათუნა და ზუსტად იმ წამს ვხედავთ მოზრდილ სოკოს მეზობელი ნაძვის ქვეშ.

– დროზე ვერ შეულოცე?

ცოტა ხანში დათუნამ ირემასოკო ნახა, მერე იქვე – პატარა დათვისსოკო.

მივსეირნობთ, ჯოხებით ვიქექებით ჩამოცვენილ ფოთლებში, მაღლა ვწევთ ნაძვის თითქმის მიწასთან გართხმულ ტოტებს – სოკოებს დამალვა უყვართ... არ დაიმალება და ვერც გადარჩება – ტყეში სოკო საერთოდ გადაშენდება!

ისევ კუნძზე ვზივარ, ბიჭები კი ვერ ძლებენ ერთ ადგილას.

– ეჰ, – ხვნეშით მეუბნება დათუნა, – ირემასოკოს რომ ვჭრიდი, შენ დამიძახე, ავჩქარდი და მეტი მომივიდა... ნახე, მის ფეხზე მიბმული ორი პაწუა სოკო-შვილიც მომიჭრია. არა უშავს, მერე ვნახე, იქვე კიდევ ბევრი შვილიკოები ამოდის, დავიმახსოვროთ ეს ადგილი.

– აქ კიდევ ბევრჯერ მოვალთ, კარგი ადგილია, – აიმედებს ბესიკი.

– ეჰ, დათუჩებო, როგორა ხართ, მიპასუხეთ! სახლში უნდა წაგიყვანოთ, გაქეიფოთ და მეც უნდა ვიქეიფო! – მღერის დათუნა.

ტყეში აცაბაცად მივდივართ, განსაკუთრებით ნაძვების ქვეშ ხავსით აზურმუხტებულ მიწას ვაკვირდებით.

– დანა ვის აქვს?

– მე! – ყვირის შორიდან ბესიკი, – დახურული მაქვს!

– ჰო, შენ გენაცვალე, ყოველთვის დაკეცილი გქონდეს სიარულისას, ტყეში ადვილია წაქცევა და საშიშია.

– ვა! – ყვირის დათუნაც, – რამხელა გუდაფშუტაა! ბახ! ბახ! ავაფეთქე!

მივედით ჩვენს "ნაცნობ" კუნძთან. ეს კუნძი რამდენიმე წლის წინ დავხატე აკვარელით – ბევრად დაძაბუნებულა, მის თავზე ციცქნა ნაძვი რომ იზრდებოდა, ახლა თითქმის ერთ მეტრამდე სიმაღლისა გაზრდილა – ადგილი აღარ რჩება აღარც მარწყვისთვის, აღარც სხვა ბალახებისთვის.

იქვე ახლოს რცხილნარს მივაკითხეთ; მანამდე ვრცელი ჭყანტობია, ალაგ-ალაგ მშრალი "კუნძულებით" და ხტუნვა-ხტუნვით გაჭირვებით მივაღწიეთ... ვნახეთ შვიდი ცალი წვრილი ბებერასოკო ანუ არყისძირა.

– ბიჭებო, ფრთხილად იყავით, ნელ-ნელა იარეთ!

– ჰეი, დათუჩებო, ხმა გაგვეცით, როგორ ხართ! მოდით, მოდით, ხომ კარგად ხართ!.. მამიკო, დათუჩა ვიპოვე!.. ორი, პატარები!

– წამოიღე!

– არა, მე უნდა გავზარდო ისინი! – ამბობს დათუნა. – არ მოწყვიტო, ბესო!

– ვაჰ, ბიჭო, რა თვალი გაქვს, ზუსტად ხავსისფერი ქუდი ახურავს და ხავსში როგორ დაინახე?!. – მივედი ჩაცუცქულ ბიჭებთან.

– მე სხვანაირი ფერის ვიცი, – ამბობს ბესიკი.

– ჰო, რომ გაიზრდება, წამოყელყელავდება და ამოძვრება ხავსიდან ზევით, მერე გაუხდება ქუდი მოყვითალო-რუხი ან მოწითალო ფერისა და შორიდანვე შეამჩნევ.

მზე შესამჩნევად გადაიწვერა.

– მოდით, ნელ-ნელა შინისკენ გავბრუნდეთ, არ მოგშივდათ?

ვედრო თითქმის გაივსო ნაირგვარი სოკოებით, ყოჩაღ ჩვენ! ახლა ცელოფანის პარკი გვიშველის, ოღონდ შიგ რომ ვაშლია, ის უნდა მივირთვათ.

პატარა ბორცვია, დაფარული მშრალი ხავსით, წამოვწექი ამ მზა "საწოლზე" – უჰ, რა შვება იგრძნო ფეხებმა! გემრიელად გავიშოტე, ხელები გავშალე, თვალები დავხუჭე...

ბესო უტყაპუნებს ხელისგულს დათვისსოკოს დიდ ქუდზე:

– ნახე, საზამთროს ხმა ხომ აქვს?

ვედროს ავსების აღსანიშნავად ბავშვებს ფოტოსურათს ვუღებ – შუაში ჩაიდგეს ვედრო და თავზე კი ყველაზე დიდი სოკოები დაიწყვეს, ხელშიც დაიჭირეს – რამდენიც კი დაეტიათ.

დათუნამ შეამჩნია უცნაური ფორმის ფესვი:

– ნახე, როგორი მოხრილია – კითხვის ნიშანივით... ნაძვი კითხულობს: ვინ დამრგო?

დათუნა ერთ ადგილზე ვერ ჩერდება, ახლაც წავიდა. წავიდა და წავიდა, დაიკარგა... მაყვირა და მაყვირა, სამაგიეროდ, როცა მოვიდა, ორი დიდი ქამასოკო მოგვართვა.

დიდი ლოდნარით აგებული გრძელი ბორცვი გადავიარეთ. საკმაოდ დავიღალეთ, შიმშილმაც შეგვახსენა თავი. ბესო კუნძზე დაჯდა დასასვენებლად, დათუნა კი მოუსვენრად დასუნსულებდა აქეთ-იქით და ოთხი არყასოკო არ იპოვა?!.

– მოდით, მოდით!..

ეს იყო ჩვენი ბოლო ნადავლი.

– ბესო, კუდში კი ნუ მომყვები, ჩემგან მარცხნივ იარე თხუთმეტ-ოც ნაბიჯში პარალელური კურსით! შენ, დათუნა, ასევე იარე ჩემგან მარჯვნივ! შორს აღარ მომცილდე, ახლა აღარ გავჩერდებით სახლამდე და თუ ჩამორჩი, დაიკარგები, იცოდე!

დაღლილები შინისკენ მივჩანჩალებთ. რა ხანია, აღარაფერი შეგვხვედრია საკბილო, ეტყობა, დაბასთან უკვე ახლოს ვართ, აქაურობა "გადატყავებულია" უამრავი ჩვენისთანას მიერ, აწი რაღას ნახავ!

– ბიჭებო, დამთავრდა ჩვენი "ნადირობა", გამოჩნდა იაგორას მინდორი!

დათუნა მეკითხება:

– მამიკო, სოკოს რომ თავი წააცალო, გაიხარებს?

– არა, შვილო.

– ადამიანივით არის, ხომ?

– მთლად არა: სოკოს ძირითადი ნაწილი მიწაშია, დაქსელილია ბადესავით და ეწოდება მიცელიუმი; ის ათეული წლობით ცოცხლობს. რასაც ჩვენ მიწის ზევით ვხედავთ, ეს მისი ნაყოფია, რომელიც ამოიზრდება, თუ ხელსაყრელი პირობები დაუდგა – შესაბამისი ტემპერატურა და ნესტიანობა – და მცირე ხანს ცოცხლობს...

გავედით იაგორას მინდორზე, ავიარეთ ბოლო აღმართიც... შინ რომ მივაღწიეთ, ბესომ შემოგებებულ ლიას ახარა:

– სოკოების მეფეები მოვედით!

– ყოჩაღ, რამდენი მოგიტანიათ, დღეს სტუმრებს დავპატიჟებთ!

ტანზე გახდა ვერც მოვასწარით, რომ შხაპუნა წვიმამ დასცხო...

ბურუსი

საკმაოდ მოქუფრული ამინდი იყო, როცა დილით ბაკურიანიდან ტყეში წავედი სოკოს საკრეფად, უფრო კი – სახეტიალოდ და საფიქრელად.

საღამოსპირს ტყეში ბურუსი ჩამოწვა. ჯერ ნელ-ნელა შემოიპარა, ალაგ-ალაგ გაამქრქალა, თეთრად წადღაბნა ტყის კუნჭულები, მერე იმძლავრა, ბოლქვა-ბოლქვად მოზღვავდა; ახლა უკვე ალაგ-ალაგ ტყის ფრაგმენტები გამოჭიატდებოდა, დანარჩენი – ბურუსის მდინარებამ შთანთქა.

ინტერესით ვაკვირდებოდი ბურუსის "მოქცევას", თუმცაღა თვალი გაქცევაზე მეჭირა – სანამ შინისკენ მიმართულება ვიცოდი და გზა არ ამბნეოდა, დროულად ჯობდა უკან დაბრუნება. სახლამდე 4-5 კილომეტრია, შესაძლოა, ნაკლებიც, მაგრამ თუ ბურუსში გეზი სწორად ვერ განსაზღვრე, შეიძლება, ორი ფეხის ნაბიჯზე იყო მიზნისგან და ვერ კი მიაგნო, დაშორდე და სულ სხვა მიმართულებით წაბოდიალდე...

ბურუსში ტყესთან მარტოდმარტო რჩები – უფრო სწორად, ბურუსთან რჩები: აღარ ჭიკჭიკებენ ჩიტები, აღარ ბზუიან ფუტკრები, აღარ დაფარფატებენ პეპლები... ყველაფერი გარინდებულა, გატრუნულა – ფოთლები არ შრიალებენ, არ ჭრიალებენ ნიავისგან დაძრული მაღალი ფიჭვები... კიდევ უფრო სწორად – ბურუსიან ტყეში მარტო რჩები საკუთარ თავთან...

ასეთ ფიქრებში ვარ და აჩქარებით მივაბიჯებ ზღაპრულად ნირშეცვლილ ტყეში, უჩვეულო, სიზმრისეული იერი რომ მიუღია. ბურუსის მდინარება სულ უფრო სქელდება, უკვე ათიოდ მეტრში ვეღარაფერს ვარჩევ, თეთრ კედელს თუ ფარდას ებჯინება მზერა. ძალაუნებურად იჭვმაც კი გამკრა – რა იქნება, რომ შინისკენ მიმავალ გზას ავცდე და სადღაც, სრულიად უცნობ მიდამოში ამოვყო თავი? ორ-სამ საათში დაბნელდება კიდეც, მთელი დღის ხეტიალით საკმაოდ დავიქანცე, უკვე არც ისე ახალგაზრდა ვარ... ორმოცდაათი წლის კაცისთვის ჯერ ადრეა წუწუნი სიძაბუნეზე, მაგრამ წლებს მაინც თავისი გააქვს. აგერ მარცხენა გულისჯიბეში გულის წამალი რომ დაგაქვს, მხრებში რომ გტეხს დროდადრო და დილაობით ხელს მაღლა გაჭირვებით აწევ, იატაკზე დავარდნილი ფანქრისთვის დახრა რომ მთელი პრობლემაა – ვითომ ეს არაფერია? საღამოობით შინ რომ ბრუნდები სამსახურიდან, ერთი სული გაქვს, როდის მიირთმევ ვახშამს, რომ დივანზე წამოგორდე და ხანდახან გაზეთს თუ გადაათვალიერებ ან ტელევიზორს ცალი თვალით უყურებ – წაგთვლემს... ეს ოხერი ნერვებიც რომ აწეწილი გაქვს? სულ პატარა რამეზე შეიძლება, უცებ აფეთქდე, "მუხრუჭები" მოგეშალა... დაიღალე, ცხოვრებასთან ჭიდილმა დაგქანცა, უშედეგო ჭიდილმა... აი, ახლა რომ გზა მართლა დაგებნას და სადღაც გადაკარგულში მგლებმა მოგიღონ ბოლო, შენი ახლობლების მეტს ვის დააკლდები? არავის! რა გააკეთე, რა მოასწარი 50 წლის კაცმა? არაფერი! თითქმის არაფერი! მართალია, ორასამდე მოთხრობა დაწერე, ზოგი სუსტი, ზოგსაც ალბათ არა უშავს, მაგრამ ისინი კაციშვილს არ წაუკითხავს... რედაქციებში რამდენიმე ათეული მიიტანე, ზოგზე დაგპირდნენ, დავბეჭდავთო და წლობით ამაოდ გაჩან-

ჩალებდნენ: “პორტფელი გადატვირთული გვაქვს, ორ-სამ თვეში გამოიარეთ”, “უკვე ასაწყობად უნდა გადაგვეცა, მაგრამ მომავალ ნომერში ყრილობის მასალები უნდა მივცეთ და ცოტა დააგვიანდება”, “მე ახლა გადმოვედი აქ სამუშაოდ, ჯერ საქმეში უნდა გავერკვე, თქვენს მოთხრობას მოვძებნი და უსათუოდ წავიკითხავ”, “კარგია, მაგრამ ჩვენ არ გამოგვადგება, ამ თემაზე №-ის ძალიან კარგი მოთხრობა უკვე დავბეჭდეთ ამას წინათ, იქნებ სხვა ჟურნალში მიგეტანათ?” და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... ზრდილობას ვერავის დაუწუნებ, არადა, ნათლად ხედავ, რომ ნაღდი გულშემატკივარი, საზოგადო საქმით დაინტერესებული ადამიანი, სანთლით საძებნელი გახდა... აი ისეთი, როგორიც გიორგი შატბერაშვილი იყო. სამწუხაროდ, რა უღვთოდ ადრე წავიდა ჩვენგან ეს დიდებული ადამიანი... ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, ათამდე წიგნი მექნებოდა უკვე გამოქვეყნებული. რა საოცარი გულგრილობაა გამეფებული ამ ლიტერატურულ წრეებში, ყველა თავ-თავის წვრილ-წვრილ საქმეებს აკვარახჭინებს თავ-თავისი ძმაკაცმეგობრების დახმარებით და დანარჩენებსო, გულში ამბობს და ზოგჯერ ხმამაღლაც, კისერი გიტეხიათ და კინჩხი მიგიყოლებიათო...

აი, დავუშვათ, ეს ჩემი უკანასკნელი დღეა თუ ღამეა და ჩემს საფიქრალ-სადარდებელს ვჩივი, რას იზამდა ჩემს ადგილზე სხვა? ვთქვათ, იგივე ბურუსში მოხვდა და გზა დაებნა ვინმე მწერალს, თავისი კარიერა რომ სულ “ჩაწყობებით”, კომპრომისებით, მაამებლობითა და “კაიბიჭობით” გაიკეთა, რაზე იფიქრებდა ის? შემიძლია მე, მაგალითად, მისი ფიქრები გამოვიცნო და შინაგან მონოლოგად წარმოვიდგინო? შემიძლია მე დროებით მაინც “გარდავიქმნა”, იმის ტყავში ჩავძვრე და იმის “ტვინით” ვიაზროვნო? ძალზე ძნელია, ალბათ შეუძლებელიც... აი, მაგალითად, მოინანიებდა თუ არა თავის “უკანასკნელ” საათებში ყველა იმ უმსგავსო საქციელს, რაც კი მას ჩაუდენია? დანამდვილებით იმასაც კი ვერ ვიტყვი, რა ექნებოდა მას უპირველესი სადარდებელი. ჩემთვის, მაგალითად, ჩემი შვილებია ამ დროს პირველ პლანზე (თუმცა თითქოს სხვა რაღაცაზეც ვფიქრობ, მაგრამ ისინი ყოველთვის “ჩემთან არიან” და მათზე ფიქრი არასდროს მტოვებს, მუდმივი ფონია, რასაც უნდა ვაკეთებდე ან ვფიქრობდე).

რა თქმა უნდა, ქვეყანა დიდია, ისინი უმამოდაც დაიზრდებიან, მაგრამ ობლის ბედი მაინც ძალზე არასახარბიელოა, – მხოლოდ მატერიალური მხრივ კი არა, უფრო მეტად – ფსიქოლოგიურად...

ხომ სწორი გეზი მაქვს აღებული? ფიქრი ფიქრად და ისე არ გავერთო, რომ... რა რომ? ნუთუ მართლა მგონია, რამე დამემართება? დიდი-დიდი, დილამდე ვიბოდიალო ამ ცივ, ბურუსით ავსილ და ბნელ ტყეში, გავითოშო, ფეხები დამაზრეს, გამოვსავათდე დაღლილობით... ადრე თუ გვიან ნისლი თუ ბურუსი ხომ გაიფანტება? აქ ისეთი რელიეფია, რომ თუ ოდნავ მაინც ორიენტაციის უნარი გაქვს, სწორ მიმართულებას უსათუოდ იპოვი...

აი, ახლა რომ მივდივარ, ჩინჩხვარი ფექვეშ ტკაცუნობს; ხან ხმელ ფოთლებს მივაშრიალებ, ხან მდელოზე დაცვარულ ბალახში მივაბიჯებ და სინესტეგამჯდარ ფეხსაცმელებს მივაჭყაპუნებ (სიმართლე რომ ითქვას, ფეხი კარგა ხანია გალუმპული მაქვს) – ბურუსიდან ამოყვინთულ ბუჩქებს ან ხეთა ტანებს გვერდს ვუქცევ. უნდა ეცადო, ერთხელ აღებული სიარულის მიმართულება შეძლებისდაგვარად დაიცვა, ამისთვის კი საჭიროა ნელ-ნელა ოდნავ მარცხნივ-მარცხნივ აიღო გეზი; თორემ გეგონება, სწორად მივდივარო, სინამდვილეში კი წრეზე ივლი დილამდე (ცხოვრებაშიც ხშირად ასე არ ხდება?). ისე, კაცმა რომ თქვას, დაბნევა აქ თითქმის შეუძლებელია: თუ მხარმარცხნივ წახვალ – ვიწროლიანდაგიან რკინიგზის ლიანდაგს გადააწყდები, თუ მხარმარჯვნივ – საკმაოდ ფართო ტყის გზაზე გახვალ. ორივე შემთხვევაში შემდგომი გზა უკვე ზუსტად გეცოდინება... ახლა კი მაინც ეჭვი გამკრავს ხოლმე – სწორად მივემართები? აგერ სადღაც მხარმარჯვნივ ნაჯახის კაკუნი ისმის, იქითკენ ხომ არ წავიდე? ხის მჭრელი ბაკურიანელი იქნება და ნაღდ გზასაც მიჩვენებს, მაგრამ არა! შენი თავის უნდა გჯეროდეს! თუ გწამს, რომ სწორი გზით მიდიხარ, მის უტყუარობაში ეჭვი არ უნდა შეიტანო! ისევ წინ და წინ! ცხოვრებაშიც რომ სხვა პრინციპით გეხელმძღვანელა, უფრო “წარმატებული” იქნებოდა შენი მეცადინეობა – “პოსტიც” გექნებოდა, ფულიც და “დაფასებაც”, მაგრამ იქნებოდი კი უფრო ბედნიერი?

წინ და ისევ წინ!

უკვე თითქოს ნაცნობი ხეები მხვდება ტყეში, ნაცნობი აღმართი...

ჩუ!.. წინიდან ძაღლების მოგუდული ყეფა მესმის, შორეულმა, მისუსტებულმა მუსიკამაც მოაღწია ჩემს სმენამდე...

სწორი მიმართულებით მივდივარ!..

მარწყვის დღე

ქალბატონი ლია დღენიადაგ ჩაგვჩიჩინებს, სულ უქმად რომ დაყიალობთ ტყეში, ერთი ქილა მარწყვის მურაბა როგორ არ უნდა წავიღოთ ზამთრისთვის თბილისშიო... ჩვენ რა, როგორ გგონიათ, არ ვიცით მარწყვის მურაბის ყადრი? რა ჩვენი ბრალია, თუ ერთი გემრიელი, მზიანი დღე არ გვეღირსა! წავალთ, ბატონო, ყველანი კოლექტიურად (ერთი-ორი კაცის მოკრეფილი მარ-

წყვით რა მურაბაზე შეიძლება ლაპარაკი!), ოღონდ გვიბრძანე, ქალბატონო ლია, და ვინ ოხერი იტყვის უარს!

დღეს ნაღდად სამარწყვე დღეა! მზე ჩახჩახებს, დღის 12 საათია უკვე და ცვარი აკრეფილი იქნება; ჩავიცვათ, დავიხუროთ, ცოტა სასუსნავი წავიღოთ... ჰო, ქილები არ დაგვავიწყდეს მარწყვის მოსაგროვებლად და ოთხივემ ტყისკენ – ჰერი!

გადავიარეთ ღიღილოებიანი მინდორი; გვესმის რიტმული კაკუნი – ვიღაცა ცელს წკეპს პატარა შემორაგულ მინდორზე.

დათუნამ დაინახა ლამაზი პეპელა, წიფლის ქვედა ტოტზე იჯდა. დავწიეთ ტოტი – არ აფრენილა, გატრუნულმა კარგად დაგვათვალიერებინა თავი...

ამასობაში ბესო მეორე ხეზე ამძვრალა: "აქ უნდა წავიძინო! სავარძელივით ტოტზე კარგად მოვკალათდი!". დიდი ჯაჯღანით ჩამოვიყვანეთ ქვევით სრულიად შეუფერებელ ადგილას ძილის მოსურნე ჩერჩეტი...

როგორ შეიძლება, მარწყვის საკრეფად წახვიდე გუნებადამძიმებულმა? როგორც დღეა მზიანხალისიანი, შენც ასევე ღიმილ-ღიღინით უნდა იარო. ტყის გამეჩხერებულ ადგილებში, სადაც მზის სხივები საკმაოდ აღწევს, ხავს-ბალახებში გაყუჩებულ მარწყვის ციცქნა ბუჩქებს უნდა შესცინო, ლალისფერი მარცვლები ფრთხილად უნდა შეხსნა, როგორც საყვარელ არსებას საყურეს ხსნი ფაქიზად – ამ დროს მეორე მარცვალსაც დაინახავ, ალისფერ წვეთად რომ კიაფობს მწვანე ფოთლებს შორის...

რა სახალისოა მარწყვის კრეფა! როცა წითელ მარცვალს დალანდავ და დაიხრები, თვალი უკვე გვერდზე გარბის – მეორე მარცვალს ამჩნევს; ხელს გაიწვდი მის მოსაწყვეტად, მზერა კი უკვე მესამეს ეძებს და პოულობს კიდეც – თბილად ჭიატობს ზურმუხტისფერ ფონზე... და ასე, ფეხზე წამოუდგომლად, დაფორთხავ მუხლებით რბილ ხავსსა და ბალახზე ფიჭვების მაღალ ტანებს შორის (ტოტები მიწიდან დაშორებული აქვთ და მზის სხივები თავისუფლად აღწევენ ნიადაგამდე), აგროვებ საოცრად სურნელოვან ნაყოფს...

მარწყვის სურნელი ისეთი ნაზია, რომ ერთ-ორ ცალ ნაყოფს თუ დაყნოსავ, უსურნელო გეგონება. თუ გინდა, მარწყვის სუნი და გემო სრულად შეიგრძნო, უნდა სულსწრაფობა დაძლიო, ხელისგულზე აგროვო ნელ-ნელა და როცა ათიოდე მარცვალს შეაქუჩებ, ფრთხილად დაიხარო და მიუახლოვო სახე... ღმერთო! ამ სურნელს შეედრება რამე?!. დგახარ ასე, თვალებდახუჭული, გარინდებული... მერე ერთიანად ჩაიყრი პირში და... არა, ამის აღწერა შეუძლებელია!

რა სიწყნარეა ტყეში! უფრო სწორედ, სიმშვიდეა, გულს რომ მოეფონება და სულს დაამშვიდებს, თორემ ტყეს თავისი ხმები არასდროს აკლია. უამრავი ბინადარი ჰყავს ტყეს, უთვალავიც კი და ბევრი მათგანი ტყის სიმფონიას თავის გამორჩეულ ხმას აწნავს. აგერ კოდალა ესტუმრა ერთ ნაძვს, ხან აღმა სპირალურად მიძვრება კაკუნით, ხან თავდაყირა დაეკიდება და უკაკუნებს, უკაკუნებს – ქერქქვეშ, ნაპრალებსა თუ ხვრელებში მიყუჟულ მატლებსა და ჭუპრებზე ნადირობს... სადღაც სულ მაღლა, ხის წვერზე მოკალათებული ჩვენთვის უხილავი ყვავი ყრანტალებს, მას უფრო შორიდან მეორე ყვავი შეეხმიანება; წვრილ-წვრილი ფრინველები ხომ უამრავია და სხვადასხვა ხმაზე ჭიკჭიკებენ, გალობენ... ბუზები, ფუტკრები, კრაზანები, ხოჭოები დაბზუიან განუწყვეტლივ, მხოლოდ პეპლები დაფარფატებენ უხმოდ. აგერ, გარეული ფუტკარია ალბათ, – მსხვილი, ბუსუსებიანი, – გრძელყუნწიან ყვავილს ხვრეტს ყუნწის ბოლოში, ეტყობა, ხორთუმი არ აქვს, ნექტარს სხვა გზით ვერ ჩაწვდება.

– ნახე, რა მსხვილი მარწყვია! შენ უნდა გასინჯო! – მაწვდის გრძელღეროიან ნაყოფს ბესიკი. ეს მარწყვი ღია, მზიან ადგილზე და ნოყიერ ნიადაგზე იქნება იქნება გალაღებული, თორემ ტყის მარწყვი ჩვეულებრივ დაბალია, მიწას ეტმასნება, სამი-ოთხი ფოთოლი აქვს, ნაყოფი კი – შედარებით წვრილი, ძალიან ტკბილი და სურნელოვანი.

იაზე ამბობენ – მორცხვიაო... განა ტყის მარწყვზე იგივე არ ითქმის? მინდვრის მარწყვი უფრო ყელყელაობს – ოდნავ წაგრძელებული, მსხვილი, წითელი ნაყოფი გრძელი ღეროს ბოლოზე მაღლა არის ამაყად ამართული, ფოთლებს ზევიდან დაჰყურებს და მზეს ეფიცხება; ტყის მარწყვს კი ასე ადვილად ვერ შეამჩნევ. შესაძლოა, ასმა კაცმაც გაიაროს ბილიკზე და ვერც ერთმა ვერ შეამჩნიოს, რომ მწვანე ფოთოლქვეშ მიყუჟულა ლალისფერი მრგვალი მარცვალი... ტყეში მარწყვის კრეფისას სიჩქარე არ ვარგა. უნდა ჩაცუცქდე, დაკვირვებით მიიხედ-მოიხედო; რბილ, ნესტიან ხავსზე ცალი მუხლით რომ დაეყრდნო (თუ ორით – მთლად უკეთესი!), წელიც არ დაგეღლება და უნებურად თაყვანს სცემ საოცრად ნაზი სურნელის გამომცემ ტყის ბინადარს...

რა ძნელად ივსება ქილა! ივსება კი არა, ოთხივემ ჩვენ-ჩვენი ქილის ძირი ძლივს დავფარეთ ჯერ – უკვე საათზე მეტია, რაც ვშრომობთ.

როცა დაიღლები, მიწაზე წამოწვები და მთელ მუჭა მარწყვს ასე მოაგროვებ. გაირინდები, მაღლა აიხედავ: შენი მზერა ზევით-ზევით იწევს – ხეთა ხაოიანი ტანებიდან მწვანე რტოებს შორის აქა-იქ გამოჩენილ ლურჯად მოკაშკაშე ცის ნაფლეთებამდე... თვალთა დასასვენებლად ქვევით ჩამოაცურებ მზერას – ნაძვთა ზურმუხტოვან ტოტებზე, ათასგვარად ურთიერთ ჩახლართულ-გადანასკვულებზე, მსხვილი ტანებიდან რომ განივად გამოზრდილან და ბოლოებზე წიწვების საბურველით შემოსილან...

მერე მიწას უბრუნდები – აკვირდები ბალახებს, ხავსს, ჩამოცვენილ წიწვებს, ჭიანჭველებს და ათასგვარ სხვა მწერს...

მიკვირს: რა ერთი ბეწოა მარწყვის "ბალახი", სულ რამდენიმე სუსტი, ნაზი ფოთოლი ამოუწვერია მიწიდან და რა ძალა აქვს ისეთი, რომ საკმაოდ დიდ ნაყოფს აძლევს სიცოცხლეს – გაზრდის, გაავსებს, დაამწიფებს და სხვასაც გაახარებს! ამ შემთხვევაში კი – ჩვენ!

ვაჰ, ზოგიერთი ბუზი რა მომაბეზრებელია, კაცო! რომ აგეკიდება ჭირვეული ბავშვივით, არ მოგცემს არაფრის გაკეთების საშუალებას, დაგბზუის გულის გამაწვრილებლად, არც შენი ხელის აქნევის ეშინია – იძულებული ხარ, მასზე ნადირობა გამოაცხადო... ახლა მეორე ბუზმა გამიჭირა საქმე, ზურგიდან ამეკვიატა, ვერაფრით მოვიშორე. შევტრიალდი და... ბალახის ღერო აღმოჩნდა! ის მიღიტინებდა კისერში, ნიავით აცელქებული.

წამოვჯექი, შემდეგ ისევ დავხოხავ თუ დავფორთხავ მუხლებით რბილ ხავსზე.

ბიჭებს, როგორც ყოველთვის, ახლაც შეჯიბრი გაუმართავთ, აზარტმა აიტაცათ, ვინ მეტს მოკრეფს.

– ჩვენს მეზობლებს გუშინ ნახავარკილოიანი ქილა გაუვსიათ მარწყვით, გაიგე? – მეკითხება დათუნა.

– ე, მამიკო, რამდენს ტოვებ! – მსაყვედურობს ბესიკი.

– შენ გიტოვებ!.. შენზე მეტი ხომ მაქვს მოგროვილი!

ბიჭებს ბეზრდებათ მარწყვის კრეფა, ერთფეროვანი, მონოტონური ეჩვენებათ. პირველი ბესიკი გვღალატობს – გადაჰყვა თხილიანში ჯოხის გამოჩორკნას.

დიდხანს ვეძახდი, რომ ჩვენთან ახლოს მოსულიყო.

ბოლოს, ხმა გაგვცა, მერე მოჩანჩალდა კიდეც:

– ფეხი დამისველდა!

ლიამ ლანძღვა დაუწყო:

– უ, შე ტუტუცო!

– აბა, რას მეძახდით? გამოვიქეცი და ჩავტოპე.. – ბესო ჯდება კუნძზე და მზეზე აშრობს წინდებს.

დათუნამ სხვა გასართობი გამონახა – ორნაირი ჩიტის ფრთა იპოვა (ერთი ჩხიკვის იყო, ძალიან ლამაზი – ცისფერი, შავი და თეთრი ზოლებით) და კიდევ განაგრძობდა ძებნას; თან ისიც ბესოს ეჯიჯღინებოდა:

– შე ჩერჩეტო, შენი გულისთვის აქ უნდა დავაღამოთ?

საღამოს პირს მოგროვილ მარწყვს ერთ საერთო ქილაში ვაქუჩებთ – ნახავარლიტრიანს პირამდე ვერ ვავსებთ. არა უშავს, დღესვე, საღამოს დავაყრით შაქრის ფხვნილს საკმარისად; ხვალაც მოვკრეფთ, ზეგაც, – რამდენ ხანსაც საჭირო იქნება, მერე, როცა საკმაოდ დავაგროვებთ და დაშაქრულს წვენი გამოუვა, მოვხარშავთ სურნელოვან მურაბას საკუთარ წვენში...

ზამთარში, თქვენ კარგად იყავით და, როცა ხველება აგვიტყდება, გამოვიღებთ მურაბიან ქილას კარადიდან, გავხსნით კოხტად და დავლევთ მურაბიან ჩაის! იფ!.. ახლაც კი ნერწყვი მომდის!

ცხადია, სტუმრებსაც მივართმევთ, ოღონდ გირჩევთ – ცოტა ადრე გვეწვიეთ, სტუმრობას ნუ გადასდებთ ახალ წლამდე – მანამდე მარწყვის მურაბას დათუნა და ბესიკი გაგვიჩერებენ? გავსინჯოთ, გავსინჯოთო, ატყდებიან მსუნაგები და რაც მოსდევს ქილის გახსნას, კარგად მოგეხსენებათ! სანამ ძირამდე არ ამოსვლეპენ, მოისვენებენ განა?!.

მანამდე კარგა ხანია დარჩენილი და მოგეცა ლხენა – არ უნდა დაიზარო და თვალების ცეცებით ათასჯერ დაიხარო, ან, როგორც ვთქვი, ჯობს, ჩაცუცქდე და ისე მიესიყვარულო მარწყვს... მასაც, როგორც ყველაფერს ამ ქვეყანაზე, მოფერება უყვარს!..

ცვარი

მთები ყოველთვის დიდებულია, მათ ყურებას რა სჯობს!

ვდგავარ მინდორში ბაკურიანის მელიების ფერმასთან და მთებს გავცქერი.

მშვენიერი დილაა, მზე ეს-ესაა "მოაჯდა" კოხტაგორას წვერს და არემარეს სხივების კაშკაშა, ოქროსფერ ნიაღვარს აფრქვევს.

სამხრეთით შედარებით დაბალ დობილებს შორის ამართული საყველოს მთის უტყეო მწვერვალი ზურმუხტისფრად ხასხასებს; ამჯერად ნისლის მანდილი არ შემოუბურავს, რაც ასე უყვარს ხოლმე და რის გამოც ბაკურიანელებმა მას "მცივანო" შეარქვეს.

უფრო ქვევით ხუჭუჭა ფოთლოვანი ტყით შემოსილი, შედარებით დაბალი გორებია. მათ ციცაბო ფერდობებზე უმეტესად წიფლნარია (შინაგანი მზერით ვხედავ: უზარმაზარ ხეთა ნაცრისფერი ტანები ანათებს დაბურულ-დაჩრდილულ ქვედა იარუსში ტყისა – ხშირად დავდივარ იქ კალმახასოკოს ხათრით).

მერე, კიდევ უფრო ახლოს, იწყება ღია, ვაკე ადგილები, სათიბები, ალაგ-ალაგ დასახლებული თხილის ბუჩქნარით ან მცირე გორაკებზე – ფიჭვნარით; აქა-იქ მწვანეში ჩაფლული სახლებიც მოჩანს.

მე რომ ვდგავარ, იმ მინდორში გაფანტულან ეულად ან წყვილ-წყვილად მდგომი მაღალი, ლამაზი ფიჭვები, რამდენიმე მწვანე, წვრილი ნაყოფით დახუნძლული მაჟალო, ერთი მძლავრად ტოტებგაშლილი მუხაც... ჩემგან ხელმარცხნივ თხილნარია, შემდეგ, მის გაყოლებაზე – ჭყანტობი; ხელმარჯვნივ – ჯერ ვულკანოგენური ქანებით აგებული ბექობი მიუყვება, მერე – ისევ თხილნარი მუქი ნაძვნარის კიდეზე. ამ მზეზე მიფიცხებულ ამაღლებაზე მარწყვი ხარობს და მეც იქით მივეშურები.

როცა მარწყვნარს მივაღწიე, ჩავიმუხლე და რას ვხედავ: რაღაც უჩინარი, დაბალი, მუქი მწვანე ბალახია "ხუთთითა" ფოთლებით (მისი სახელი, სამწუხაროდ, არ ვიცი, მცენარეთა ატლასში ვერ ვიპოვე, ჩემებურად კი ნამიკრეფია ვუწოდე) და ამ ფოთლების მოკლე ყუნწებზე ღეროებთან "უბეებში" ცვრის მსხვილი წვეთები კიაფობენ მზის სხივებში – ბრწყინავენ, კრიალებენ, ციაგობენ ისე, რომ წმინდა წყლის ბრილიანტების კაშკაშ-თამაში მათთან მონაგონია!

მარწყვი ვისღა ახსოვს... უთვალავი ძვირფასი თვალი აელვარებს მომაჯადოებელ ნათელ სხივებს – ისეთი სილამაზე ანათებს ბუნების თითოეული შედევრიდან, რომ გული მწყდება, რატომ წამოვედი მარტო და ვერავის ვუზიარებ ჩემს აღტაცებას... არადა, ამ პატარა სასწაულს ძალზე მცირე სიცოცხლის ვადა უწერია – მზის მცხუნვარე თვალი სულ მალე ამოსწოვს ცვრის მარგალიტებს...

ერთ ადგილზე ვდგავარ, ვიცდი – ფეხს ვერ დავადგამ, ვერ ჩავაქრობ ცვრის ვერც ერთ წვეთს, თითოეულში ხომ მთელი მზეა ჩატეული და იქიდან მახარებს და მახალისებს სხივთა მხიარული გამოშუქებით...

არა, ადამიანო, ტყუილად ეჯიბრები ბუნებას – იგი მიუწვდომელი ხელოვანია დიდშიც და პატარაშიც – დიად, ამაყ მთებშიც და ცვრის პაწაწინა ცრემლშიც, ბალახის ყუნწთან რომ ჩახუტებია ღეროს სულ რამდენიმე საათით!

ყურუსები

ბაკურიანიდან დასავლეთით ტყე-ტყე ბილიკით დაღმართზე ნახევარ საათსაც არ ივლი და მიადგები – ერთი პატარა კუნჭულია დედამიწისა, ტყის შუაგულში მწვანე მინდვრად ცას მიჩერებული, აქა-იქ ლამაზი, რუხ-წითელტანა, ხუჭუჭწიწვოვანი ფიჭვებით დამშვენებული. ეს ფიჭვები ზოგან განმარტოებულნი ეულად დგანან, ზოგან – ორ-ორნი, დაწყვილებულნი, ზოგან კი – რამდენიმე ერთად შეჯგუფებულნი... ალაგ ფიჭვების კალთას შეფარებული უფრო დაბალი ხეები შეყუჟულან: კახამბალი, ცირცელი, ნორჩი ნაძვი...

ამ მინდორს ყურუსებს უწოდებენ. გზა ამ მინდორს შუაზე ჰკვეთს. თითქმის გზისპირზე ორ ადგილას მაჟალოები დგას. ჟოლოს საკრეფად რომ მიდიხარ და გვერდით ჩაუვლი, შეეპოტინები დახრილ ტოტებს, ჯიბეებს გაივსებ ჯერ კიდევ მწვანე, მუავეზე მუავე, ოდნავ მომწარო, წვრილი ნაყოფებით... დროდადრო ჩაიდებ ტყის ვაშლს პირში, ღეჭავ, ღეჭავ, მომდგარ ნერწყვს ყლაპავ მაჟალოს გამოსულ წვენთან ერთად, ჩენჩოს კი გადმოაფურთხებ და ისე აღარ გწყურდება. საოცარია, ამ მინდორში ერთი წყაროც კი არ არის, ნახირი იოლად გადის ტყეში ალაგ-ალაგ ტრაქტორების მიერ ნათრევი მორებით გაკვალულ თხრილებში ჩამდგარი ამწვანებულ-ჟანგისფერი წყლით... გუბეებში – თავკომბალების სხმარტალი, წყლის მრავალძარღვა; გუბურის ზედაპირზე – წყლის ხოჭოების სრიალით დანაოჭებული ცის ანარეკლი და წყლის თავზე – ნემსიყლაპიების აქეთ-იქით ქროლვა...

ყურუსებში არასდროს ჩერდები: ან დილაა და ეშურები, ჟოლოს კრეფას დროულად შეუდგე, ან საღამოა და გეჩქარება, დაბნელებამდე მიაღწიო ბაკურიანს... ისე, ეს ველი სიგრძით ალბათ ერთ კილომეტრამდე იქნება და სანამ გადაივლი, გახედვა-გამოხედვასაც მოასწრებ: ნამდვილად კარგი ხედი იშლება ველისაც, ველს იქით – გრძლად გაწოლილი, ხშირი ნაძვნარით შემოსილი დაბალი ქედებისაც... შიგადაშიგ ფეხქვეშაც იცქირები – ხან გოროხებია, ან გამხმარი ტოტი და არც გზაა ისეთი სწორი, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. არადა, ხან ლამაზ ყვავილს დაინახავ (თუ ჯერ არ გაუთიბავთ მინდორი!), ხან პეპელა მოგტაცებს მზერას – ადმირალი, მეჭინჭრია და მრავალი სხვა.

გარშემო ტყეა, უმეტესად ნაძვნარი; ტყის გადაღმა, ოთხივე მხარეს – ტყიანი ქედები მოჩანს, მაღლიდან კი ველი გადმოხურულა მზით გაჩახჩახებული ლურჯი ცით მასზე ალაგ-ალაგ გაფანტული ღრუბლების თეთრი ქულებით.

ეჭვი მაქვს, რომ ამჟამად სათიბად და საძოვრად გამოყენებულ ყურუსებს წინათ სხვა ხვედრი ჰქონდა. თუნდაც ერთ ადგილას, გზისპირზე რომ გორაკია, ძველი ყორღანი ხომ არ არის? მეორე ადგილიც მეგულება, სადაც თითქოს რაღაც ნანგრევთა ნაშთები უნდა იყოს... შესაძლოა, ნასოფლარია და ერთ დროს ამ მყუდრო, სწორ ადგილზე ცხოვრება დუღდა. მერე კი, ამ რამდენიმე საუკუნის წინათ, სიმყუდროვემაც ვერ უშველა და მტერმა იავარჰყო ყოველივე. მას შემდეგ

მხოლოდ მწყემსები, მთიბავები და ჩემსავით ჟოლოს ან სოკოს მაძიებელნი თუ გადაივლიან მას. თუმცა, ალბათ ღამე ზოგჯერ კურდღელი გადაირბენს ან ზამთარში ალპური ზოლიდან დაბლა ჩამოსული მგელი დატოვებს ყურუსების თოვლიან ზეწარზე ნაფეხურების ძეწკვს...

ახლა კი, გაგანია ზაფხულში, სიცოცხლის ჟინით არის ატაცებული მთელი მინდორი – კალიების წინწრიხს ყურთასმენა მიაქვს, ნაირფერი პეპლები დაფარფატებენ ყოველი მიმართულებით; ფუტკრები, ბუზები, ათასგვარი კალიები და ხოჭოები დაუღალავად საქმიანობენ – ეშურებიან თავიანთი ხანმოკლე წუთისოფლის ყოველი წუთი ნაყოფიერად გამოიყენონ. გამალებით მიდი-მოდიან ბალახებში უხილავი ჭიანჭველები – მთელი მინდორი მოფენილია მათი მიწის ზადაპირიდან ამობორცვილი ბუდეებით.

რა იქნება, ერთხელაც დილიდან საღამომდე დრო ამ მინდორში გავატარო? მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე... მოვიმყუდროვო ადგილი რომელიმე ტოტებგაბარჯღული ფიჭვის ქვეშ, წამოვწვე და ნება-ნება ვეზიარო ბუნების ცხოვრების ასეთ თავისთავად, უშფოთველ, აუმღვრეველ მდინარებას...

...ამგვარ ფიქრებს გაუტაცნიხარ და უცებ თავზე გირჩის ნაფცქვენები გეყრება. თურმე ონავარი ციყვი გიშფოთებს მყუდროებას... და კაცმა რომ თქვას, არც გარშემო ბუნებაშია ისეთი იდილია, ერთი შეხედვით რომ ჩანს... იდილია კი არა, ყოველდღიური ბრძოლაა – მეტოქეობა ადგილისთვის, სარჩოსთვის, თავის გატანისთვის, ზოგჯერ სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახებაა, აგრესორისა და მსხვერპლის ინტერესთა ჭიდილია... მაგრამ ახლა არ გინდა იფიქრო მსგავს რამეებზე, ისედაც ცხოვრებასთან ჭიდილით ხარ დაღლილი და ამჟამად მხოლოდ ერთი სურვილი გაქვს – გაწვე რბილ, გრილ ბალახზე გულაღმა, ხელები თავქვეშ შემოიწყო და თვალი გაუშტერო მაღლა ფიჭვის ფუმფულა რტოებს, ლურჯი ცის ფონზე რომ ლამაზად იხატება ტოტების ღვარჭნილობით, მიმოხვევით – ნელი ნიავით რიტმული რწევა ხაზს უსვამს მარადისობასთან ნაზიარები უშფოთველობის უკიდეგანო გრძნობას... მარტო ხარ ყურუსების ველზე, სიმშვიდესა და სიამეს გრძნობ, ფიქრები, მუდმივად სიზმარშიც კი რომ არ გასვენებენ და გაშფოთებენ მარადჟამ, ახლა სულ სხვა კალაპოტით მიედინებიან – კეთილი, იმედიანი, დამამშვიდებელი გზით... მაღლა ცაში კი რაღაც შავი ფრინველი ფრთაგაშეშებული წრეებს უვლის – ბოინობს, ალბათ ზვერავს მინდვრის თაგვს თუ სხვა წვრილ ცხოველს...

თვალებს ხუჭავ, გარინდებას ეძლევი...

ათიოდე წუთის შემდეგ, სიხალისით და სიმხნევით აღსავსე, ახელ თვალებს; იდაყვზე წამოიწევი და კიდევ უფრო მშვენიერი გეჩვენება ერთი ხელის დადება ზურმუხტის (რასაკვირველია, გათიბვამდე) ველი – ყურუსები, მოჩარჩოებული მუქი, წიწვოვანი ტყით... მერე მზერას დახრი და ახლა ყოველი ბალახის, პაწაწკინტელა ყვავილის, ფიჭვის გირჩის ან შენს წინ თუნდაც მიწაზე დაგდებული ხმელი ტოტის დახვეწილობა გაფიქრებინებს ბუნების ყოვლისშემძლეობასა და სრულყოფილებაზე.

და ბედნიერი ხარ, რომ არსებობს ყურუსები, არსებობს კიდევ უთვალავი სხვა მინდვრები, ორ ერთნაირს რომ ვერ ნახავ, და კიდევ: სხვა მთები, მდინარეები, ტყეები, მდელოები... და ბევრი, ბევრი ხე, ბალახი, მწერი, ცხოველი, ფრინველი...

მივდივართ კურდღლის დასაჭერად

ბაკურიანი, აგვისტოს დასაწყისი.

ძალიან წყნარი საღამო – ლურჯი, კამკამა ცა და ჩამავალი მზით დაფერილი ტყიანი გორები.

სასეირნოდ მივდივართ ტყეში. დათუნა და ბესიკი სხვა ბიჭებთან თამაშს ვერ ელევიან; წამოსასვლელად მხოლოდ იმით დავიყოლიეთ, რომ, ვუთხარი: ერთი კვირის წინ რომ კურდღელი წამომიხტა თავისი ბუნაგიდან, თუ დროზე მივედით, შესაძლოა, იქ დაგვხვდეს-მეთქი...

მთის ქუჩაზე ოთხივენი ერთ სწორ მწკრივად მივაბიჯებთ. გზად ახალგაზრდა ქალი შემოგვხვდა, მისი ჩამორჩენილი სამი-ოთხი წლის გოგონა ჩვენ შემოგვეფეთა.

– არიქა, დაიჭირეთ კურდღელი! – დავიძახე და გავშალე ხელები. პატარა გოგონამ, დამფრთხალმა, აგვიქცია გვერდი, დედისკენ გაიქცა.

მერე დათუნას გამოვეკიდე, მივწვდი; მისი თავი იღლიაში მოვიქციე, უჰ, რამხელა კურდღელი დავიჭირე-მეთქი, თან ვეკითხები:

– ყურები რა უყავი, დაგაჭრეს? რა დააშავე ისეთი?

მერე ბესოც ჩაერთო თამაშში, საჩვენებელი თითები ამართა ყურებთან – კურდღელი ვარ მეცო – და მოკურცხლა... ახლა მას გამოვეკიდე, მაგრამ რაღას დავეწეოდი!

ამასობაში ბაკურიანსაც გავცდით და ტყეს მივეცით თავი ყაჩაღებივით. ნესტიან ფერდობზე ჩავდივართ – რბილად მივაბიჯებთ ჩამოცვენილ წიწვებზე. აგერ ხშირი, საშუალო სიმაღლის ბალახი – ალაგ-ალაგ რა ლამაზად ჩამოჰკონწიალებია ყვითელი ყვავილები-საყურეები, ნაყოფები–საყურეები!..

— მოდით, ბიჭებო, აქ! ლია, შენც მობრძანდი! რა ჰქვია ამ მცენარეს? აბა, დათუნა, მოჰკიდე ხელი ამ პატარა, მოგრძო ნაყოფს...

დათუნამ ხელი შეახო თუ არა, ნაყოფი გასკდა და წვრილი თესლი შხეფებივით გაისროლა აქეთ-იქით. დათუნამ მოულოდნელობისგან ხელი დაფუფქულივით გაიქნია.

— ხომ არ შეგეშინდა? ამ მცენარეს ჰქვია უკადრისა! ხომ ზუსტი სახელი დაურქმევიათ?

ბავშვები გახალისდნენ, დაერივნენ უკადრისებს და სულ მე მეძახიან, ნახე, მამიკო, როგორ ისვრისო. მათ ჟრიამულს ლიაც შეუერთდა და, მგონი, ერთი ბალახიც კი არ დატოვეს, რომ მისი ნაყოფებისთვის ხელი არ შეევლოთ.

— არიქა, ბიჭებო, წავიდეთ, წავიდეთ! კურდღელი არ მოგვიცდის!

გზას ვაგრძელებთ, ახლა ბიჭები ერთ წიფელაზე აძვრნენ და ჩამოსვლას აღარ აპირებენ. ისევ თხოვნა-ხვეწნა და მუდარა...

მერეც ძლივს მოიზლაზნებოდნენ. როცა გუბურას ვუვლიდით გვერდზე, ნაფოტები ესროლეს დიდ ბაყაყს, თვალებდაკუსული რომ გარინდებულიყო და მათ ფორიაქს ყურადღებას არ აქცევდა. იქიდანაც ძლივს მოვაშორე და ახლა გზაზე გადმოხრილი წიფლის ფუღუროში ჩაიჭვრიტა ქალბატონმა ლიამ და ბავშვებს ამცნო — ჩვენ რომ აქ ბუდეში კვერცხები ვნახეთ, ვიღაცას წაულალავსო. ბიჭებმა, რა თქმა უნდა, სათითაოდ ჩაიჭყიტეს დაცარიელებულ ბუდეში და ცხვირებიც ჩამოუშვეს, სანამ ლიამ არ დაამატა:

— ალბათ თვითონ ჩიტმა გადაიტანა უფრო უსაფრთხო ადგილზე!

მე სხვა ვარაუდი გამოვთქვი:

— ჩვენ რომ აქ კვერცხები ვნახეთ, მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა და ალბათ ჩიტმა გამოჩეკა ბარტყები და დააფრთიანა კიდეც... შეიძლება, მალე ახალი წყება დადოს კვერცხებისა, მაგრამ თუ თქვენ წამდაუწუმ ბუდეში ჭყეტით შეაწუხეთ, ამ ადგილს აღარ გაეკარება.

ბიჭებმა არც შემდეგ მოიშალეს ცუღლუტობა: შეჯიბრი გააჩაღეს, წინ წასულ მშობლებთან ვინ ადრე მიირბენსო. რასაკვირველია, ბესიკმა მოასწრო, უფრო სხარტია და ასაკითაც უფროსია. დათუნა ჩაპუტკუნებულია და ოდნავ მოუხეშავიცაა; აუხირდა უფროს ძმას, მე გაჯობე, შენ ხომ მამიკოსთვის მარჯვენა ხელზე ხელი არ ჩაგივლიაო. ბესიკმა უპასუხა, სანამ შენ მოკუნტრუშობდი, მე რა ხანია, უკვე აქ ვიყავიო...

მივდივართ ღამის მოლოდინით გატრუნულ, ოდნავ მოღუშულ ტყეში — ფართო ბილიკს მივუყვებით. ბავშვებს ვაჩქარებ:

— ცოტა მოვუჩქაროთ, ბიჭებო, გვიანაა უკვე; დაბნელებამდე უნდა მოვასწროთ შინ დაბრუნება!

— ძროხები უკვე მივიდნენ? — კითხულობს ბესიკი.

— უკვე წველიან, ხო? — აინტერესებს დათუნასაც.

— მე მინდა, ძროხა მყავდეს! — აცხადებს ბესიკი, — და ლამაზი ბოჩოლა!

— კიდე, უნდა გვყავდეს ღორი და ათი გოჭუნა! — ამატებს დათუნა.

— ქათმებიც გვეყოლება და ბევრი წიწილები! — მადა გაეხსნა ბესიკს.

— მე მინდა, გვყავდეს ერთი ცხენი და კვიცუნია! — ისეთი გატაცებით და სიხარულით ამბობს დათუნა, თითქოს ოცნების შესრულება დიდი არაფერი იყოს.

— სხვა გზა არ არის, სოფელში უნდა გადავსახლდეთ! — ამბობს ლია.

— კურდღლები? — ახსენდება ბესოს, — კურდღლებიც გავიჩინოთ! ჩვენ ხომ გვყავდა მამიდა გულიკოსთან ცმაცუნა!

— ის შინაური კურდღელი იყო. ერთ გარეულ კურდღელს ახლა დაიჭერთ, ახლოს ვართ ბუნაგთან! — ვაფრთხილებ ბავშვებს, — ოღონდ ახლავე შეთანხმდით, ვინ რომელ ყურში უნდა სტაცოს ხელი!

— მოიცა, უნდა გავიხადო! დათო, შენც გაიხადე ქურთუკი! როცა ახლო მივალთ, ბუნაგის შესასვლელს დავაფაროთ! — თითქმის ყვირის ბესიკი, მერე დათუნას ექაჩება სახელოზე: — ჩუმად! ნუ ხმაურობ...

— დედა კურდღელი იქნება, ეყოლება შვილები და ბაჭიებს ჩავსვამთ გალიაში! — თვალები უბრწყინავს დათუნას.

ერთ ადგილას პატარა ლაფზე გადასახტომი იყო და ყველამ რიგრიგობით ვისკუპეთ.

— ყოჩაღ, დათუნა, რამხელაზე გადახტი — კურდღელივით! — ვაქებ დათუნას. ნეტა არაფერი მეთქვა!

— ეს რა იყო, ამაზე შორს შემიძლია გადავხტე! — ამბობს გაბადრული დათუნა.

ბიჭებმა ახლა ხტომაში გააჩაღეს შეჯიბრი, თან ხმამაღლა ედავებოდნენ ერთმანეთს. ძლივს დავაშოშმინე ისინი, კურდღელი დაფრთხება-მეთქი. მართლაც, უკვე მივადექით "სანადირო" ადგილს. აგერ ისიც — ერთად დახვავებული ნაძვის მოჭრილი ტოტები, რომელთა ქვეშიდანაც ამას წინათ კურდღელი წამომიხტა და მოულოდნელობისგან შემაკრთო კიდეც.

ფეხაკრეფით ნელ-ნელა ვუახლოვდებით, თან ყველანი დაძაბული ვიცქირებით ბუნაგის შესასვლელისკენ...

ვინ დაგიტოვებია, რას ეძებ! სიცარიელეა, რა თქმა უნდა...

ბიჭებს თუ ასე ეწყინებოდათ, არ მოველოდი.

– ძალიან დამწყდა გული კურდღელზე! – ჩივის ბესიკი.

– სულ მთლად უნამუსოც არ იქნება, მოდი, ვნახოთ, იქნებ ბოდიშის წერილი დაგვიტოვა, შინ რომ არ დაგვხვდა! – ვამბობ, თან ბუნაგში ვიჭყიტები. – აუჰ, რაც მაშინ იმ კურდღელმა შიში ჭამა, როცა მე აქ ჩამოვჯექი, ის აქ მომსვლელია როდისმე?

– რატომ არ დაბრუნდება? – ამბობს დანაღვლიანებული დათუნა. – იქნებ ზის ახლა ჩირგვებში და გვითვალთვალებს!

– მოდი, მოვძებნოთ, აქ სადმე ახლოს იქნება! – ხავსს ებღაუჭება ბესიკი და მაჩვენებს: – ეგერ კიდევ არის ბუნაგი!

– აქ ასეთ ბუნაგებს რა დათვლის! – წყალი გადავუწურე, – ყველაში კი არ ზის კურდღელი!

– მამიკო, შენ რა ბედი გაქვს და ვერ იყენებ! – მსაყვედურობს ბესიკი. – ტოტებზე რომ ჯდები, არ უნდა დაუკვირდე? ცხვირწინ კურდღელი გყავდა და გაუშვი... მე აუცილებლად დავიჭერდი!

– კურდღელი რომ ასეთი ადვილი დასაჭერი იყოს, დიდი ხნის წინ გადაშენდებოდა! – ვანუგეშებ მე. – იცი, როგორი ფრთხილია? როგორ სწრაფად გარბის!

– ის რომ გაიქცა, ჩუმად უნდა დადევნებოდი! – უკმაყოფილოდ შემომცქერის დათუნა.

მივიარ-მოვიარეთ ახლომახლო ადგილები ვითომ კურდღლის ძებნაში და საკმაოდ ბლომად შემოსული მარწყვის კრეფას გადავაყოლეთ გული. ერთი კუნძი შეგვხვდა, – დამპალ-დაფუტურო-ებული, – რომელზედაც ბალახებს დიდად მოეკიდათ ფეხი, განსაკუთრებით კი – მარწყვს, გალაღებულ-გამრავლებულს.

– მოდით, მოდით, რა განახოთ! – დავუძახე ბიჭებს. – აბა, ერთად დავკრიფოთ, ნახეთ, რა მსხვილ-მსხვილი მარწყვია!

– დავითვალოთ!.. ექვსი ცალი დედამ დაკრიფა, შენ, ბესო? ხუთი, დათუნამაც ოთხი, სულ თხუთმეტი ცალი გამოდის.

– ერთი დათომ შეჭამა! – ამბობს ბესიკი.

– მკვახე იყო! – არ დაიბნა დათუნა.

მართალი მოგახსენოთ, მარწყვს უფრო მეტს ვჭამდით, ვიდრე ვაგროვებდით.

გავეშურეთ შინისკენ, საცაა დაბნელებას დაიწყებს.

გზაში ბიჭები მაინცდამაინც არ ცელქობდნენ, ალბათ დაიღალნენ. დათუნამ მაინც მოახერხა და ისეთ ლაფში სტუცა ფეხი, რომ ცალი ფეხსაცმელი შიგ ჩარჩა, ძლივს ამოვიღე...

– აბა, ბიჭებო, კმაყოფილი ხართ ტყეში დღევანდელი გასეირნებით?

ბიჭების მაგივრად ლია მპასუხობს:

– ზარალში ვართ, მეტი არაფერი! ახალი წინდა გამერღვა ჯაგებში ძრომიალით!

– კმაყოფილიც ვართ და უკმაყოფილოც! – ამბობს ბესიკი.

– ჰო, ვიცი, უკმაყოფილო იმით ხარ, კურდღელი რომ არ დაგხვდა, გასაგებია. წავიდეთ, კაცო, ვნახოთ: იმ ჩირგვის ძირას იქნება ჩაცუცქული გვეპატიჟება, მოდით, ჩემს ბაჭიებს განახვებთო.

ბიჭები იცინიან, ხასიათი გამოუკეთდათ, თან ამ დროს ერთმა ჩიტუნამ ულამაზესი და უგრძესი გალობით დაგვატკბო – ალბათ წარმავალ დღეს ემშვიდობებოდა და ემადლიერებოდა: კარგი დღე იყავიო, მზიანი, თბილი, ალერსიანი; ბევრი ასეთივე კარგი დღე გვენახოს მომავალში კიდევო; ეს საღამოც რა ლამაზიაო, ტყე როგორ დამყუდროვებულაო, გარინდებულაო; ხვალაც დარი იქნება, კარგი იქნება ტყეში ყოფნაო! დღეს თუ კურდღელი დაგემალათ, ხვალ ციყვუნიას მაინც ნახავთო, აგრეთვე – ბევრ ყვავილს, ბევრ პეპელას, ბევრ მარწყვს და კიდევ რაღას არაო! ყველაფერს ხომ ვერ ჩამოგითვლით, ტყეში ყოველი დღე განუმეორებელია: რაღაცას ისეთს ყოველთვის ნახავთ, რასაც სხვა დროს ვერაო; ყოველთვის კმაყოფილი დარჩებითო, მოდითო, ხვალაც ესტუმრეთ ამ ჩვენს ზღაპრულ ტყესო; ხვალაც მობრძანდით, ზეგაც, მაზეგაცო! გინდაც წვიმიანი დღე იყოს, მაინც ნუ დაზარდებითო, წვიმაშიც ლამაზია ტყეო...

გზა-გზა ამას ვუყვებოდი ბიჭებს და როცა იაგორას მინდორი გადავიარეთ, შემდეგ აღმართიც ავათავეთ და მაღლიდან დასავლეთით გავიხედეთ... გავიხედეთ და კიდევ უფრო მაღლა მოგვინდა ასვლა – ოთხივენი დიდ კუნძზე ავფოფხდით, როგორც კვარცხლბეკზე და იქიდან გადავხედეთ ქვეყნიერებას...

როგორ ოქროსფრად ბზინავს ჩამავალი მზით აფერადებული ცისკიდური! ამ კაშკაშა ფონზე მკვეთრად გამოიყოფა შორეული ცისფერი მთაგრეხილები და უფრო ახლოს კი – მუქი ლურჯი, ტყიანი ქედი...

ცაში, იქ სადაც ოქროსფერი თანდათან გადადის ლურჯში, ნელ-ნელა დნება ვიწრო, ნათელი ზოლი მომცრო ღრუბლისა – ჩიტი არ შემცდარა, ხვალაც დარი იქნება!

ცაცხვი

ჩვენი სახლიდან ორმოციოდე ნაბიჯში, მესერთან, არც ისე დიდი, ლამაზვარჯიანი ცაცხვის ხე დგას.

ჰყვავის ცაცხვი, ხვავრიელად ჰყვავის.

შორიდან რომ შეხედავ მის ბურთივით მრგვალ ვარჯს, ფოთლების მუქ სიმწვანეს შერევია წვრილი ყვავილების ყვითელი ფერი; არა, ვგონებ, თბილი ყვითელი კიდეც ჭარბობს მწვანეს, ისეა ყვავილებით დახუნძლული ტოტები.

ერთ უქარო, მზიან დღეს ცაცხვის ხეს ვესტუმრე ქაღალდის დიდი პარკით – ყვავილების მოსაკრეფად; ცაცხვის ყვავილის ჩაი ზამთარში სასიამოვნოც არის და სასარგებლოც, განსაკუთრებით თუ გაცივებული ხარ – ოფლის მოსადენად.

ავძვერი, ქვედა ტოტზე ხის ტანთან მოხერხებულად ჩამოვჯექი და ერთხანს გავყუჩდი.

ირგვლივ ტრიალებს ნაზი სურნელი საზამთროსი, უფრო – ნესვისა თუ თაფლისა... არ წყდება მუსიკა – სხვადასხვა ტონის გაბმული ბზუილ-ზუზუნი ფუტკრების და კრაზანებისა... ნექტარისა და ყვავილის მაძიებელი მრავალი სხვა მწერიც დასევია ყვავილებს: ხოჭოები, ბუზები, ბზიკები და ფრთახატული პეპლებიც – დავინახე, ერთგან როგორ აფარფატდა და მეზობელ ყვავილზე გადაფრინდა შავწითელფრთიანი ატალანტა (უფრო ხშირად ადმირალს რომ უწოდებენ); მეორეგან ორი თეთრული ჰაერში აცეკვდა, გაეთამაშნენ ერთმანეთს, შემდეგ განცალკევდნენ და ისინიც ყვავილებს ესტუმრნენ. მზის აბრეშუმის სხივები მოძვრებიან რტოებში, აკიაფებენ ხშირი ფოთლების ზურმუხტს, თითქმის ვერ აღწევენ ჩემამდე. აქა-იქ ტოტებს შორის ლურჯი ცის ნაფლეთები კაშკაშებს... თვალი ხარობს და სული ისვენებს ჩრდილში – ცაცხვის ვარჯით შემოზღუდული მცირე სამყაროა აქ, გამორჩეული სიმყუდროვით, რასაც ხელს სრულებით არ უშლის მწერთა ცხოველი საქმიანობა.

ფრთხილად ვიწყებ ყვავილების კრეფას, ვცდილობ, არ დავაფრთხო წვრილფეხა სტუმრები.

თითქმის მთელი პარკი გავავსე, როცა ერთმა კრაზანამ ჩემი დაუდევრობა (ბღუჯა-ბღუჯა ვკრეფდი ყვავილებს) დასაჯა – ხელისგულში მწვავედ ჩამასო ნესტარი. ალბათ მაგრძნობინა, გეყოფა, საკმარისად მოკრიფეო.

ჩამოვძვერი ხიდან, ჩავჯექი იქვე ბალახებში. ტკივილმა მალე გამიარა. დიდხანს ვუყურებდი ცაცხვის ვარჯს, უზარმაზარ, მწვანედ ჩახუჭუჭებულ გუმბათს – დედამიწასავით მრგვალს...

რამდენიმე კვირას ყვავილობს ცაცხვი, მერე ყვავილთა ადგილზე პატარა, მრგვალი ნაყოფბურთულები გამოებმება; შემოდგომაზე კი ეს ნაყოფები დამწიფებისას გაყავისფრდება. ერთ ღეროზე ოთხი-ხუთი ან ექვსი ნაყოფია; თითო ღეროს გრძელი, ვიწრო ფრთაც ახლავს. წამოუბერავს ნიავი და გააფრენს ნაყოფებს ამ ფრთის მეშვეობით... იფრენს ნაყოფი ანუ თესლი, იფრენს და დაჯდება სადმე – ახალ საბინადრო ადგილას. მერე, თუ შესაფერისი პირობები დახვდა (განსაკუთრებით – კარგი ნიადაგი ტყის პირას), ცაცხვის თესლი გაზაფხულზე გაღივდება, მწვანედ წამოიჩიტება და ახალ, ნორჩ ცაცხვს მისცემს დასაბამს. გაივლის რამდენიმე წელი და ახლა ამ ადგილზე გაახარებს ურიცხვ მწერს თუ ადამიანს აქ დაფუძნებული და გალაღებული ახალგაზრდა ცაცხვი გაზაფხულობით (ზოგან კი ზაფხულშიც; ბაკურიანში, მთაში, აგვისტოს დასაწყისში ვკრეფ ცაცხვის ყვავილებს) – საამო სურნელი მოეფინება ირგვლივ, გრილი ჩრდილი მუქ წრედ დაეცემა მის ძირში... დაჯდება იქ ვინმე გაუსაძლის ხვატში ბალახზე, მიეყრდნობა ზურგით ცაცხვის გლუვ ტანს და მოუსმენს მწერთა ბზუილთან შეზავებულ ფოთლების ჩურჩულს იმაზე, რომ სიცოცხლე გრძელდება მარადჟამ და სილამაზეც მარადიულია.

ერთი მოღრუბლული დღის ამბავი

ხუთი დღე თითქმის გადაბმულად წვიმდა. გუშინ წამით გამოიჭყიტა მზემ, საღამოსპირს კი ქულა ღრუბლებს შორის ერთადერთი ვარსკვლავი დავლანდე.

– ხვალ კარგი ამინდი იქნება, დროულად დავიძინოთ, ადრიანად ჟოლოს საკრეფად მივდივართ!

აურიამულდნენ ბიჭები, ლიაც გახალისდა. მადიანად ვივახშმეთ და დავწექით.

ჯერ ხეირიანად დაძინებულიც არ ვიყავი, რომ სახურავზე ისევ ატყდა მსხვილ-მსხვილი წვეთების ტყაპატყუპი. ავდექი, გავიხედე ფანჯარაში – დაბურუსებულია ყველაფერი.

დილამდე ასე მოუღლელად უბრახუნებდა თუნუქის სახურავს წვიმა, მისი ტაშ-ფანდური კიდევ უფრო უარეს ხასიათზე მაყენებდა. “ეს ოხერი, საიდანაა ამდენი წყალი ზესკნელში, ნუთუ იქ რაც მარაგი აქვთ, მაინცდამაინც ბაკურიანში უნდა დაიხარჯოს?” – ვფიქრობდი და, თითქოს ჩემს ჯინაზე, წვიმა კიდევ უფრო ძლიერდებოდა და ტყაპატყუპი ბრაგაბრუგში გადაიზრდებოდა.

დილას ონკანში წყალი არ მოდიოდა და ვედროებით სახარჯი წყლის მოტანა წვიმაში მომიწია; საკმაოდ გვიან კი ავბრძანდით, უკვე ათი საათი იყო დაწყებული.

უხალისოდ მივირთმევდით დილის ფაფას და ამ დროს ოთახი განათდა – წვიმას გადაუღია! მალე მზემაც მარაოსავით გაშალა სხივები, ხალისიანად ააფერადა სველი გარემო.

ნისლი აბოლებულიყო კოხტაგორის ფერდობებზე, თითქოს ტყე იწვოდა. მალე მცივანა მთაც კი გამოჩნდა – ღრუბლები ჯიუტად ეპოტინებოდნენ, მაგრამ ნელ-ნელა სცილდებოდნენ – ვაშა!..

რის ვაშა, რა გახარებს – არ გასულა ნახევარი საათი და ისევ აწკაპუნდნენ წვიმის წვეთები ბაღში ვაშლის ხეთა ფოთლებზე, აიქერცლა ეზოში მდგარი გამჭვირვალე გუბეების ზედაპირი, ისევ გაქრნენ მცივანა და კოხტაგორის ფერდობები – დასავლეთიდან დედამიწას მაჯლაჯუნასავით დააწვა მძიმე, შავი ღრუბლები...

ამჯერად წინწკლავდა – უგემურად, უხალისოდ, გაუთავებლად...

კარგა ხანს გასტანა ასე, მერე შეწყდა წვიმა, პატარა ნიავიც დაიძრა, მაგრამ, როგორც სინოპტიკოსები იტყვიან, 100%-იანი ღრუბლიანობა იყო და გამოდარების იმედი არ უნდა გქონოდა. მართლაც, ნისლი ჩამოწვა, აი, ისეთი, დანით რომ გაიჭრება. დაიკარგა ირგვლივ ყველაფერი, ახლა წვიმაც სანატრელი გაგვიხდა; მაშინ რაღაც მაინც ჩანდა, წვიმის სიმღერა მაინც ახალისებდა გარემოს. ახლა ბოლქვა-ბოლქვად მოიზლაზნებოდა სქელ-სქელი ნისლი – აუჩქარებლად, უხმაუროდ... და იმ ნისლთან ერთად სულში ჩუმი სევდაც მოჟონავდა: აღარ გჯეროდა, რომ ოდესმე ხალისიანი, მზიანი დღე დადგებოდა, ისევ აივსებოდა ჩიტების ჭიკჭიკით მიდამო, ბავშვების ჟრიამული აიკლებდა ეზოს.

ბიჭები გაიბუტნენ – ეზოში არ ვუშვებთ. სანამ იმათ ტალახიან ფეხსაცმელს ვასუფთავებ, გარშემო მივლიან და მეღიჯინებიან, სული შემიწუხეს. მერე, როცა არაფერი გაუვიდათ, დედასთან ერთად დომინოს აუტეხეს ჭახაჭუხი.

შუადღემაც მოაწია.

– აღარ მოგშივდათ, ხალხო?

დავსხედით მაგიდასთან, გემრიელად მივირთვით მაწვნის შეჭამანდი – ციოდა და ორი დღის სამყოფს ახლავე მოვუღეთ ბოლო. არა უშავს, ხვალ დილიდან ლობიოს ჩავაყენებთ მოსახარშად.

განათდა ისევ ვითომ, არ წვიმს, მაგრამ ისეთი მოღუშულია მთა-ბარი, არაფრის ხალისი გვაქვს. დედა-შვილნი დასხდნენ, ისევ დომინოს ურახუნებენ ეშხიანი შეძახილებით, შიგადაშიგ ჭიჭყინ-კინკლაობითაც... ფანჯრიდან მოჩანს: ზოგ სახლში ღუმელიც გაუჩაღებიათ, ლურჯი კვამლი ლამაზად იდღაბნება ნაცრისფერ პეიზაჟზე...

ეჰ, რაც იქნება – იქნება, ცოლის ახალ რეზინის ჩექმებს ჩავიცვამ (გაჭირვებით მეც მერგება) და ტყეში გასეირნებას გულს გადავაყოლებ...

საღამოს ექვსი საათია. როგორ გაჯიჯვებულა წყლისგან ნიადაგი, ფეხი მიცურავს სლიპინა ტალახში; ღმერთმა დღეგრძელობა მისცეს ამ რეზინის ჩექმების გამკეთებელს!

გამოჩნდნენ შავ-შავი ყორნები, ყრანტალით გადაიფრინეს მაღლა, ძალიან მაღლა ცაში.

ვაგრძელებ გზას. მზე გამოჩნდა – თეთრ ღრუბლებს შორის ცის სილურჯეში გამოიცინა. ყორნებს ხომ არ დასცინა?

ტყე ჩამყუდროვებულა, ჩაფიქრებულა; ყველაფერი სველია, ხასხასებს ხე-ბუჩქი თუ ბალახი; განსაკუთრებით ჩიტები გახალისდნენ: ჟღურტულიც ისმის, კრუალიც, ჭახჭახიც, მოთქმაც, გადაძახილიც, ჟივჟივიც, ჟიკჟიკიც, წრიპინიც... ბაკურიანის მხრიდან აღწევს მამლების ყივილი, ძაღლების ყეფა, ადამიანთა გაურკვეველი ლაპარაკის ხმა.

ხშირად მიწევს ჭყანტობების გადალახვა, საფლობებს ძლივს ვუქცევ მხარს. გზას მიიკვლევენ პატარა ნაკადულები – ამდენი დღის გადაბმულ ნაწვიმარს ვეღარ ისრუტავს მიწა.

ფრთხილად უნდა იარო, სულ ფეხქვეშ იყურო, მაინც დროდადრო გარემოსაც თვალს შევავლებ. ხელმარცხნივ ფერდობზე ხბოები ძოვენ, ფიჭვის კენწეროდან ისმის რაღაცით უკმაყოფილო ყორნის ყაშყაში, სხვა ყორნები შორიახლოდან გაეპასუხებიან. ხეზე მჯდარი ყორანი სხვა ხმაზე ყაშყაშებს, მიმფრინავი – სხვაზე; სწორედ ახლა გადამიფრინა ერთმა ფრთების ღონიერი ფართქუნით – "ყვა! ყვა!". ხბოები გაკვირვებულ მზერას მადევნებენ, მერე თავს ხრიან და განაგრძობენ ძოვას.

კუნძებზე სველი ხავსი მწვანედ ანთია, საპატიო ყარაულივით ჩამწკრივებული და გარინდებული ხეთა ტანები მიმაცილებს.

ალაგ-ალაგ ბარაქიან ლაფში მივჭყაპუნობ, ფეხები მიმძიმდება ჩექმებზე მიკრული ტალახისგან. ერთ ადგილას გავიჭედე, კინაღამ ჭიპამდე ჩავეფლე; დროზე დავიხიე უკან, ძლივძლივობით ამოვაძრე ჩაძირული ჩექმები. ვიწრიალე, ვიწრიალე და, როგორც იქნა, გასაძრომი ვიპოვე, ოღონდ გადასახტომი იყო. გული შემიქანდა, მაგრამ მაინც ვისკუპე ჩემი ფუთიანი ჩექმებით...

ტრიალ მინდორზე გავედი, შუაში ეული მაჟალო დგას; მომცრო ტანისაა, მაგრამ ბარაქიანად ასხია; მერე პანტაც შემხვდა, იმასაც არა უშავს ესხა, მაგრამ მაჟალო სჯობდა.

ჭყაპ-ჭყუპ – განუწყვეტლივ იძახიან ჩემი ჩექმები, ისევ და ისევ ლოცავენ ჩემთან ერთად ამ ჩექმების გამკეთებელს.

ნახირი მიედინება შინისკენ – ზლაზვნა-ზოზინით, წაბალახებით...

– ოჰო-ო-ო! – შეუძახებს რუხლაბადიანი მწყემსი ჩამორჩენილ ძროხებს, ხელს აუქნევს, მერე კი ჩერდება, ისევ ჯოხს ეყრდნობა ჯერ ხელისგულებით, მერე ნიკაპსაც ჩამოდებს და გაყუჩდება. ალბათ დაიღალა, კარგ დღეს გაატარებდა დილიდან, ნამდვილად!

აღოდიალებული ლეგა ღრუბლები ერთმანეთში ირევიან, აქა-იქ ცის ლურჯი, თითქოს მოძრავი ნაფლეთები ჩანს – ნეტა რა ამინდი იქნება ხვალ?

აღმართი ავათავე, ცხრაწყაროს უღელტეხილისკენ მიმავალ გზას გავუყევი – სხვა დროს მეჯავრება ამ გზით სიარული, დღეს კი მანქანები გზას აღარ მიმტვერებენ და ხალისიანად მივაბიჯებ.

მალე გზისპირა ბუჩქნარში შევდივარ. შავი მოცხარი დამწიფებულა და, სველი ტოტების მიუხედავად, ვიწყებ კრეფას.

ის იყო ეშხში შევედი, რომ ისევ წამოჟინჟლა, წვიმა ნელ-ნელა გაძლიერდა და იძულებული გავხდი, დიდი წიფლის ქვეშ შევყუჟულიყავი. სადამდე გინდა აქ ასე იყურყუტო? საათს დავხედე – ოჰო! თუ არ ვიჩქარე, კინოში ცხრასაათიან სეანსზე ვერ მოვასწრებთ...

როცა გალუმპული კიბეზე ავედი, გულზე შემომეყარა – კარი დაკეტილი დამხვდა!..

ამგვარად, როგორც ბუდალტრები იტყვიან, გამოვიყვანოთ დღევანდელი ტყეში გასეირნების სალდო ანუ სხვაობა შემოსავალსა და გასავალს შორის:

სოკოს მოგროვება არ დამცალდა;

თავფეხიანად დავსველდი;

ჩექმაში წყალი შემივიდა (ეტყობა, რაღაც წვეტიან საგანს დავადგი ფეხი და ჩექმა გაიხვრიტა);

გზაში კისერზე უეცრად რაღაცამ მწვავედ მიკბინა, მოვისვი ხელი და ბზიკი თუ ფუტკარი (კარგად ვერ გავარჩიე) ჩამოვაგდე ტალახში; ამ წვიმაში ერთი მწერი არ მინახავს წამლად, ბედი არ გინდა?!. საიდან გამოტყვრა? ეტყობა, მოცხარის ტოტებში რომ ვფოთიალობდი, ის ფოთოლქვეშ იმყუდროვებდა და ჩემი შეჭრა მის სამფლობელოში არ ეპიტნავა;

კინოში გამეპარნენ!

სურათის სისრულისთვის დადებითი მხარეც აღვნიშნოთ:

რამდენიმე დღის განმავლობაში ოთხ კედელშუა ყურყუტის შემდეგ ტყეში გასეირნება თავისთავად ფრიადი სიამოვნებაა და ზემოჩამოთვლილ უსიამოვნო ამბებს მხოლოდ ისიც კი ძირფესვიანად აბათილებს;

ერთ კილოგრამამდე შავი მოცხარი დავკრიფე;

სოკოს დასუფთავება-დარეცხვას და მერე მომზადებას გადავურჩი (ლიამ წასვლის წინ გამაფრთხილა, სოკოს თუ მოიტან, თითს არ დავაკარებო);

გზა-გზა ერთი პეშვი მარწყვი დავაგროვე და მხოლოდ იმის სურნელით დატკბობა და დაგემოვნება ღირდა სახლიდან გასვლად...

ახლა საბოლოოდ დავასკვნათ, სალდო უარყოფითი გამოვიდა თუ დადებითი? (სხვათა შორის, ფილმი საძაგელი გამოდგა, ტყუილად წავედით და ვზილეთ სიბნელეში ტალახიო – ახია მათზე! გახეულ ჩექმაზე საუბარი კი ვამჯობინე, სხვა დროისთვის გადამედო). სრული საფუძველი მქონდა, კმაყოფილი დავრჩენილიყავი.

ღამე კი აცივდა, ისე აცივდა, რომ სულ აგვაძაგძაგა – ლოგინში ჩათბუნულებიც კი ვერაფრით გავთბით!

– ხვალ უეჭველად დარი იქნება, უეჭველად! – დარწმუნებით ვაცხადებ, – უღრუბლო ღამეა.

გავედი აივანზე. მართლაც უთვალავი ვარსკვლავები გამოუყრია უმთვარო ცაზე, ღრუბლის ერთი ფთილაც არ ჩანს.

მხოლოდ ცის კიდეზე, სამხრეთით, ჯავახეთის მხარეს, წამიერად განათდება ხოლმე – იქ თუ წვიმს.

წვიმიან დღესაც თავისი ეშხი აქვს...

სახლს აშენებენ

– ადექით, ბიჭებო, ადექით, ათი საათი სრულდება!

ბესიკი და დათუნა ისევ ნებივრობენ ლოგინში.

– მამალმაც რა ხანია, იყივლა! – ვაგრძელებ მე. – ფაფაც გაგიცივდათ!

– ეგ მამალი სულელია! – დარწმუნებით ამბობს დათუნა. – აბა მაგის მეტი სხვა მამალი თუ ყივის? არ იცის, როდის უნდა იყივლოს, არეული აქვს დრო!

– მამალს გადააბრალე შენი ცოდვები! მაგას რას ერჩი, თქვენზე ბევრად პატარა ბავშვებმა ჭამეს კიდეც და ეზოში თამაშობენ რა ხანია. ზოგიერთები უკვე ტყეშიც წავიდნენ... ნახეთ, მზე გამოვიდა, როგორც იქნა, და გადით, შეხედეთ, ჟუჟუნას სახლს როგორ აშენებენ. შვიდ საათზე დაიწყეს მუშაობა და უკვე ნახევარი სართული ამოიყვანეს; კარებიც, ფანჯრებიც ჩადგეს და ქუთაისიდან ჩამოტანილი დიდი ქვის ბლოკებით კედლების ამოშენებას აგრძელებენ. ადექით, დროზე ჭამეთ და წამოდით, ვნახოთ ერთი, როგორ აშენებენ ოსტატები სახლს. რა იცით, იქნებ თქვენც დაგჭირდეთ რაიმეს აშენება და ისწავლეთ... ისწავლეთ, როგორ უნდა ბეტონის ხსნარის მომზადება, კედლის ამოყვანა, თარაზოს, შვეულის, ლარის, ქაფჩის ხმარება...

– ეგ თუ ვისწავლეთ, სახლის აშენებას შევძლებთ? – კითხულობს ბესიკი.

– სახლის აშენებას მაგარი ჯან-ღონეც უნდა! – ვმოძღვრავ მე. – აი, აქამდე კარგა ხნის წამომხტარი უნდა იყოთ, უნდა გევარჯიშათ კიდეც კარგად, ერთი ათი წუთი გერბინათ, მერე კოხტად დაგებანათ ხელ-პირი... არა, ჯერ წელამდე ტანი უნდა დაგეზილათ სველი პირსახოცით...

– ცივა!.. – ერთხმად ამბობენ ძმები და საბანქვეშ ღრმად მიძვრებიან.

დილის ლექციიდან ნახევარი საათის შემდეგ, როგორც იქნა, ბიჭები მაგიდას უსხედან და უგემურად ურევენ კოვზებს უკვე გაცივებულ ფაფაში. ხან ერთი წამოხტება გარეთ გასავარდნად, ხან – მეორე, მაგრამ ძალით ვაბრუნებ უკანვე. სანამ პირწმინდად არ მოასუფთავეს თეფშები და ზედ ჩაიც არ დააყოლეს, არსად გამიშვია. მერე ერთად გამოვდივართ გარეთ.

– ბარაქა, ბარაქა! დილა მშვიდობისა! – ვესალმები მშენებლებს – გიორგის, თამაზსა და სერგოს.

გიორგი – ჟუჟუნას ვაჟი – სულ ახალგაზრდაა, ჯარიდან ერთი წლის დაბრუნებულია; საშუალო სიმაღლის არის, მაგრამ ფართო მხარბეჭიანი, ჯანიანი. უხდება მოკლე შავი წვერი. საერთოდ, მხოლოდ ულვაშს ატარებს, ახლა კი, ეტყობა, სახლის მშენებლობას გადაყოლილი, ვერ იცლის წვერის მოსაპარსად.

იმ დღეს, როცა ჟუჟუნას სახლი დაეწვა, მაგარი ქარი ამოვარდნილა. ჟუჟუნა სადღაც ყოფილა წასული, სამუშაოდან შინ დაბრუნებულ გიორგის კი (შოფრად მუშაობს) სახლის მაგივრად ნაკვერჩხლებიღა დახვედრია... დარჩნენ დედა-შვილი ნიფხვის ამარა, როგორც გიორგი ამბობს. წამოიწყეს ახალი სახლის მშენებლობა: ძველი, ხის სახლის ნაცვლად – ქვისა, კაპიტალურისა.

მოზიდეს დიდი ქვები სასაძირკვლედ, ქვიშა-სილა, რკინის არმატურა ანტისეისმური სარტყელისთვის, ხე-ტყის მასალა, დახერხილი ქვის ბლოკები....

მშენებლობაზე დღეს ორნი არიან დამხმარენი: ბიძამისი თამაზი და თამაზის ქვისლი – სერგო. თამაზი 65 წლის იქნება, ცალი თვალი გვერდზე გაურბის, ჭაღარა ულვაშები თუთუნის წვეისგან შეყვითლებია. სერგოც ხნიერია, გამხდარი, საუბრის კილოზე შეატყობ, სომეხი უნდა იყოს.

– ხედავთ, ბიჭებო, – ვეუბნები ბესიკსა და დათუნას, – გუშინ ორი წყება დაალაგეს ბლოკებისა, მეტი ვერ მოასწრეს წვიმის გამო, დღეს აგრძელებენ. აი, დაუდგამთ კარის ჩარჩო, დაამაგრეს ლარტყით; შემდეგ ორი წყება კიდევ დააწყეს ბლოკებისა და ფანჯრის რაფებიც დადგეს, გაასწორეს თარაზოთი და შვეულით... კედლების ამოყვანამდე კი რა არის საჭირო?

ბიჭები წამწამებს აფახულებენ და უხერხულად იღიმებიან.

– მანამდე საჭიროა ქვაბულის ამოღება და საძირკვლის მოწყობა. მანამდე?

– საძირკვლამდე?

– ჰო, საძირკვლამდე... არ იცით! გეგმის შედგენაა საჭირო, პროექტის გაკეთება. ჯერ ქაღალდზე უნდა "ააშენო", ყველაფერი გაიაზრო, გაითვალისწინო, გაიანგარიშო... – შემდეგ გიორგის მივმართავ: – მასალა რამდენი მოიმარაგეთ?

– ერთსართულიან, დაბალჭერიან სახლს ვაგებთ. სიგრძე ექნება რვა მეტრი, სიგანე – ექვსი, სიმაღლე – ორი მეტრი და ოცდათხუთმეტი სანტიმეტრი... სულ ორი ოთახი იქნება. მოვზიდეთ ათასი ქვის ბლოკი, ჩვიდმეტი კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა, ორნახევარი ტონა ცემენტი... ლურსმანი – ოცდაათი კილოგრამი... გადასახურავად შიფერი ვერ ვიშოვეთ და ბიძაჩემი მაძლევს თუნუქს თავისი ძველი სახლიდან – ახალი ააშენა და მოთუთიებულით დახურა... ესაა ძირითადი. მერე წავა ათასგვარი წვრილმანი: შუშა, სადენები, კარ-ფანჯრების და კარების ანჯამები და საკეტები და სხვა და სხვა... ალბათ ცემენტის დამატება დაგვჭირდება: შიგნიდან კედლებს ჯერ ცემენტით შევლესავთ და შემდეგ – გაჯით.

– ხომ ხედავთ, ბიჭებო, ყველაფერი უნდა იანგარიშო, მაშ! – ვეუბნები.

ბესიკი და დათუნა ბლოკებს ეჯაჯგურებიან.

– აბა, აბა, გაჩერდით – ვეცი ბავშვებს. – რამდენიმე წელი მოიცადეთ, მერე მე ვიცი თქვენი გახედნის საქმე – მივდგეთ და ჩვენს საბაღე ნაკვეთში ერთი პატარა, კოხტა სახლი წამოვჭიმოთ... რა სჯობს საკუთარი ხელით აგებულ სახლში ცხოვრებას! და რა სჯობს საკუთარი ოფლით მოწეული კიტრის, პომიდორის, ვაშლის და თუნდაც მწვანილის გემოს!.. ჰო, საძირკველს ხომ ჩაყრი, მერე ზევიდან ტოლის ნაჭერს დააფარებ ერთ ფენად, რომ სინესტე არ აჭყვეს კედლებს და ზედ დაიწყებ კედლების ამოყვანას კოხტად და ლამაზად. გაასწორებ კუთხეებში შვეულით, მერე კუთხეებს შორის ლარს გაჭიმავ და მიდი! რა ჩქარა მიდის კედლების ამოყვანა, ხედავთ? გიორგი დიდ ვარცლში სილას და ცემენტს ურევს, მერე წყალს ასხამს და კარგად აურევს ისევ – ბეტონის ხსნარს ამზადებს. მერე ვედროებით მიაქვს ხსნარი სერგოსა და თამაზთან, რომლებიც გამალებით თხელ ფენად ასხამენ ხსნარს, მერე ზედ აწყობენ მორიგ რიგს ბლოკებისა – კედელი მაღლდება და მაღლდება. "აბა ხსნარი!"– ხშირ-ხშირად უძახიან გიორგის, ისიც ჯარასავით ტრიალებს, ორი-სამი კაცის საქმეს აკეთებს.

– მერე?

– მერე დარჩენილ ღრიჭოებს ამოავსებენ ბეტონითვე, კედლებს გარედან და შიგნიდან შელესავენ...

– გარედან შეიძლება არც შელესო, – ებმება საუბარში თამაზი, – ქვის კედელია, ლამაზი ფერის ქვაა.

ამ დროს მოვიდა ჟუჟუნა, გიორგის დედა, მოიტანა საჭმელი: პომიდორი, კიტრი, პური, ყველი, ქვაბით ცხელი კერძი, აგრეთვე ბოცით ღვინო. ყველაფერი ეს გაშლილ გაზეთზე დააწყო.

– ხომ იცით, ცარიელი ტომარა ფეხზე ვერ დგება! – ამბობს ღიმილით გიორგი. – მოდი, ახლა ვიპურმარილოთ და მერე შრომაც უფრო შედეგიანი იქნება. აგერ სტუმრებიც გვეწვივნენ, დაგვლოცავენ: ახლა – ფუძეს და მერე, როცა გადავხურავთ, – ჭერსაც...

ჩვენ მადლობა გადავუხადეთ, ახალი ამდგარი ვიყავით სუფრიდან.

– გაუმარჯოს მზის შუქს, ჭირნახულის გემოს და ადამიანის იმედს! – წარმოთქვა პირველი სადღეგრძელო სერგომ.

ჩვენ კი გამოვბრუნდით.

– ახლა ჩვენ ტყეში წავიდეთ, გავიარ-გამოვიაროთ, მერე დავბრუნდეთ აქ, ვნახოთ, როგორ წავიდა საქმე წინ.

საღამო ჟამს ისევ მშენებლებთან მივედით.

– ვა, რამდენი აუშენებიათ! – გაუკვირდა დათუნას.

მშენებლებს კედლების ამოყვანა დაემთავრებინათ, ახლა რკინის არმატურას აწყობდნენ კედლის ზევიდან მიწისძვრის საწინააღმდეგო სარტყელის მოსაწყობად. გიორგის, თამაზსა და სერგოს გვერდით კიდევ სამი ყმაწვილი კაცი მუშაობდა, ყველანი ჯანიანები; ორნი თამაზის ვაჟიშვილები იყვნენ.

– ხვალ ამ სარტყელს დავაბეტონებთ და მერე ერთი-ორი დღე დავისვენებთ, სანამ ბეტონი შეიკვრება.

მეორე დღესაც ამინდმა ხელი შეუწყო მშენებლებს – მოღრუბლული იყო, მზე ხან გამოიხედავდა, ხანაც ღრუბლებს ეფარებოდა; სუსტი ქარი ქროდა – არც ციოდა და არც ცხელოდა, ნამდვილად კარგი სამუშაო ამინდი იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ მოაძვრეს შეფიცვრა და დაიწყეს კოჭების დაყენება სარტყელზე.

– ამ კოჭებზე ნივნივებს დავამაგრებთ, იმაზე კიდევ – თუნუქს დავაკრავთ ზევიდან სახურავად. კოჭებს ქვევიდან ლამფის ფიცრებს ავაკრავთ, ლამფაზე – ფირფიცრის ფილებს და იქნება მშვენიერი ჭერი! – უხსნის ბიჭებს თამაზი. – ქვევითაც კოჭებს დავაწყობთ, ზედ ფიცრებს დავაჭედებთ და იატაკიც მზად იქნება...

მერე ამინდმა ისევ აურია, ჭერის კოჭების დაწყობა გაუჭიანურდათ. წამოწვიმდა – მომუშავენი თავს შეაფარებდნენ; ცოტა ხანში გადაიღებდა და ისევ გახურდებოდა მუშაობა.

– ჩვენ მოცლილები ვართ, არა? – იკითხა ერთხელ დათუნამ, როცა ერთ-ერთი ასეთი სამუშაო შუალედის დროს ვაკვირდებოდით მშენებელთა საქმიანობას.

– რატომ ვართ მოცლილნი? – არ დავეთანხმე მე. – ჩვენ ვსწავლობთ!

– შენც სწავლობ? – გაუკვირდა ბესიკს.

– დიახ, მეც, მიუხედავად იმისა, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნისა ვარ... ყურადღებით დაუკვირდით ყოველივეს, ცოდნა ზედმეტი ბარგი არასდროს ყოფილა.

მანამდე თუ დროდადრო ისმოდა ჩაქუჩის კაკუნი, ახლა, როცა დაიწყეს ნივნივების დაყენება, დილიდან საღამომდე გრძელდებოდა მხიარული რაკარუკი – ნივნივებზე თუნუქის დამჭერი ფიცრებიც ხომ უნდა მიეჭედებინათ. მერე სხვა ყაიდის კაკუნის დროც დადგა – ოდნავ ტალღოვანი, ლითონის ობერტონებით – თუნუქს აჭედებდნენ! ჩქარობენ, ჩქარობენ – სახლი რომ გადაიხურება, წვიმა აღარ შეუშლით ხელს, შიგნით შეიძლება, ნელ-ნელა გააგრძელო მუშაობა და ღამე გათიო კიდეც, თუ გიჭირს!

“კაკ-კუკ! კაკ-კუკ-კაკ-კუკ!”

“კაკ” – ჩაქუჩის დარტყმის ხმაა, “კუკ” – ყრუდ ირეკლება ექო მეზობელი სახლიდან.

– მამიკო, ნუ ხმაურობთ, პატარა ბავშვებს ნუ აწუხებთ, შუადღის ძილს ნუ უფრთხობთო, ჩვენ რომ გვეჩხუბები, ესენი რომ დილიდან საღამომდე უკაკუნებენ? – დათუნა შემომყურებს, აბა, რას ვუპასუხებ?

– ძალიანაც კარგი, თუ უკაკუნებენ! ეგ სხვა ხმაურია, ბიჭებო! მაგ კაკუნ-ხმაურს ყველა მოწონებით, სიხარულით და იმედით უსმენს: კიდევ ერთი სახლი შენდება! როცა კაკუნი ხშირია, სახლი სწრაფად შენდება; აი, როცა შეწყდება ჟრიამული, განსაკუთრებით, თუ კარგა ხანს აღარ ისმის მშენებლობის ხმაური, მაშინაა საფიქრალიც და შემაშფოთებელიც – ან ამინდი აფერხებს საქმის გაგრძელებას, ან თვითონ მშენებელი რაიმე მიზეზით ვერ იცლის, ან უარესი – საშენი მასალები შემოაკლდა, ფული შემოელია... ჰოდა, სიჩუმე მაშინ გულის შემაწუხებელია – სულ იმას ფიქრობენ მეზობლები, ნეტა როდის განახლდება მხიარული “კაკ-კუკ! კაკ-კუკ-კაკ-კუკ!”, რომ დროულად დავლოცოთ ჟუჟუნასა და გიორგის ახალი სახლის ფუძეცა და ჭერიც, მშენებლების მარჯვე მარჯვენაცო!

ღმერთო, ყველა სახლის მშენებელს ხელი მოუმართე!

ბესიკი ჰყვება: “როგორ შემილოცეს”

მე და ბესიკი წავედით ბაკურიანის ბიბლიოთეკაში წიგნების გამოსაცვლელად. მე სამკითხველო დარბაზში გაზეთების კითხვით გავერთე, ბესომ ერთხანს ჟურნალები ათვალიერა, მერე მოსწყინდა და გარეთ გაიპარა.

როცა მეც ქუჩაში გავედი, ბესომ მითხრა, რომ უსაქმურობისგან სული გადაელია. დაინახა, ორი-სამი ძაღლი თავის საქმეზე მიძუნძულებდა. "ნწუ-ნწუო", – დაუწრუწუნა. ერთი მათგანი, ჭრელი, ცუღლუტთვალება, მიცუნცულდა ბესოსთან. ბესომ მარჯვენა ხელი გაუწვდინა, უნდოდა, თავზე გადაესვა, რა ჭკვიანი ხარო, მოფერებოდა, ძაღლმა კი ღრენით წაეტანა ხელზე. ბესომ მოასწრო ხელის გაცლა, მაგრამ ძაღლმაც მოასწრო კბილებით გაკაწვრა ხელის მტევნის ზურგისა...

საერთოდ, ბესოს დამით შფოთიანად სძინავს, სულ ტრიალებს... ახლა ლიამ დაიჯინა, ბესო ძაღლისგან შეშინებულია და ქალებმა მითხრეს, ქვემოთ, ბაზრისკენ, ორი ქალია მკითხავები და რომელთან მივიყვანო შესალოცადო. მე ცრურწმენის წინააღმდეგი ვარ (ამ ბოლო დროს საოცრად იმატა მკითხავებმა, ქირომანტებმა, ექსტრასენსებმა, ასტროლოგებმა ექიმბაშებმა, წინასწარმეტყველებმა და სხვა ჯურის ყალთაბანდებმა; გახშირდა წერილები პრესაში და ტელე-რადიოგადაცემები უცხოპლანეტელებზე, მფრინავ თეფშებზე, მზერით საგანთა გადაადგილებაზე და მსგავს ცრუ საოცრებათა შესახებ...), ამიტომ ვუთხარი ლიას, ტყუილად ნუ ირჯები, ის შენი მკითხავ-შემლოცველი რის გამკეთებელია-მეთქი. მერე ვიფიქრე, შესაძლოა, ფსიქოთერაპიული ეფექტი მაინც ექნება-მეთქი და წინააღმდეგობა აღარ გავუწიე მაინცდამაინც. მე ბესოს კარგა ხანს ველაპარაკე ცოფზე, რათა ძაღლებთან, განსაკუთრებით უცნობებთან, ამიერიდან ასეთი ძმაკაცური დამოკიდებულება აღარ გამოეჩინა. ეტყობა, ბატონი ბესარიონი საკმაოდ დაშინდა, სულ დაწვრილებით გამომკითხა, რამდენი დღეა ცოფის ფარული პერიოდი, როგორი კლინიკური ნიშნები აქვს დაავადებას, მკურნალობის რა ხერხები არსებობსო. ალბათ ცოტა ზედმეტადაც კი დაშინდა და შემლოცველის დაწყნარება ვნებას ხომ მაინც არაფერს მოუტანდა.

დანარჩენს მოგახსენებთ ბესიკის მონათხრობის მიხედვით, როგორც მე ის დამამახსოვრდა (საღამოს კარგა ხანს გვიყვებოდა ყველაფერს მე და დათუნას და ჩვენც შიგადაშიგ ირონიულ კომენტარებს ვურთავდით).

მაშ ასე, მოვუსმინოთ ბატონ ბესარიონს.

შემლოცველი იქნებოდა 75 წლის ქალი, მოხუცს შურა ერქვა.

"რომ მივედით, სათითაოდ გაგვაცნო თავისი შინაურები: "ეს ჩემი შვილია, ეს – ძმისშვილი, ეს – შვილიშვილი... (დათუნა აგრძელებს: "ეს ჩემი ბუზია, ეს – კოღოა, ეს – კატაა!", თან თითს ხან იატაკს დაუმიზნებს, ხან – ჭერს); მე ხუთი შვილი გავზარდე: ვადიმი, ნოდარი...".

ხელები დამაწყობინა მის მუხლებზე, როცა გადმოვარდებოდა მუხლიდან – უკან აბრუნებდა.

ხელში შავტარიანი დანა ეჭირა, დამადო ყანყრატოზე, მუცელზე, მკერდზე მარჯვნივ და მარცხნივ – თითქოს ჯვარს გადამწერდა დანით. სულ ამთქნარებდა და მეშინოდა, დანა არ გამიყაროს-მეთქი... იცი, ცერზე რამხელა ფრჩხილი ჰქონდა?.. სულ ამთქნარებდა და ამთქნარებდა, მეც მთქნარება ამიტყდა. თან შინაურებს ბრძანებებს აძლევდა, ხელმძღვანელობდა, თან ბუტბუტებდა შელოცვას: "გამოდი, შიშო, გამოდი, გამოდი შავტარიანი დანითა, გამოეთრიე ცელითა, ნამგლითა... (დათუნა აგრძელებს: "ტრაქტორითა, მოტოციკლითა..."). მე კარგი თვალი მაქვსო, ამბობს, ზოგს კი ავი თვალი აქვსო. ერთი მოხუცი მიდიოდაო ქუჩაში, ქალს შეხედა და იმას ყელზე მძივები დაუსკდაო... კინაღამ მოკვდა მთქნარებით, მეც ერთი ასჯერ დავამთქნარე. ეცვა ორი სქელი ხალათი: ერთი – ვარდებიანი, მეორე – კოპლებიანი. მეუბნება: "აი, ეს რომ დაგეწვება (აიწია კაბა, გამოაჩინა სქელი ტრიკო, სქელი წინდები – ალაგ-ალაგ დახეული, ნახვრეტებიანი) – იმის შელოცვას გასწავლიო. ვერ გავიგე, რა უნდა დამწვოდა? მე სკოლაში თერთმეტი წელი ვმუშაობდი კარისკაცადო; ბავშვები მემუქრებოდნენ – გარეთ რომ არ გვიშვებ, ავტობუსით უნდა გადაგიაროთო, ისეთი სქელი ხარო, დამემუქრნენო (დათუნა აგრძელებს: "ბავშვებს ეუბნება: სკოლაში ხომ არ გაბრაზებენ? 20 კაპიკი მომიტანე და აღარ გცემენ..." ვისაც ხშირად სცემენ, იმას ეუბნება: "შენ ჩემი მუდმივი კლიენტი ხარ, მანეთი მომიტანე!"). მეუბნება: "ბესიკ, შენ ნერვიული ბავშვი ჩანხარ, სკოლაში აყალმაყალს მოერიდე. სკოლაში ჩხუბის დროს აიღე სკამი და დაჯექი კუთხეში შენთვის. უყურე იქიდან წყნარად... ურტყან ერთმანეთს ჩანთები თავებში (მე ვეჩრები ბესოს მონოლოგში: "იქაც, კუთხეში რომ მომძებნიან?"). მეუბნება; "შენ ხომ ხედავ, შვილო, კარგი ბალღი ხარ (დათუნა: "ჭორფლი გამშვენებს, ყურპარტყუნაც ხარ...")... ამ მაისურს შეგილოცავ, ეს შელოცილი მაისური სუფთაა – დილას არ დაფერთხოთ... ხელი სუფთა მაქვს – დილას ხელ-პირი დავიბანე, საჭმელი გავაკეთე, ძროხა მოვწველე (დათუნა: "ბევრჯერ დავამთქნარე, ბუზები დავთვალე...")... დილას ეს მაისური ჩააცვიო, – დედას ეუბნება (დათუნა: "ნიფხავიც გამოუცვალე! აუცილებლად!")... უზრდელო, მაცალე!

ბესო გაიბუტა და მოყოლა შეწყვიტა.

ამ დროს მე ჩავერთე დაძაბულობის განსამუხტავად:

– მოდით ექსკურსია მოვაწყოთ იმ ქალის სანახავად. ლია, შენ უნდა უთხრა შემლოცველს: "დეიდა შურა, ჩემი ქმარი ღამე დგება და კედლებზე და ჭერზე დასეირნობს. დილას რომ გავიღვიძებთ, ჭერზე მისი ნაფეხურებია..." შემილოცავს და ვიქნები ნორმალური!

ბესომაც გაიცინა და დააპირა ამბის გაგრძელება, მაგრამ ძილის დროს თურმე რა ხანია გადავცდით – შემდგომი თხრობა ხვალისთვის გადავდეთ.

უიღბლო დღე

ჩავყარეთ ჩანთაში 20 ცალი კარტოფილი (თითო სულზე 5-5 ცალი – დათუნამ მათემატიკა ტყუილად კი არ ისწავლა!), 4 მსხალი, 4 ვაშლი, რამდენიმე თავი ხახვი, პომიდორები, მარილი, თევზის კონსერვი, პურის გოგორა, ნახევარლიტრიანი ბოთლებით თაფლგარეული ჩაი და ტყეში გავწიეთ – იქ მაგრად ვიქეიფებთ!

კარტოფილს შევწვავთ!

სოკოს მოვკრეფთ და შევწვავთ!

მარწყვს გეახლებით!

საღამოს, შინ მიტანილი სოკოთი – კვლავ მოვილხენთ!

აი, ასეთი ლამაზი გეგმა გვქონდა ჩვენ – დათუნას, ბესიკს, ქალბატონ ლიასა და მე.

გადავიარეთ იაგორას მინდორი, თან ცოტ-ცოტა მინდვრის პიტნაც დავკრიფეთ გასახმობად.

საკმაოდ ძლიერი ქარი ქრის, ცაში ღრუბლები დავლურს უვლიან – ეჭვით ვიყურები მაღლა.

– რა ვქნათ, თუ წვიმა მოგვისწრებს? – მეკითხება დათუნა.

– დავსველდეთ!

დათუნა იბღუზება, ჩემი ხუმრობა არ მოსწონს. მას და ბესოს ერთი სული აქვთ, როდის გააჩაღებენ კოცონს... ტყეში შემწვარი კარტოფილის ეშხით გამოვიტყუეთ შინიდან, თორემ ბავშვებთან თამაში ერჩიათ. ამიტომ ჩქარობენ "შტაბში" მისვლას – ერთი ამოჩემებული ადგილი გვაქვს ტყეში: პატარა მინდორია, ყოველი მხრიდან ტყით გარშემორტყმული; იქ სამი ნაძვის კუნძია – ერთი მინდვრის თითქმის შუაში, მეორე – შუახნის ნაძვთან, მესამე კი – ნორჩი ნაძვების კორომის წინ. ეს მესამე კუნძი ყველაზე ლამაზია – მაღალი, ზედ მარწყვი დასახლებულა და ამ მარწყვნარიდან ამოზრდილა რამდენიმე წლის წერწეტა ნაძვი. ეს კუნძი წინათ აკვარელით დახატულიც მაქვს და ახლა რომ ვადარებ, ვხედავ როგორ გაზრდილა ნაძვი და დაძაბუნებულა კუნძი – ალაგ-ალაგ გამოფუტუროებულია და ერთ-ორ წელიწადში წაიქცევა კიდეც. მასზე ამოსულ ნაძვს რა მოელის?

ამ ფიქრებში ვარ და ბესოს ძახილი მესმის:

– მამიკო, მოდი, ნახე!

ლამაზი, დიდი სოკო უპოვია, უცნაური ფერი აქვს – მომწვანო-მოყვითალო; გადანატეხზე ზაფრანისფერია, ცოტა ხანში მოწითალო-ფორთოხლისფრად იყანგება.

– არ ვიცი, ჩემთვის ეს სოკო უცნობია. ამ სოკოს ბესოს გარდა არავინ ჭამს!

– არა, ამ სოკოს მგელიც ჭამს! – ამყვა თამაშში ბესო. – მეც მგელი ვარ: უ-უ-უ!..

– მამიკო, მელიების ფერმებთან მივიდეთ! – მეღრიჯება დათუნა.

– შორსაა! თან გვიანაა უკვე, კარტოფილის შეწვას ვეღარ მოვასწრებთ!

– დათვების ფერმა თუ არსებობს? – არ მეშვება დათუნა.

– კი, როგორ არა. ერთი თბილისში მეცა მაქვს, ორი პატარა დათვის ბელი იზრდება – დათუნა და ბესუნა! – თმებს ვუჩეჩავ ძმებს.

ისევ ტყე, ფეხქვეშ ჭანჭრობის ხან მწვანე ხავსის ხავერდია, ხან – გამხმარი ტოტის ტკაცუნი, ხან – ჭყაპუნი... ხტუნვა-ხტუნვით გავდივართ მშრალ გზაზე. რაღაც გასრულასავით ჭახანით ტყდება მაღლა ხეს და ბრაგვანს ადენს ჩვენს წინ – მსხვილი გამხმარი ტოტი. გადავრჩით! რაღა ახლა მოუნდა დალოცვილს ჩვენს შესაშინებლად ჩამოვარდნა...

სადაა სოკო!

"ყვა-ყვა!" – დაგვცინიან ყვავები.

თეთრ არყასოკოებს ყოველთვის შეხვდები ტყეში. თუკი წამოადუღებ და ერთ პირ წყალს გადაღვრი მწარე რძიანა წვენის მოსაცილებლად, შემდეგ ძლიერ ცეცხლზე შეწვავ კარაქსა ან ერბოში ხახვთან ერთად – მშვენიერი გემო აქვს. რადგან სხვა, უკეთეს სოკოს ვერ ვხვდებით ("სად ხართ დათვისსოკოებო, ირემასოკოებო, წეროსწვივებო, ქამასოკოებო?" – მღერიან ბიჭები) – არყას მაინც მოვაგროვებთ-მეთქი, მაგრამ... მაგრამ ყველა რატომღაც ჭიანი გამოდგა (არადა, წამიკითხავს: არყასოკო იშვიათად ჭიანდება თავისი სიმწარის გამოო). მივაღწიეთ ტყეში გამავალი გზის განაპირას მდგომ, მაღალ, წერწეტა ფიჭვამდეც; მას ქვედა ტოტები არ აქვს და დგას ასე, ასვეტილი, სხვა ხეებზე ბევრად მაღლა წასული.

– ჩვენი ადგილი! – ყვირის ლია. ის საერთოდ ცუდად იკვლევს გზას ტყეში, ამჯერად მანაც იცნო ჩვენი "შტაბის" ადგილი.

ბიჭებმა სხარტად მოარბენინეს ჩინჩხვარი, ხმელი ტოტები. პატარა მინდორზე კოცონის გასაჩაღებლად ჯერ ქვევით დაჭმუჭვნილი გაზეთის ნაგლეჯი დავაფინე, ზევიდან თანაბრად შემოვუწყვე ჯერ სულ წვრილი ტოტები, მერე – უფრო მსხვილები, ისე, რომ "სასუნთქი" ჰქონოდა ცეცხლს, ბოლოს გავკარი ასანთს...

– ვერ აანთებ! – ამბობს ბესიკი დაბეჯითებით, დათუნაც კვერს უკრავს. ორივეს უნდა, თვითონ გააჩაღონ კოცონი, მაგრამ ჯერ უნდა უყურონ და ისწავლონ.

ალმა წითელი ენები გამოყო, ნიავმა კიდევ უფრო გააძლიერა და მალე ცეცხლმა მხიარული ტკაცატკუცით იმძლავრა. დათუნამ მაშინვე მოათრია ნაძვის დიდი ტოტი, რომელსაც გამხმარი წიწვები ჰქონდა შერჩენილი და კოცონს ზევიდან დაადო. ცეცხლმა თითქოს იფეთქა, გადაირია, ცისკენ აიჭრა და ისეთი ალმური მოგვასკდა უცებ, რომ უკან ვისკუპეთ... დიდი ჯოხი ავიღე და საჩქაროდ დავიწყე ცეცხლის განელება, რადგან ქარიანი ამინდი იყო, ეშმაკს არ ეძინა და მეტისმეტად გაძლიერებული ალი შეიძლებოდა, ახლო მდგომი ნაძვების ტოტებს მისწვდომოდა...

უცებ შევნიშნე, რომ ბესიკს ტოტები მოაქვს და მდელოს ერთ კუთხეში აწყობს; ეტყობა, "საკუთარი" კოცონის დანთებას აპირებს... თავი ვერ შევიკავე და ვუყვირე – ახლავე დაშალე, ამ ქარში მინდვრის კიდეში ცეცხლის დანთება მხოლოდ სულელს შეუძლია-მეთქი...

სანამ თევზის კონსერვი გავხსენით, პომიდორი და პური დავჭერით, ხახვი გავარჩიეთ, კოცონიც ნაკვერჩხლებად იქცა, ჩავალაგეთ შიგ ჩვენი კარტოფილი, ჯოხით ზევიდან ღველფიც წავაყარეთ და სუფრას – კუნძზე გაშლილ გაზეთს – მივუჩოჩდით. ბესიკმა არ ისურვა "ჩვენს" კარტოფილებთან "ერთ ბედქვეშ" ყოფნა და თავისი კარტოფილები ცალკე კუთხეში შეაქუჩა. "სეპარატისტული" კოცონი ვერ გააჩაღა, სამაგიეროდ, ამ "აქციით" გამოხატა თავისი გულისწყრომა.

დანარჩენები უმადობას არ ვუჩიოდით (არის კი ვინმე ტყეში წასული უმადო?); მოკლე ხანში ჩვენი წილი შევსანსლეთ (ხილის ჩათვლით) და ახლა ჯოხების ძებნას შევუდექით ჯერ ნახევრად უმი კარტოფილების ნაკვერჩხლებიდან გამოსაგორებლად. ვითუთქავდით პირს, შავად გვეთხუპნებოდა ტუჩები (დათუნას – ლოყებიც და ცხვირის წვერიც). ბესოც შემოგვიერთდა ბოლოს.

– ანია, ანია! – მოგვესმა უცებ ჩახრინწული, რიხიანი ძახილი.

– აქა ვარ! – გაეპასუხა რუსულად ქალის წიკვინა ხმა.

– ანია, სადა ხარ, შენი ჯიში გაწყდა! – ბობოქრობდა კაცი, ეტყობა, ყურს აკლდა.

"შტაბის" მოედანზე ახალგაზრდა ნაძვებს შორის გამოჩნდა ძველი ნაცნობი, გადამდგარი შორეული ცურვის კაპიტანი შოთა, რომელსაც ცალ ხელში კალათი ეჭირა, მეორეში – ჯოხი.

– აბა ერთი, რამდენი სოკო დაგიგროვებიათ! – ეცა უბოდიშოდ ჩვენს მიწაზე დაგდებულ ცელოფანის პარკს; შიგ ვერაფერი ნახა და ცოტა გუნება გამოუკეთდა. – ამდენი ხალხი რომ მოედება ტყეს, იქ რას დაგიტოვებენ! – ჩაიბურდღუნა და "ანია! ანია!"-ს ძახილით ცოლის საძებნელად გაეშურა.

– ეტყობა, დღეს უიღბლო დღეა, შოთასაც ვერაფერი უპოვია!

ბესოს გამო კაი ნახევარი საათით დავაგვიანეთ ჩვენი ბანაკიდან გასვლა. წინდაწინ საგულდაგულოდ ჩავაქრეთ უკანასკნელი მბჟუტავი ნაკვერჩხლებიც და დასვენებულებმა და კმაყოფილებმა გავაგრძელეთ გზა სოკოზე "სანადიროდ".

ბესო სულ გან-გან დადის, დასუნსულებს მეძებარივით, უნდა სოკო ბლომად იპოვოს, გვეჯიბრება.

– ბიჭებო, ნუ დავცილდებით ერთმანეთს, გზა არ აგებნეთ! – ვაფრთხილებ დათუნასა და ბესიკს. – მოდით ჩემთან, ერთად ვიაროთ. მარტონი სახლის გზას გააგნებთ?

– მამიკო ხავსით აგნებს! – ეკვეხება საუბარში ქალბატონი ლია. – როცა მზე არ ჩანს, ხავსით გაიგებს – ხეებს ჩრდილოეთი მხრიდან აქვს.

– კარგი, პროფესორო, ახლა გვიბრძანე, საითკენაა ჩვენი სახლი, რომელი მიმართულებით უნდა წავიდეთ? – ვეკითხები ლიას.

ლია დაბნეული იყურება ირგვლივ.

თვალგაფაციცებულნი მივაბიჯებთ, ვამახვილებთ მზერას – სად ხარ, სოკოვ! რამდენიმე ღვინიოს მეტი ვერაფერი ვიპოვეთ.

ჩამობნელდა, შორიდან ყრუ გრუხუნის ხმა მოგორავს.

– აბა, მოვუსვათ შინისკენ, წვიმას მივასწროთ! ბესო! დათო!

ბესო წიფლის ტოტზე ზის, დათუნა იმავე ხეზე ახლა მიძვრება.

– რა დროს ხეზე ძრომიალია, ჩამოდით ახლავე ძირს!

– ორი წუთი! – მეხვეწება ზევიდან ბესო.

– ალპინისტი ვარ!.. კასკადერი ვარ!.. – მღერის დათუნა და გაჭირვებით მიიწევს მაღლა, მერე ბესოს ეუბნება: – მოდი, ეს ხე ჩვენი იყოს!

ათი წუთი გავიდა... ხან ყვირილით, ხან ხვეწნით დათუნა ქვევით ჩამოვიყვანე, ისიც სანახევროდ – შუა გზაზე გაეჩხირა. ბესოც ვეღარ ჩამოდის.

– გამიშვი!.. – ჭიჭყინებს ბესარიონი.

– არ გაგიშვებ! შენ ხის დათვი ხარ და ფოთლები უნდა ჭამო! მანდ უნდა იჯდე ზამთარშიც!..

– გამიშვი!.. მამა!..

– შენ ხომ კარგი სავარძელი გაქვს!.. იჯექი მანდ გაზაფხულამდე!

– გამიშვი!..

– იცოდე, ეს ჩემი წიფელია და წიწიბო არ ჭამო, ხელი არ დააკარო! მარტო ფოთლები მიირთვი!

ჩემი ყვირილი და მუქარა არ ჭრის, ბიჭები განაგრძობენ ღლაბუცს. დათუნა ბესოს შარვალზე ექაჩება, ვითომ უნდა გახადოს. ბესო ოდნავ მაღლა ადის, განზე გაშვერილ ტოტს დაეკიდა, ხელების მონაცვლეობით გამოჰყვა ნელ-ნელა დახრილ ტოტს და ბოლოს, დაწეული ტოტის ბოლოდან ძირს ჩამოხტა.

დათუნა მევაჭრება – მეც თუ ბესოსავით ტოტს გამოვყვები, რას მომცემო. ფოტოაპარატის ყიდვას ვპირდები, ოღონდ თუ ახლავე ჩამოვა – უკვე ფოთლებზე წვეთების წკაპაწკუპი გვესმის...

დათუნა წვრილ ქვედა ტოტს ჩამოეკიდა და ბრაგვანით მაშინვე ჩამოხტა, მსხვილ ტოტზე გამოყოლისა შეეშინდა.

ფხაკაფხუკით გავრბივართ შინისკენ, გზად მიგვაცილებს ჭექა-ქუხილის გრგვინვა და გაავებული ქარი.

მიმართულება მიახლოებით ავიღე. ნაძვებქვეშ ვცდილობთ სიარულს, იქ ჯერ ვერ ატანს წვიმა. მოულოდნელად იაგორას მინდორმა გამოანათა, აღმართიც ქოშინით ავლიეთ და მალე ჩვენს აივანზე ვიხდიდით ტალახიან ფეხსაცმელებს – გზად ვჩქარობდით და ხან აქ ვტუცებდით ფეხს ჭყანტობში, ხან – იქ.

აწი რაღა გვიჭირს – შინ ვართ! ცხელ ჩაისაც მივირთმევთ და გაციება ახლოსაც არ მოგვეკარება!

ვუყურებთ ცას – გრუხუნი შენელდა, განათდა კიდეც და ათიოდ წუთში მხიარულმა მზემ გამოაჭყიტა! შავი ღრუბლები აღმოსავლეთისკენ მიჰქრიან – უკვე მიტარბის მხარეს არიან და, მგონი, არც იქ აპირებენ შეჩერებას...

ესეც შენი წვიმა! მოტყუებულები დავრჩით... ვინ მოგვატყუა? შეგვაშინა დასველებით და ტყიდან დროზე ადრე გამოგვაცუნცულა... არადა, ახლაა კარგი ტყეში სიარული!..

ეჰ, უიღბლო დღეა, თავიდანვე ვერ აეწყო. რას იზამ, ჩვენი ბრალი არ არის ასე ყოველმხრივ გაცუცურაკება!

ბაკურიანი: აგვისტოს "ეპიდემიები"

1 აგვისტო.
ბავშვებმა კინოთეატრში ნახეს ფრანგული ფილმი "სამი მუშკეტერი".

2 აგვისტო.
ყველა ბავშვს, გოგოებსაც კი, ხის ხმლები და დაშნები გამოუჩორკნია – არის ატეხილი ერთი ჩახაჩუხი. ნათიას გიამ შუბლში აძგერა მსხვილი მავთულის წვერი, მამუკამ გოჩას მუცელში უჩხვლიტა ხის "დაშნა". დაზარალებულებს იოდი წაუსვეს, მავთულის "დაშნებს" წვერები გადაუღუნეს. კახას დედამისი აღარ უშვებს ეზოში დანარჩენ ბავშვებთან სათამაშოდ.

4 აგვისტო.
კინოთეატრში გადიოდა ფილმი "მაფიის ქსელი".

5 აგვისტო.
ბაკურიანის უნივერმაღში გაიყიდა ყველა სათამაშო "ფიშტოები" და ავტომატები. მთელი დღე ისმის ბავშვების ჟრიამული – დარბიან და ყვირიან: "ბახ-ბახ-ბახ!", "ესვრიან" ერთმანეთს.

8 აგვისტო.
კინოთეატრში აჩვენეს "რობინ ჰუდი".

9 აგვისტო.
ბავშვებს მოედო მშვილდ-ისრების კეთების ეპიდემია. ყველანი მამებს და დედებს თხოვენ – თხილნარში წავიდეთ სასეირნოდ, თხილისგან კარგი ისრებიც გამოდის და მშვილდიცო.

10 აგვისტო.
ლიკამ ნიკა წვეტიანი ისრით "დაკოდა". აბღავლებულმა ბიჭის დედამ ლიკას დედა გალანძღა. გიამ დათუნა და გოჩა დააყენა კედელთან და მათ თავებზე დადებულ კონსერვის კოლოფს ისრებს ესროდა. მართალია, ისრებს წვერზე საგანგებოდ რეზინის ბუნიკები ჰქონდა წამოცმული, მაგრამ როცა გოჩას სახეში მოხვდა ისარი, ისეთი ღრიალი მორთო, რომ შეშინებული გია გაიქცა და საღამომდე ტყეში დაბოდიალობდა.

12 აგვისტო.

ნატოს დღეობა იყო. ბავშვები სუფრას უსხდნენ და თან ტელევიზორში ფეხბურთის მატჩი ნახეს – თბილისის "დინამომ" ბრწყინვალედ მოიგო – 5 : 0!

13 აგვისტო.
ნიკამ ფეხბურთის თამაშის დროს ფეხი იღრძო და თბილისში წაიყვანეს, ბესოს ბურთი თავში მოხვდა და ლოგინში დააწვინეს. დათუნა უფროსმა ბიჭებმა არ ათამაშეს და გადარჩა. საღამოს ორივე მაინც წავიდა კინოფილმის სანახავად, უჩვენეს "შესანიშნავი შვიდეული".

14 აგვისტო.
ბავშვები ეზოში დანასობიას თამაშობენ, ვარჯიშობენ დანის ჩარჭობაში და ესვრიან დანებს ხეებს, ბოძებს, კარებებს... უნივერმაღში ჯაყვები გაქრა, ერთ დღეში გაიყიდა. დათუნასა და ბესიკს ლიამ დაუძახა, ვიღაცის დანა წაართვა და ეზოში აღარ უშვებს.

17 აგვისტო.
კინოთეატრში გადის "ტარზანი"!

18 აგვისტო.
ხეებზე ძრომიალის ეპიდემია მძვინვარებს. ხეები დახუნძლულია ბავშვებით. ნიკა ჩამოვარდა და ხელი მოიტეხა, თბილისში გააქანეს.

19 აგვისტო.
აღარც ნატოს და ოთარს უშვებენ ეზოში. აგვისტოს ბოლომდე თითქმის ორი კვირა დარჩა და ჩამოსულ ბავშვთა რაოდენობა შესამჩნევლად შემცირდა. ნეტავ უკვე "ეპიდემიების" მსხვერპლი რამდენი ბავშვია თბილისში დროზე ადრე დაბრუნებული? 23 აგვისტოს ბესიკის დაბადების დღეა და საზეიმო სუფრას ბევრი ვეღარ დაესწრება.
მოხუცი პლატონი, ჯოხზე დაყრდნობილი, ზის ფიჭვის დიდ მორზე და ამბობს:
– მე რო მაგათი ხნისა ვიყა, არა, ძროხაში დავდიოდი, სისხამ დილიდან დაღამებამდე ტყე–ღრეში ვმწყემსავდი... ძაან გაყალთაბანდდა დიდიცა და პატარაცა, ძაან!..

ნახტომი

აგვისტოში ზოგჯერ ბაკურიანშიც უსაშველოდ დახუთული სიცხე იცის..
რა არის ამ დროს ყველაზე უკეთესი? რა თქმა უნდა, ტყეში გასეირნება! თუ ცოტა მარწყვსაც მოკრეფ, მაგას რაღა ჯობს. შავი მოცხარის "პლანტაცია" რომ ვიცი ერთ ადგილას, არ იქნება ურიგო დახედვა – ალბათ სიცხეებმა თავისი ქნეს, ადრე დაამწიფეს.
ჰოდა, ლია, დათუნა, ბესიკი და მე უკვე თითქმის ჭიქას ვავსებდით მარწყვით, ერთი პირი დავიღალეთ კიდეც, როცა პატარა კლდოვანი ბორცვის თითქმის წვერზე ამოსული გაბარჯღული წიფლის ჩრდილში წამოვგორდით დასასვენებლად. დათუნა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ჩამოგვრჩა. ბესო უკვე მეზობლად მდგომი მომცრო წიფლის ხეზე იყო ამძვრალი, როცა როდის-როდის მობაჯბაჯდა დათუნაც.
– ხეზე ავედი! – ხმამაღლა მღეროდა ბესიკი და მაღლა მიძვრებოდა, – ბუმპა-ბუმპა! წიფლების მეფე ვარ! ბუმპა-ბუმპა! ნაძვების მეფეც ვარ! ბუმპა-ბუმპა!
დათუნაც მაშინვე იმ ხესთან მიცუნცულდა, ერთი ზევით ახედა მაღლა ტოტზე არხეინად მჯდომარე ძმას და აბღოტება სცადა – მარჯვენა ფეხი ასწია, ტერფი ხის ტანის პატარა გამონაშვერს მიაბჯინა, ხელებით კი პატარა ამონაზარდს და ტოტის გადანაჭერს ჩააფრინდა – აიზიდა და მაშინვე ხელი მოეცარა, ისევ მიწაზე დახტა.
– მამიკო, მოდი, მომეხმარე! – ჩემსკენ ღრეჯს შეწუხებულ სახეს დათუნა.
– ბესო ხომ ადვილად აძვრა, შენ რა, იმაზე ნაკლები ხარ? თვითონ ადი! – ვაგულიანებ და ადგილიდან არ ვიძვრი.
დათუნა ისევ ხლაფორთობს, მონდომებისგან ქშინავს: ხან ერთ ფეხს მიაბჯენს ხის ტანს, ხან ხელებით ზევით მოსაჭიდებელს მოინაცვლებს, შედეგი კი ერთია – გოჯითაც ვერ იწევს მაღლა...
ეძიძგილავა, ეძიძგილავა ხეს დათუნა და იმედგაცრუებული მოვიდა ჩემთან, აღარ მინდა ხეზე ასვლაო.
– ასვლა კი გინდა, მაგრამ იდედლე: ნახე, ბესო რა ცქვიტად ადის-ჩამოდის!
ბესიკი დათოს გასაღიზიანებლად ერთი სამჯერ სწრაფად ჩამოვიდა და სწრაფადვე ავიდა, თან ნიშნის მოგებით იღიმებოდა.
მივედი ხესთან და დათუნას დავუძახე:
– მოდი აქ!.. არასწორად ეჭიდები და ფეხსაც არასწორად ადგამ... უყურე! მარჯვენა ფეხი აქ უნდა დადგა, ხელებით აქ მოეჭიდე, მერე აიწიე და მარცხენა ფეხი ამ გამონაშვერზე დადგი... ახ-

ლა ხელები მოინაცვლე და მარცხენა ფეხზე აიწიე!.. მერე ხშირი ტოტები იწყება და სულ ადვილია ასვლა!

დათუნამ ამჯერად იმარჯვა; ჯერ ცოტა გაუჭირდა, მერე კი მაინც აბობღდა განტოტვის ადგილამდე. ძალიან გახარებული იყო, მაგრამ მალევე ჩამოყარა ყურები.

– ტოტი მიშლის! – შემომჩივლა, – მაღლა ვერ ავძვრები, ჩამოვალ რა! მოდი, მომეხმარე!..

– არ გაბედო! – ქვევიდან ვუყვირი. – მეორე მხრიდან მოუარე!.. თუ ასე არ გამოგდის, მეორენაირად სცადე!..

ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ დათუნა ისევ ცდილობს ზევით აიწიოს; ხელს ინაცვლებს, მერე – ფეხს, პოულობს მოხერხებულ მდგომარეობას და საკმაოდ იოლად მიძვრება ზევით... მალე ისევ ჩერდება:

– ვაიმე, გავიჭედე! რა ვქნა? ვერც ავდივარ და ვერც ჩამოვდივარ!..

ყველანი თავაღერილები შევცქერით დათუნას ფართხალს.

– ძალიან კარგი, იყავი მანდ! ღამეც მანდ გაათიე! ნუ გეშინია, მგლები ხეზე ვერ ამოვლენ!

ჩემს ხმას დათუნა გაბრაზებას ატყობს, ერთხანს ჩუმადაა, მერე ნელ-ნელა, ცოდვილობით ქვევით იწევს... როცა სულ ქვედა ტოტამდე მოაღწია, დავუძახე:

– დათუნა, მაგ ტოტს ხელებით მოეჭიდე და გამოჰყევი! ნუ გეშინია, ტოტი ნელ-ნელა ქვევით დაიწევს...

დათუნა ისევ ორჭოფობს, ჩამოსვლაც უძნელდება ხის ტანზე და ტოტზე გამოყოლაც აფრთხობს... ბოლოს, როცა რამდენჯერმე გასამხნევებლად შევუძახე, გადაწყვიტა – ჩამოეკიდა ხელებით ტოტს და გამოჰყვა დიდი ზოზინით. დიდხანს არ უსხმარტალია, წონამ დასძლია, ხელებში ძალა გამოელია და მიწაზე ბრაგვანით ჩამოხტა, ასე რომ, ტოტის ბოლომდე გასვლას ბევრი დააკლდა.

– თვალებში ქერქის ნაფხვენები ჩამეყარა! – იმართლა თავი.

– აბა, ახლა კიდევ ადი, თავიდან! – ვაქეზებ დათუნას.

ამჯერად ბევრად იოლად და სწრაფად აძვრა ხეზე, ჩამოსვლისას ისევ იმ ტოტს დაეკიდა ხელებით და ისევ ადრე ჩამოხტა, ამჯერადაც ვერ გაუყვა ბოლომდე.

– მე ამ ხეზე უნდა ავძვრე! – გულდაჯერებით გამოაცხადა ბესიკმა და იმ დიდ წიფლის ტანს შემორკალა ხელები, რომლის ქვეშაც ვისვენებდით. აფორთხდა ოდნავ, მერე ცოტაზე კიდევ და ისევ უკან ჩამოსრიალდა, მიწამდე, ფეხი ვერ მოიკიდა.

– ე, ბიჭო, შეეშვი, ხომ ხედავ, ვერ ადიხარ, შენთვის მეტისმეტად სქელია! – ვეუბნები ბესიკს, ის კი თავისას მაინც არ იშლის და ისევ და ისევ ცდილობს ზევით აძრომას...

სულ სხვადასხვა ხერხებს სცდის ბესო, დაეკაწრა მკლავებიც, ფეხებიც... ლია ეხვეწება, შვილო, თავს ნუ იკლავ, დაანებე თავი, მომავალ წელს, როცა წამოიზრდები, მაშინ სცადეო, მაგრამ ბიჭი მაინც არ ცხრება... მომწონს მისი სიკერპე, მივედი და ცოტათი წავეხმარე – ფეხი დავუჭირე, სანამ ქვედა, წვრილ ტოტს წაავლებდა ხელს; მერე იოლად აუყვა ზევით და გამარჯვებულმა ყიჟინა დასცხო...

– ახლა ამ ქვედა ტოტს გამოჰყევი! მიდი, ნუ გეშინია! – შევაგულიანე.

საკმაოდ დიდ სიმაღლეზე გვერდზე გამოშვერილ მსხვილ ტოტს დაეკიდა ხელებით (გამიკვირდა კიდეც მისი გაბედულება!), გამოჰყვა, მარჯვედ ინაცვლებდა ხელებს; ტოტიც ნელ-ნელა ქვევით-ქვევით იხრებოდა ბიჭის სიმძიმით, ბოლოს კი, როცა ბესო გავიდა ტოტის ბოლოში, თითქმის შეეხო ფეხებით მიწას და ჩამოხტა.

გაღიმებულ და გახარებულ ბესიკს გაოფლილ შუბლზე ვაკოცე, მერე დედასთან მივიყვანე. ლიამ ნაფხაჭნები ოდეკოლონიანი ბამბით ამოუსუფთავა. ბიჭი ცოტა კი იღმიჭებოდა ტკივილისგან, სანამ ლია წასმულ ადგილებზე სულს უბერავდა...

გზადაგზა ბიჭები ხეებს აფასებდნენ:

– რა კარგი ასასვლელი ხეა!

– ეს ჩემი ხეა, მე პირველი ავალ!

– აბა, თუ ბიჭი ხარ, ამაზე აძვერი!

შიგადაშიგ დიდი ჯაფა მადგებოდა, რომ მოწონებული ხიდან ამეგლიჯა ბიჭები – ერთმანეთს ზედ ასვლას არ აცლიდნენ, ძიძგილაობდნენ, ეჯაჯგურებოდნენ ერთმანეთს.

– სხვა დროს ადით, ახლა წავიდეთ – მოცხარიან ადგილამდე კარგა შორსაა და დროზე მივიდეთ!

ეჰ, რა ბევრი ვიბღოტიალეთ წიფლის ჯაგნარ ქვეტყეში! სამაგიეროდ, შავი მოცხარიც ბლომად დავკრიფეთ. ციცაბო ფერდობზე ერთი-ორჯერ ფეხიც დაგვიცდა და ყირაზეც გადავედით, მაგრამ წუწუნი არ დაგვიწყია!

როცა საღამოს უკან ვბრუნდებოდით, მაღლიდან გადმოვხედეთ ტყით ლურჯად ჩამუქებულ მთებს, მერე ჩამოვიარეთ დაღმართიანი საძოვარი, წყაროს ცივი წყალიც დავლიეთ და მივადექით პატარა მდინარეს, ოდნავ ჩაჭრილი რომ ჰქონდა კალაპოტი.

მე, ლია და დათუნა ჩავფორთხდით ციცაბო ნაპირზე, გავედით მეორე მხარეს და ისევ ავფორთხდით მაღლა, ბესომ კი დაიძახა: “მიყურეთ, მიყურეთ!”; მერე გამოქანდა, დაჰკრა ფეხი იმ ნაპირს და გადმოევლო მდინარეს – გადმოხტა ჩვენსკენ...

ყოჩაღ! მართლაც კარგი ნახტომი იყო!..

ზორბა

ბაკურიანში, ერთი მოზრდილი ეზოს მყუდრო განაპირა ადგილას დგას (ბოდიში!) რკინის დიდი სანაგვე ყუთი. იქ იკრიბებიან მთელი დაბის მშიერი ძაღლები, მუდამდღე ჩხუბობენ – ისმის ღრენა და წკავწკავი; განსაკუთრებით ღამით არის ერთი წიაუა...

4-5 წლის პატარა გოგლიკო, ერთ-ერთ დამსვენებელთა პატარა ბიჭი, ხშირად ეთამაშება ერთ შავ ძაღლს. დარაჯი, პავლე ბიძია, ეუბნება გოგლიკოს და აფრთხილებს მის ბებიასა და დედას – დაანებოს თავი მაწანწალა ძაღლებს, ნუ ეფერება, საშიშიაო.

– მე ზორბას ძეხვს და კარაქიან პურს ვაჭმევ, ის ჩემი მეგობარია! – ამაყად პასუხობს გოგლიკო. მას კვერს უკრავენ დედა და ბებია.

ერთხელაც ბავშვი ჩვეულებისამებრ ეღლაბუცებოდა ძაღლებს და ერთ-ერთმა, უნამუსომ, ხელზე კბილი გაჰკრა.

ბიჭი მაშინვე თბილისში გააქანეს, ადგილობრივ ექიმებს არ ენდნენ. ნემსების გაკეთება ცოფის საწინააღმდეგოდ არ ინდომეს და მალე პავლე ბიძიას დაურეკეს:

– როგორ არის ის ძაღლი, ჩვენს გოგლიკოს რომ უკბინა?

პავლე ბიძიამ არ იცოდა, რომელმა ძაღლმა უმტყუნა მეგობრობაში გოგლიკოს, ამ ამბავს მე არ დავსწრებივარო.

გოგლიკოს დედამ და ბებიამ (ტელეფონის ყურმილს სტაცებდნენ ერთმანეთს ხელიდან) აუხსნეს ბიძია პავლეს – აი, შავი რომ არისო...

შემდგომი საუბარი ასე წარიმართა:

პავლე ბიძია: "აქ რამდენიმე შავი ძაღლია, ერთს ყარაჩა ჰქვია, მეორეს – ტიღა, მესამეს – ზორბა".

ბებია და დედა: "დიდია, მოყავისფრო-ყვითელი თვალები აქვს, აპრეხილი ფუმფულა კუდი..."

პავლე ბიძია: "ეგ ზორბაა, ან იქნებ – ტიღა, ყარაჩასაც ჰგავს... ეგენი დეიდაშვილ-მამიდაშვილები არიან".

ბებია და დედა: "გეთაყვა, გაგვიგეთ, როგორ არიან..."

პავლე ბიძია, რასაკვირველია, დაჰპირდა თხოვნის შესრულებას, გაუჭირდა კი. ჯერ იმის გაგება ხომ გინდოდა, ეს ძაღლები ვისი იყო? მერე სამთავე ძაღლის პატრონებს დაუარა და აღმოჩნდა, რომ წარმოდგენა არ ჰქონდათ, სად დასეირნობდნენ მათი ძაღლები... ენერგიული ოპერატიული ზომების მიღებით (გაწეული სამსახურისთვის შესაბამის დაჯილდოებას დაჰპირდნენ) ბიძია პავლემ შეძლო დაედგინა, რომ სამივე ძაღლი ჯერჯერობით კარგ ხასიათზე ბრძანდებოდა, უმადობას არ უჩიოდნენ და არც წყლისა ეშინოდათ.

შემდგომმა კვლევა-ძიებამ გაარკვია: გოგლიკო უფრო ხშირად ზორბას ეთამაშებოდა და ყველაზე სარწმუნო იყო, რომ ალბათ მან გაუკაწრა ხელი...

დღეში ორჯერ, დილით და საღამოს, ბიძია პავლეს იხმობდნენ ტელეფონთან და მზრუნველი ხმა კითხულობდა ზორბას ამბავს – მის ქცევას, კარგად თუ ჭამა...

ცოტა ხანში ბაკურიანს ჩამოვიდნენ გოგლიკოს მამა და ბებია, თან ბლომად ჩამოიტანეს ზორბას საყვარელი ძეხვი და კარაქი. დღეში რამდენჯერმე ზორბას გემოზე გამოაძღობდნენ ხოლმე, დანარჩენ დროს მორიგეობით ფოსტიდან ტელეფონით რეკავდნენ შინ.

კარგა ხანს გასტანა ასე, განებივრებული ზორბა გოგლიკოს მამასა და ბებიას აღარ შორდებოდა, სულ კუდში დასდევდა; ფოსტაშიც სამივენი უკვე ერთად დაიარებოდნენ – დაკვირვების საქმე გაადვილდა.

როცა საკარანტინო ვადა ამოიწურა, გოგლიკოს მამა და ბებია, დაწყნარებულნი, თბილისს დაბრუნდნენ, გამომშვიდობებისას კი ზორბას, რომელსაც ამასობაში ფერდები საოცრად დაუმრგვალდა, ნამდვილი მეფური წვეულება გაუმართეს...

ასე კეთილად დასრულდა ეს ამბავი.

ჰო, კიდევ, საიდუმლოდ გეტყვით...

ტიღამ ყარაჩას გადაულაპარაკა (ძაღლურ ენაზე, რასაკვირველია):

– ეგ ჩვენი ზორბა დიდი უნამუსო ვინმე გამოდგა, ვისში გამოვიდა ასეთი უჯიშო? გვარს გვირცხვენს ნამდვილად! გოგლიკოს კბილი მე გავკარი, ეგ კი რა ხანია ყოველდღე კინაღამ გახეთქეს გემრიელი სასუსნავით, სადაური სამართალია? რა იქნებოდა ვითომ, მაგ ღორმუცელას ჩვენთვისაც ეწილადებინა ცოტა – ჩემი დამსახურება მაინც რატომ დაივიწყა?..

ბიძია პავლეს ღორი – ტუხა

რახან ძაღლებზე ჩამოვარდა საუბარი, ბარემ ბიძია პავლეს ღორზეც გიამბობთ. იკითხავთ, რა შუაშია აქ ღორიო... მოგახსენებთ. თურმე ამ ბოლო დროს ბევრ ამერიკელს შინ საოჯახო

ცხოველად ძაღლის მაგივრად ღორის ყოლა ამოუჩემებია. ამბობენ, ღორი ძალიან ჭკვიანია, ადვილად გასაწვრთნელიცააო.

ბიძია პავლეს რომ ღორი ჰყავს, უფრო სწორედ – გოჭი, სახელად ტუხა, მართლაც საოცარი არსებაა: პატრონს სულ კუდში დასდევს ერთგული ძაღლივით.

– კაცო, ვერაფრით ვიცილებ! – იღიმება ჭაღარა ულვაშებში ბიძია პავლე. – გადაბმულებივით დავდივართ – მე წინ, ეგ უკან! თუ სადმე შევედი, ფინიასავით კიბესთან დაწვება და მიცდის... სანამ არ გამოვალ, ფეხს არ მოიცვლის.

თამაზი ერთი ღიპიანი, თავმოტვლეპილი, ლაზღანდარა დამსვენებელია, ამოჩემებული აქვს საკუთარი ავტომანქანის "ჟიგულის" ყოველდღე რეცხვა; ახლაც ამ საქმიანობითაა დაკავებული, გარშემო კი დიდ-პატარა შემოვჯარვივართ, თან მისი ბიძია პავლესთან პაექრობა გვამხიარულებს.

– კაი მამაძაღლია ეგ შენი ღორი, – ეუბნება თამაზი, – მანქანას მიჭუჭყიანებს. მოვა ეგ ოხერი და ეხახუნება ხან წინა ფრთებს, ხან – უკან... უნდა დაგაჯარიმო, პავლე, შენი გაწვრთნილია!

– ხომ იცი, ჩემს ტუხას მაგარი ჯაგარი აქვს, კარგად გაგიპრიალებს; პირიქით, შენ გადევს ჩემი ვალი!

ბიძია პავლეს ფეხებთან გაწოლილმა გოჭმა თანხმობის ნიშნად დაიღრუტუნა.

– მთელი დღე ან ლაფში გდია, ან შენ დაგდევს... რაღა ეგ და რაღა მაგის პატრონი – ჩაგორდი მაგის გვერდზე შენცა, ა? გაგრილდები, კოღოებიც აღარ შეგაწუხებს... ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო, სწორედ თქვენზეა ზედგამოჭრილი, როგორ შეეთვისეთ ერთმანეთსა, ჰა?

– ახლა რომ მოვდიოდი, გამოვეპარე, სახლს ამოვეფარე და ისე წამოვედი, – ამბობს ბიძია პავლე. – მაინც ვერ დავემალე, აქაც მომაგნო. ღორი კი არა, მართლაც მამაძაღლია. პროფესორი თუ არა, დოცენტი ნაღდად არი! ასე არ არი, ტუხა?

გოჭმა ისევ დაიღრუტუნა.

– პავლე ბატონო, ახლა რომ ყურის ძირში ფხან და ენას უჩლექ, მერე კი ახალი წლის წინ წამოაგორებ და ყელში დანას გაუყრი, რა კაცობაა ეგ? – ეკითხება თამაზი.

ბიძია პავლეს ისევ ეღიმება ჭაღარა ულვაშებში:

– რა მოხდა ისეთი, აბა ღორი ღმერთს რისთვის გაუჩენია!

– ჰო, სწორედ იმისთვის შექმნა, რომ ჯერ აჭამო, ასვა, მოეფერო, გაასუქო და, როცა ხოში გექნება, გემრიელად შეახრამუნო!

– მაშ, არა? – მეჩხერ, მსხვილ კბილებს ისევ აჩენს ბიძია პავლე, – შენ თვითონ კი ღორის ხორცის გემო ჯერ არ გაგისინჯნია, ურჯულო ხარ!

– ეგრეა, ეგრე! – იცინის თამაზი, – ვინ აცლის დაღორებას, კაცო, გოჭი უფრო გემრიელი არ არის? ძალიან ჭკვიანი ჩანს შენი ტუხა, იფ, რას ჩავიკვნეტთ თითებს! არაყი ჩემზე იყოს, ჰა, ყაბულსა ხარ?

– ჯერ აგვისტოა, კაცო, ახალ წლამდე ოთხ თვეზე მეტია, – პასუხობს ბიძია პავლე. – ცოტა კიდევ მოიკიდოს ხორცი, ცოდოა.

– ჰო, სანამ პროფესორი არ გახდება შენი ტუხა, დანით ვერ შეაწუხებ! – ატრიზავებს თამაზი. – ამჯობინებ, მოიცადო, სანამ აკადემიკოსი გახდება, მაგრამ მაგის იმედი ტყუილად გაქვს – ამ ეზოში გატყიურებული ძაღლები რომ დაშლიგინობენ, ისინი დოცენტ და ასპირანტ ღორებს კი არა, დაწყებითი განათლების მქონეებსაც არ დაიწუნებენ! დამიჯერე, ჯობს, დროზე გამოვუყვანოთ წირვა მაგ ეშმაკის კერძს, მანქანასაც აღარ გამილამაზებს და ჰარიჰარალეს ხომ შემოგვაძახებინებს ტკბილად და გემრიელად!

– სწორედ მაგ ჭკუაზედ გახლავართ, არა, ტუხო?!. – მის ფეხებთან გატრუნულ გოჭს მიუბრუნდა ბიძია პავლე. – წამო, დროზე მოვუსვათ აქედან, თორემ ეს შაჰ-თამაზი ისეთი ატეხილი ჩანს, ნამდვილად ცოდვასა გვწევს!

ღორმა თავი ასწია, დაიღრუტუნა და წამოდგა.

ბიძია პავლე დინჯად მიემართება ჭიშკრისკენ და უკან ერთ ნაბიჯზე ყურების პარტყუნითა და ვარდისფერი კუდის ტრიალით მისდევს მისი ერთგული თანამგზავრი – ჭკვიანი ღორი ტუხა.

აქედან წასვლა აღარ მინდა!

ტყეში გუშინდელი გასეირნების ამბავს ვიხსენებ.

შინიდან ძალიან გვიან გავედით, ალბათ დღის პირველი საათი სრულდებოდა. ჩახჩახა მზე, გრილი ნიავი, ლურჯი ზეცა – ყველაფერი ჩვეულია უკვე ჩვენთვის და ხალისიანად მივაბიჯებთ, ვსაუბრობთ, გარშემო მზერას მიმოვატარებთ...

იაგორას მინდორზე ვართ. შორიდან ვიღაც კაცი გვიყვირის, თეთრი ცხენი ხომ არ შეგხვედრიათ კვიცითო. არაო, რომ ვუპასუხეთ, აბა, თუ შეგხვდეთ, დამიძახეთო. ამასობაში მინდვრის კიდეზე მდგომ ეულ რცხილას ვუვლით ირგვლივ – აქ ბევრჯერ შეგვხვედრია არყისძირა, დაც-

დილი გვაქვს. ამჯერად ტყუილად ვაკვირდებით ბალახს, არაფერი ჩანს... მაგრამ დათუნას მახვილ თვალს რა დაემალება! ერთი არყისძირა სოკო მაინც ნახა.

მოიღრუბლა, ნიავი გველამუნება სახეზე. შორიდან გრუხუნი გვესმის, მაინც ვაგრძელებთ გზას ტყის სიღრმეში.

ბორცვები გადავიარეთ, ის-ის იყო შემოდგომის მოახლოების მაუწყებელი იისფერი, მაჩიტას მსგავსი ყვავილები ნაღველასი იწყებენ ყვავილობას.

– რას ნიშნავს გამოთქმა "იაგორას მინდორი"? საიდან წარმოიშვა ეს სახელი? – კითხულობს ბესიკი და თვითონვე ავითარებს ორიგინალურ თვალსაზრისს: – ვიღაც იაგორას გამო კი არ დაერქვა ეს სახელი, შეაერთეს ყვავილი "ია" და "გორა", მივიღეთ "იაგორა"...

– სწორ ადგილს ეწოდება იაგორას მინდორი, გორას კი არა. მაშინ "იამინდორი" უნდა ყოფილიყო, – ვაქარწყლებ ბესოს ნათქვამს.

მივაღწიეთ პანტასთან და იქ ადრე გასაზრდელად დატოვებული, ახლა კი ზრდასრული თხუთმეტამდე დათვისსოკო მოვინადირეთ და რამდენიმე "დათვის ბელი" კიდევ დავტოვეთ დასავაჟკაცებლად.

ამის შემდეგ ვიარეთ, ვიარეთ და მხოლოდ გულაცრუება თუ მოვიმკეთ.

რამდენიმე ადგილას პატარა, წამოჩიტული "დათვის ბელები" რომ დავტოვეთ ორი დღის უკან, ისინი თითქმის იმავე სიდიდის დაგვხვდნენ და კვლავ უნდა ვაცალოთ გაზრდა; წვიმიანი დღის შემდეგ ერთ-ორ დღეში გამოვივლით.

მე და ლია ნაძვის ქვეშ დავსხედით, ბიჭები აქეთ-იქით დაძრწიან... ლია რაღაცას კერავს, მე კი წამოვდექი და ბიჭებივით ყიალი დავიწყე. მე და დათუნა ერთად ვეძებდით და ცოტა ხანში თითქოს უცებ ჯეგირი გაიხსნაო – დათვისსოკოები! ერთი, გვერდით – მეორე, უფრო დიდი! ცოტა მოშორებით – მესამე – ყველაზე დიდი! გვიხარია... მაგრამ ჯერ თურმე სად ხარ, იმდენი სოკო გვხვდება, მალე თვლაც კი აგვერია! ოდნავ გადავინაცვლეთ და – ერთი ამდენი თუ მეტიც გვხვდება, ოღონდ ამჯერად ირემასოკოები!..

გავავსეთ პლასტმასის ვედრო, სიამით გაივსო ჩვენი გულებიც – აქედან წასვლა აღარ გვინდა! არადა, საღამოა უკვე.

ამ დროს იქუხა და უეცრად დასცხო წვიმამ, მზე კი ისევ კაშკაშებს!

– მზე პირს იბანს!.. მზე პირს იბანს!.. – აჟივჟივდნენ ბიჭები.

ხუთიოდე წუთს იგრუხუნა-იბურდღუნა ზეცაში, მცირე ხნით ჩამობნელდა კიდეც; შემდეგ კი ისევ მზემ განბანა თავისი სხივებით ყველაფერი; ჩიტები აჭიკჭიკდნენ, მწერთა ბზუილი დგას გარშემო...

– მოდით, მოდით, ნახეთ, რამდენი სოკოებია! – ბესიკი გვიყვირის საკმაოდ შორიდან, სად წასულა, უყურეთ ერთი!

მივედით – ერთი უზარმაზარი ნაძვის ძირში ბესოს უპოვია ოცდახუთი დათვისსოკო და გველის, რომ ვნახოთ, ჯერ არ კრეფს.

– დღეს ბესიკის დღეა! – ვახარებ ბესოს, – ნახეთ, აწი კიდევ როგორ ივაჟკაცოს!

ამ დროს გაისმა ყორნის ყრანტალი რომელიღაც ნაძვის კენწეროდან.

– რა გაყრანტალებს, შე ოხერო, ვერ ხედავ, მეორე, დიდი ვედროც თითქმის გავაპიპინეთ სოკოებით!

ერთია ცუდი – კოღოებმა და ბუზებმა ლამის შეგვჭამონ.

ნახევარ საათში დათუნა გვიხმობს თავისთან, ახლა იმან მიაგნო დათვისსოკოების მთელ ჯოგს.

ამათაც მოვუარეთ, მერე დავსხედით და გემრიელად ვიპურმარილეთ: ქაშაყის კონსერვი, მშვენიერი ყველი, მოცხარიანი ტკბილი წყალი და შოთის პური – რით არის დასაწუნი ჩვენს გაჭირვებულ დროში?

უკან რომ ვბრუნდებოდით, ლია ჩემს შემდეგ მოდიოდა და იპოვა გიგანტური ირემასოკო. მიკვირს, მე მას ლამის დავაბიჯე ფეხი და როგორ ვერ შევნიშნე? ირემასოკო მხოლოდ ნორჩი იჭმება, ლიას ნაპოვნი კი გადაბერებულია.

– გახსოვს, შარშან ბორჯომიდან რომ მოვდიოდით გუგული-მატარებლით და გზად ვაგონში ამოვიდა ერთი კაცი, რომელმაც ბილეთის მაგივრად გამყოლს უზარმაზარი ირემასოკო მისცა – აწი უბილეთოდ ერთი თვე უნდა ვიმგზავროო? – მეუბნება ლია.

– გაუმარჯოს ამ ტყეს, რომელიც ასეთი გულუხვია!

ახლა კი სწრაფი ნაბიჯით მოვუსვათ შინისკენ – ბნელდება...

– ბიჭებო, გეყოფათ ძებნა, მივდივართ, არ ჩამოგვრჩეთ!

...რაღაც მიფორთხავს თუ მიხტის ჩემს წინ ბავშვის მუჭის ტოლა. ჯერ ბაყაყი მეგონა, მერე ახლოდან დავაკვირდი – და ბარტყი არ ყოფილა?!. უკვე შებუმბლული, თუმცა ნისკარტზე ყვითელი ზოლი ჯერ კიდევ მიუყვება. ჭრელია, ნეტა რა ფრინველია? თვალთა შავი, მბზინავი მარცვლები გაშტერებით მიყურებს, განაბულა ჩემს ხელისგულზე... უცებ აფრთხიალდა, გადაფრინდა, დაენარცხა მიწას, გაძვრა წინ-წინ, სანამ ძროხის ღრმა ნაჩლიქარში არ ჩავარდა. და ალბათ ვერც ამოძვრებოდა, ისე იყო გაჭედილი; ისევ მე ვიხსენი და ამოვიყვანე. ამ დროს ბიჭებიც მოვიდნენ და ძიძგილაობა დაიწყეს – არა მე მომეცი, არა – მეო. ბესოს დავუსვი ხელისგულზე,

თან ვთხოვე, გაეშვა სადმე, თუნდაც კუნძზე დაესვა. ლიაც აჭიჭყინდა, ახლავე გაათავისუფლე, ცოდოა, დედამისი მოფრინდება და ის მოუვლისო. დიდი იწილო-ბიწილოს შემდეგ ბესიკმა ბარტყს თავისუფლება მიანიჭა, თუმცა მანამდე დიდხანს მეხვეწა, შინ წავიყვანოთო – მე მოვუვლი, აქ მარტო დაიღუპებაო.

გზა-გზა მეტი ვერაფერი ვნახეთ და აღარც გვინდოდა – ცელოფანის პარკებიც კი სავსე იყო სოკოთი.

შინ მისულებმა გავშალეთ სასადილოს დიდ მაგიდაზე ჩვენი ნადავლი – ას ორმოცდაათზე მეტი მარტო დათვისსოკო დათვალა დათუნამ! საკმაოდ იყო სხვა სოკოებიც: ქამასოკო, ირემასოკო, არყისძირა (მხოლოდ ერთი ცალი), გუდაფშუტა, დუმასოკო... ზოგს შევწვავთ, სხვებს გავახმობთ ან მარინადს გავაკეთებთ – ამ საღამოსაც დიდი შრომა მოგველის!

საღამოს ცხრა საათზე ისევ დასცხო წვიმამ, ამჯერად დიდხანს წვიმდა.

იწვიმე, იწვიმე, ხვალ-ზეგ კიდევ წავალთ ტყეში სასეირნოდ და ისევ დაგვხვდება სოკოები ბლომად!..

ახალი თამაში – "მენეჯერი"!

წელს ბაკურიანში ზაფხულში დასასვენებლად ჩამოსულ ბავშვებში ტიფის ეპიდემიასავით სწრაფად გავრცელდა ახალი თამაში – "მენეჯერი"! ამ თამაშს არც ადგილობრივი ბავშვები შეხვდნენ გულგრილად და აი, ახლაც ღია, ფართო აივანზე შეკრებილი ჩვენი უბნის ბიჭები შემოსხდომიან მაგიდას, გაუშლიათ დედაქალაქიდან ჩამოტანილი სათამაშო და დილიდან დაღამებამდე ისმის ხმამაღალი შეძახილები, ჭიჭყინი, ხანდახან მწვავე შეხლა-შემოხლაში გადაზრდილი... ეტყობა, თამაში ძალიან აზარტულია. აი, რა რეპლიკები ჩავიწერე სულ რაღაც ნახევარი საათის განმავლობაში...

– ჩვენია, ჩვენია! გადაიხადე ხუთი ათასი!
– შენთან მაქვს ათას შვიდასი ვალი!
– მომეცი ფული!
– დამიხურდავე!
– მოიტა ოცი ათასი!
– ძველი მანიაკი ხარ! პროფესიონალი! რას ვამბობდი მე?
– ოცი ათასი აიღე!
– მაინც კარგია!
– დუბლი! ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი!
– გააგორე, ბესო!
– დადე აქა! მოიცა, არა... სად იყო?
– ედიკ, ამას გაუცვალე?
– ჩემი გაგორებაა, დუბლი იყო!
– მატყუარა! ხუთი და ოთხი იყო!
– გადაიხადე!
– ოცი ათასი მოვიგე და ნახე, სად გადავფრინდი!
– გაგატყავებ!
– ფუი, მე სულ ბოლოში დავრჩი!
– ნახე, რა მაყუთს ვაკეთებ!
– არ გაუცვალო!
– მე რომ გამაგდებს, მერე შენ მოგდგება!
– ეგ ორმოცი ათასი არ გიშველის!
– მიცვლი? არ მიცვლი? აი, აქ დაგერხევა მერე!
– შტერი ხარ!
– პირველი გავარდები შენა, თუ გინდა, ნიძლავი!
– გადაიხადე, ძაღლო!
– სად მიძუნძულებ, ძაღლო!
– ჩემი სამოცდახუთი ათასი დამიბრუნე!
– ახლავე ჩაგაშავებ!
– გადაიარე!
– ჩაგახრჩობ ძაღლივით!
– გაკოტრდი? გაყიდე შარვალი!
– შენ რაც შეიძლება მეტი ფირმა უნდა იყიდო!
– ნუ ყიდულობ, გატყუებს, გაკოტრდები!
– მარტო მაგან დაინახა და მედავება!
– იფ, იფ, იფ, ხომ გაგაკოტრე!
– აი, როგორ უნდა თამაში, ისწავლე, შვილო!

– ვირო, ჯორო!

– სესხი გინდა? კიდევ რა მოგენატრა?

– აჰა ფული, აიღე! ტუზიკ, ტუზიკ, ცუგა, ცუგა! აიღე – მწუ-მწუ!..

რიგი "ბირჟაზე" მოთამაშეებისა "მდიდრდება", იძენს "აქციებს", "საწარმოებს", "სასტუმროებს" და ასე შემდეგ, აქუჩებს "ფულს"; სხვები, უიღბლონი, ვალებში ეფლობიან, კოტრდებიან და თამაშს ეთიშებიან...

მართლაც აზარტული თამაშია "მენეჯერი"! ზოგჯერ ისე გაუტევენ ხოლმე, ლამის ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდოს... ყოველ წუთს მზად ვარ, რომ ოთახიდან აივანზე გავვარდე და "ბირჟაზე" დაძაბული სიტუაცია განვმუხტო. ჯერჯერობით ჩემი ჩარევა არ ყოფილა საჭირო, ისე კი რამდენჯერმე კარის ზღურბლამდე მივედი.

ამგვარი "ფინანსური ციებ-ცხელება" ხშირად დილიდან საღამომდე გრძელდება და მშობლები წუხან, რომ ახალი თამაშით უზომო გატაცება იწვევს ხმაურ-ყაყანს, ჩხუბს; ბავშვები მთელი დღე მაგიდასთან სხედან, იმის მაგივრად, რომ გაისეირნონ ტყეში, წაიკითხონ წიგნები, ითამაშონ ფეხბურთი... და აღარ მიკვირს, რომ ვანოს და ნიკოს დედამ ნელიმ მათი "მენეჯერი" ნაკუწ-ნაკუწ დახია და ნაგავში გადაყარა, ზალიკოს დედამ მარიამმა კი – დაწვა!

ახლა ჩვენს "მენეჯერზეა" მთელი ბავშვების და მათი სტუმრების იმედი. დილიდანვე ვიღაც უკვე მორიგეობს კიბეზე: "გვათხოვეთ "მენეჯერი!"". სათამაშო ხელიდან ხელში გადადის, გაიცრიცა, გაიცვითა. საღამოს სათამაშოს წამღებს დათუნა აუცილებლად მიაკითხავს და შინ მოიტანს... სადამდე? ქალბატონ ლიას მოთმინებაც უსაზღვრო არ გახლავთ...

გავისეირნოთ ჟოლოს მოსაკრეფად!

1.

შუა აგვისტოა, ჟოლოს კრეფის საუკეთესო დრო.

საღამოს რომ წყნარია გარემო, მზეც მშვიდად ჩადის და გვარიანად აგრილდება, ხვალისთვის კარგ ამინდს უნდა ელოდე – ესე იგი, ჟოლოს საკრეფად წავალთ!

დილით რაც უფრო ადრე გახვალ შინიდან, მით უკეთესი.

სახურავებიდან წვეთავს, იმდენად ხშირი ცვარი დაუდვია.

ტყეში კი ნისლია – დაბალი, თხელი; ძალიან ლამაზად ბურავს ხეთა ძირებს, ბუჩქებს... ბალახები ნამისგან ბრწყინავს. ცოტას გავივლით ტყეში და ნამიან ბალახში სიარულით მუხლებქვემოთ ვილუმპებით. არა უშავს, როცა მზე კარგად ამოიწვერება, ფეხთ გავიხდით, წინდებსა და ფეხსაცმელებს გავაშრობთ, ტანზევითაც გავშიშვლდებით და მზეს მივეფიცხებით.

მზე ამობრძანდა და ბურუსიც მალევე გაიფანტა.

– ტყეში არ ვიაროთ? თან სოკოც მოვაგროვოთ, – გვთავაზობს დათუნა და განიერი ბილიკიდან გადასვლას აპირებს.

– საღამომდე ვერ ჩავალთ ასე ტყე-ტყე სიარულით.

ბესო პეპელას გაეკიდა:

– რა ლამაზი პეპელაა! უნდა დავიჭირო!

ტყუილად გაისარჯა, პეპელა ერთხანს ეთამაშებოდა, ვითომ უჩერდებოდა, ბოლო წამს კი აუფრინდებოდა და ბოლოს სულ გაექცა...

დავეწიეთ და გავუსწარით ოთხ ქალსა და ორ ძაღლს, ისინიც ჟოლოს საკრეფად მიდიან, "მიჩანჩალებენ" – დათუნას თქმით.

ტყიდან გავედით შედარებით ვრცელ მინდორზე; ამ ველს ყურუსები ჰქვია. მივყვებით სათიბში გამავალ გზას ჟოლოს "პლანტაციებისკენ". დროდადრო გვესმის რიტმული კაკუნი – მთიბავები ცელს პირს უწყობენ.

ერთ ადგილას პატარა შემაღლებულზე ლოდნარია; იქ ცირცელი ამოზრდილა, მაღალ ნაძვს "შეფარებია" კალთის ქვეშ. ცირცელი ისეა ნაყოფით დახუნძლული, რომ გგონია, სადაცაა ტოტები გადაემტვრევა – ქვევით დახრილი ტოტების ბოლოებზე ნარინჯისფრად ანათებს ნაყოფთა კრებული; ზამთრისპირს ის ხასხასა წითელი შეხვდება.

ბესიკი და დათუნა კალიების ჭერით არიან გართულნი და მე და ლია ხშირ-ხშირად ვუცდით მათ. მზემ უკვე დააცხუნა; ეტყობა, თაკარა დღე იქნება.

ყურუსებიც გადავიარეთ და დაიწყო კიდეც ჟოლოს საკრეფი ადგილები – ტყისპირები და მეჩხერი ტყე-ბუჩქნარი.

პირველად მოკრეფილ ნაყოფებს პირდაპირ პირისკენ მივაქანებთ – კრეფის სეზონი გავხსენით!

ჟოლო აქ მრავალი განსხვავებული ჯიშისა გვხვდება – სხვადასხვაა მათი ბუჩქის ზრდის სიმაღლე (დაბლები,. საშუალო ზომის, მაღლები), ფოთლების შეფერილობის ინტენსივობა (მუქი მწვანედან – ღია მოყვითალო-მწვანემდე), ფოთლების ზომა და ფორმა... ზოგი ჯიში ადრე მწიფდება, ზოგი – გვიან. არის ჯიში, რომლის ყველა მარცვალიც თითქმის ერთდროულად, ერთია-

ნად შემოდის, სხვებისა – თანმიმდევრობით, ნელ-ნელა, ნაწილ-ნაწილ. რა თქმა უნდა, დიდი მრავალფეროვნებაა ნაყოფის ფერის, ზომის, გემოსა და სურნელების მხრივაც. ზოგი ჯიშის ჟოლოს ნაყოფი გამჭვირვალეა, მბრწყინავი ზედაპირით, ზოგისა – მქრქალად დაბინდული, ბუსუსებიანი. ერთი ჯიშის ნაყოფი ადვილად წყდება ყუნწს (შეეხები თუ არა, ძირს ცვივა კიდეც), მეორე თავს იკლავს, არაფრით სურს ყუნწს მოშორდეს, არ გეპუება და ხელში ისე შემოგეჭყლიტება, რომ ყუნწს ვერ მოაცილებ... არის ისეთი ჯიშიც, რომლის ნაყოფიც ხელის შევლებისას წვრილი საფანტის ტოლა მარცვლებად იშლება. ფერი ჟოლოს ნაყოფისა საზოგადოდ "ჟოლოსფერია". ისე ხომ ლამაზია მწიფე ჟოლოს ნაყოფი და მზის სხივი რომ ურტყამს, ლალივით კაშკაშებს. შეგხვდებათ ისეთი ჯიშიც, რომლის მწიფე მარცვალიც ღია მოყვითალოა. ჟოლოს კულტურულ ჯიშებს შორის არსებობს შავნაყოფა ჯიშიც – მაყვლის მსგავსი.

ჟოლოს კრეფა-კრეფით გადავდივარათ ერთი ბუჩქიდან მეორესთან, შიგადაშიგ თუ მარწყვსაც მოვკრავთ თვალს მიწაზე, არ დავზარდებით დახრას.

კარგია ერთად ჟოლოს კრეფა – საუბარი არ მოგწყინდება. ბესიკი და დათუნა, როგორც ყოველთვის, ახლაც ეჯიბრებიან ერთმანეთს, უფრო სწორედ – ექიშპებიან, ვინ მეტჯერ გაავსებს ნახევარლიტრიან მინის ქილას.

არის ორი ტიპი მკრეფავებისა: ერთნი ბევრს მოძრაობენ, ხელდახელ მოკრეფენ რამდენიმე მარცვალს ჟოლოს ბუჩქზე და მაშინვე მეორისკენ მიეშურებიან; მეორენი გულდაგულ ჩაუჯდებიან ხოლმე და სანამ საფუძვლიანად არ გაკრეფენ ბუჩქს, ფეხსაც არ მოიცვლიან.

ჟოლოს მკრეფავების უმეტესობა ზევიდან მოხილავს, ზერელედ გაივლის ბუჩქებს; ღირს კი ჩაცუცქება – აქ, დაბურდული ბუჩქის სიღრმეში, მეტად საინტერესო ცხოვრება მიმდინარეობს სიმყუდროვესა და ჩრდილში. აღარას ვამბობ იმაზე, რომ საკმაოდ ბლომად იშოვნი ფოთლებში მიმალულ მსხვილ და უჭიო ჟოლოს. სულ რომ სადღაც მეჩქარება, მოდი, ახლა მაინც დავაკვირდები ამ "სარდაფს", მით უმეტეს, რომ ორი ცალი რჩეული ჟოლოს ნაყოფი ჩამივარდა ქვევით და ვერ ველევი.

ჩავიმუხლე... ოჰო! წაქცეული ხის ტანი ყოფილა აქ, რომელიც წელამდე ბალახში არ ჩანდა. მაინცდამაინც სიმყუდროვე არც აქაა – უამრავი მწერი ბზუის, რაღაც ძალიან წვრილი მწერები, თვალით რომ ძლივს ჩანან, უბედურად მწარედ იკბინებიან... შავი და რუხი ჭიანჭველები დაღღავენ თავიანთ საქმეებზე. ბალახთა უმეტესობა უკვე გამხმარა, მაგრამ ბევრია მწვანეც; ყოველი ბალახი ცდილობს, მაღალი გაიზარდოს, სინათლისკენ მიილტვის; თითო-ოროლა მაინც მიწაზე გართხმულა და არ შორდება. კოღოები, ბუზები, ფუტკრები, ქინქლები... სანახევროდ დამპალი მორი ხავსითა და წვრილი სოკოებით დაფარულა...

შემჭამეს ქინქლებმა, იძულებული ვარ, ავდგე და გავეცალო.

გავედით ქვა-ლოდნარიან სამხრეთის ფერდზე. აქ ჟოლოს ბუჩქები ხშირად წაწოლილია მიწაზე და ზევიდან ფოთლებქვეშ ვერაფერს დაინახავ; ამიტომ უნდა დაიხარო და ასწიო მიწიდან მისი წვრილი ეკლებით დაფარული ღერო: ჰოი, რა სალარო გადაიშლება თვალწინ! ლალისფერი მსხვილ-მსხვილი ნაყოფები თბილად გამოანათებენ.

ერთი პაწია ჩიტი, ბეღურაზე მომცრო, საწყალობლად ჭყიპინებს, ჩვენს წინ ტოტიდან ტოტზე ხტება; ბალახების ღეროზეც კი ჯდება, იმდენად პატარაა. ვერ მივხვდით, ჟოლოს მიირთმევს თუ მწერებს ეტანება?

ბიჭებმა ორ-ორჯერ გაავსეს ნახევარლიტრიანი ქილები ჟოლოთი; ბესიკი ლიას ვედროში ცლის ხოლმე, დათუნა – ჩემში. სულ ჭიჭყინებენ, ერთმანეთს ეჯიბრებიან. შუადღისთვის დაიღალნენ, მობეზრდათ კრეფა, უფრო ჟოლოს ჭამით არიან გართულნი. ეს ნიშანია იმისა, რომ უნდა შევისვენოთ და საჭმელიც მივირთვათ.

ჩამოვსხედით ხავსიან მორზე ჩრდილში. ჭინჭრით დასუსხულ ხელებს ზრიალი გაუდით., ოფლიან სახესა და კისერზე ცხვირსახოცებს ვისვამთ. საინტერესოა, ჭინჭარი ჟოლოზე ხომ არ არის შეყვარებული? თითქმის ყველგან ერთად იზრდებიან.

დიდი ნაძვის ჩრდილში გაზეთზე აწყვია მოხარშული კვერცხები, დაჭრილი ყველი, პური, პომიდორი, თევზის კონსერვის გახსნილი ქილა, მოხარშული კარტოფილი... სტუმარიც გვეწვია – ბრაზიანი ბზუილით ჩემს გარშემო წრეს უვლის უზარმაზარი ხარაბუზა და ფეხზე მაჯდება... აუჩქარებლად მიმაქვს ხელი მისკენ და – ტკაც! მკვეთრი დარტყმის შემდეგ ხარაბუზა უსულოდ ეცემა მიწაზე.

ნახევარი საათით შევისვენეთ და განვაგრძეთ საქმიანობა. უკვე ვიწროლიანდაგიან რკინიგზასთან მივსულვართ. რკინიგზა კვეთს მინდორს, რომელზეც ფიჭვის ნერგებია ჩარიგებული.

რკინიგზას გადახვალ თუ არა, მინდვრის კიდეზე უზარმაზარი პანტა დგას, ისეთი ბებერი, რომ ტოტებზე მონაცრისფრო-მომწვანო მღიერი ჩამოჰკიდებია, თითქოს ჭაღარა წვერებიაო. მოშორებით მაჟალოსაც გაუდგამს ფესვი, მის ტოტებზეც, ოღონდ მხოლოდ გამხმარზე, ასევე ქარით აფრიალებულ "წვერებს" ვხედავთ. ყვავილებით მოჩითულ მინდორზე ლამაზად ჰყვავის ბალბა – მოვარდისფრო-მოცისფროდ; ყელყელაობს, დანარჩენ ყვავილებს და ბალახებს ზევიდან დასცქერის.

მაღლა-მაღლა მივიწევთ ბუჩქნარიან ფერდობზე, ნელ-ნელა ავედით ფიჭვნარ-ნაძვნარში.

საინტერესო ამბავს შევესწარი. ერთი მოზრდილი ბუზია, გარეგნულად ძალიან ჰგავს ფუტკარს, ზომითაც მისი ტოლია. ეს ბუზი ემტერება ფუტკარს – ანწლის თეთრ ყვავილედზე მოფუსფუსეს არ ასვენებს, ზევიდან თავხედურად დაჰბზუის ერთ ადგილზე ჰაერში გამოკიდებული; თითქოს ეუბნება ფუტკარს, მოსცილდი ამ ადგილს, ჩემი სამფლობელოა ეს ყვავილიო. ფუტკარი ყურადღებას არ აქცევს, საქმიანობს თავისთვის. მაშინ ბუზი მკვეთრად დაეცემა ზევიდან ფუტკარს – ერთხელ, მეორედ, მესამედ... თითქმის ეჯახება ზურგზე, აიწევს ოდნავ ზევით და ისევ დაეცემა – აშინებს და აიძულებს, დასთმოს ყვავილი... ფუტკარი გვერდით ყვავილზე გადაფრინდება, მაგრამ მეზობლად გადანაცვლებულ ფუტკარს ბუზი არც იქ ეშვება და კიდევ უფრო შორს მიერეკება – "მისი ტერიტორიის" ფარგლებს გარეთ...

აქ, გამეჩხერებული ტყით დაფარულ გორაკებზე, ჟოლოს მდიდარი "პლანტაციებია", ოღონდ ხალხს უკვე ბლომად უვლია და გაკრეფას ვინ ჩივის, ცოტა არ იყოს, ბარბაროსულად უთელია ბუჩქები. ჩვენს სამყოფს მაინც ვკრეფთ, თანაც დილას რომ ბუჩქს გაკრეფ, საღამოსთვის იგივე ბუჩქზე ახალდამწიფებული ჟოლოს ნაყოფი შეიძლება ნახო.

ალაგ-ალაგ აქ ღრმა ხევებია. ერთ-ერთში ჩავედით – ბუზების ზუზუნია, ნიავით ატოკებული ფიჭვების, ნაძვების, წიფლების შრიალ-შიშინი. გადმოხრილან ამ ხევზე თხილები, ახალგაზრდა წიფლები; წინწრიხებენ კალიები, ჟივჟივებენ ჩიტები, აცხუნებს მზე და გვიმრის სურნელს აძლიერებს. კაცზე მაღალი ჭინჭარი გასაქანს არ გვაძლევს, მარტო ხელებს კი არა, ზოგჯერ სახესაც კი გვისუსხავს. "ბრძოლით" მივიწევთ ამ ბალახების "ჯუნგლში". ერთ ადგილას, ხევის გარდიგარდმო, ხიდივით გადებულია კარგა მსხვილი ნაძვი, ჯერ ისევ მწვანე; ეტყობა, წაქცეულს ფესვები მაინც შერჩა მიწაში. ამ ნაძვის ქვეშ გავძვერით. რამდენი ლამაზი ყვავილია – ცისფერი, თეთრი; შინ წავიღებდით, მაგრამ გზაში დაჭკნება, ცოდოა. ყვავილებს ნექტრის მოსურნე უამრავი დიდ-პატარა პეპელა, მობზუილე ფუტკარი, ბუზი, ხოჭო დასტრიალებს. ჟოლოს ბლომად ასხია მსხვილი ნაყოფი, მაგრამ გარშემო იმდენი გვიმრაა, იმაზე მეტი – ჭინჭარი...

დავიღალეთ მწვანე კედელთან ბრძოლით. წაქცეულ ხეებზე გადაფორთხებამ გაგვაწამა; ისინი არც ჩანს, მაღალი ბალახებით არის დაფარული, რომელშიც ბრმად ვადგამ ფეხს, ხანდახან "ჩავყვინთავ" კიდეც და რომ არ წავიქცე, ბალახებს ან ბუჩქებს ვეპოტინები. ბალახები ფეხებზე "მებღაუჭებიან" და რამდენჯერმე წავიფორხილე. სამაგიეროდ, აქ გაუკრეფავია ჯერ ჟოლო, ნაყოფიც მსხვილ-მსხვილი, გემრიელი აქვს. ჩემს მიერ გაკვალულ "დერეფანში" მოძვრება ლია, ბიჭები არ ჩანან; მათი ჭიჭყინის ხმა გვესმის ახლო ფერდობიდან. გვხვდება შავი მოცხარის ბუჩქიც, ცოტაოდენი მისი უკვე მწიფე ნაყოფიც დავკრიფეთ; ცირცელის ლამაზი ნაყოფი იტაცებს თვალს.

ვსხდებით და ვისვენებთ. სამი საათი ხდება, მალე გუგული-მატარებელი აივლის ბაკურიანისკენ და უკან დროზე უნდა გავბრუნდეთ, თუ გვინდა მას მივუსწროთ. ვუძახით ბიჭებს.

გავედით თუ არა ლიანდაგზე, გავიგონეთ გუგული-მატარებლის ბორბლების ხრჭიალი მოსახვევებში. გავრბივართ პატარა ველისკენ – ჩვეულებრივ იქ აჩერებს ხოლმე ელმავლის მემანქანე მატარებელს. იქამდე კარგა შორი მანძილია ჯერ, რომ ელმავალიც გამოჩნდა. ხელს ვუწევ მემანქანეს, ის თავს მიქნევს მისალმების ნიშნად... ეჰ, დავიგვიანეთ, მოგვიწევს საათნახევარი აღმართში ჩანჩალი სახლამდე. მატარებელი გაჩერდა, ოცდაათიოდე მეტრია ბოლო ვაგონამდე. იქნებ მივასწროთ?

– გავიქცეთ!

გავრბივართ შპალებზე და ქოშინით მივვარდით ვაგონთან, მივფორთხავ მაღალ კიბეზე... მივასწარით!

ვაგონში ტევა არ არის. ვდგავართ ღია ბაქანზე, აუჩქარებლად მიღოღავს მატარებელი, მიირწევა ვაგონი.

ათ წუთში ბაკურიანში ვართ. გამოლაგდა ბაქანზე ბლომად ხალხი, მათ შორის ბევრია ჩვენსავით ვედროიანები. ეტყობა, ამან გვიშველა ჩვენც – სანამ ყველანი არ ჩასხდნენ მატარებელში, მემანქანემ არ დაძრა შემადგენლობა, ამასობაში კი ჩვენც მოვასწარით მირბენა ბოლო ვაგონთან.

შინ მისულები მაშინვე წყალს მივვარდით დასალევად. ავწონეთ ჩვენი ნადავლი – სამ კილოგრამამდე ჟოლო მოგვიკრეფია დღეს, ყოჩაღ ჩვენ!

საღამოს მურაბა მოხარშა ლიამ – ერთი სამლიტრიანი ქილა გაივსო და ერთიც – ერთლიტრიანი. ზამთარში გაცივების აღარ გვეშინია!

2.

მეორე დილით ჭიდაობა-ყვირილ-ჩხავილით დათუნა და ბესიკი ძლივს ავაყენეთ ლოგინიდან, უკვე მეთერთმეტე საათი იყო დაწყებული.

ბიჭებს ეზარებათ ჟოლოს საკრეფად წამოსვლა, ფეხს ითრევენ, ალბათ გუშინ დაიღალნენ... მაინც მივდივართ, ვეშურებით ჟოლოს დაკრეფას – დღეს ისევ მზიანი დღეა.

ჰოდა, გაჭიანურებული საუზმის და ხანგრძლივი ჯიჯღინის შემდეგ, როგორც იქნა, თორმეტის ნახევარზე გავედით სახლიდან.

იაგორას მინდორზე ჭყანტობს გადავეყარეთ, დათუნამ ფეხი დაისველა. იძულებული გავხდით, დათუნა უკანვე გაგვეგზავნა ფეხსაცმლის გამოსაცვლელად; მანამდე ჩამოვსხედით ბალახზე, რომელზეც ნამი უკვე შეესრუტა მზეს. ვუსმენ ყვავის ყრანტალს, მარტოსულად რომ წამოყუნცულა ნაძვის წვერზე, ჩიტების ჭიკჭიკს; ნაზი ნიავი გვესალბუნება. უამრავ ბაბუაწვერას ამოუხეთქავს, ყვითლადაა აფერადებული მინდორი.

გამოიარეს დედა-შვილმა – ნანიმ და 7-8 წლის შორენამ; ისინი მარწყვის საკრეფად მიდიან. ქალებმა მასლაათი გააბეს, ბავშვები მაჟალოზე აძვრნენ.

– შევეჯიბროთ, ვინ მეტს მოკრეფს! – წამოიწყო ბესომ.

– თქვენი არ ვიცი და ჩვენ კი ბლომად ხველება-დაცხიკებას დავკრეფთ! – ამბობს ნანი.

მართლაც, იღრუბლება. მთაში ასეთი სწრაფი ცვლილება ამინდისა ჩვეულებრივი ამბავია.

გამოჩნდა დათუნა, უფრო სწორედ, მოჩანჩალდა.

აბაიმე! ახლადა აღმოვაჩინეთ, რომ შინ დაგვრჩენია დანა, ჭიქა, თეფშები... ღირს კი ასე გვიან ჟოლოს საკრეფად წასვლა? თან, წვიმამ რომ მოგვისწროს? გადავწყვიტეთ, გზა მაინც განვაგრძოთ – ცოტა ჟოლოც რომ დავკრიფოთ, მაინც კარგია.

ტყის გზას მივუყვებით თავდაღმართში. გაჭირვებით ტრაქტორი თუ შეძლებს აქ გავლას, ისე დათხრილ-დახრამულია მორების თრევით.

ყურუსების მინდორზე ბალახს თიბავენ. ჰო-ჰო, რა წინწრიხია კალიების! ხერხავენ სხვადასხვა ხმაზე.

ბიჭები ისევ ჩამოგვრჩნენ.

– ბესო-ო! – ყვირის დათუნა, – იცი, როგორი კალია დავიჭირე? უკან რომ კუდი აქვს!

– აბა კუდი წინ ხომ არ ექნება! – ვეუბნები მე.

ლია ჯავრობს – ხან ემუქრება, ხან ეხვეწება:

– დროზე წავიდეთ, ცოტა ჟოლო მაინც მოვკრიფოთ და მერე გინდ პეპლები დაიჭირეთ, გინდ ვეშაპები!..

უცებ წინ, გზაზე, ათიოდ ნაბიჯში, რაღაც ფრინველი დავლანდე.

ოფოფი!

რა ლამაზია, ეგ ოხერი! ხან გაშლის სავარცხელა ქოჩორს, ხან დაკეცავს, მიგოგმანობს ჩვენს წინ სათიბში გამავალ გზაზე. ააფართქუნებს ფრთებს, ცოტაზე გადაინაცვლებს ფრენით, ისევ მიგოგმანობს, თან აქეთ-იქით იყურება... გვეთამაშება მე და ლიას! ბიჭებს ვუხმობ, თან ოფოფს თვალს არ ვაშორებ. ბიჭები გლიჯინით მორბიან, მაგრამ ოფოფი მათ მოსვლას არ უცდის, აფრინდება, გვერდულად წავა, ქვევით დაეშვება, სადღაც ბალახებში იკარგება.

როგორც იქნა, გავლიეთ ყურუსები და უკვე საკმაოდ გაკრეფილ და გადათელილ ჟოლოს პირველ "პლანტაციას" შევესიეთ.

– მამიკო, დანა! – ყვირის ბესიკი.

მართლაც, ზედ ჩემს ფეხებთან ბრჭყვიალებს უბრალო სამზარეულო დანა უჟანგავი ფოლადისა. დავწვდი, ნამისგან ხალათის ბოლოთი გავამშრალე. ისეთი ბასრია ახალგალესილი, მეტი არ იქნება. ამით პურსაც დავჭრით და კონსერვსაც გავხსნით.

– კონსერვს ვერ გახსნი! – ეჭვობს ლია.

– აგერ ვნახავთ!

გახალისებულნი ვაგრძელებთ ჟოლოს კრეფას, მერე შევეშვით – აქ არაფერი ხეირია, ჯობს, სიღრმეში გადავინაცვლოთ.

კიდევ უფრო მოიღრუბლა, ქარი ამოვარდა. მოქუფრული ცისკენ ვიყურები. ქარი აქანავებს მაღალ ფიჭვებს; ერთი ნაძვი ისე საწყალობლად ჭრიალებს, თითქოს დაჭრილი კვნესისო.

ჩვენი მონაკრეფი ჟოლო ვედროს ძირსაც ვერ ფარავს. შინ წასვლაზე ფეხს ვითრევთ – ამოდენა გზა ტყუილად გამოვიარეთ? იქნებ არც გაწვიმდეს.

წინ მივდივართ. გვესმის ყვავების ყაშყაში, ხეზე რომ სხედან და ერთმანეთს გადაულაპარაკებენ ხოლმე კმაყოფილებით.

გრძელ გუბეს მივადექი, იქიდან ხმები ისმის, იქ რა უნდა ყვავებს? მერე მივხვდი, ბაყაყები ესაუბრებოდნენ ერთმანეთს მოკლე-მოკლე "წინადადებებით", ეტყობა, კარგად იცოდნენ ლაპიდარული სტილის უპირატესობა...

ნელ-ნელა ვუახლოვდები გუბეს, მომღერლები მინდა დავინახო. ახლოს მყოფმა ბაყაყმა შეწყვიტა "გალობა", ალბათ შემამჩნია. ვბაძავ მხედველობას, ვერაფერს ვამჩნევ. გავჩერდი გაუნძრევლად ცოტა ხანს, ახლო ბაყაყმა ისევ ესროლა რამდენიმე რეპლიკა თანამოძმეებს; მაინც ვერ დავინახე, ისე კარგადაა ფერით შეხამებული გუბურის მწვანე ნაპირებთან.

გავაგრძელე გზა და ვერც სხვა ბაყაყები დავლანდე, ისინიც გაჩუმდნენ.

გუბისგან მოშორებით ჩამოვჯექი, ჩამორჩენილებს ვუცდი, ბაყაყებმა კი სიჩუმე ამჯობინეს.

აქამდე ბაყაყების ყიყინი ბაკურიანში მე არ გამეგონა, ზაფხულს ხომ არ ემშვიდობებიან? იქნებ სიცოცხლისადმი ჭარბი სიყვარულის გამომხატველი სიმღერაა? თუ წვიმას უნდა მოველოდე?

ნაცნობ ადგილებში ვკრეფთ ჟოლოს. მდელოებზე ისევ ჰყვავის ღიღილოები; ერთ ადგილას, თხილნარის გვერდით, მთელი გუნდი მოვარდისფრო-მოცისფრო ბალბისა ამთავრებს ყვავილობას.

სამხრის დროც მოსულა. ჩრდილის ძებნა არ გვჭირდება, მზე არ ჩანს. ვჩქარობთ პურობის დამთავრებას – წვიმამ არ მოგვისწროს, დროულად მოვრჩეთ საქმეს და შინისკენ მოვუსვათ. გვესმის მატარებლის ბორბლების რახრახი – ოთხი საათი დაწყებულა.

შევესიეთ თუ არა ისევ ჟოლოს ბუჩქებს, მოულოდნელად წვიმამ წამოუშინა – ხალისიანად, უხვად. ათი წუთის შემდეგ უცბადვე გადაიღო, მზემაც კი გამოიხედა და ააბრჭყვიალა ფოთლებზე გაბნეული წვეთები. დიდ, ხშირტოტება ნაძვის კალთის ქვეშ შეფარებულნი, გამოვედით და საკმაოდ უხალისოდ განვაგრძეთ ჟოლოს კრეფა – ირგვლივ სველია ყველაფერი.

ნახევარ საათში ისევ გაწვიმდა... ამჯერად თითქმის ერთი საათი წვიმდა. გადავწყვიტეთ, შინისკენ ავიღოთ გეზი, თან გზა-გზა შემორჩენილი ჟოლო ვკრიფოთ.

დათუნას ვედრო მოაქვს, ბესიკს – ჩანთა. ბესიკს დედა მიეშველა, ჩანთა წყვილად მიაქვთ. დათუნა აჭიჭყინდა, წინათ მე ჩანთა მომქონდა, ბესიკმა გამიცვალოს ვედროშიო. კონფლიქტის აღსაკვეთად ლია ართმევს ვედროს, ჩანთა კი ერთად მიაქვთ ძმებს. ახლა იმაზე აუხირდნენ ბიჭები ერთმანეთს, ვინ მეტი ჟოლო მოკრიფა.

უკან უფრო სწრაფად მივდივართ და მალე ყურუსებიც გამოჩნდა. დღეს მეტს ვეღარ მოვკრეფთ, კილონახევრამდე ჟოლო გვექნება.

საღამოვდება. ნიავი ქრის და ჩამავალი მზით აკიაფებულ ბალახებს ატოკებს. ქარი შრიალსისინით ნავარდობს მაღალ ხეთა კენწეროებში, ბალახებს კი უხმოდ აღელვებს. ხვალ იქნება კი დარი? წინწრიხებენ კალიები, მათ ეს არ აღელვებთ. ერთი ბეწოები არიან და ამხელა ხმას კი გამოსცემენ. ბალახი გზის ცალ მხარეს გათიბულია და კალიების კონცერტი მხოლოდ მარცხნიდან, გაუთიბავი მხრიდან გვესმის.

ყურუსების შემდეგ აღმართი იწყება, გზა ტყეში შედის; გზისპირებზე ალაგ-ალაგ თხილის ბუჩქნარია. დათუნა-მაჩანჩალა ჩამოგვრჩა, გადაჰყვა თხილზე "ნადირობას". ჩვენც ვკრეფთ თხილს, ვტეხთ კუნძზე ქვით, დროდადრო დათუნას ვუხმობთ, რომ დროზე წამოგვეწიოს. დათუნა მოდის, ერთ ადგილას მუხა დგას, ახლა რკოს დაუწყო კრეფა; მუხის ტოტებს ესვრის ქვებსა და ჯოხებს, ნეტა რკო რაღად უნდა?

– ბიჭო, შინ ღორი გყავს? – ვეუბნები.

– თვითონაა ღორი! – იცინის ბესიკი.

როგორც იქნა, ავიარეთ პირველი აღმართი, ისევ დათუნას ვუცდით. ჩამოვსხედით კუნძებზე. ბესიკი მაჟალოზე აძვრა, წვრილნაყოფა კუნწულები ჩამოგვიგდო. მაჟალო ჯერ ისეთი მჟავეა, ჩხიკვს დააჩხავლებს.

იაგორას მინდორი რომ გადავიარეთ, ზევიდან თავდაღმართზე ჩამოგლიჯინდნენ ბიჭები, ექვსი თუ შვიდი, – ბესიკისა და დათუნას მეგობრები, – ჩაყვეს ცხვირი ყველაფერში: "რა მოიტანეთ?".

ამჯერად მართლაც ბევრი ვერაფერი მოვიწიეთ, მაგრამ ხვალ კი, თუ ამინდმა არ დაგვაღალატა, ადრიანად წავალთ და მაშინ ნახეთ ჩვენი ვაჟკაცობა!

3.

გამარჯობა, მზეო!

უჰ, რა მშვენიერი დილაა!

– მე ტყეში არ წამოვალ! – გადაჭრით აცხადებს დათუნა.

– რატომ? დღესაც წავიდეთ ჟოლოზე უკანასკნელად და მერე ახლომახლო ვივლით სოკოზე...

– დავიღალე!..

დათუნა თუ გაჯიქდა, მტრისას – ფეხს ვერ მოაცვლევინებ.

– მოდი, მაშინ გუგული-მატარებლით წავიდეთ! თერთმეტის ხუთ წუთზე უკვე "პლანტაციაში" ვიქნებით. სამ საათამდე ვკრიფოთ და ოთხის ოც წუთზე უკანვე გამოვყვეთ ისევ მატარებელს.

დათუნა, როგორც იქნა, დავიყოლიეთ, ახლა დროულად მივირთვათ დილის საუზმე, ჩავიცვათ, დავიხუროთ, ცოტა საგზალი მოვაქუჩოთ და მატარებელს მივუსწროთ...

ყველაფერი კარგად აეწყო, ის კი არა, ხუთი წუთით ადრეც კი მივედით მატარებლის გასვლამდე. პირველი ვაგონის ღია ბაქანზე დავდექით – აქედან მშვენივრად გამოჩნდება ყველაფერი. ჩვენთან ერთად მოდიან კიდევ ჩვენი მეზობლები – პოლინა, მისი ორი შვილი – 15 წლის ანდრია და 3 წლის ნასტია, აგრეთვე პოლინას ძმისშვილი – 7 წლის ნანა.

ახალგაზრდა მემანქანე უკვე კაბინაშია, ელმავალი სადაცაა დაიძვრება. ჩამოიარა ხნიერმა მემანქანემ, ამრეზით ამოგვხედა:

– ეს რა უჭულბუჭულები აგიკიდებიათ! თქვენ რომ გგონიათ, იქ არ გავაჩერებ!

– რატომ, ბატონო? – დაბნეულნი მორიდებით ვეკითხებით.

– ერთხელ გავაჩერე და ვაგონი აცდა რელსს, მერე საჩივარი დაგვიწერეს!

რაღა უნდა გვექნა, ჩამოვედით ვაგონიდან, ვდგავართ ბაქანზე ყურებჩამოყრილნი.

ხნიერი მემანქანე ელმავლის ჯიხურში ავიდა. მატარებლის დაძვრის წინ გამოყო თავი:

– ჩასხედით! სწრაფად, სწრაფად!

ავცვივდით ვაგონში და შემადგენლობაც დაიძრა. გრილი ნიავი გვცემს, ცოტა მოვიბუზეთ კიდეც; მაინც ხალისიანად ვიყურებით აქეთ-იქით. განსაკუთრებით ბავშვებს უხარიათ. ღამე იწვიმა და რკინიგზის გასწვრივ მდგომი ხეებიდან ცივი წვეთები გვესხურება.

ათ წუთში მივაღწიეთ იმ ადგილს, სადაც გუშინწინ დავსხედით ბაკურიანისკენ მიმავალ მატარებელში.

შემადგენლობა ნელ-ნელა გაჩერდა და ჩვენთან ერთად სხვა ვაგონებიდანაც გადმოლაგდა ათიოდე ჟოლოს მაძიებელი ვედროებითა და ზურგჩანთებით.

აქ საკმაოდ დიდი მინდორია; სხვადასხვა მხარეს გავიფანტეთ, მანამდე კი პოლინას შევუთანხმდით, რომ სამ საათზე მაჟალოს ხესთან შევიკრიბებოდით.

ხალისიანად ვკრეფთ ჟოლოს – გზაზე დრო არ დაგვიკარგავს და არც დავღლილვართ.

– დათუნა, მოდი ჩემთან! – ვეძახი, როცა კარგ გასაკრეფ ბუჩქს წავაწყდები.

– არ მოხვიდეთ! – ყვირის დათუნა, თუ თვითონ კარგ ადგილს მიაგნებს.

რკინიგზის გადაღმა ღრმა ხევს რომ მივაკითხოთ, ბევრად აჯობებს ალბათ. შორს, 3-4 კილომეტრში, ბაკურიანისწყლის გაღმა, მოჩანს მზით განათებული, წიწვნარით შემოსილი, გაწოლილი ქედი. მისი ერთი გორაკის წვერთან ახლოს ხასხასა მწვანე მინდორია. ერთი უნდა ავიდე, გადმოვხედო ქვეყნიერებას, კარგი ხედი გადაიშლება იქიდან...

მივადექით "ჩვენს" ხევს. ღრმა ხევია, ნესტიანი, ბალახები კაცის სიმაღლე იზრდება, ზოგი – უფრო მეტისაც. კოღო მესტუმრა – ტკაც! არ გავახარე. ისიც მეყოფა, რომ ნამდვილი ომი მაქვს ჭინჭართან – მე ვთელავ ფეხებით, ის მსუსხავს... ლია და ბიჭები უკან მომყვებიან, წუწუნებენ. ხევის პირზე აქა-იქ გამხმარ ხეებს უსასოოდ გაუშვერიათ გაშავებული ტოტები. ჰო-ჰო, რა ჩაწნულ-გადახლართულია ბალახეულობა! ყველა მაღლა მიისწრაფვის – მზისკენ, სინათლისკენ; ყელყელაობს მწვანე მასიდან ზევით აზიდული თეთრი, ყვითელი, იასამნისფერი ყვავილები, ნელა ტოკავენ ნიავის შემოქროლებაზე, ეპატიჟებიან ბუზ-ფუტკრებს და ხოჭო-პეპლებს.

ძნელია აქ გზის გაკვალვა, სამაგიეროდ, ჟოლოა ბლომად – მსხვილ-მსხვილი, ჯიშიანი.

– ოჰო, დამძიმდა! – უხარია დათუნას, ვედროს წონის ხელში.

დასასვენებლად მორზე და დიდ ქვებზე ჩამოვსხედით ჩრდილში; მუხლებს ვასვენებთ, დაჭინჭრულ ხელებს ზრიალი გაუდით... უკვე აღარც ვერიდებით ჭინჭარს, "მივეჩვიეთ". აგერ ბუსუსდაყრილი მუხლუხო მიბობღავს ჭინჭარზე – ჩემს გარდა კიდევ ჰყოლია მტერი! ჟოლოს ფოთოლქვეშ ყვითელმუცელა ობობა ჩასაფრებულა, მოთმინებით ელის "სტუმარს"...

ხევში ჩაგდებულ ხეებს ვერ გამოიცნობ, რა ჯიშისაა – დაფარულია მთლიანი ხავერდით ხავსისა, ამ ხავსში კიდევ რაღა არ არის ამოსული: ჭინჭარი, ჟოლო, მარწყვი, მოცხარის ბუჩქიც კი.

ახლაც, ამ ხევში, ბრძოლაა არსებობისთვის – ვინ ვის! მცენარეები ერთმანეთის გადაფარვას ცდილობენ, სასიცოცხლო არე უნდათ განიმტკიცონ... მწერებიც მტრობენ ერთიმეორეს. აგერ, ჩემს წინ, თეთრ ყვავილზე შავ ფრთებზე წითელკოპლებიანი პეპელა ზის და გულმოდგინედ ჩითავს ყვავილებს. მოფრინდა ბზიკი, ამ პეპელას "ურქინა"; როცა არაფერი გამოუვიდა, წავიდა სხვა "დაუკავებელი" ყვავილის მოსაძებნად... პეპელა, ეტყობა, მიჩვეულია ასეთ შემოტევებს, ვითომც არაფერი, ჩვეულად განაგრძო საქმიანობა. იშვიათად ნახავ მცენარეს, – ხეს, ბუჩქს თუ ბალახს, – მატლის მიერ გამოხრული ფოთლები არ ჰქონდეს. ასევე, იშვიათია ხე, – გინდ წიწვნარი, გინდ ფოთლოვანი, – რომ ხავსი და მღიერი-ბობოწვერა არ ამკობდეს მის ტანსაც და ტოტებსაც. ჩემს გვერდით დიდი ქვაა, – მაგარი, სალი, – ისიც კი ალაგ-ალაგ ხავსს დაუფარავს, მღიერსაც დაულაქავებია სხვადასხვა ელფერის ნაცრისფერ-მოლურჯოდ.

წავიხემსეთ და განვაგრძეთ ღრმა, ციცაბოკალთებიანი ხევის ფსკერზე ჟოლოს კრეფა. უზარმაზარი ლოდიანები, წაქცეულ ხეთა ჩახერგილი ტანები, ბუჩქნარი, გადიდგულებული ჭინჭარი – ძნელი სავალია! ბრძოლით, – ხან მოხრით და ქვეშ გაძრომით, ხან მაღალი ბალახის თელვით, – მივიწევთ წინ, მეორეს მხრივ კი სწორედ ასეთი ადგილები უყვარს ჟოლოს და გალაღებულა კიდეც!

გავედით ამ ხევის თითქმის ბოლოში – ბაკურიანისწყლის ხეობას რომ უერთდება. იქ, შესართავთან, უკვე კანიონია, კლდოვანი კედლებიდან ურჩხულის კბილებივით ამოჩრილი ქანები გამოჩნდა. წყლიანი ხევი რომ იყოს, ჩანჩქერი ჩანჩქერზე იქნებოდა გადაბმული, ისე ციცაბოდ ეშვება ქვევით.

ხევის ფსკერზე გავლა უკვე შეუძლებელია, ბილიკი გადადის მარჯვენა ფერდზე; ხევის ნაპირზე ბლომად გამხმარა ნაძვები.

ისევ ჩამოვსხედით დასასვენებლად. აქ ნიავი სრულებით არ იგრძნობა, მხოლოდ ფიჭვთა და ნაძვთა კენწეროები შრიალებენ. წუილით მოფრინდა კოღო. ავუქნიე ხელი, გამეცალა, ალბათ დროებით – ძმაკაცების დასაპატიჟებლად გაფრინდა, მობრძანდით, სუფრა გაშლილიაო. სანამ

კოღოთა მთელი ჯგრო გვეწვეოდა, გაცლა ვამჯობინეთ, მით უმეტეს, რომ სამის ნახევარი სრულდება და დროულად უნდა გავეშუროთ მატარებლის შესახვედრად დათქმული ადგილისკენ.

სამ საათზე უკვე მაჟალოსთან ვიკრიბებით – პოლინას გუნდი თურმე ბევრად ადრე მოსულა. ოთხის ოც წუთზე გავიგონეთ ვაგონთა ბორბლების ღრჭიალი მკვეთრ მოსახვევში. მალე მატარებელიც გამოჩნდა. ხნიერი მემანქანე ამჯერად მარჯვენა მხარეს იჯდა. ყველანი გავემზადეთ, ხელში დავიჭირეთ ჩვენ-ჩვენი ბარგი, პოლინამ პატარა ნასტია აიტატა, მატარებელი კი... არ გაჩერდა! როცა ბოლო ვაგონიც გაგვცდა და გუნებაწამხდარებმა ხელბარგი დავუშვით მიწაზე, მატარებელმა სვლა შეანელა.

– აჩერებს, აჩერებს! მალე, გავიქცეთ!

დავცხეთ ყიჟინა და შპალებზე სირბილით გავეშურეთ ბოლო ვაგონისკენ... როცა მივუახლოვდით, ამ დროს მატარებელმა სიჩქარეს უმატა! უმატა და მალე მოსახვევს მიეფარა...

ვდგავართ გულამოვარდნილები, აქოშინებულები და მემანქანეს ვლანძღავთ... კაი, ბატონო, ინსტრუქციის დარღვევა არ შეიძლება და ამიტომ მატარებელს დაუდგენელ ადგილზე ვერ გააჩერებს, მაგრამ აბუჩად რატომღა აგვიგდო, რატომ გაგვაბითურა?!. თან ხომ ხუთი ბავშვი გვახლავს...

დაღამებამდე კარგა დროა, სამი-ოთხი საათი კიდევ შეიძლება კრიფო ჟოლო, მაგრამ სადღა გვაქვს მაგის ხალისი. მივჩანჩალებთ შინისკენ, პატარა ნასტია ხან პოლინას ჰყავს აკიდებული, ხან – ანდრიას.

ორ საათზე მეტ ხანს მოვუნდით გზის გალევას. გზა-გზა ყვავილების დიდი თაიგული შევკარი. დღეს ჟოლოც კარგად დავკრიფეთ!

როცა იაგორას მინდორზე გავედით, ორ პატარა გოგონას ისე მოეწონა ჩემი თაიგული, რომ, მშობლების დატუქსვის მიუხედავად, გამოიქცნენ ჩემკენ და მთხოვეს – ბიძია, ცოტა ყვავილი გვაჩუქეო. მეც ვუწილადე, რა თქმა უნდა.

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ჩემს წინ მაგიდაზე წყლიან ქილაში დგას ლამაზ-ლამაზი, ფერად-ფერადი ყვავილები და ტყე-მინდვრის ნაზ სურნელს აფრქვევს...

დათუნა და ჯადოქარი

ბაკურიანული ზღაპარი

ბევრი მეღიჭინა დათუნა, ერთი კარგი ზღაპარი მიამბეო, თანაც, გინდა თუ არა, ბაკურიანული იყოსო. მეც რაღა მექნა, დავყაბულდი, გაჭირვებით მოვაკვარახჭინე და კარგი ზღაპარი გამოვიდა თუ არც ისე, თავად განსაჯეთ...

იყო ერთი ცელქი ბიჭი – დათუნა. ზაფხულობით ბაკურიანში ისვენებდა და ერთობოდა გემრიელად. ერთ მშვენიერ დღეს კი განიზრახა ფერადი ფანქრებისა და სახატავი რვეულის ყიდვა ბაკურიანის უნივერმაღში – ლამაზი ყვავილების, მშვენიერი პეპლების, კოხტაგორის და კიდევ ბევრი რამის დასახატად. ყველაფერი შეიძინა დათუნამ, რაც კი საყიდელი ჰქონდა, მაგრამ უნივერმაღს მაინც ვერ სცილდებოდა – რამდენი რამ დარჩა კიდევ საოცნებო, რომელიც ქუჩის მხარეს ვიტრინაში ასე მიმზიდველად გამოუფენიათ და როგორ გინდა, შეყვარებულის მზერა მოაცილო ავტომატს, თითქმის ნამდვილს რომ ჰგავს, ან კომპასს, ასე ძალიან რომ გჭირდება ტყეში გზის გასაგნებად, ან კუთხეში დახვავებულ ტყავის ბურთებს – ნეტა ერთი მაინც იყოს დათუნასი! თან ერთი რამის მოლოდინიც აჩერებდა: ხმა დაირხა – ვიღაც დიდი თანამდებობის პირი, მაღალი სტუმარი უნდა ეწვიოს ბაკურიანსო! მართალი იყო ეს თუ ტყუილი, არავინ იცოდა, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის სასწრაფოდ შეაკეთეს და შეღებეს ფიცრის ღობე მთავარ ქუჩაზე, დაესივნენ ფილაქნებსა და ტროტუარებს, დახვეტ-დაასუფთავეს, ბორჯომიდან სახანძრო მანქანაც ამოიყვანეს და ქუჩები მორწყეს... ქუჩებში თავისუფლად მოსეირნე ღრუტუნებს სმოკინგები და ფრაკები ჩააცვეს და პეპელა ჰალსტუხებით დაამშვენეს, ძაღლები ელეგანტურ შავ პიჯაკებში გამოაწყვეს, ქათქათა თეთრ ხალათებზე შავი ჰალსტუხები გაუნასკვეს, ძროხებს – უკანასკნელი მოდის მამაკაცის შლაპები დაახურეს (ახლა ქალებიც ატარებენ – მოდაშია!) და გრძელი, მბრწყინავი საყურეები ჩამოჰკიდეს; ზოგს, განსაკუთრებით მომხიბვლელებს – გულსაკიდებიც! ბატებსა და იხვებს მოქარგული წინსაფრები ჩამოურიგეს, ქათმებს ჭრელი კაბები შეუკერეს... მხოლოდ კატებს ვერ მოუხერხეს ვერაფერი: ხომ იცი კატუნიების ხასიათი – ჩვენ ისედაც ლამაზები ვართო და ვერავითარი ხვეწნა-მუდარით ვერ ჩამოიყვანეს მაღალი ხეებიდან და სახურავებიდან.

უყურებს დათუნა მორთულ-მოკაზმულ გამვლელ-გამომვლელთ, თან ფანქრებს წვერს უთლის ჯაყვით, და ამ დროს რას ხედავს: მთის ქუჩის ოღროჩოღრო დაღმართზე ბუღი ავარდა – ორცხენიანი ეტლით ბოროტი ჯადოქარი ბაქრიბუქრი მოჰქრის! ნუ გაგიკვირდება: ცხენები ეტლს უკან ება და, ამ უკუღმართობის მიუხედავად, თითქმის მოფრინავდა – ჯადოქარი ხომ ბოროტი იყო და ყოველი ბოროტი ყველაფერს უკუღმა აკეთებს, ხომ ასეა?

ესეც შენი ნანატრი სტუმარი!

ჰოდა, მოვარდა ეს ბაქრიბუქრი თავისი გაუკუღმართებული ეტლით, ისეთი მტვრის კორიანტელი დააყენა, რომ მზე დაბნელდა. იცი, თვით ჯადოქარი როგორი იყო? გამხდარზე გამხდარი, ხელებიცა და ფეხებიც – გრძელზე გრძელფრჩხილებიანი, სამაგიეროდ, თავი ჰქონდა მშვენიერი! ნამდვილი დიდი გოგრა, რომელიც შიგნიდან გამოღრუტნული იყო და ნახვრეტებიც ამკობდა: ორი ხვრელი აქეთ-იქით გვერდებზე – ყურები, წინ კი – სამი, ბოდიში, ოთხი, ოთხი ნახვრეტი! ერთი – ცხვირი (წაგრძელებული, ვიწრო), ერთიც – პირი (ეგ – განივად, ისიც ცოტა წაგრძელებული, ოღონდ უფრო პატარა) და დანარჩენი ორი ნახვრეტიც პირსა და ცხვირს ზევით – დიდები, მრგვალ-მრგვალები! მიხვდი ალბათ – თვალები!

ამ გოგრის შიგნით უცნაური რაღაც ენთო, ისე აკვესებდა თვალებს ეს ჯადოქარი ბაქრიბუქრი; ყურებიდან ბოლს უშვებდა, თან ცხვირით გამყივანად უსტვენდა და პირით კი საზარლად გაჰკიოდა – ცხენებს აქეზებდა. ტანთ ემოსა ზიზილ-პიპილებით მორთული, მბრწყინავი, პუჭპუჭებიანი ფართხუნა ხალათი... მოკლედ, შეხედავდი ჯადოქარს და შეგეშინდებოდა!

გაჩერდა ეს ეტლი, დაიქნია ბაქრიბუქრმა შოლტი – შოლტი კი არა, გრძელი, კლაკნია გველი ეპყრა ხელთ! – ფიშტოს გასროლასავით გაატყლაშუნა, საშინლად დაჰკივლა კიდეც და უცებ გარშემო ყველაფერმა ნირი იცვალა! ყველაფერი ნაცრისფერი გახდა – სახლებიც, ხეებიც, ადამიანებიც, კოხტაგორაც, მცივანოს მთაც და ცაც კი... მთებზე ჩამოწვა ნისლი, შავ-შავი ღრუბლებით დაიფარა ზეცა... გამოხუნდა ირგვლივ ყოველივე, ადამიანთა აზრებიც კი ნაცრისფერი გახდა... აღარავინ ხუმრობდა, აღარც სიცილი ისმოდა, სიხარულს ვეღარ ხედავდი სახეებზე, ჩაქრა თვალების ბრწყინვალება, შეწყდა სიმღერებიც და აღარც ვინმე შრომობდა ხალისიანად... მხოლოდ ბაქრიბუქრი აპარპალებდა-ავარვარებდა თვალებს.

ბოროტმა ჯადოქარმა მოიტაცა ქვეყნიერების ფერადოვნება, გაძარცვა სიხალისისგან სულებიც!..

რა ვიცი, კაცო, რა უნდოდა იმ ბოროტ ჯადოქარსა; აბა, იმ კვახისთავასგან კარგი რა იყო მოსალოდნელი? ან დათუნას რას ერჩოდა, ერთი ბუნჩულა, კეთილი ბიჭუკელაა! მართალია, ზოგჯერ ჯიბრიანიც არის, მაგრამ ამით მხოლოდ თავის თავს ვნებს... მივარდა ჯადოქარი მასთან (ხომ გახსოვს, ბიჭი ამ დროს ქუჩაში მაღაზიის ვიტრინასთან იდგა, იქ გამოფენილი ნაირ-ნაირი სათამაშოების ცქერით გული რომ იჯერა, ახლა ქუჩას ათვალიერებდა), მაგრამ დათუნამ იმარჯვა – წიხლით შეხვდა და გააგორა კიდეც მიწაზე ის შოლტშემართული ვიგინდარა! სანამ ბოროტი ბაქრიბუქრი მტვრის ბუქში ფართხალებდა და ტანზე შემოხვეული შოლტ-გველისგან განთავისუფლებას ცდილობდა, დათუნამ, ეტლს რომ ცხენები უკან ება, გამოხსნა და წინ ჩაება, როგორც წესი და რიგია, საჩქაროდ ჩახტა ეტლში და გაქუსლა! ახლა ეტლი ადრინდელზე სწრაფად მიგორავდა, მაგრამ უკან შოლტის ტყლაშუნით გამოდევნებული ჯადოქარი ბაქრიბუქრი დიდზე მაინც ვერ ჩამოიტოვა...

ჰო-ჰო, რა რბოლა გაიმართა! გააჭენა დათუნამ ცხენები, გაახურა; ეტლს თითქოს ფრთები შეესხა, იცი, რა ქარივით მიჰქროდა? ახტებოდა ღობეებს, გადაევლებოდა ხეებს, სახლებს, გავარდა მოკლეზე ბაკურიანის წრიულ გზაზე... მისდევს ჯადოქარი ბაქრიბუქრი შოლტ-გველზე გადამჯდარი, პირღია გველი სწრაფად იკლაკნება-მისრიალებს, ნამდვილი ფრთები გამოება – გველეშაპად იქცა! სადაცაა ეტლს უკანა ღერძს კბილებით სწვდება! მაგრამ, ხომ იცი, ეტლს ცხენები წინიდან ჰქონდა შებმული და ამიტომ ეტლში მჯდომი უკვე კეთილი საქმისთვის იყო თავგადადებული და სად გაგონილა, ბოროტმა კეთილს აჯობოს?!.

წრეს წრეზე უვლიან ამ მოასფალტებულ გზაზე, მერე დათუნამ იფიქრა, გველეშაპს გაუჭირდება უსწორმასწორო გზაზე ჩემი დაწევაო და ტყისკენ გაუხვია! და შეცდა: იქ ხომ ეტლსაც გაუძნელდა სვლა... კისრისტეხით გადაიარეს იაგორას მინდორი, შემდეგ ტყეში დურთეს თავი. მისდევს ეტლს გადარეული ჯადოქარი ბაქრიბუქრი, გველეშაპად ქცეულ გველზე გადამჯდარი; ამ ფრთოსანი გველეშაპის ხახიდან გამოვარდნილი ცეცხლის ალი უკვე ეტლსაც წვდება, უზარმაზარი ფრთების ტყლაშუნ-ფართქუნი ცხენთა ჭიხვინსაც კი აყრუებს...

კიდევ კარგი, ვიწრო გზა ხშირ ნაძვნარში მიიკლაკნებოდა და გველეშაპს ფრთების ღონივრად, მთელი ძალით ქნევის საშუალება არ ჰქონდა, თორემ სულ ადვილად შეძლებდა, დასწეოდა და ზევიდან დასცხრომოდა თავს ეტლს. გარშემო კი ყველაფერი ისევ ისე ნაცრისფერია – ხეებიც, ბალახიც, გზაც და ცაც, მხოლოდ ბოროტი ჯადოქრის ფართხუნა ხალათია ჭრელაჭრელა და გველეშაპის ხახიდან გამოვარდნილი ალი და ბაქრიბუქრის თვალები ანათებენ წითლად. ირგვლივ ყველაფერი კიდევ უფრო ჩაჟამდა, დაიბურა, გარუხდა; ღრუბლები ქუშად დააწვა ტყე-ველებს, მთები ხომ აღარც ჩანდა...

ამ დროს ეტლი ტყიდან ყურუსების მინდორზე გაიჭრა. "აი, ახლა კი სადღა წამივა, ჩემი ლუკმა გახდებაო", – საზარლად დასჭყივლა ჯადოქარმა ბაქრიბუქრმა, თვალები დააკვესა, ყურებიდან ბოლქვა-ბოლქვად გამოუშვა ლურჯი ბოლი, გველეშაპმა კი ერთი ღრმად ჩაისუნთქა, რომ მთელი ძალით გადმოეფრქვია პირიდან ცეცხლოვანი გრიგალი...

დათუნა ეტლში მოიკუნტა, თვალებიც კი დახუჭა – რა უშველის? და უცებ (რა გვეშველებოდა, ზღაპრებში რომ ეს "უცებ" არ გვხვდებოდეს?) სულ ცოტა ხნის წინ ნაყიდ ფერად-ფერად ფანქრებს არ მიაბჯინა ცხვირი მოკუნტულმა? გულისჯიბეში ჩაუდვია! ამოიღო ჯიბიდან დათუ-

ნამ ფერადი ფანქრები, – მათ ფერი არ უცვლიათ, – ბოროტი ჯადოქრის ძალა ეტლზე ვერ გავრცელდა!

“ეჰ, რაც იქნება – იქნება, სანამ გველეშაპის არჩივი გავხდები, მოდი, ერთ ფერად სურათს დავხატავ, ის მაინც დარჩეს ამქვეყნად ჩემს მოსაგონრადო”, – ეს გაიფიქრა დათუნამ და სახატავ რვეულში დახატა... რა?.. აბა, თუ მიხვდები!.. პეპელა! მშვენიერი ფრთახატულა პეპელა-ფეფელა! დიდი, წითელ-ყვითელ-შავი ფრთებით, წინა ფრთებს შუაში მოზრდილი, თეთრარშიიანი ლურჯი წრეებიც გაუკეთა – ერთ ფრთაზეც და მეორეზეც; უკანა ფრთებს კი ასეთივე, ოღონდ, უფრო მომცრო წითელი წრეები. ძალიან ლამაზი პეპელა გამოუვიდა, იმის მიუხედავად, რომ ქაჯურ რბოლაში ეტლი გვარიანად ინჯღრეოდა და არც დრო ჰქონდა ფაქიზი მუშაობისთვის. დათუნას იმანაც უშველა, რომ, როცა ფერადი ფანქრები ამოიღო ჯიბიდან, გველეშაპს პირკატა ეცა, შეფუცხუნდა, მერე და მერე კი, პეპლის ხატვასთან ერთად, სულ უფრო ეძალებოდა უგუნებობა, აღარც ძალ-ღონე მოსდევდა ეგრერიგად და, ბოროტი ჯადოქრის ბაქრიბუქრის მრისხანების მიუხედავად, ეტლის დასაწევად არაქათი აღარ ჰქონდა...

დათუნამ პეპლიანი ფურცელი მიკეც-მოკეცა, ქაღალდის ჩიტი გამოიყვანა და ბოროტ ჯადოქარს სტყორცნა! “ჩიტი” ჰაერში გასრიალდა, დახატულმა პეპელამ ერთი შეიფრთხიალა და... გაცოცხლდა!.. მხიარულად აათამაშა ფრთები, აფარფატდა ზევით-ქვევით და იმის სიცელქე-თამაშთან ერთად უფრო და უფრო იჭმუჭნებოდა და პატარავდებოდა ბოროტი ჯადოქრის ბაქრიბუქრის თავი, შემწვარ-დახრუკულ გოგრას ემსგავსებოდა... შუქიც ჩაუქრა თვალებში, აღარც კივილ-ღრიალი შეეძლო, ტანსაცმელიც გამოუხუნდა (ჩვენში დარჩეს და, ესეც თუ ნაღდი ჯადოქარია!)... გველეშაპიც ვეღარ გველეშაპობდა, ისიც მოიმჩვარა, დაპატარავდა, დაკუტდა და ბოლოს – პატრონიანად სადღაც სოროში შეძვრა, დაიკარგა...

ლამაზმა, მხიარულმა პეპელამ დაამარცხა გონჯი, ბოროტი ჯადოქარი!

გამწვანდა მთა-ველი, ძველებურად ათასფრად მოირთვნენ ყვავილები და პეპლები, ცამ ღრუბლები გადაიყარა და – გაკაშკაშდა! განათდა ირგვლივ და ცაზე კიდით კიდემდე გადაიჭიმა საზეიმო თაღი – შვიდფერი ცისარტყელა!

წვიმა არ ყოფილა და ცისარტყელა საიდანღა გაჩნდაო, – იკითხავ, მაგრამ ზღაპარში რა არ ხდება!

ეტლი გაჩერდა და დათუნა მონუსხულივით მიაჩერდა გარშემო განფენილ მშვენიერებას.

მომღიმარე მზემაც გამოიჭყიტა – გეყოთ, ხალხო, ძაძებიო, გაახილეთ თვალებიო! ნახეთ, რა მომხიბლავად ვაფერადებ მთა-ველს; დათუნა, შენ კი ერთ რამეს გავალებ: აწი ხომ სახატავი რვეულიც გაქვს, ფერადი ფანქრებიც – გაიხედ-გამოიხედე, ხომ ხედავ, ირგვლივ რა სილამაზეა, რამდენი რამ არის გარშემო დასახატავი, – ამაზე დიდი სიამოვნება ქვეყნიერებაზე თუ არისო!

კოხტაგორის აღმართი

– წელი მტკივა, კოხტაგორაზე ვერ წამოვალ! – აცხადებს ლია.

– მაშინ შენ დარჩი და ჩვენ წავალთ! – ვამბობ მე.

– და კოხტაგორიდან სარკით სიგნალს მოგცემთ – ორ საათზე! – ამატებს დათუნა.

ასეთი საუბარი იმართება ერთ საღამოს, მაგრამ მეორე დილით, როცა ამინდიც მშვენიერი გამოდგა და ჩვენს სამზადისს და ფაციფუცს უყურებდა, ქალბატონმა ლიამ მარტო შინ დარჩენა არ ისურვა, თუმცა სარეცხი და სხვა საოჯახო საქმე ბლომად დაუგროვდა.

როცა კოხტას ძირისკენ მივემართებოდით, ქალბატონმა ლიამ გამოარკვია, რომ საბაგირო გზით ასვლას არ ვაპირებდით, ფეხით უნდა დაგველაშქრა მწვერვალი და საკმაოდ უგუნებოდ შეიქნა. მართალია, მთის ძირიდან მწვერვალამდე არც ის შორია – დაახლოებით კილომეტრნახევარია გასავლელი, მაგრამ ნამეტანი ციცაბო ბილიკია, ასვლისას შიგადაშიგ ბალახებს უნდა მოეჭიდო კიდეც... ჩვენ დავარწმუნეთ ქალბატონი ლია, რომ აუჩქარებლად ვივლიდით, ხშირ-ხშირად შევისვენებდით; მოკლედ, გავისეირნებდით ჩვენს გემოზე. ლია იმითაც შევაშინეთ, რომ დენი თუ გამოირთო, დავრჩებოდით დაკიდებულნი საბაგირო გზის სავარძელში ცასა და მიწას შუა... ასე რომ, გვირჩევნია, ფეხით ავუყვეთ ამ გაუთავებელ აღმართს, თან რა ვაუკაცობაა, საბაგირო გზით ავბრძანდეთ ათიოდ წუთში კოხტაგორაზე – გემო მწვერვალის დაპყრობას აქვს!

მივაბიჯებთ ნება-ნება; შერეული ტყეა – ნაძვნარ-წიფლნარი, ტყეში – საკმაოდ ფართო აღმართიანი ბილიკი; ბილიკის გვერდით პატარა ხრამში ნაკადული მილიკლიკებს... ათასგვარი ყვავილები ახარებენ თვალს, მათ პეპლები ეჯიბრებიან და სჯობნიან კიდეც ფერადოვნებით; თან ალბათ იმითაც გვიზიდავენ, რომ არ გვიჩერდებიან: აგერ მეჭინჭრია პეპელა დამჯდარა ზედ ბილიკზე, ფრთახატულა – თვალს ვერ მოწყვეტ! მიდიხარ უფრო ახლო, კიდევ ახლო – მოწყდება მიწას, აფარფატდება და რამდენიმე მეტრის მოშორებით ისევ დასკუპდება, გიცდის... ისევ ეპარები... ისევ აგიფრინდება ბოლო წამს – ასე გეთამაშება და გიტყუებს სულ წინ და წინ.

აგერ პატარა მინდორიც. ვჩერდებით, ღრმად ვსუნთქავთ, გულებს ბაგაბუგი გაუდის. რა სიწყნარეა! ჩიტების ჭიკჭიკი და ფუტკრების ზუზუნი კი არ არღვევს მყუდროებას, უფრო გემრიელს ხდის.

ბიჭების ენერგიას არ აქვს საზღვარი – დარბიან, ერთმანეთს დასდევენ. მე და ლია ვსხდებით ბალახზე, მერე მე ვწვები ზურგზე, ხელებგაშლილი, და თვალებს ვხუჭავ. გავშოტავ ფეხებს, ხელებს სახეზე ვიწყობ – გავირინდები, ბალახების სურნელს ვისუნთქავ... ბალახთა ღეროები სახეზე მელამუნებიან, გაბმულად დაბზუიან ბუზ-ფუტკრები თუ ხოჭოები.

ვახელ თვალებს, ვხედავ მაღლა, კაშკაშა ლურჯი ცისკენ რაკეტასავით წასულ ნაძვის ტანს, ქვევით რომ გამხმარი ტოტების ნარჩენები გამოჩრია სხვადასხვა მხარეს, ზევით კი მწვანე ქოლგად გაუშლია რტოები. ახლომახლო ყვავილები ფერად-ფერად ლაქებად მოჩანან – ფოკუსში არ არიან; ნიავი არხევს ბალახებს – სულ ახლოდან ხეებს ჰგვანან! ათასგვარი მწერები დაღოღავენ, ზოგნიც მიმოფრენენ – ყველა თავისი საქმითაა დაკავებული...

ისევ დავხუჭე თვალები, მინდა, წავუძინო... ასე ვარ გარინდებული ერთხანს, მერე ისევ ვახელ თვალებს, წამოვჯდები, მგონია, ახლა დავიბადე... კაშკაშებს გარემო, ირგვლივ ფერთა ზეიმია; ბიჭები ჯოხებით ჭინჭრებს ეომებიან.

გზა, უფრო სწორედ – ფართო ბილიკი, ისევ ტყეში შედის. მხარმარჯვნივ პატარა ხევია, მხარმარცხნივ – მცირე ფლატე, ფლატის ზევით – ტყე. ფლატეში გამოჩრილ-გამოშვერილ ფესვებს შორის და აქა-იქ ამოზრდილ ბალახში დაძვრება პატარა, მოყავისფრო-ჟანგისფერი ჩიტუნა – ჭინჭრაქა; ყველაზე დაბალ ბალახშიც კი არ ჩანს, "ჭყიპ-ჭყიპ!" – ხმამაღლა იძახის, ალბათ იმიტომ, რომ როგორმე შევამჩნიოთ. ხმა ოპტიმისტური აქვს და ერთი ციდა კუდიც ამაყად ამართული თითქმის შვეულად. რომელიღაც სხვა ჩიტი დაუსრულებლად ხმიანობს: "წკლაპ-წკლაპ-წკლაპ!" ნეტა რამ შეაწუხა? ჩვენმა მდგომარეობამ ხომ არა?

აქამდე რაც მოგახსენეთ, ლირიკა იყო, აწი იწყება "ტრაგედია"; თუმცა, ჩემი ხასიათის ამბავი რომ ვიცი, ბოლოს მაინც კომედიით დავამთავრებ.

– დათუნა, ბესიკ, შეხედეთ!

გამხმარი წიფლის ტანზე აბედასოკოები ჩამწკრივებულან სხვადასხვა სიმაღლეზე კიბესავით, შეგიძლია მაღლა ახვიდე.

მეგონა, ბიჭები აღფრთოვანებას თუ არა, სიხარულს მაინც გამოხატავდნენ – სილამაზე სილამაზეა ყოველთვის, თანაც ამ შემთხვევაში – უჩვეულო...

– მე აღარ წამოვალ! – მოქუფრული წამოჯდა გზის პირზე დათუნა.

– გინდა, ჩვენ დაგვხოცო? – ბრალდება წამომიყენა ბესიკმა.

არც ქალბატონი ლია დარჩენილა გემის ეკიპაჟის ჯანყისგან განზე გამდგარი:

– ცოდვა არ ვართ? – და ბიჭებს შორის ჩაჯდა სოლიდარობის ნიშნად ისიც, ამოიხვნეშა: – ხომ იცი, წელი მტკივა!

მე მეამბოხეთაგან ცოტა მოშორებით ჩამოვჯექი ხავსიან მიწაზე. ვფიქრობ, რა მოვიმოქმედო? ნუთუ ლაჩრულად უკან უნდა დავბრუნდეთ? შარშან ბიჭები უფრო პატარები იყვნენ და მაშინ მშვიდობიანად ავედით ფეხით კოხტაგორაზე, იმის წინა წელსაც... აქ ცოტა რომ დავისვენოთ, იქნებ სხვა გუნებაზე დადგნენ და ტრადიცია არ დაირღვეს?..

ვხედავ: ჩემს გვერდით, მიწაზე, გამხმარ წიწვებსა და გირჩებთან ერთად წიფლის ჯერ კიდევ მწვანე წიწიბოს ნაფცქვენებიც ყრია ბლომად. როგორც წეღანაც მოგახსენეთ, აქ ნაძვნარს წიფელიც შერევია და მსუნაგ ციყვს კი ალბათ ნორჩი წიწიბოს გემო მოსწონს. ერთი-ორი წიწიბო მეც გავსინჯე – ეტყობა, ციყვს გაუვარდა თათებიდან. მართალი გითხრათ, ნაზი, რძიანი გული ფრიად მესიამოვნა.

– ჰქონია ციყვს პირში გემო! მოდით, ნახეთ, რა გემრიელი წიწიბოა!

პირველი, რა თქმა უნდა, მსუნაგი დათუნა მობაჯბაჯდა, მერე ბესიკი მოკუნტრუშდა და, ბოლოს, ლიაც მობრძანდა. ბევრი იფორთხეს ბიჭებმა, მაგრამ წიწიბო ბევრი ვერაფერი იპოვეს – ციყვი არც ისე გულუხვი გამოდგა.

– წავიდეთ ზევით, იქ კიდევ იქნება წიფლის ხეები, იქნებ ტოტებიც ექნეს დაბლა და ბლომად მოვკრეფთ წიწიბოს! – მიამიტური სვლით ვაპირებ ზევით გავიტყუო ჯანყის მონაწილენი.

საქმეში ხარ! ჩემს წინადადებას სიცილით შეხვდნენ, აშკარად დამცინიან. მაშინ სხვა ხერხი ვიხმარე:

– წამოვედით თუ არა ჩვენ ერთად? ვართ თუ არა ჩვენ კოლექტივი, გუნდი? – ვიკითხე შემპარავი ხმით.

– ვართ, ვართ, აბა არა?

– ვარ თუ არა მე თქვენი ხელმძღვანელი, კაპიტანი?

ჩემი აუდიტორია ახლა კი მიხვდა, საით ვუმიზნებდი, იგრძნო საფრთხე და ერთხმად გადამაყენა "თანამდებობიდან":

– არ ხარ, არ ხარ!

– აბა, ვინ დაგეგმა ეს ექსპედიცია, ვინ მოგიძღოდათ, ვინ იცის გზა?

რაღა ეთქმოდათ, ხმა არ ამოუღიათ და მეც ბოლომდე გავუტიე:

– კაპიტანს ყველა უნდა ემორჩილებოდეს, თორემ ისე რა გამოვა? ერთი უფროსი ყველა საქმეშია საჭირო, განსაკუთრებით ტყეში, თორემ ისე ვივლით აცაბაცად... მეორეც, რა სულმოკლეობა გამოამჟღავნეთ? თქვენ მთამსვლელად არ ივარგებდით, არა! ჯერ რა სიძნელე შემოგვხვდა, სასაცილოა ამაზე ლაპარაკი, და თქვენ უკვე აწუწუნდით, სირცხვილი არ არის?

— ჩვენ დავიღალეთ! — ამბობს დათუნა.

— თუ დაიღალეთ, დავისვენოთ...

ნახევარი საათი ვსხედვართ, ჩუმად ვართ ყველანი. მერე მე ვდგები და უხმოდ მივდივარ აღმართში... სხვებიც მომყვებიან.

მივადექით საბაგირო გზის ქვედა სადგურს — აქედან იწყება ყველაზე ძნელი მონაკვეთი.

დაკიდებულ აღმართს ავუყევით კოხტაგორის წვერისკენ. ბილიკის თავზე საბაგირო გზა გაჭიმულა, ეტყობა, მხოლოდ ზამთარში მუშაობს, მოთხილამურეები აჰყავს მაღლა.

მარცხნივ ისევ ტყეა, მარჯვნივ — სათიბი; წელამდე შიშველი მთიბავები იქნევენ ცელებს. ისეთი ლამაზი და ნაირფერადი ყვავილებითაა მოჩითული ციცაბო ფერდობი, რომ ცელის დაკარება დაგენანება. აკი ერთ ახალგაზრდას პატარა ადგილი შეურჩევია, განსაკუთრებით ლამაზი; თაიგულივით შეჯგუფული მაღალი, ლურჯად მოკიაფე ყვავილების კუნძული გაუთიბავი დაუტოვებია, ცელი მოურიდებია (ბევრად გვიან, — რამდენიმე წლის შემდეგ, — როცა ეს ამბავი გამახსენდა, სხვაგვარად ვიფიქრე: შხამიანი ხომ არ იყო ის ლამაზი ლურჯი ყვავილები და ამიტომ გადაურჩნენ ცელს?). რასაკვირველია, აქაც გავჩერდით, ჩამოვსხედით.

— ვაცხადებ კონკურსს! — ვამბობ მე. — მოიფიქრეთ სათაური სურათისა, რომელიც უნდა დახატოთ: მთიბავი, სანახევროდ გათიბული ფერდობი და ერთი გაუთიბავად დატოვებული ლამაზ-ყვავილებიანი მცირე "კუნძული".

— ჯილდო რა იქნება?? — კითხულობს დათუნა.

— ნაყინი!

— "კუნძული"! — მაშინვე ყვირის დათუნა.

— ეგ ხომ თავიდანვე ვთქვი, — ვპასუხობ მე.

— "ყვავილების კუნძული"! — ამბობს ლია.

— ე-ე-ე!.. — უკმაყოფილოდ ვბუზღუნებ მე.

— "ყვავილების ქვეყანა"! — ისევ იყვირა დათუნამ.

— ეგ ცოტა უკეთესია! — ვამხნევებ მე. — აბა კიდევ! უკეთესი!

მეტი ვერაფერი მოიფიქრეს.

— გამოგელიათ დენთი?

— ჩვენ რომ მოგვადექი, ერთი შენ თვითონ რა მოიფიქრე? — აქეთ მიტევს ქალბატონი ლია.

— მე სურათს დავარქმევდი მოკლედ: "პოეტი"! ან "პოეზია"!

— მაგას ჯობს — "სილამაზის ტრფიალი"!

ასე იყო თუ ისე, ნაყინის პრიზი მიუნიჭებელი დარჩა.

ისევ წინ და წინ, ნელ-ნელა, მაღლა-მაღლა მივიწევთ. ოფლად გახვითქულნი, ხშირად ვისვენებთ. ისეთი ციცაბო ფერდობია, საკვირველია, როგორ იკიდებენ ფეხს მთიბავები მუშაობისას... ძალას ის გვმატებს, რომ მწვერვალს ვუახლოვდებით — საბაგირო გზის ზედა სადგურამდე უკვე ახლოსაა. ტყე თავდება და ალპური მდელო ზურმუხტისფრად ხასხასებს, ლამაზ-ლამაზი ყვავილებით ავსებული. ფერდობიც ნელ-ნელა ნაკლებ დაქანებული ხდება. აქა-იქ კოხტად მდგომი ეულ ფიჭვები არ ეპუებიან სიმაღლეს და ქარებს. შესამჩნევად აგრილდა, ნიავიც ქრის და სულ მალე იძულებულნი ვართ, ამ თაკარა მზეში ტანსაცმელი დავიმატოთ.

აუჰ, რა გადასახედია აქედან! მთელ ბაკურიანს თითქოს თვითმფრინავიდან დავყურებთ...

— აბა ცოტაც! ცოტაც გაიჭირვეთ და ავალთ კიდეც!

გავედით თხემზე, გადავიხედეთ სამხრეთისკენ — მწვანე, ალაგ გათიბული, ალაგ ტყიანი გორაკების ქარავანია; მხარმარცხნივ, ჩვენზე ბევრად მაღლა, ჩანს საყველოს მთა, ბაკურიანელები რომ მცივანოს უწოდებენ — ღრუბლებს იბურავს.

აქ, თხემზე, კოხტაგორის მწვერვალისკენ მიმავალი საავტომობილო გზაა, თუმც ძალზე ციცაბო, მხოლოდ ყველგანმავალი ორხიდიანი მანქანებისთვის დასაძლევი. მას დავადექით და ათიოდ წუთში ტელერეტრანსლატორის ანძასთან ვიყავით. აქვეა დიდი მიტარბის მხრიდან მომავალი საბაგირო გზის ზედა სადგური.

— აბა, გმირებო, ვაუკაცებო! 2155 მეტრი სიმაღლის კოხტაგორა დაპყრობილია! გავიმარჯვეთ, აბა, ერთხმად დავძახოთ — ვაშა-ა-ა!..

მერე ვსხედვართ კოხტაგორის უკვე გათიბულ ფერდობზე თითქმის მწვერვალთან და დავყურებთ სოფელ დიდ მიტარბსა და ბაკურიანს. ბაკურიანის ქვაბულის კიდეებზე გამავალი გზატკეცილი მოზიდულ მშვილდს ჰგავს, ხოლო ქვაბულის შუაში გამავალი გზა — ისარს.

ქრის საკმაოდ გრილი ნიავი, მოიღრუბლა კიდეც და ვიბუზებით. სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან, ქედს იქიდან, ამოიბღოტებიან თეთრი ნისლის თუ ღრუბლის ბღუჯა-ბღუჯა ფთილები და ჩვენთან მოსვლამდე ჰაერში ნელ-ნელა უკვალოდ დნებიან.

უკვე ჩავიცვით, თუკი რამ ტანსაცმელი გვაქვს შინიდან წამოღებული და ქარისგან მოფარებულ ადგილს ვეძებთ — პატარა ლხინით უნდა აღვნიშნოთ ჩვენი წარმატება.

ჩავიწიეთ ტყემდე და ერთი ხის ძირში ვიპურმარილეთ. მერე ისევ ზევით ავინაცვლეთ და იქიდან გადაშლილი ხედის ხატვა დავიწყეთ.

ორი დიდი ფრინველი გამოჩნდა. ერთი ადრე მოფრინდა, უზარმაზარი გაშლილი ფრთებით აისრიალ-ჩაისრიალა ზედ ჩემს წინ; ჭრელი იყო — მთის არწივია? მეორე მოგვიანებით გამოჩნდა

– პირველზე მომცრო, შავი ფერისა. კარგა ხანს დასტრიალებდა ფერდობს, მერე მოწყვეტით დაეშვა, ალბათ მინდვრის თაგვი თუ დალანდა.

რა დიდებული გადასახედია აქედან ჩრდილოეთით! ბაკურიანს იქით გუჯარეთისწყლის ხეობის სამხრეთი კალთა მოჩანს: ქვედა ნაწილში – ტყე, ზევით – მდელოები, სათიბები, მესაქონლეობის ფერმები; კიდევ უფრო ზევით – დაღარული ციცაბო ფერდობები და სულ ზევით – მწვერვალთა ქარავანი, რომელსაც მართლაც ჯიღად აზის მთა გვირგვინა.

ნიავი მალე ცივ ქარად იქცა, სიცივე გაგვიჯდა ძვალ-რბილში, პეიზაჟი საჩქაროდ მოვახლა-ფორთე და, აკანკალებულნი, ქვევით მიმავალ ნაცნობ ბილიკს დავადექით (მეორე საბაგირო გზა კი მუშაობდა, მაგრამ მერე დიდი მიტარბიდან მაინც მოგვიწევდა კარგა დიდი მანძილის გავლა).

მალე გავხურდით კიდეც. გზა-გზა მშვენიერი თაიგული შევაგროვე მინდვრის ყვავილებისა. ნათიბში ჩემს თაიგულს ფუტკრები აედევნენ, საწყლებს დიდ მანძილზე გათიბული ადგილები ელოდათ.

მეც იმ ფუტკრებივით ამედევნა იმდროინდელი შთაბეჭდილებები და კარგა ხნის შემდეგ დამაწერინა ყოველივე ის, რაც ზემოთ წაიკითხეთ.

ჰო, სულ დამავიწყდა, კომედიას დაგპირდით! მართალი მოგახსენოთ, ჩვენი კოხტადან ჩამობობღება ნაღდი კომედია იყო, მაგრამ შინ ისეთი გამოსავათებულნი დავბრუნდით, რომ დრამაც თავისუფლად ეთქმოდა. მე გპირდებით ნამდვილი კომედიის მოყოლას, ოღონდ შემდგომ.

ბესოს დაბადების დღე

როგორც მახსოვს, კომედიას დაგპირდით...

ა, ბატონო, ნაღდი კომედია, თუმცა ამ ამბით დაზარალებულნიც იყვნენ და ამიტომ უფრო ტრაგიკომედია ეთქმის...

დღეს 23 აგვისტოა – ბატონ ბესარიონის დაბადების დღე.

ბესომ დაჰპატიჟა მისი ტოლი გოგო-ბიჭები, ზოგი – ცოტა დიდიც ან ცოტა პატარაც. თვლით გამოვიდა, რომ თხუთმეტამდე სტუმარი მობრძანდებოდა: პალიკო, ვასიკო, ლელუკა, შორენა, ელიკა, ნინო, ნიკა, და-ძმა – გიორგი და ნათია, ძმები – ბესო და ირაკლი, კახა და გიორგი, გოჩა და ედიკა.

ამდენ პატივსაცემ სტუმარს საკადრისი დახვედრა ხომ უნდოდა?

წინა დღეს ბესიკმა და დათუნამ მაღაზიიდან ხუთი დიდი საზამთრო მოზიდეს საგანგებოდ – რამდენჯერმე მოუწიათ წასვლა-წამოსვლა.

ბატონმა გალაქტიონმა ბავშვებს მანქანით მოუტანა 20 ბოთლი ლიმონათი, თავისი დიდი ოთახიც დაუთმო, რომ წვეულებაზე მოწვეულ ბავშვებს ხალვათად ეგრძნოთ თავი.

ქალბატონმა ლიამ იცოდა, რომ ლელუკას დედა, ქალბატონი ნატო, ტორტების დამზადების დიდოსტატი გახლდათ. მივიდა მასთან თხოვნით:

– ნატო, გენაცვალე, ბესიკს დღეობა აქვს, ერთი პატარა ტორტი მინდა გამოვუცხო ბავშვებისთვის... ხომ ვერ მომეხმარები? გამიგია, განსაცვიფრებელი ტორტები გამოსდისო, ერთი მაყურებინე, მეც მინდა ვისწავლო... მასალა ყველაფერი მაქვს.

– კი, საყვარელო, დიდი სიამოვნებით! – უპასუხა ნატომ. – ქვაბი დამჭირდება, ხომ გაქვს?

ლიამ მოუტანა ხუთლიტრიანი მომინანქრებული ქვაბი, რომელშიც ჩვეულებრივ შეჭამანდებს, ბორშჩს, ტოლმას და სხვას ასეთებს ამზადებდა.

– ეგ რა არი?!. სათამაშო ტორტი გინდა? წვალებად არ ღირს... უფრო დიდი ქვაბი ექნება ვინმეს, ითხოვე.

ლიამ გაიკითხ-გამოიკითხა და ლალიმ უთხრა, რაგინდარაშვილებს აქვთ დიდი ქვაბიო. ლია ეწვია მათ; იმ ქვაბში სადილი ჰქონდათ, დაუცალეს და გამოატანეს.

– არა, არა, არც ეს ქვაბია საკმარისი, უფრო მოზრდილი იშოვე!

იწოწიალა ლიამ, იწოწიალა და ქალბატონ ჟუტუს დიდი ქვაბი წამოიღო.

– ტორტს ხომ გამასინჯებ? – უკვე ქუჩაში გამოსულს მიაძახა ჟუტუმ.

ლიას გაუკვირდა, საიდან გაიგო ჟუტუმ, რომ ტორტისთვის მინდა ქვაბიო. ლიამ რა იცოდა, თურმე ნატომ ნახევარი ბაკურიანი დაპატიჟა ბესოს დღეობაზე!

ნატომ უკვე აივნიდან დაიწყო ხელების ქნევა, ვითომ კიბეზე არ აიყვანა ლია:

– უფრო დიდი მოიტანე!.. აზას ჰქონია კარგი!..

– იმასთან ვერ მივალ, არ ვიცნობ წესიერად, მერიდება...

– კარგი, მე მომანდე ეგ საქმე! – გაიქცა მაშინვე მეტიჩარა ნუცა, ნინოს დედა, უტარო კოვზივით რომ ყველაფერში ეჩრება.

ნახევარ საათში გამოჩნდა ნუცა – აზას უზარმაზარ სარეცხის ქვაბს მოათრევდა.

– ო, ეს კარგია! – აივანზე მარჯვენა ცერი აღმართა ზევით ნატომ.

ერთი საათი ქვაბის ხეხვა-რეცხვას მოუნდნენ. მერე ნატომ დაიწყო ბრძანებების გაცემა:

– კვერცხი!.. შაქარი!.. ფქვილი!.. ვანილი!..

დატრიალდნენ ქალები, არის ერთი ფაციფუცი.

შეხედა ლილიმ – ყველა საქმიანობს, თვითონაც გამოიდო თავი:

– მე ხაჭაპურებს გამოგიცხობ!.. ყველი ხომ გაქვს?.. კარაქი?.. აბა, დანარჩენი ჩემზე იყოს!

სანამ ყველაფერი გამზადდებოდა, ქალებმა ბავშვები თავიდან მოიცილეს – გაუშვეს პანსიონატ "დინამოს" ვიდეოსალონში:

– წადით, გაერთეთ, "ურჩხულის კუნძული" გადის, მაგარი ფილმია!

ლია კარტოფილის ღვეზლების კეთებას შეება.

– უი, რა კარგი იქნება ტორტის შემკობა ჟოლოს ნაყოფებით! – აკაკანდა ნუცა. – გალაქტიონმა ერთი სარძევე მოიტანა. კრემშიც ვუყოთ, გასაყეყეჩებელი იქნება!

გალაქტიონი კინაღამ გაგიჟდა – ამის კრეფას მთელი დღე გადავყევი, 15 კილომეტრი ვიბოდიალე, ჭინჭრებისგან ახლაც მიზრიალებს ხელებიო.

– მხოლოდ ტორტის გასაწყობად მაინც მოგვეცი ცოტა... – "დაუთმო" ნუცამ.

ამაზე გალაქტიონმა უარი ვეღარ უთხრა. უზარმაზარი ტორტის გალამაზებას მაინც თითქმის მთელი სარძევე დარჩეული ჟოლო დასჭირდა.

ამასობაში ხაჭაპურებიც დაიცხო.

დიდებული ტორტი გამოვიდა, შესანიშნავი! მარტო მისი შეხედვა ერთ რამედ ღირდა! ყოჩაღ, ნატო!

ახლა რა ხაჭაპურის სურნელი დატრიალდა! ყოჩაღ, ლილი!

მხოლოდ ლია განაგრძობდა ღვეზლების ცხობას, თუმცა უკვე მთელი მთა დააყენა.

– რა ამბავია, ბავშვების გახეთქვას აპირებთ? – გამიკვირდა მე.

– ვაჰ, რა ტორტია, რა ტორტი! ტორტის უნახავს გაგხდის! – აღტაცებული იყვნენ ქალები. – თანაც რამხელაა, ამის შეჭმა არ გინდა?

გაბადრული ნატო ეპატიჟებოდა ქალებს:

– ახლა გემოც ნახეთ, ეგ არის მთავარი!

ნატომ მეზობელ ქალებს დაუძახა, თითო ნაჭერი გასინჯეთო.

ლილიმ და ნუცამაც თავიანთი სტუმრები მოიყვანეს, მარტონი ხომ არ მოვიდოდნენ.

გალაკტიონმა ამჯერადაც ჯენტლმენობა გამოიჩინა – აზა დაპატიჟეთ აუცილებლად, მისი ქვაბის წყალობაცაა, ასეთი საუცხოო ტორტი რომ გამოვიდაო. ნუცა მაშინვე წამოხტა აზას მოსაყვანად.

რაგინდარაშვილებმა გიტარა მოიტანეს, ჟუტუმ – შვილიშვილების დოლი და საყვირი.

ამღერდნენ და აცეკვდნენ ქალები, დაიწყო რია-რია. ნუცამ ლეკური ჩამოუარა.

მე და გალაქტიონი ქალებმა გაგვაძევეს – აქ ხელს გვიშლითო. მერე ხაჭაპურებს მიადგნენ – ცხელ-ცხელი უნდა მიირთვა, თუ გინდა, გემო ჩაატანოო.

ქალები ქეიფის ეშხში შევიდნენ.

როცა ბავშვები კინოდან დაბრუნდნენ და საზეიმო სუფრას მიუსხდნენ – სადღა იყო ტორტი! აღარც – ხაჭაპურები! აღარც – ლიმონათი და აღარც – საზამთრო!

კიდევ კარგი, ლიამ კარტოფილის ღვეზლები ბლომად გააკეთა; რაც დარჩენილი იყო, იმას შეესივნენ დამშეული ბავშვები.

ასე დიდებულად აღინიშნა ბესოს დაბადების დღე.

გაჩანაგდა ოჯახის სურსათის მთელი მარაგი: დაიხარჯა 30 კვერცხი, 3 კილოგრამი შაქარი, 3 კილოგრამი ყველი, 5 კილოგრამი ფქვილი, ერთნახევარი კილოგრამი კარაქი, ორი ბოთლი ზეთი, მარილი, ხახვი...

ყველანი კმაყოფილები იყვნენ – ბესოს დაბადების დღემ ჩინებულად ჩაიარა!

მხოლოდ ბესო დარჩა გულნაკლული – სულ ეკითხებოდა ლიას, ჩემი ტორტის გემო როგორი იყოო...

"ჩემი გულიკო მამიდა ჩამოვიდა!"

ვიხსენებ ბესოს ხუთი თუ ექვსი წლით ადრინდელ დაბადების დღეს...

ბაკურიანი, აგვისტოს თაკარა შუადღე.

მოკრიალებული ლურჯი გუმბათი დამხობია მზით აელვარებულ ცისფერ მთა-გორებს, მწვანედ მოხასხასე წიწვოვან ტყეებსა და მდელოებს.

შუახნის ქალი, დიდი ჩანთით და გატიკნილი ბადურით დატვირთული, აღებს მოყანყალებულ კუტიკარს და ეზოში შედის.

აღმართით ამოვარდნილ გულს დაწყნარებას არ აცლის, საკმაოდ ფართო ეზოში მზერას მიმოატარებს, ვიღაცას ეძებს.

დათუნა, ერთი ციცქნა მზით გახრუკული ბიჭუკელა, ეზოს კუთხეში საქმიანობს, უფრო – "ნაგავში იქექება", დედამისის თქმით.

– დათო!

ჩაცუცქული დათუნა აწევს თავს, წამოხტება. გაღიმებულ ქალს ოდნავ დაბნეული უღიმის თვითონაც, თითქოს რაღაცას იგონებს და ვერ კი მოუგონებია.

– გახსოვს, დიღომში რომ მე შენი მამიდა ვიყავი?

დათუნა უყურებს, უყურებს, მერე სახე გაუნათდება, შლის ხელებს და გაექანება ქალისკენ.

– ჩემი მამიდა გულიკო ჩამოვიდა! ჩემი მამიდა გულიკო ჩამოვიდა! ჩემი მამიდა გულიკო ჩამოვიდა!

ჩაეხუტა მამიდას, მიეწება; ისე შემოსალტა ხელები, რომ ქალს გაუჭირდა მისი ხელში აყვანა.

აყვანა ერთი იყო და ახლა ხელ-ფეხი აასხმარტალა, ძირს ჩამსვიო. მიწაზე ფეხი დაადგა თუ არა, მაშინვე ჯერ ჩანთას ეცა, მერე – ბადურას; დაიწყო შიგ ფათური, აბა, რა ჩამომიტანეო. ჩხრეკს და სათამაშოებსა და სასუსნავს იღებს, მიწაზე ახვავებს.

– დათო, ნუ ხარ სულსწრაფი! შინ ნახე, აქ არ შეიძლება, დაისვრება და გამტვერიანდება ყველაფერი!

დათუნას არაფერი ესმის, თავისას განაგრძობს.

– დათუნა, ვის ვეუბნები?!. ახლავე ჩაალაგე უკან!

დათუნა ჯინიანია, უსხლტება დასაჭერად გაწვდილ ხელებს, ჩანთის გარშემო დახტის და კვლავ ახალ-ახალ რაღაცებს იღებს.

მოთმინებადაკარგული მამიდა მოსცხებს ხელისგულს რბილ საჯდომზე, გამოღლეტს ხელიდან ჩახუტებულ კოლოფებს თუ პარკებს და ისევ ჩანთაში აბრუნებს.

ამ დროს დათუნაზე ერთი წლით უფროსი ბატონი ბესარიონიც გამოტყვრა საიდანღაც, სიანცესა და უჯიათობაში უმცროს ძმას არაფრით ჩამორჩება – ახლა ის იწყებს ჩანთაში ქექვას...

– მე თქვენი მამიდა აღარ ვარ! – ამბობს გაბრაზებული გულიკო. – სხვა მამიდა იშოვეთ, მეც სხვა ბიჭებს მოვნახავ!

– კარგი, კარგი, მამიდა! – პირველი ბესიკი ჩერდება, – ჩემს დაბადების დღეზე ჩამოდი? რა ჩამომიტანე?

– არაფერიც არ ჩამოგიტანე! – ეხუტება მამიდა და კოცნის. – ასეთი ჩურჩუტი ბავშვებისთვის რა უნდა ჩამომეტანა, სხვა ბავშვებს უნდა დავურიგო.

– აბა კი! – იცინის ბესიკი და დათუნას ეჯაჯგურება: – თავი დაანებე, ხომ ხედავ, მამიდა ნაწყენია! მამიდა, მოდი, მე მოგეხმარები!

დათუნას ყველაფერი წაართვეს, ისევ ჩანთაში და ბადურაში ჩაალაგეს და ნაქირავებ ოთახს მიაშურეს.

იქ პატარა გაწევ-გამოწევა შეიქნა, სათამაშოები ვერ გაიყვეს; ასე რომ, შემოსწრებულ ლიასაც გაუჩნდა საქმე – მოძიძგილავე შვილები ერთმანეთს ვერაფრით დააშორა. ახლა მამიდა ჩაება ომში... ერთი ცელქი დედამ დაიჭირა, მეორე – მამიდამ გააკავა და დგანან ასე ქანდაკებებივით.

– გამიშვი! – იძაგრება ბესიკი და ფეხებს ასხმარტალებს. – ეზოში მინდა გასვლა!

მამიდა ხელს უშვებს, ბესიკი ტყვიასავით გავარდება გარეთ, თან გზად დასტაცებს ხელს დასაქოქ ავტომობილსა და ბურთს.

დათუნა უფრო დინჯი ყმაწვილია, გულდაგულ დაათვალიერა ჩამოტანილი სათამაშოები და გასართობები, განსაკუთრებით კი ნამცხვრები იზიდავს სასწაულებრივად. ჩუმად წაატეხა ქადას ყუა და ლოყადაბუშტული იღმურძლება.

– შე საზიზღარო, ჭუჭყიანი ხელებით ჭამ?!. – ქორივით დააცხრა მამიდა. – გამოყარე ახლავე პირიდან!

საქმეში ხარ? დათუნა ახლა ნამცხვარს ეცა, მაგრამ დედამ ცხვირწინიდან აიცალა.

– შენ არაფერს მოგცემთ, ღორმუცელა! ნახე, თუ მუცელი არ აგტკივდეს, ახი იქნება შენზე!

რაღას იზამს, მოწყენილი დათუნა მამიდასთან მიდის, გვერდზე მიეკვრება და სთხოვს:

– ერთი პატარა ნაჭერი მომიჭერი რა!

– ხელი დაიბანე!

დათუნა თავქუდმოგლეჯილი გარბის ონკანისკენ.

ბესიკი სადილობის დროსაც კი არ დაბრუნდა შინ, სულ გაგარეულდა. მამიდა უყვირის, მოდი, მომენატრე, ახალ ზღაპარს მოგიყვებიო, მაგრამ ამაოდ. სამაგიეროდ, დათუნა მთელი დღე მამიდას არ სცილდება, მიეწება კალთაზე. ბესიკი მხოლოდ იმით შევიტყუეთ, რომ შევაშინე: მოდი, თორემ საზამთროს სულ შევჭამთ და დარჩები ხახამშრალი-მეთქი.

საღამოსპირს მამიდას ვაცილებთ თბილისის ავტობუსზე.

დათუნა ცარიელ ჩანთას მოათრევს, არავის უთმობს. ბესიკი სადღაც ჩამორჩა – ძმაკაცები შეხვდა გზაში და მათთან საუბარში გაერთო, სათამაშოებს ახარბებს.

– მამიდა, ჩემი დაბადების დღე როდის იქნება? – კითხულობს დათუნა.

– ორ თვეში, ოქტომბერში.

– მერე მე ხომ მიყიდი კარგ კაკებს? დიდი საზამთრო მინდა, აი, ახლა რომ ჩამოიტანე, იმაზე დიდი!

– გიყიდი, გიყიდი, თუ იმ დროს იქნა.

– მართლა? რა კარგია! ერთს? თუ ორს?

– ორი გინდა? მაშინ ორს... ან ერთ დიდ საზამთროს და კიდევ ნესვს. ნესვიც ხომ გიყვარს?

– მიყვარს, ძალიან მიყვარს! მაშინ ორი დიდი საზამთრო და ორი დიდი ნესვი მომიტანე, კარგი? ბესოს არ ვაჭმევ!

– კარგი, კარგი! რომ გასკდე, არ გეშინია?

– მე არ გავსკდები, ბესო გასკდება!

ამ დროს ბესოც წამოგვეწია, მეტისმეტად ცნობისმოყვარეა.

– რაზე ლაპარაკობდით?

– იმაზე, რომ გასკდები! – მიახალა დათუნამ.

– თუკი ბესოს არ გაუნაწილებ, როგორღა გასკდება? – ეკითხება დათუნას გულიკო.

– მაინც გასკდება! მე ტორტსაც ხომ მომიტან დაბადების დღეზე? დიდ-დიდ ტორტს?

– ტორტიც გინდა? კიდევ რა გინდა? წკეპლა მოგცხო, ხომ გინდა?

– წკეპლა ბესოს უნდა!

– არა, შენ გინდა! – ხელი ჰკრა ბესომ დათუნას.

ბავშვები გზაზე ძიძგილაობენ, ცარიელ ჩანთას ატრიალებენ, ძლივს ვაშველებთ.

– იცოდეთ, აღარ ჩამოვალ ასეთ ცუდ ბავშვებთან!

– აბა კი! – თვალები ეშმაკურად უციმციმებს ბესიკს.

– თქვენ თუ ასე მაყვირეთ და მაჩხავლეთ... – ეტყობა, მამიდა მართლა გაბრაზდა.

– მიავ, მიავ! – კატასავით კრუტუნებს და ეტმასნება გულიკოს დათუნა. – შენს ფისოსთან არ ჩამოხვალ?

– არ ჩამოვალ! – ვითომ ებუტება მამიდა, მაგრამ ვერ ითმენს და დათუნას მოკლედ გაკრეჭილ თავს იხუტებს: – არ ჩამოვალ!

...ნახევარი საათის შემდეგ მთის ქუჩის აღმართში შინისკენ დანაღვლიანებულნი მივაბიჯებთ მე, ლია, ბესიკი და დათუნა. ბავშვებს მალე გაუქარვდათ დარდი – ეზოში მისვლისთანავე ბიჭებთან ბურთის თამაშში ჩაერთნენ.

დაღმართში მიმქროლავ ავტობუსში მჯდომი გულიკო კი გასცქერის ნაძვნარით შემოსილ ციცაბო ფერდობებს და ბესიკისა და დათუნას სახეები არ შორდება მის გრძნობა-გონებას. ახლა ნანობს, რომ რამდენჯერმე თავი ვერ შეიკავა და უყვირა ბავშვებს – და ეს სინანული თბილისამდე მიჰყვება.

მაჟალო

მთელი დღე მარტო დავხეტიალობ ტყეში.

მომაქვს ცოტა კალმახასოკო, ცოტაც – შავი მოცხარის ნაყოფი, ბლომად – მისი ფოთლები გასახმობად და დაღლილი, რეზინის ჩექმების ფლასტუნით, მივეშურები შინისკენ.

ნაცნობ მაჟალოს ხეს მივაღწიე ბაკურიანის სამხრეთ-დასავლეთ კიდეზე, პატარა მინდვრის განაპირას.

ჩამოვჯექი ჭიანჭველების ბუდის ამაღლებულ ბორცვაკზე, ვისვენებ...

მზეც დაღლილია, დასავლეთიდან ირიბ სხივებს შლის ღრუბლებქვეშიდან.

შავმა ყორანმა გადაიფრინა ფრთების შუილით – საკმაოდ დიდ სიმაღლეზე; რამდენიმე წამში მას გამოდევნებული მეორე ყორანი მიჰყვა – დასავლეთისკენ, მზისკენ მიეშურებიან საქმიანად, ეტყობა, ეჩქარებათ სიკვდილივით შავ ფრთოსნებს...

გვერდით, ტყეში, საწყალობლად ჭყივის თუ ჭყიპინებს რაღაც ფრინველი, არა და არ ჩერდება, ნეტა რა დაემართა?

სიწყნარეა, გარინდებულა გარემო. სამი-ოთხი მეტრის სიმაღლის მაჟალოს ხე ოდნავ ატოკებს დახუნძლულ ტოტებს. უჰ, რა ბარაქიანად ასხია წვრილ-წვრილი ნაყოფი! ერთმანეთს მიჯრით ჩახუტებულან ნაყოფები; ცალი, მზისკენ მიქცეული მხარე მზედაკრული, მორუხოდ ფერშეცვლილი აქვთ – მზვარეზე დგას მაჟალო, ბაკურიანის მაღალმთიანი მზე კი ცხარეა! სამაგიეროდ, ზამთარში იქნება საშინელი ყინვით შეჭირვებული მაჟალო, არც ქარი და თოვლის ნამქერი აკლია ალბათ და ნატრობს ზაფხულის სითბოს, თან გაფიჩხულ, შავ ტოტებს, აქანავებს, ეგება გავთბეო...

ჰო, ვზივარ ახლა მაჟალოს ძირში, როგორც მოგახსენეთ, ჭიანჭველების ბუდეზე და მაჟალოს ჯერ შემოუსვლელ ნაყოფს გეახლებით. ტყის ვაშლი მჟავეა, მომწაროც კი, მაგრამ კარგა ხნის სიარულით მოწყურებულს ძალზე მეამება მისი ღეჭვა და თესლებიანად ვახრამუნებ. მომდგარ ნერწყვს ვყლაპავ, ჩენჩოს გადმოვაფურთხებ და ახალ ნაყოფს ჩავკბეჩ...

არ არის ადვილი მაჟალოსთვის ასეთ ადგილზე გახარება და ნაყოფით დახუნძვლა – რუხმოწითალო, ხაოიანი, დამსკდარკანიანი ტანი მიგრეხილ-მოგრეხილია. სიცოცხლის ჟინით მაღლამაღლა სწრაფვის უძლეველობა მაინც ამარჯვებინებს და ლამაზად შლის მწვანე ვარჯს, თითოეულ ტოტზე ნაყოფს თვლა არ აქვს.

ნისლმა თუ ღრუბელმა დაბურა კოხტაგორა, მზეც აღარ ჩანს, აგრილდა.

სამხრეთით, თხუთმეტიოდე მეტრში, ლამაზი, ძალიან მაღალი, წერწეტა ფიჭვი დგას; ჩრდილოეთით, ოციოდ მეტრში, თხილნარია; დასავლეთით – საბალახო მინდორი, აღმოსავლეთით კი მე უნდა გავუყვე გზას ტყეში – შინისკენ.

აქ ჯდომა და მაჟალოსთან ერთად ბალახ-ყვავილების, ტყით შემოსილი მთებისა და თუნდაც ღრუბლიანი ცის ყურება არ მომწყინდება, მაგრამ წასვლაც დროულად არის საჭირო.

ვედროში კალმახასოკოებთან ერთად მაჟალოს ნაყოფებსაც მივუჩინე ადგილი – შინ ყველანი პირს გავისველებთ.

მივდივარ, მაჟალოვ, მადლობას გწირავ გამასპინძლებისთვის და მომავალ შეხვედრამდე!

მივაბიჯებ კოლბოხებიან გზაზე და ვფიქრობ: რით უნდა გამოირჩეს ადამიანი? ალბათ რაღაც სიკეთით – აი, როგორც მაჟალო ნაყოფით და სტუმართმოყვარეობით, ან დიდი ფიჭვი – სილამაზით, თვალს რომ ესალბუნება და გულს გაგიხალისებს...

ქალბატონი ლია შეუძლოდაა...

აგვისტოს ერთ ქარიან-ღრუბლიან დღეს ქალბატონი ლია ტყეში ნესტიან ხავსზე თუ ბალახზე დიდხანს ჯდომის შემდეგ ძლივს წამოდგა – წელი გაჰკავებოდა. ხანხალით მივიყვანეთ ბინამდე და იქ კი წელკავმა არცთუ ხუმრობით შეუტია – კვნესა-კრუსუნით ჩაწვა ლოგინში... კაცებს მოგვიგდო:

– თქვენ თავს თვითონ მოუარეთ, ხომ ხედავთ, რა დღეშიც ვარ!.. არაფერი გიჭირთ აღუები აღარ ხართ...

რას ვიზამთ, მე, ბესიკი და დათუნა გავძლებთ როგორმე ქალბატონ ლიას მეურვეობის გარეშე, რა თქმა უნდა, დროებით...

ლია ვერ ისვენებს წყნარად ლოგინში, წამდაუწუმ წამოწევს თავს, შენიშვნებს, რჩევებს უშურველად გვაწვდის.

– ბესიკ!.. ბესიკი!.. ვის ვეძახი, დაყრუვდი? უჭმელი ხარ, მასე არ წახვიდე! ლობიო გაიცხელე, ცივი არ ჭამო!..

ცოტა ხანში ისევ წამოიზლაზნა:

– ბიჭო, რა უჯიშო ხარ, ცხენივით რომ დგახარ, დაჯექი და ისე მიირთვი გემრიელად!.. რატომ არ გააცხელე?.. ხელები დაიბანე?

მე რაღაცას ვწერდი, არ მომცა საშველი:

– კაცო, მიხედე, სად გარბის, დაამთავრა ჭამა?

კიდევ ათი წუთის შემდეგ უყვირის ბესიკს:

– ჩაუცმელი არ წახვიდე!.. გესმის?!. ჩაიცვი, დათოსაც წაუღე ქურთუკი, დღეს ძალიან ცივი დღეა, მთელ ტანში მაჟიჟინებს!

– მოისვენე, ქალო, თუ ავად ხარ... რას წრიალებ, მოისვენე და ჩვენც მოგვასვენე! – ვეღარ ვითმენ მე. – ნუ გეშინია, შენი რჩევების გარეშე არ დავიღუპებით.

ლია გაყუჩდა, მაგრამ სულ ცოტა ხნით. შემოგლიჯინდა დათუნა, აღგზნებული ლაპარაკობს:

– იცი, რა კარგი ლეკვები ჰყავს ჩვენს ეზოში რომ ძაღლია? სამი ცალი, სულ პატარები, პაწუნიები! კბილებიც აქვთ, წვრილები! რა კარგებია, იცი?!. დარბიან კუდის ქიცინით. ერთს განსაკუთრებით ფუმფულა ბეწვი აქვს!

– სად დაბოდიალობ ამდენ ხანს უჭმელი! – ეცა ქალბატონი ლია. – ხელი მოკიდე? საჩქაროდ დაიბანე, არაფერი შეგეყაროს!.. ვაი, განძრევაც არ შემიძლია, გადაბრუნება კი არა... მომიძებნეთ რამე თბილი, შალის, კიდევ დავიმატებ წელზე, იქნებ მიშველოს...

მივართვით, დიდი ძებნისა და ყველა ჩემოდნის აქოთების შემდეგ, რაც უნდოდა, და ქალბატონი ლია დროებით დაშოშმინდა, თვალიც კი მილულა.

– დათო, ის ძაღლი არ დამანახო აქ, თორემ გადავირევი! – წამოიწია უცებ ისევ, – გესმის?

– ჰო, მესმის, მესმის! – არცთუ ზრდილობიანად პასუხობს დათუნა. – ვის მოჰყავს მერე? ჯერ არ მომიყვანია და უკვე მიყვირი!

– მერე გვიანი იქნება, – უკვე იდაყვზე დაეყრდნო ქალბატონი ლია. – სამი მუტრუკი ხართ ჩემი მოსავლელი და ძაღლი მაკლია ახლა მე?!.

– რატომ იქნება გვიანი, ავიყვან და უკან წავიყვან, მორჩა?!. – ჭამს და ისე პაექრობს დათუნა.

– ქალო, შენ ნამდვილად გტკივა წელი? – ვეუბნები მე. – დაეტიე შენს ადგილზე, ნუ ინძრევი, რა დროს ენის ფხანაა, მოისვენე!

– თქვენ ვინმეს მოასვენებთ? – წუწუნებს ქალბატონი ლია. – ყველას სათითაოდ მე უნდა დავუღეჭო და პირში ჩავუდო თითო ლუკმა! ახლა ლაპარაკიც ამიკრძალეთ!

– კარგი, კარგი, დაწყნარდი... შენთვის გეუბნები, ახლა ჩხუბის თავი გაქვს?

ნეტავ ხმა არ ამომეღო!

– გააკეთეთ, ბატონო, ყველაფერი წესიერად და აღარ გეჩხუბებით! – აიფოფრა ქალბატონი ლია. – ყველაფერი ჩემს კისერზეა, სიქა გამაცალეთ და ტყეშიც მაძუნძულებთ!

– ძალით ვინ წაგიყვანა ტყეში, ვინ ოხერმა? – ვიცი, რომ არ უნდა ვუპასუხო, მაგრამ თავს ვერ ვიკავებ.

– ხო, აბა, ყველანი რა კარგები ხართ! – გაბრაზება არ უცხრება ქალბატონ ლიას. – პურზე სამი საათი მე უნდა ვიდგე რიგში, საჭმელი მე უნდა ვაკეთო, მე უნდა მოგართვათ და ჭურჭელიც მე უნდა ვრეცხო!.. თქვენი წინდები, ხალათები და მაისურებიც ჩემი გასარეცხია... ყველაფერზე მე უნდა ვიფიქრო და ვიდავიდარაბო, თქვენ კი ისეირნეთ აქეთ-იქით!.. და ხმაც არ უნდა ამოვიღო?!.

ისევ გაჩუმება ვამჯობინე, ყოველი ჩემი სიტყვა ცეცხლისთვის შეშის შეკეთება იქნებოდა. ქალბატონმა ლიამ იქაქანა, იქაქანა და გულის მოფხანის შემდეგ ისიც გაჩერდა.

– დათო, შორს არ წახვიდეთ, ხომ იცი, თქვენი ძებნის თავი არ მაქვს! – ვერ აიტანა სიჩუმე ქალბატონმა ლიამ. – მეორე ფეხსაცმელები ჩაიცვი, ნამიანი იქნება ბალახი!

– მე ვიცი, რაც უნდა ჩავიცვა! – პასუხობს დათუნა.

– ბევრი არ ირბინო, არ გაოფლიანდე! და იმ ძაღლებსაც შეეშვი!

– დათუნა, გეყოფა დღეს სეირნობა, ახლა ჯობს, ცოტა წაიკითხო, ან დაწერო, ან დახატო! – ვერთვები საუბარში მე.

– დაჯექი, შვილო, და გააკეთე რამე, გვიანია უკვე! – აგრძელებს ლია. – ორი კვირაა ბიბლიოთეკიდან წიგნი გამოგიტანე და ჯერ მხოლოდ ერთი გვერდი გაქვს წაკითხული.

– დამანებე რა თავი! – ჯიჯღინებს დათუნა. – არდადეგების დროს მაინც არ უნდა დავისვენო ჩემს გემოზე? წავედი!

– არ ირბინო, გაოფლიანდები და გაცივდები! – დაადევნა ქალბატონმა ლიამ. – ქუდი დაიხურე!

– რა დროს ქუდია, მზე კი არ აცხუნებს! – კვლავ ჩავერიე მე. – თანაც, რატომ არ უნდა ირბინოს, სხვებმა ფეხბურთი ითამაშონ და დათუნამ შორიდან უცქიროს?

– ახი არ იქნება, ჩემსავით გაჭირვებულები გახდეთ?!. – ბრაზობს ლია. – რაღა მე დამეტაკა ეს ტიალი! ვაი, წელი!

– სხვებს რომ ყველას მოძღვრავ შენი ძვირფასი რჩევებით, მაგიტომ მოგიხტა ეგ წელკავი, ვეღარ მიხვდი?..

სასწრაფოდ მეც ეზოში გავედი...

სოკოს შეჭამანდი

იფ-იფ, სოკოს შეჭამანდი მომენატრა! დიდი არაფერი გადაყოლა უნდა, გემო კი, გემო!.. სურნელი, სურნელს აღარ იკითხავთ?!. აი, გავაკეთებთ (დღესვე!) სოკოს შეჭამანდს და ნახეთ, თუ სულ ცოტა ორი-სამი ეზოს იქითაც კი ნერწყვის ყლაპვით არ დაზაფროს ხალხი!..

დიახ, მოგახსენეთ უკვე, რომ სულ იოლი გასაკეთებელია ეს კერძი. სოკოს შეჭამანდის მოსამზადებლად საჭიროა გქონდეთ უპირველესად, რაღა თქმა უნდა, სურვილი, აგრეთვე, თავისთავად ცხადია, სოკოც. ყველას ჯობს დათვისსოკო ანუ ძირბუკა (ოტულის ედულის – ბოტანიკური სახელწოდებაა ლათინურად), დათვისსოკო სოკოთა მეფეა! სილამაზითაც და განსაკუთრებით – გემოთი! მისი თეთრი “ხორცი” გაჭრისას ან გადატეხვისას არ მუქდება, სურნელიც მეფური აქვს და გემო – ღვთიური! იფ-იფ! სხვა სოკოებსაც რა უჭირს, სოკო მაინც სოკოა, – თუნდაც კალმახასოკო იყოს, ქამასოკო, არყისძირა თუ სხვა. ჰო, ვხარშავთ კოხტად, შემდეგ ჩავყრით ბრინჯს, კარტოფილს, სტაფილოს. ბოლოს – დავამატებთ მწვანილს, სულ ბოლოს კი – მარილს გემოვნებით; ჰოდა, გადმოიღე მერე ჩამჩით თეფშზე, ოხშივარადენილზე ჩაფშვენი პური, მოიმარჯვე დიდი კოვზი, როგორც იტყვიან, გადაიწერე პირჯვარი და გაუტიე! იფ-იფ!.. აი, ასეთ გუნება–განწყობილებაზე რომ იქნები კაცი, თანაც ბაკურიანში, ტყე რომ ერთი ხელის გაწვდენაზეა, რა დაგაკავებს შინ! ავიყოლიე ბიჭები – ბესიკი და დათუნა სულ კუნტრუშ-ხტომით გამომედევნენ უკან.

იაგორას მინდორი გადავიარეთ და გზად ქალი და კაცი შემოგვეყარნენ. კაცს წელზევით გაეხადა და ფრიად კმაყოფილი იერით მოაბიჯებდა – მთელი კალათა ღვინიოებით ჰქონდა გაძეძგილი, ქალს კი თეთრი არყასოკოები მოჰქონდა თავმომწონედ.

ჩვენ მაგათზე ნაკლები რითი ვართ?!. შევჯლიგინდით ტყეში და არ გასულა ხუთი წუთი და ყვითელი არყასოკოებიც ჩვენია! უფრო სწორედ, მათ ყვითელი პაჭიჭასოკო ეწოდება, ლათინურად – აცტარიუს ინსულსუს, ოთხი ერთად შემოგვეფეთა! ყოჩაღ დათუნა! ერთს თუ თვალს მოჰკრავ ყვითელ პაჭიჭასოკოს, იცოდე – იქვე ახლოს ორი-სამი მისი ძმობილი იქნება აუცილებლად. ამათ ჩვენ დავამწნილებთ და ზამთარში ნახეთ ჩვენი ლხენა, როცა თეფშზე შემწვარ კარტოფილს დაუმშვენებს გვერდს! იფ-იფ!..

მეტოქეობით ჟინით ატაცებული ბესიკი დაშლიგინობს დაუღალავად ხან აქეთ, ხან იქით და სულ მალე ისიც პოულობს სამ ყვითელ პაჭიჭასოკოს – როცა ერთი დაინახა დიდი ნაძვის ძირში მიმჯდარი, იქვე მისი ძმაკაცებიც იქნებიან აუცილებლადო, მართებულად დაასკვნა და აკი მართლაც მიაგნო მათ, შორიახლო ნაძვების ქვედა ტოტებით დაჩრდილულებს.

გახარებულია ბესო, მაგრამ დათუნა უფრო ყოჩაღობს – ისეთი თვალი აქვს, რომ მე და ბესიკს, ორივეს ერთად გვჯობნის, არაფერი გამოეპარება – და აჰა, გიჟივით მორბის ჩემკენ, ხელში ამაყად აღუმართავს სოკო და ყვირის;

– წეროსწვივა, წეროსწვივა ვიპოვე!..

– ნელა, ბიჭო, კისერი არ მოიტეხო, ფრთხილად!

ბესო ცდილობს ხელიდან გამოსტაცოს მაღალ ფეხზე შესკუპებული, ჯერ კიდევ ქოლგასავით გაუშლელი მორჩი წეროსწვივა, რომელსაც აქაურები, იმერლების დარად, წერეწოს უწოდებენ.

კარგია, დიდებულია წეროსწვივაც, მისგანაც მშვენიერი შეჭამანდი მზადდება, მაგრამ, სამწუხაროდ, მეტი ვეღარ ვნახეთ. ცოტა ხანში დათუნა კიდევ პოულობს რამდენიმე ყვითელ პაჭიჭასოკოს. ძალიან კარგი, დავამწნილებთ საკმაოდ, მაგრამ სოკოს შეჭამანდისთვის რომ თითქმის არაფერი გვაქვს? კარგა ხანია, მშრალი ამინდი დგას, თან გვიან, ნაშუადღევს გამოვედით შინიდან, რისი იმედი გვქონდა? მაინც ღირდა წამოსვლა ტყეში – ყოველი გასეირნება განუმეორებელია, თვალი ყოველთვის იპოვის გასახარს, სუფთა ჰაერზე გავლაც არ უნდა იყოს ცუდი.

ვჩერდები პატარა მინდორზე თუ ნაკაფზე. ავხედავ ეულად დარჩენილ "ბიძიას" – სამი კაცის ხელშემოსაჭიდ ნაძვს. ქვედა სართულზე გამხმარი, მღიერებით განაცრისფრებული ტოტები გაშვერილან უსიცოცხლოდ – ნიავზე ოდნავ თუ ირხევიან მომწვანო-მონაცრისფრო, ჩამოგრძელებულ-ჩამოკონწიალებული მღიერები – "ბაბუის წვერები"; თვით ხის მოწითალო-რუხ, ხეშეშ ტანზე ყვითელ, გამჭვირვალე, მბრწყინავ წვეთებად-ცრემლებად ჩამოღვენთილა ფისი. უფრო ზევით ნაძვი ქარს ეთამაშება, ნაზი ჩურჩულით შლის ხელებს-ტოტებს... ტოტები-"საფეხურები" ისეა მიწყობილი ერთმანეთის მიყოლებით, რომ თავისუფლად შეიძლება კენწერომდე აბობღდე – და იქიდან გადმოხედო მოშრიალე ტყეს, იმ ჩემთვის უხილავი ყვავის მსგავსად, რომლის მოკლე, მკვეთრი "ყვა-ყვა!" დროდადრო ისმის შორიდან.

ჩამოვჯექი ამ ნაძვ-"ბიძიას" ძირში ჩამოცვენილი წიწვების რბილ "ხალიჩაზე", ნეტარად გავშალე ფეხები და წამოწოლასაც კი ვფიქრობდი, რომ ორი ნაბიჯის მოშორებით თითქმის მიწამდე ჩამოწეული ტორების ქვეშ ქონასოკოს ვხედავ... მივფოფხდი, გავწი-გამოვწიე ბალახბულახი, ფრთხილად მოვჭერი, ხელში ავწონე – უჰ, რამხელაა, ეს დალოცვილი, ასეთი რამდენიმე კიდევ რომ გვაპოვნინა, მთელ ოჯახს ეყოფა სადილად.

მივიხედ-მოვიხედე, ბიჭებს ვეძებ. ბესიკი მინდორზე დავინახე, კალიას დასდევს.

– ბიჭებო, მოდით, რამოდენა ქონასოკო განახოთ! მას კიდევ ზოგან დუმასოკოსაც ეძახიან.

ბესომ მაშინვე მოირბინა, ჯერ გაუხარდა, მერე გამომართვა სოკო, ატრიალებს ხელში და ბუზღუნებს, რატომ მე არ მომაჭრევინეო. დათუნა დაგვეკარგა, დაძახებაზე საიდანღაც შორიდან ყრუდ მოისმა გამოძახილი. ცოტა ხანს ვუცდით დათუნას; რომ აღარ დაადგა საშველი მის გამოჩენას, ჩვენ თვითონ დავიძარით მისკენ.

დათუნა ახალგაზრდა, ხშირ ნაძვნარში ვიპოვეთ. დგას და გველოდება, დოინჯშემოყრილი. დატუქსვა პირზე შემეყინა – ათზე მეტი ყვითელი პაჭიჭასოკო დავთვალეთ! დათუნას ერთიც არ მოუჭრია, კმაყოფილი იღიმება და მუდმივ მოქიშპეს – უფროს ძმას – დიდსულოვნად აძლევს ყველა მათგანის მოჭრის უფლებას... მთავარია პოვნა, ეს არის საგმირო საქმე! სამაგიეროდ, ძმას დუმასოკო გამოართვა და ცხვირი აიბზუა:

– ჭიანია!

მართლაც, დავუსვით სოკოს ქუდს დანა, გადავშალეთ და ნეტავ არ გვენახა! უთვალავი თეთრი მატლი, წვრილი მატლი ფუთფუთებდა და ცდილობდა, დღის სინათლეს ხვრელებში შეძრომით გასცლოდა. ფეხიც ჭიანი ჰქონდა სოკოს, მხოლოდ ახლა მივაქციეთ ყურადღება.

– ბიჭებო, დროულად წავიდეთ შინისკენ, ხომ ხედავთ, სოკოს შეჭამანდისთვის ვერაფერს ვპოულობთ. კარგა ხანია, წვიმა არ ყოფილა, სოკო იშვიათია. რაც მოვიძიეთ, ისიც საკვირველია, როგორ გადაურჩა ურდოდ მოვარდნილ სოკოზე მონადირეთა თვალსა და ხელს.

ბიჭები ჭიჭყინებენ, მეჭიდავეებიან, არ უნდათ ტყის დატოვება.

ჩამოვჯექი ტყის რბილ ხავსზე, ამოვიღე სახატავი რვეული და შავი პასტიანი კალმისტრით ვხატავ, რასაც ჩემს წინ ვხედავ. რაღაცით მომეწონა აქაურობა, თუმცა ჭყანტყობი ადგილია; ერთ ადგილას პატარა ბორცვივითაა და ამ ამაღლებულზე ხუთი ახალგაზრდა ნაძვია ამოსული თითქმის წრიულად. ერთ-ერთი ნაძვი ძირშივე ორად იყოფა, ცალი ტანი უფრო მსხვილია მეორეზე და ერთი მეტრის სიმაღლეზე გადამტვრეულია. ამ ნაძვებთან დათუნამ ნორჩი ყვითელი პაჭიჭასოკოები ნახა – დავტოვეთ "დასავაჟკაცებლად".

აგვისტოს მეორე ნახევარია, უკვე საგრძნობლად ადრე საღამოვდება. სიგრილემ წამომახტუნა. მზე აღარ ჩანს, მაღლა ცაში ეულად გამოკიდებულ ღრუბელს ოქროსფრად აფერადებს.

წამოვდექი.

– უკვე გვიანია, წავედით!

ბიჭები არ მისმენენ, ამძვრალან წიფლის წაფერდებულ ხეზე და ღლაბუცობენ. ბესიკი მარდად ჩამოხტა, დათუნას კი უჭირს. ბესიკი ვითომ ეხმარება, გოჭივით აჭყვირებს. ჩემს შეძახილზე თავს ანებებს და ახლა მაისურს ესვრის. წითელი მაისური უზარმაზარ წითელ პეპელასავით შერჩა მაღლა, ხასხასა მწვანე ტოტზე. ბესო ხარხარებს; დათუნა იცინის თუ ჭიჭყინებს, ვერ გა-

იგებ – ხან ძმას აჰყვება სიცილში, ხან კი ლამის იტიროს... ჩამოსვლისას ცალი ფეხი წარჩა ზევით, ტოტებშორის გაეჩხირა და თავდაღმა დაკიდებული დარჩა.

– აი, მეხი კი დაგაყარე მაგ ტურტლიან თავზედა! – იძახის დათუნა ვიღაცისგან ყურმოკრულ სიტყვებს, თან იგერიებს ბესიკს, რომელიც ეღლაბუცება, უღიტინებს...

– სოკოები, ბიჭებო, სოკოები!.. შვიდი ცალი!

ბესიკი და დათუნა გამორბიან ჩემკენ. დიახ, ისინი არ მომიტყუებია, ოღონდ ეს სოკოები ახლომახლო ამოსულები, ყველა წითელი შხამასოკო იყო: ზოგი – უკვე ქოლგასავით ქუდგაშლილი, ზოგიც – ახლად ამოწვერილი მიწიდან მუშტივით.

ყველანი ძალიან ლამაზები იყვნენ და ალბათ ამიტომ ბიჭებს ხელი არ უხლიათ, არც საყვედური უთქვამთ ჩემთვის; ავუხსენი, რომ წითელი შხამასოკოც ტყის ისეთივე საჭირო და დამამშვენებელი ბინადარია, როგორც ყველა დანარჩენი...

უკანა გზაზე ბევრი ვიარეთ (ბიჭებს დაღლა არ ეტყობათ), მაგრამ მხოლოდ ერთი დათვისსოკო შეგვხვდა; იმასაც ფეხი ჭიანი აღმოაჩნდა – საოცარი კია, დათვისსოკო იშვიათად ჭიანდება.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ამჯერად სოკოს შეჭამანდი ვერ მივირთვით, თუმცა განვლილი დღე მთლად ჭიანიც არ გამოდგა. თუ არ გჯერათ, გადაიკითხეთ ზომმოთხრობილი ამბავი.

მივდივართ ბორჯომში?

– აგვისტო ისე უნდა დაილიოს და ისე წავიდეთ აქედან, რომ ერთხელ მაინც ბორჯომში არ უნდა გავიკუნტრუშოთ? – ვაცხადებ ერთ საღამოს.

– მერე, ფული გაქვს საკუნტრუშო? – კითხულობს ქალბატონი ლია.

დავსხედით და ჩვენი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა განვიხილეთ. ფართო და ყოველმხრივი მსჯელობის შემდეგ მივედით დასკვნამდე, რომ, თუ ჭკვიანად ანუ ხელმოჭერილად მოვიქცევით...

– წავიდეთ, წავიდეთ! – აყვირდა დათუნა.

– უყურე ამ საძაგელს! – იცინის ლია. – მერე, ადგები დროულად, თუ შენებურად საღათას ძილს გამოაცხობ?

– ავდგები, ავდგები!

– ბესო, შენ?

– ი-ი!.. ავდგები, აბა არა? – უკვირს ბესიკს.

დილით ადრე ვიღვიძებ.

დღეს მივდივართ ბორჯომში!

დილის ცხრა საათზე გავყვებით ბაკურიანი-ბორჯომის ავტობუსს, ათ საათზე ბორჯომში ვიქნებით; დავათვალიერებთ მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, შევივლით ბაზარში, წიგნის მაღაზიას მოვინახულებთ, პარკში გავისეირნებთ... მერე ორის ნახევარზე გუგული-მატარებლით წამოვცანცალდებით უკან, შინისკენ...

დილის შვიდი საათია. ლია ფაფას აკეთებს, რვისთვის ჩაიც მზადაა.

– აბა, ბიჭებო, დროზე წამოხტით! ცოცხლად, ცოცხლად, ავტობუსი ჩვენ არ დაგვიცდის!

ბესო, როგორც იქნა, გამოვაღვიძე. ვარჯიშობს ლოგინში, მერე დგება. დათუნას გამოფხიზლებას არაფერი ეშველა: ვაჯანჯღარებ, ჩავძახი – რაღაცას ზმუის, თვალს ვერ ახელს, მოიკუნტა, მოიკუნტა...

დათუნას გარდა ყველამ ვისაუზმეთ, ჩაიც მივირთვით, ჩავიცვით საგარეოდ, საგზალი ჩავალაგეთ.

დათუნა ისევ გორავს ლოგინში.

– აბრძანდი, თავადიშვილო, ყველანი შენ გელით! – საბანი გადავხადე.

– მე არ მოვდივარ! – ინება ბოლოს პასუხის გაცემა დათუნამ და მეორე გვერდზე გადაბრუნდა.

– რატომ, შვილო?

– სუსტად ვარ, მეძინება!

– რა ძილქუში გეცა, ადექი!

– არა!

– შენ ჩვენი ოჯახის წევრი არ ხარ?

– ცივა!

– ბორჯომში უფრო თბილა, ადექი! იქ დაგცხება კიდეც.

– გამანებე რა თავი!

– ვაიმე, ვინ არის ეს ქვა და რკინა!

ჭიდაობა კარგა ხანს გრძელდება. დათუნაზე არც შეგონება ჭრის, არც – მუქარა, არც – თხოვნა-მუდარა.

– ახლა არ მინდა, მერე წავიდეთ!.. ხვალ წავიდეთ! – ვირზე შეჯდა და არ ჩამოდის დათუნა.

– ხვალ რომ ამინდი გაფუჭდეს?

— საერთოდ აღარ წავალთ ბორჯომში, საერთოდ! — აცხადებს გაბრაზებული ლია. — თქვენი გულისთვის შუაღამეზე დავწექი, გზისთვის კარტოფილის ღვეზლებს ვაცხობდი...

— დათუნა, უსინდისო, ავტობუსზე უკვე დავაგვიანეთ, წამოხტი, იქნებ მატარებელს მივუსწროთ! — ვევედრები.

— რამდენი აკლია? — კითხულობს დათუნა.

— ოცდახუთ წუთში გავა, ათის ნახევარია!

— კარგი, მე შენ ხათრს გიწევ, წავიდეთ! — ამბობს დათუნა, მაგრამ არაფერზე ეტყობა, რომ ადგომას აპირებდეს; ის კი არა, უფრო ჩაითბუნა საბანი.

— უყურე ერთი ამას! — კიდევ უფრო ბრაზდება ლია. — მომშალა ქალი, ლამის მომკლა და ახლა ის იქაჩება, წავიდეთო!

— აი, ხომ ხედავთ, თქვენ თვითონ არ გინდათ წამოსვლა და მე მაბრალებთ! — გამარჯვებულის იერით აცხადებს დათუნა.

— სულ შენს დაკრულზე ვიცეკვოთ? — შეუტია ლიამ. — ჯერ შენ მოიკალი თავი, არ მოვდივარო, მეძინებაო, სუსტად ვარო, გავცივდებიო, რა ვაკეთოთ ბორჯომშიო...

ამასობაში მოიღრუბლა, მზე დაიმალა.

— მგონი, გაწვიმებას აპირებს, — ფანჯარაში ვიხედები მე.

— კიდე კარგი, არ წავედით, უფრო გავცივდებოდი! — გახარებული ამბობს დათუნა.

— აბა, ეგდე აქ ლოგინში მთელი დღე მუთაქასავით. საღამოს არც კინოში წაგიყვანთ, არც საჭმელს გაგიკეთებთ! — ემუქრება ლია.

— რა კარგი ვქენით, რომ არ წავედით!.. ეს ჩემი დამსახურებაა!.. მადლობას უნდა მიხდიდეთ!..

— ერთი გამლახვია გემრიელად შენი თავი, მეტი არაფერი მინდა!

— ჩემთან რა გინდა, მე მოვდიოდი! კიდევ კარგი, დავუკვირდი, არ წამოვედი, თქვენც გადაგარჩინეთ! ნახე, როგორ ცივა! გზაში გავცივდებოდით, როგორ გადავრჩი! კარგია, კარგია, იფ, არ გავცივდები! ლა-ლა-ლა!.. ლა-ლა-ლა!.. ნახე, ხველა ამიტყდა!

— შენ ჩემი შვილი არ ხარ!

— გეგონოს, გეგონოს!.. ლა-ლა-ლა!..

— სხვას სულ ფეხებზე ჰკიდიხარ... თუ შენს დედას და მამას, შენს ძმას არ ეცი პატივი, რას იტყვიან შენზე იცი? ეს რა კაცია, თავისი დედ-მამა და ძმა არ უყვარს, ადილად მოვერევითო...

— გადი, ნუ მაფარებ საბანს! ეს ვინ უცხო ქალი მოსულა აქ და ალაგებს! ხომ მითხარი, ჩემი შვილი არ ხარო!

— შე საცოდავო, შენ! შე ცინგლიანო! უჩემოდ ერთ დღეში ტილები დაგესევა!

— ხრ-ხრ-ხრ!.. მძინავს, დამანებე თავი, რას მეფერები!

— მაწანწალებთ ზევით-ქვევით მე და არც არაფრად მაგდებთ! არ წავალ ბარში და დაიხოცეთ მშივრები! ტუტუცი! უტვინო! — იღრინება ლია.

— ჩქარა, ჩქარა, საჭმელები დაამზადე ჩემი მუცლისთვის! — მღერის დათუნა. — დიმპიტაური— დამპიტაური!..

ლია გარეთ გადის. ბესო წიგნს იღებს, კითხულობს.

დათო ფეთიანივით მივარდება:

— მომეცი ჩემი წიგნი! მე უნდა წავიკითხო!

ჩემი მოთმინების ფიალაც აივსო:

— რომ მოგცხებ ახლა, წერა-კითხვას სულ დაგავიწყებ! ჯერ პირი არ დაგიბანია, არც ფაფა მიგირთმევია!

დათუნა იბღუზება და ისევ ლოგინში წვება.

ნახევარ საათში ლია ბრუნდება, მოაქვს მწვანილი და კვერცხი. რეცხავს ჭურჭელს და სადილის კეთებას იწყებს...

ბორჯომში წასვლა აღარავის გვახსოვს.

მოღრუბლული დღე იყო, მაგრამ არ უწვიმია.

ბაკურიანი — ბორჯომი — ბაკურიანი

დღეს მაინც წავალთ ბორჯომში!

— ადექი, ბესუნა! ადექი, დათუნა! ადექით!.. აბრძანდი, ქალბატონო ლია! თითქმის ათის ნახევარია უკვე, ნახევარ საათში მატარებელი გადის!

ბიჭები წელათრევით, თვალების ფშვნეტითა და ბურტყუნით წამოიზლაზნებიან.

ფართიფურთით ვყრით ჩანთაში საჭმელ-სასმელს, ქუდებს.

ჯლიგინ-ჯლიგინით ჩავრბივართ თავდაღმართზე რკინიგზის სადგურისკენ. სადგური არც ისე შორსაა, მაგრამ მატარებლის გასვლას თითქმის არაფერი უკლია.

წინ კურდღელივით ცქვიტად გარბის დაწინაურებული ბესიკი, ბილეთები უნდა აგვიღოს.

დათუნას მაინცდამაინც რომელიღაც “მოკლე გზით” უნდა წაგვიყვანოს, სინამდვილეში კი მიხვეულ-მოხვეული ორღობეებით რაღაც ჩიხში მოგვამწყვდია და ღობეებზე ხტომა-ძრომიალში გვავარჯიშა.

აგერ სადგურიც.

მემანქანე უკვე ჯიხურშია ასული, ელმავალი ძიგძიგებს.

ბესოს წითელი მაისური ანათებს ბაქანზე.

ფაცხაფუცხით ავვარდით ვაგონში.

მივასწარით!

ვაგონში ჩვენს მეტი თითქმის არავინაა.

გუგული-მატარებელი სამი წუთის დაგვიანებით გადის – სეირნობითაც მოვუსწრებდით, რას ვიკლავდით თავს.

მალე ბაკურიანი თვალს მიეფარა.

ვაგონი მიირწევა, საკიდზე ბოთლიანი ჩანთა კედელზე რიტმულად ერახუნება – გვახსენებს, რომ დილით საუზმე ვერ მივირთვით.

ვშლით სუფრას.

ელმავალი კივის მოსახვევებში, ნაძვები გარბიან უკან, მზე იჭყიტება... კარგია!

ვეცით პომიდორს, პურს (თითქმის ერთი კვირისაა, ოდნავ ობი მოიკიდა), ყველს, კიტრს (ნახევარ-ნახევარი გვერგო); მერე თითო მსხალსაც ვაყოლებთ და ბოლოს, ნამცხვრით ვაგვირგვინებთ ტრაპეზს.

გზა ტყიან ფერდობზე მიიკლაკნება, ჩრდილში ვართ. ხეთა ტანებსა და ტოტებზე მზით გაჩახჩახებული ლაქები ირევა.

ვაგონი მიირწევა, ბესიკი და დათუნა ბანქოს თამაშობენ, ჭიჭყინებენ. გაჩერებებზე მგზავრი იშვიათად თუ ავა-ჩამოვა.

საკოჭავში გაჩერებისას ცივ-ცივი წყალი ჩავასხით ბოთლში. მატარებელი გავიდა გაშლილ მიდამოში, მზე თვალებს გვაჭუტინებს.

– ბიჭებო, ბანქოს შინაც ითამაშებთ, იმიტომ წამოვედით, რომ გავიხედ-გამოვიხედოთ – ნახეთ რა სილამაზეა!

ცემის ყვითლად გადათიბულ მინდვრებში სამი ხე დგას ლამაზად და თითქოს ჩვენ გვიცდის... ჩვენ კი გვერდზე ჩავუარეთ და მხოლოდ მზერა გავაყოლეთ ერთხანს.

წაღვერი. ვაგონები თითქმის დაცარიელდა.

– ცოტა ფეხს გავმართავ! – ამბობს ქალბატონი ლია და ჩადის.

რამდენიმე წუთში სადგურის წითელქუდიანმა მორიგემ ორჯერ შემოჰკრა ზარს. ელმავალმა იკივლა და მაშინვე დაიძრა.

ქალბატონი ლია არ ჩანს, ვგონებ, ბორჯომამდე მოუწიოს ფეხის გამართვა!

რაღაც სიცარიელეს ვგრძნობთ, სულ გაგვიუფერულდა ამ გემრიელად დაწყებული მგზავრობიდან მიღებული სიამოვნება.

– რას იზამს ახლა დედა? – კითხულობს ბესიკი.

– რა ვიცი... დავბრუნდეთ წაღვერში? თუ ბორჯომის სადგურში მოვუცადოთ, იქნებ იქ მოვიდეს... – ცოტა გაბრაზებული ვარ და ალბათ ხმაზეც დამეტყო ეს.

– კიდევ რა! – ყვირის დათუნა. – მე არ დავუცდი, წავიდეთ ქალაქში!

– არ დაუცდი და გისვრი ახლა ფანჯრიდან! – ვუჯავრდები დათუნას. – შემდეგ შენგან ფიტულს გავაკეთებ!

– აბა კი!

– საღამოს კი ჩვენს ჭკვიან დედიკოს მივართმევთ ჩვენს მიერ დიდი რუდუნებით დამზადებულ და შესაბამისი გულთბილი წარწერით შემკობილ ორდენს, რომელსაც ჩემი ვარაუდით “სიჩერჩეტის დიდი ორდენი” უნდა დავარქვათ!

– როგორი იქნება “დოყლაპიობის დიდი ორდენი”? – ახლებურად მონათლა ორდენი ბესიკმა.

– არა, ბედოვლათობის დიდი ორდენი” ჯობს! – ყვირის დათუნა.

– როგორი იქნება და... ვაცხადებ ღია კონკურსს ორდენის საუკეთესო ვარიანტზე! – ვაცხადებ მე. – მე უკვე მოვიფიქრე. ჩემი ვარიანტი ასეთია: ორდენი იქნება დიდზე, დიდზე დაღებული პირის ფორმის!

– ჯილდოდ რა იქნება? – კითხულობს დათუნა. – მე მინდა, თუ გავიმარჯვე, ნაყინი მიყიდო! არა, ორი ნაყინი!

– მე კიდე – კანფეტი! – არ აცლის ბესიკი.

– მერე, სად არის თქვენი ვარიანტები? იქნებ მე ვიგებ?

დათუნა გვთავაზობს ასეთ გადაწყვეტას: ქალი მისდევს მატარებელს, ახტომა უნდა.

ბესიკის ფანტაზიამ შემდეგი სურათი დახატა: ქალი მირბის ლიანდაგებზე, შორს კი ჩანს წასული მატარებლის კუდი.

– ეს სურათები უფრო სურათებისთვის ვარგა, ორდენის ფორმას როგორ მისცემთ? მკერდზე სატარებლად ხომ უნდა დაიკიდოს? – ასეთია ჩემი დასკვნა.

ამ მხიარულ მასლაათში ვართ და ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელი და შუშის ქარხნების ბოლიც გამოჩნდა.

– ბორჯომია? ასე მალე ჩამოვედით? – კითხულობს ბესიკი.

– ერთი ისიც იკითხე, ქალბატონ ლიასთვისაც ასეა? – ვპასუხობ მე.

ბორჯომში ცხელა. მზე ზაფხულის მცხუნვარების ლიმიტს ხელგაშლით ხარჯავს – რამდენიმე დღეც და შემოდგომა გვესტუმრება.

გაზეთების ჯიხურთან რიგში ვდგები, ბიჭები წყლის დასალევ შადრევნისკენ გაიქცნენ.

უცებ ვიღაცამ მკლავზე წამავლო ხელი.

მოვიხედე – ქალბატონი ლია იკრიჭება.

შვებით ამოვისუნთქე.

– მაღაზიაში შევყევი ქალებს, იქვე, ერთი წუთით... იდგნენ ჯგუფად და რაღაც-რაღაცებს საინტერესოს ათვალიერებდნენ. მეც დავდექი... ისინი არ ჩქარობდნენ და არც მე მღელავდი. გამოვედი – სადღაა მატარებელი!

– მერე, ჭკუის კოლოფო, იმ ქალებს რომ უყურებდი, ისინი არსად მიემგზავრებოდნენ, წაღვერში ჩამოვიდნენ.

– დედიკო„ დედიკო! – მოვარდა თვალებგაბრწყინებული დათუნა, ჩაეხუტა ლიას.

– შე მაიმუნო, აკი იძახდი, დედას არ მოვუცადოთო?!. – დავუცაცხანე მე.

– როგორ ჩამოხვედი? – გახარებული ბესიკიც ეკვრის ლიას.

– გავედი გზაზე და იმ წამსვე დაბარებულივით მოვიდა ავტობუსი! ათი წუთი ვიდექით, თორემ მე ჩამოგასწრებდით ბორჯომში!

ამ დროს ჩამოდგა თბილისი-ბორჯომის მატარებელი. სანამ ვმასლაათობდით, ბორჯომ-ბაღისკენ გაქუსლა, მერეღა მოვედით აზრზე – უნდა გავყოლოდით.

ისევ ავტობუსს ავეკიდეთ.

ვესტუმრეთ მხარეთმცოდნეობის მუზეუმს (ვნახეთ მამონტის 48-კილოგრამიანი ეშვი იაკუტიიდან, 500-წლიანი ნაძვის გადანაჭერი საკოჭავიდან, გაქვავებული ხე, ცხოველთა და ფრინველთა ფიტულები, პეპლებისა და მცენარეების კოლექციები, კიდევ ბევრი რამ), შემდეგ შევიარეთ ბაზარში, იქიდან – უნივერმაღში... რაღაც-რაღაცეები შევიძინეთ და ფაცხაფუცხით გავრბივართ ავტობუსის გაჩერებისკენ – თხუთმეტ წუთში გუგული მატარებელი გადის ბაკურიანისკენ!

ჩავხტით ვაგონში და მატარებელიც დაიძრა.

ბედი გვწყალობს დღეს!

ისე, შეგვეძლო გაგვესეირნა ბაღში, პლატოზე ავსულიყავით, კინო გვენახა, შემდეგ ავტობუსით დავბრუნებულიყავით შინ, მაგრამ გუგული-მატარებლით მგზავრობას ვერ შეველიეთ.

ჰოდა, ისევ დროდადრო მიჰკივის მატარებელი მკვეთრ მოსახვევებში, ისევ მიირწევიან ვაგონები და რიტმული რაკარუკი გაუდის თვლებს რელსთა პირაპირებზე.

ცალ მხარეს ფერდობი ეშვება ციცაბოდ, ამ ციცაბოზე ჩარბიან ნაძვები, მეორე მხარეს კლდოვანი კბოდეა, ალაგ-ალაგ მასზე ყვავილები ყელყელაობენ.

წაღვერში მატარებელი კარგა ხანს დგას. ლია წყლის დასალევადაც კი არ ჩადის.

მერე – სულ აღმართი, აღმართი და აღმართი, დაუსრულებელი მიხვევ-მოხვევა...

რკინიგზას მომდგარი ტყე – ნაძვისა და წიფლის ტოტები ღია ფანჯარაში შემოიჭრებიან, წკეპლასავით გაგვკრავენ ხელებზე, თუ ძალიან მოახერხეს, ცხვირზეც გაგვიწკაპუნებენ... ბიჭებს ვუწყრები, მაინც ფანჯარას არ ცილდებიან; გარეთ თავგაყოფილნი, ხელებით ეპოტინებიან მათკენ მომქროლავ ტოტებს.

ჩაგვირბენს მხიარული მინდვრები, მზით განათებული, თეთრი გვირილებით გადაპენტილი.

წითელკაბიანი გოგონა გაივლის, გამოიხედავს, ღიმილით გამოანათებს თვალებსა და კბილებს. ფერად-ფერადი ყვავილები აღერილ თავებს აქანავებენ ნიავზე, გვესალმებიან და გვემშვიდობებიან ერთსა და იმავე დროს.

ისევ ტყე: ნაძვები ტოტებს-თათებს გვიქნევენ; ზოგან – ბალახიანი, ზოგან – ჩამოცვენილი წიწვით და წიფლის ფოთლებით გაყავისფრებული მიწა ან მწვანე ხავსი ხასხასა კუნძულებად...

და ასე ორ საათს განუწყვეტლივ იცვლება ზღაპრული წარმოდგენის დეკორაციებივით სულ ახალ-ახალი ხედები – სანამ არ გამოჩნდება ნაცნობი ადგილები, სადაც ჩვენ ჟოლოს საკრეფად დავდივართ; მერე – ბაკურიანის შემოგარენი, ბოლოს კი – კოსტაგორაც წამოიმართება...

კმაყოფილები მივაბიჯებთ სადგურიდან შინისკენ.

საპატიო "ორდენის" გადაცემა ლიასთვის აღარ გაგვხსენებია.

ჩვენ ვთამაშობთ ფეხბურთს

შეიკრიბა ასე 8-10 ბიჭი. ბურთი აქვთ, მოედანიც არის – სწორედ გუშინ დაამთავრა ძია მიხომ ბალახის თიბვა და ახლა აღარავინ უშლის მათ, ითამაშონ აქ ფეხბურთი რამდენიც უნდათ.

კარების მოსანიშნად ორ-ორი აგური დავდეს, შეიძლება, თამაში დაიწყონ.

ამ დროს მოვიდა მაღალი, სქელი კაცი – მალხაზი, შვილთან ერთად. ბიჭი იქნება 12-13 წლის; ისიც სქელია, ბიჭები ბეყეს ეძახიან, ისე სახელად ირაკლი ჰქვია.

– ეს რა კარებია, ნამდვილი კარები გავაკეთოთ, შტანგები დავაყენოთ! – ამბობს მალხაზი.

ნამდვილ კარებს რა სჯობს! ბეყეს და სამ ბიჭს მოაქვთ საშტანგე მასალა – საშუალო სისქის მორები. ბეყეს მამას ცულიც მოურბენინეს, ზომაზე გადაჭრა ეს მორები და ცალი მხარე წაუწვეტა ჩასარჭობად; მერე მონიშნულ ადგილებზე შტანგების დაყენებას შეუდგა. მაგრამ დახე უბედურებას – გვალვის შედეგად გამომშრალ ნიადაგში მორი, თუნდაც წაწვეტებული, არასგზით არ ჩადიოდა ქვევით.

– ცუდადაა საქმე, – აფორიაქდა ბეყე, – ისევ აგურები დავდოთ!

– მოიცა, შვილო, – აჩერებს მალხაზი, – ამ საქმეს ეშველება. შენ წადი და ვედროთი წყალი მომიტანე. გაიქეცი!

სანამ ბეყე მოვიდოდა, მალხაზმა შტანგების დაყენების ადგილზე პატარ-პატარა ორმოები ამოიღო. ამ დროს ბეყეც დაბრუნდა და მალხაზმა ყოველ ორმოში წყალი ბლომად ჩაასხა, სხვებმაც მოიტანეს წყალი. მალხაზმა დაიცადა, რომ მიწა კარგად დამბალიყო და პირველი შტანგის დაყენებას შეუდგა. ორმოს თავზე ფეხებგაჩაჩხული დადგა, მორი ორთავ ხელით შვეულად დაიჭირა, ზევით აღმართა და წვეტიანი ბოლოთი ორმოში გამეტებით ჩასცხო.

ტალახმა შადრევანივით ამოასხა, მალხაზის ტანსაცმელი და სახეც ერთიანად ტალახის ღვარმა დაფარა. იდგა თვალებდახუჭული მალხაზი, თვალების გახელისა ეშინოდა.

– ცოლი ვერ გიცნობს, პირი დაიბანე! – უფროსთაგან უყვირა ვიღაცამ სიცილით, ფეხბურთის საყურებლად რომ იყვნენ მოსულნი.

ბეყემ ვედროდან მამამისს წყალი დაუსხა, დახრილ მალხაზს პირდაპირ თავზე გადაავლო.

– მე იმას ვდარდობ, ოცდახუთმანეთიანი ხალათი გამიოხრდა, ცოლი მომკლავს! – ოხრავდა მალხაზი.

ამ დროს, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, დაბარებულივით გაჩნდა ბეყეს დედაც. ეტყობოდა, გაცეცხლებული იყო, მაგრამ ხმა არ ამოუღია. ქმარს ხელიდან გამოგლიჯა ხალათი და წაიღო, რომ მაშინვე გაერეცხა, სანამ ტალახი გახმებოდა და ქსოვილს გაუჯდებოდა.

მალხაზმა შტანგები მაინც ჩაასო, ბიჭები ორ გუნდად გაიყვნენ და თამაში გააჩაღეს. ბეყეს მამა ერთ-ერთ კარში იდგა. სასაცილოდ გაგორდებოდა ხოლმე ბურთის დასაჭერად, მაგრამ მაინც ბლომად უშვებდა. ყოველ გატანილ ბურთზე ბეყე თავს იკლავდა – თავში ხელს წაიშენდა და სასოწარკვეთილი ჩაჯდებოდა... სამაგიეროდ, როცა მოწინააღმდეგეს ბურთს გაუტანდნენ, ბეყე სიხარულით აცეკვდებოდა და ყიჟინას დასცემდა.

საბოლოოდ ბეყეს გუნდმა წააგო – 16 : 20!

მაგრამ წაგება მაშინ ნახეთ, როცა ბეყე და მისი მამა, მოშივებულნი, შინ დაბრუნდნენ!

მალხაზმა ცოლს ჰკითხა, გარეცხვის წინ ხალათის გულის ჯიბიდან ფული თუ ამოიღეო.

– რა ფული? – გაიკვირვა ცოლმა.

– რამდენიმე ოცდახუთმანეთიანი მედო ჯიბეში, როგორ ვერ შეამჩნიე?

ბეყეს დედამ პირი დააღო.

ჯერ, რასაკვირველია, გაკვირვებისგან და მერე კი იმ დაღებული პირიდან, ბეყეს თქმით, დედამისმა ისეთი სიტყვების ნიაღვარი გადმოუშვა ქმრის გასათათხად, რომ ორმოში შტანგის დაყენების დროს მალხაზისთვის შეფრქვეული ტალახის შადრევანი ახლოსაც ვერ მივიდოდა...

ცხრაწყარო

მივდივართ ცხრაწყაროზე! ცხრაწყაროს უღელტეხილზე უნდა ავიდეთ!..

ბიჭები და ლია დილის ხუთის ნახევარზე წამოვახტუნე.

ჯერ ბნელოდა, ვარსკვლავები თვალს გვიპაჭუნებდნენ.

რობერტი წაგვიყვანს მანქანით.

მანქანა დაცვარულა, მზიანი დღე იქნება! ოღონდ მოვასწროთ უღელტეხილზე ასვლა, სანამ მზე ამოიჭყეტს – მისი უდიდებულესობის ამობრძანება-ამობრწყინებას უნდა დავასწროთ და დავესწროთ!

უჰ, რა დანჯღრეული გზაა ბაკურიანში! დაბას გავცდით და ახლა ახალქალაქის გზაა გაუბედურებული, მოუვლელი, თანაც აღმართიანი – სულ პირველი-მეორე სიჩქარით მივზოზინობთ, მივგუგუნებთ აღმართში; შემხვედრი მანქანები არ ჩანს, ჯერ ძალიან ადრეა, ბნელა.

აქეთ-იქით ტყის ყრუ, მუქი კედლები მიგვაცილებს, წინ ფარებით სიბნელიდან გამოტაცებული გზის ნაწილია. რობერტი წამდაუწუმ ატრიალებს საჭეს აქეთ-იქით, რომ როგორმე შედარებით ნაკლებ ვიჯანჯღაროთ.

– მალე, რობი ბიძია, ჩქარა, ცა უკვე ბაცდება! – ეუბნება დათუნა.

ბინდბუნდში თანდათან მართლა გამოიკვეთა გზაც და ტყეც. იქნებ ავასწროთ უღელტეხილზე, ხომ ვიცით, რომ გათენება წინ უსწრებს მზის ამოსვლას. აჰა, ალპური მდელოებიც დაიწყო – უჰ, რა ციცაბო კალთებია, ნეტა როგორ იკიდებენ ფეხს აქ მთიბავები?!.

მანქანა ცუდად "ქაჩავს", ბოლოს ჯორივით დგება, გადახურდა თუ? გადმოვდივართ მანქანიდან. რა გრილი ნიავია, ცივა! რობერტმა ახადა მანქანის კაპოტი, ასე ძრავა უფრო მალე გაგრილდება.

– რატომ ჰქვია ამ ადგილს ცხრაწყარო? – აინტერესებს ბესიკს.

– ვერ ხედავ? თითქმის ყველა მოსახვევში წყაროა! – პასუხობს ლია.

მართლაც ასეა. ვსხდებით მანქანაში და ვაგრძელებთ გზას. იშვიათი სილამაზის ხედი ნელ-ნელა ინაკვთება მოძალებული დილის სინათლეში... დაძაბული ვაკვირდებით ძრავის ღრიალს, მანქანამ ისევ შეანელა სვლა; რობერტი ბოლომდე აწვება გაზის სატერფულს, მაგრამ მანქანა ბოლოს მაინც ჩერდება...

ისევ ვისვენებთ. მივდივართ გზის კიდესთან და ვხედავთ ციცაბო ფერდობს ქვევით, პატარა ტაფობში, მთიბავთა კარვებს და იქვე გაჩერებულ სატვირთო ავტომანქანას. დაუნთიათ კოცონი, მაღლა-მაღლა მიიზლაზნება მოლურჯო ბოლი... მთიბავები მზის ამოსვლას ასწრებენ ადგომას.

კარგა ხანს ვდგავართ. როგორ ვჩქარობდით, უჭმელებიც კი წამოვედით, ახლა მადიანად ვილუკმებით; ჩვენს საუზმეს შეადგენს თონის პური, ყველი და ვაშლის კომპოტი.

სიცივისგან ვიბუზებით. რობერტმა დაქოქა მანქანა, ჩართო გათბობა – იქნებ ამან უშველოს ძრავის გადახურებას. ცოტა ხანში ისევ ვჩერდებით. გაიმართა დისკუსია, გავაგრძელოთ გზა ზევით თუ უკან დავბრუნდეთ? უკვე გვინდოდა, მანქანა მოგვებრუნებინა და თავდაღმართში დავშვებულიყავით, რომ დათუნამ დაიჯინა, ავალთო, შეგვაგულიანა და ისევ შევუტიეთ აღმართს. მზე რა ხანია ანათებს ხეობის მოპირდაპირე ფერდის ზედა მხარეს; ცხადია, მზის ამოსვლის ზღაპრულ სანახაობას უღელტეხილზე ვეღარ მივუსწრებთ, მაგრამ ჯავახეთის უტყეო ზეგანს მაინც გადავხედავთ...

და მრავალი მიხვევ-მოხვევის შემდეგ, როგორც იქნა, ავგრიალდით ცხრაწყაროს უღელტეხილზე, ვაშა!..

აქ გზა ორად იყოფა: ერთი მიდის ტაბაწყურისკენ, მეორე – ახალქალაქისკენ. იქვე, რამდენიმე ათეულ მეტრში, პატარა შეღმართია და მერე – ფიზიკის ინსტიტუტის ცხრაწყაროს ექსპედიციის შენობები. უფრო შორს, რამდენიმე კილომეტრში, მაღალ მთაზე, სამხედროთა რაღაც დანადგარებს ვხედავთ, ობსერვატორიას ჰგავს; მეორე მხარეზეც, აღმოსავლეთით, მთაზე სამხედროებს მოუკალათებიათ.

სამხრეთით მოჩანს ჯავახეთის ზეგანი: მწვანე უტყეო გორაკები, ფერდობები, სათიბები, საქონლის ბაკები... აბულ-სამსარის ქედი ჩამქრალი ვულკანების კონუსებით... ისმის ძაღლთა შორეული ღაღავი, აქა-იქ ცხვრის ფარები თეთრად შეფენია ფერდობებს.

მივაკითხეთ ფიზიკის ინსტიტუტის ცხრაწყაროს ექსპედიციის თანამშრომლებს; ამჟამად მხოლოდ ორნი არიან აქ – ომარი და ლილი. დაგვათვალიერებინეს კოსმოსური ნაწილაკების საკვლევი უზარმაზარი დანადგარი, ეზოში დავკრიფეთ ევფრაზია – ბალახი, რომლის ნაყენიც თურმე თვალის სამკურნალო უებარი საშუალებაა (ომარი გატაცებულია ბალახეულით მკურნალობის საკითხებით და ბლომად შეუგროვებია და გაუხმია კიდეც).

მივედით საბაგირო გზის ზედა სადგურთან – აქედან საუცხოო გადასახედია, ამგვარ ადგილას უნდა გედგას საცხოვრებელი სახლი... არ მოგწყინდება ცქერა. ჩრდილოეთით ისტორიული მხარე თორია, ჯავახეთისგან სრულიად განსხვავებული ხედი იშლება: გუჯარეთისწყლის და ბორჯომულას ხეობები, გაყოფილნი ქედებით, რომელთაც ახლა ჩვენ სიმაღლით ვჯობნით და ვუცქერით, როგორ მიბობღავენ ღრუბელთა ფთილები ჩვენს ქვევით. უცნაური გრძნობა გებადება, როცა ასე ამაღლებული ხარ ამ ტყიან ხეობებს ზევით – სიამაყის, სიდინჯის, სიდარბაისლის, დიდებულების, სიდიადის... აქ მყოფი ცუდ აზრს ვერ გაივლებ გულში, ვერც უხამს სიტყვას წარმოსთქვამ, ყოველგვარი უკეთურება გტოვებს – ლაღად სუნთქავ, კაეთვით ხარ... ამ ბუმბერაზი მთების, უზარმაზარი მასების გარემოცვაში კი არ ითრგუნები, უფრო ლაღი და თავისუფალი ხარ, უფრო ღრმად სუნთქავ... რაღაც უხილავი ფლუიდები გადაედინება შენს სხეულსა და სულში, ერთდროულად აღაგზნებს და გამშვიდებს, ძალა გიათმაგდება და ამავე დროს არც ყოყოჩა, ზვიადი ხარ... ხარ ის, რაც უნდა იყო ადამიანი – ნაღდი, ბუნებრივი და თავისთავადიც, ცხადია...

მზე, ქარი, ღრუბლები... მთები, ხეობები, ზეგნები... ხეობაში მოჩანს სოფელი ციხისჯვარი – ღია ფერის სახურავები გაფანტულა მუქ სიმწვანეში.

ამჯერად მზის ამოსვლა, სამწუხაროდ, ვერ ვიხილეთ, დავაგვიანეთ. ომართან საუბრისას გავარკვიეთ, რომ თურმე, თუ გინდა ნაღდი მზის ამოსვლა იხილო ცხრაწყაროზე, ამისთვის წინა დღით უნდა ამოხვიდე აქ, ადრიანად დაიძინო, დაახლოებით ღამის სამ საათზე ადგე და გამყოლთან ერთად ახვიდე აღმოსავლეთით ამართულ თითქმის 3000 მეტრი სიმაღლის მწვერვალზე. იქამდე სამიოდ კილომეტრია გასავლელი, იქ ერთი ადგილი ყოფილა, ზომით დაახლოებით ექვსი კვადრატული მეტრი, საიდანაც უნდა უყურო მზის ამობრძანებას. მცოდნე გამყოლის გარეშე, ცხადია, ვერ მიაგნებ ხედვის იმ საუკეთესო წერტილს, თანაც ღამით. მისვლა ერთია და ამინდიც შესაბამისი უნდა იყოს. ჩვენი შესანიშნავი კომპოზიტორი, ბატონი ანდრია ბალანჩივაძე ორი კვირა უცდიდა თურმე ცხრაწყაროზე, რათა მზის ამოსვლა ეხილა (ის იმ დროს წერდა მეოთხე კონცერტს ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის, რომლის მეექვსე ნაწილსაც უწოდა "ცხრაწყა-

რო”). არა უშავს, ცხრაწყაროზე შესაბამის დროს სტუმრობა მომავლისთვის გადავდოთ, ახლა კი დროულად დავბრუნდეთ შინ...

დაღმართში ერთი კილომეტრის გავლის შემდეგ შევჩერდით, აქ გზის ზევით ცოტა დეკა უნდა დავკრიფოთ გასახმობად. ლია და ბიჭები აძვრნენ ფერდობზე ცელოფანის პარკებით, მე და რობერტმა კი გზის კიდიდან ქვევით გავხედეთ ხეობას. რა გიგანტური ზომისა იზრდება ბალახები! ნალექი აქ ბევრი მოდის, მზეც მაგრად აცხუნებს – ამიტომ გადარეულან ასე. ყვავილებს დაჰფარფატებენ პეპლები, დაჰბზუიან ბუზები და ხოჭოები...

ერთხელ კიდევ გადავხედეთ ჩვენს წინ გადაშლილ დიდებულ ხედს და მანქანას მივაშურეთ.

მანჭკვალა ჩანთებში აღარ გვეტევა!

უკვე ერთი კვირაა, შეგვჭამა წვიმებმა, ნისლმა და სიცივემ; ასე იცის ხშირად ბაკურიანში ზაფხულის მიწურულს. მალე მივემგზავრებით თბილისში და არ გვინდა ასე წავიდეთ – გაგდებულებივით. რამდენიმე მზიანი დღე რომ გვაჩუქოს ბუნებამ აგვისტოს ბოლოში, კმაყოფილნი დავტოვებდით აქაურობას...

და, როგორც იქნა, ბაკურიანში გამოიდარა! მზე ხან გვემალება ღრუბლებში, ხან გამოიხედავს და დააცხუნებს.

მივდივართ მანჭკვალის მოსაკრეფად. ეს სოკო ბაკურიანში უფრო სექტემბრის პირველ ნახევარში იცის, ზოგჯერ კი, თუ წვიმიანი ამინდები დაიჭირა და აგრილდა – აგვისტოს ბოლოშიც გამოჩნდება ხოლმე.

მე, ბესიკი და დათუნა გავედით მთის ქუჩის ბოლომდე (ლია შინ დარჩა). ქუჩაში რამდენიმე ძირი ცირცელი ჩანს ღობის ძირში – რა ლამაზია წითლად მოგიზგიზე ნაყოფით დახუნძლული! წელს ბლომად ასხია, ბარაქიანად, ნაყოფთა სიმძიმეს ტოტები ქვევით დაუზნექია – ამბობენ, ცივი ზამთრის ნიშანიაო.

მარჯვნივ გავუხვიეთ, ასიოდ მეტრში დაბა გათავდება და პირდაპირ ტყეში შევალთ.

– რა კარგი გოჭუნებია! – დათუნა თვალგაფაციცებული მისჩერებია უზარმაზარ დედა ღორს, რომელიც ბოლო სახლის ეზოში წამოწოლილა და გოჭები მისევია.

– რამდენია?

– თერთმეტი, ერთი დედის უკანაა ამოფარებული.

ვაგრძელებთ გზას. ტყე-ტყე დაღმართში დავეშვით და მალე იაგორას მინდორიც გამოჩნდა.

– ნეტავ ეს მინდორი ტბა იყოს! – ნატრობს დათუნა.

– რად გინდა აქ ტბა? – ვეკითხები.

– ყოველდღე სათევზაოდ ვივლიდით!

გადავიარეთ მინდორიც და ტყის ჩრდილში შევედით ისევ.

მანჭკვალას ნაძვის ძველი კუნძები უყვარს დასასახლებლად, ამიტომ უპირველესად მათ ვეძებთ და ვესტუმრებით ხოლმე. რატომღაც ისე ხდება, რომ, როცა ერთ რამეს ეძებ, ხშირად მეორეს პოულობ.

– ქამასოკო! – ყვირის ბესიკი.

რა თქმა უნდა, ქამასოკოზეც არ ვამბობთ უარს, მერე ყვითელ პაჭიჭასოკოსაც სიხარულით ვდებთ პლასტმასის ვედროში – შინ წყალში ჩავალბეთ უკვე რამდენიმე ათეული ასეთი სოკო მწარე რძიანა წვენის გამოსაქაჩავად და შემდგომ დასამარილებლად. ზამთარში შემწვარ კარტოფილთან ღვთიური რამ არის!

ქარია და ხმელი წიწვები წკაპაწკუპით ცვივა მიწაზე დაფენილ ხმელ ფოთლებზე – ნაძვნარში შერეულ წიფელსა და ნეკერჩხალს ფოთოლცვენა დაეწყო.

სადღა არის სოკო? მანჭკვალამ ოხრად იცის მოსკდომა, თითქმის ყველა კუნძზე იმდენი ამოიყრის, რომ ჩანთას გაგივსებს, ახლა კი ვერაფერს ვნახავთ, რადგან აქ, ახლომახლო ტყეში, იმდენი ხალხი დაწანწალებს, რომ რუსთაველის გამზირზე გეგონება თავი – ვინ დაგიტოვებს სოკოს? დილაუთენია უნდა წამოხტე, თუ გინდა, სხვებს დაასწრო.

დათუნა მაინც კარგ ხასიათზეა – რაღაც საკუთარ სიმღერას მღერის:

– მე რომ ცხენით მივდიოდი, ჩა-ჩა-ჩა!.. ჩემო კარგო ბესუნია, როგორ ხარ, ჩა-ჩა-ჩა!..

– გაჩერდი, ბიჭო, თავი ამტკივდა!

– არის, ამხანაგო კაპიტანო! – მეჭიმება სამხედრო ყაიდაზე დათუნა.

როგორც თითქმის ყოველთვის, როცა დავაგვიანეთ შინიდან გამოსვლა, დღესაც დაგვავიწყდა სახატავი რვეულის წამოღება, ხატვით მაინც გავერთობოდით... უკვე მოშუადღევდა კიდეც, საკმაოდ შორს წამოვედით, უკან დაბრუნებაზე ხომ არ ვიფიქროთ? და ამ დროს რას ვხედავთ? ხალხი ტომრებით ეზიდება შინისკენ მანჭკვალას! ჩვენ კი რაღა დაგვემართა? გათვალულნი ხომ არ ვართ?

– მამიკო, მოდით ჩქარა! – გვეძახის დათუნა.

მუქ კუნძთან ჩაცუცქულა, უხავსოსთან და უბალახოსთან (ასეთი აქ იშვიათია), სამაგიეროდ, გადანაჭერზე ხასხასა ყვითელი, დატოტვილი ჩხირები ამოზრდილა – მართლაც ლამაზია ეს სოკო, რომელსაც გუნებაში ყვითელი მარჯანასოკო დავარქვი – რამდენიმე სანტიმეტრის სიმაღლის მინიატურულ ტყეს ჰგავდა; ისე კი ყვითელი საჩეჩელასოკო ჰქვია, ეს სახელიც უხდება!

– ეჰ, ტყუილად დავბოდიალობთ, საჩვენო მანჭკვალა არავის დაუტოვებია! – საერთო განწყობილებას გამოვხატავ მე და, თითქოს ამ სიტყვების გასაქარწყლებლად, პირისპირ წავადექი დიდ კუნძს, რომელიც ყავისფერი ქორფა მანჭკვალებით იყო პირდაპირ გადაჭედილი! კუნძის გვერდზეც ბუჩქა-ბუჩქად ისხდნენ ნიადაგიდან ამოშვერილი ასეთივე ახალგაზრდა მანჭკვალები, რომლებიც, ეტყობა, ნაძვის კუნძის მიწით დაფარულ ფესვებზე ამოზრდილან.

სასწრაფოდ ამოვიღეთ დანები და გახალისებულნი ჯარასავით დავტრიალდით.

აქ რომ საქმეს მოვრჩით, გადავიარეთ პატარა გორაკი, გზა-გზა რამდენიმე ქამასოკოც ვნახეთ და ისევ მანჭკვალით უხვად დაფარულ კუნძს გადავეყარეთ. ეს სოკოები უფრო ხნიერები იყო, უმრავლესობას ქუდები უკვე გაშლილი ჰქონდა – ასეთები გასახმობად არის კარგი.

უჰ, დავიღალეთ ჩაცუცქულნი სოკოს კრეფით. ჩაგვიარეს ახალგაზრდებმა, სავსე ტომრები ძლივს მიჰქონდათ აღმართში. ათიოდ მეტრით დაგვცილდნენ და, უკვე ნაძვებს მოფარებულებმა, დაგვიძახეს, მერე აქეთ გადმოინაცვლეთ, ბევრი მანჭკვალა არისო...

ბევრი ვიშრომეთ; ორი ნაჭრის ჩანთა გვქონდა, ერთიც – ტყავისა, სამთავე მაგრად გავტენეთ (ლია ალბათ ბურტყუნს დაიწყებს, ამდენ სოკოს რა დამარჩევინებსო!) და შინისკენ გამოვწიეთ. ერთ ადგილას უამრავი ძაბრასოკო შეგვხვდა, ხელი აღარ გვიხლია. ბიჭებს შესახედავად არ მოეწონათ – ძალზე მუქია, თითქმის შავი, თანაც აღარც ადგილი გვქონდა დარჩენილი. გზადაგზა კიდევ შეგვხვდა მანჭკვალა, ვინ იყო მისი დამკრეფი! სამაგიეროდ, რამდენიმე ყვითელი პაჭიჭასოკო რომ ყვითლად გამონათდა ნაძვქვეშ, ცდუნებას ვერ გავუძელით და თან წამოვიღეთ, ხელში დავიჭირეთ... თითქოს ჯიბრზე, კიდევ და კიდევ გვხვდება მანჭკვალით გადავსებული კუნძები, ეს რა ზღვა მოსავალი მომსკდარა! გავჩერდებით, ერთმანეთს ვანახვებთ და სინანულით გავაქნევთ თავს – მანჭკვალა ჩანთებში აღარ გვეტევა! არა უშავს, სხვებსაც ხომ უნდა დავუტოვოთ...

ამ ყოფაში რომ ვართ, ბატონ ბესარიონს თავისი დანა სადღაც დარჩენია. ეს დანა ორი კვირის წინ ვიპოვეთ, როცა ჟოლოს საკრეფად ვიყავით. მაშინ ჩვენი დანა შინ დაგვრჩა და ამ დანის პოვნით ძალიან გავიხარეთ – თევზის კონსერვიც გავხსენით და პურიც დავჭერით. უბრალო სამზარეულო დანა იყო, მაგრამ ძალიან კარგად გალესილი; სწორედ ამიტომ წამოვიღეთ დღეს და აჰა... ქარის მოტანილი ქარმა წაიღო.

– მამიკო, ნუ ჯავრობ! ვიღაცა ნახავს და გაუხარდება!

ყველანი ვიცინით დათუნას ბრძნულ სიტყვებზე, თანაც მანჭკვალით სავსე ჩანთები სასიამოვნოდ გვიმძიმებს ხელებს და მხიარულად მივაბიჯებთ შინისკენ...

დათუნამ დაიჯინა:

– მოდი, ძველი გზით დავბრუნდეთ!

– იქიდან ბევრად შორია.

– მერე რა, მე გოჭუნები მინდა ვნახო!

დავიყოლიეთ დათუნა და მოკლე გზით წამოვედით, უკვე საკმაოდ დაღლილნი. გზად დათუნა მაინც თავისებურად მოიქცა – კიდევ უფრო შეიმოკლა გზა ღობეებზე ძრომიალით. ჩვენ მაინც ბევრად ადრე მივედით შინ. ნუთუ გზად "თავის" გოჭუნებთან გაიარა?

გოგრა

აგვისტოს ფერადოვანი დღეების მიწურულს მივდივართ ნება-ნება წაღვერიდან ტიმოთესუბნისკენ სახელგანთქმული ტაძრის სანახავად და დაბის ბოლოში დავინახე: ფიცრულ ღობეზე ღონივრად, ლაზათიანად გაზრდილ-გაფოფინებული გოგრა!..

ასე რამ გააგიჟა?!.

როგორ გაზრდილა, გალაღებულა, ზღვასავით მომსკდარა და მწვანე, ხასხასა ტალღებად მოსდებია ღობეს ერთი ბოლოდან მეორემდე, ძირიდან წვერომდე მთლიანად დაუფარავს!

ვჩერდები და წინ წასულ ლიასა და ბიჭებს ვუხმობ:

– მოდით აქ, ნახეთ, რა ლამაზია!

მართლაც, თვალს გვტაცებს უზარმაზარი ფოთლებით, ყვითლად აგიზგიზებული დიდი ყვავილებით და დიდ-პატარა ნაყოფებით! რა კოხტადაა ჩამოკონწიალებული აქა-იქ ეს გოგრები, თანაც რა ბლომად მოუსხამს: მათგან დიდრონი – პატრიარქები (ნეტა ლერწი როგორ უძლებს მაგოდენა სიმძიმეს?), ნაწილი – მომცრო, ბავშვის თავის ხელა, ზოგიც – მუშტის ტოლა კვახუნები, ზედ რომ ჯერაც შერჩენილა ნახევრად შემჭკნარ-გამოხუნებული ყვავილი. თითქოს ვიღაც გეომენებიან მხატვარს რუდუნებით მოურთავ-მოუკაზმავს ჩვენდა თვალგასახარად – ძველ, უსახურ სახლს და უბრალო ღობეს ძალიან ალამაზებს!

მინდა, ფანქრით მაინც ჩავხატო, მაგრამ მაინცდამაინც დღეს არ წამოგვიღია არაფერი... "არა უშავს, მერე საგანგებოდ ჩამოვალ, თან საღებავებსაც წამოვიღებ", – გავიფიქრე.

“დიდი ამბავი – გოგრა! შენც ნახე რაღა აღფრთოვანების საგანი, სხვა უკეთესი იქ არაფერი იყო?” – იკითხავს მიზეზიანი მკითხველი და მართალიც იქნება... თუნდაც ტიმოთესუბნის ტაძარი, მზეთამზე (რა ლამაზი სახელი აქვს ამ სოფელს!), ვიწრო, კლდოვან ჭიშკარში გამომძვრალი მდინარე გუჯარეთისწყალი ან თუნდაც აღმოსავლეთისკენ გადაშლილი სურათი: ხელმარცხნივ და ხელმარჯვნივ – ხეობის წიწვნარით ჩამუქებული ციცაბო კალთები, წინ კი – ცისკენ აზიდული მწვერვალი – გვირგვინა! მის სახილველად იძულებული ხარ, მზერა სულ მაღლა ატყორცნო – თვალს უჭირს ლურჯად მოკაშკაშე ცის ფონზე მწვანედ მოხასხასე მწვერვალის დიდხანს ჭვრეტა – მართლაც გვირგვინად ადგას ხეობას! (მერე ამ სურათის დახატვასაც ვაპირებ, თან მეშინია – როგორ შევძლო ამ ხედის სიდიადის გადმოცემა?).

დიახ, სხვა, უფრო დიადიც არის აქ სახილველი, მერე რა? სამაგიეროდ, გოგრა ცოცხალია – რამხელა გაზრდილა, წასულ-წამოსულა, დიდი ფოთლებით გადაუბარდნია მესერი, მზისფრად აუფეთქებია ყვავილები, დახუნძლულა ნაყოფით – სუნთქავს, იბრძვის, იცვლება, ხარობს და ჩვენც გვახარებს!

– რამდენი გოგრა მოუსხამს, ააშენებს ოჯახს!

ერთი გვიანი შემოდგომის დღეს, ალიონზე, დაჰკრავს ყინვა, მოჭირხლავს, დააზრობს გოგრის ფოთლებს – სიყვითლეშეპარულებსაც და ხასხასა მწვანეებსაც წვეროკინებზე; მოაშთობს, მოამჩვარებს ყვავილებსაც – ისევ გამოჩნდება ფიცრული, ცისფრად შეღებილი, გამოხუნებული ღობე და მის ფონზე თბილად გამოაშუქებს, აბრიალდება პატარა მზეები – გოგრის ნაყოფები, დამსხვილებულ-დამძიმებულნი, ჩამომხმარ, მაგრამ მაგარ ღეროებზე ჩამოკიდებულნი... ო, მაშინ კი დრო დგება, ფრთხილად მოწყვიტონ გოგრები, დიდი ნაწილი სხვენზე აიტანონ ზამთრის მარაგთან – ნივრისა და ხახვის გალებთან, კაკალთან, ლობიოსთან, სიმინდთან და სხვებთან ერთად...

და რამდენჯერ გაახარებს დიდებსა და პატარებს შემწვარი თუ მოხარშული გოგრა; მისი რძიანი ფაფაც ხომ არის უგემრიელესი? ანდა რა კარგია მოხალული თესლის კნაწაკნუწი გაღუღუნებულ ღუმელთან, თან ბებიის ტკბილი ზღაპრის მოსმენა...

ახლა კი ჩვენს თვალსა და გულს ახარებს.

გზას ვაგრძელებთ ტიმოთესუბნისკენ და თან მიგვყვება ნათელი ხატი ნაყოფიერებისა და სიუხვისა, ხატი საოცარი ჰარმონიისა და სიმწყობრისა: ღობეზე გრძლად გაწოლილი ზურმუხტისფერი ხალიჩა ზედ ყვითლად ამოქარგული შუქით გოგრის ყვავილებისა...

გასეირნება ტყეში მაყვლის მოსაკრეფად, დაგვირგვინებული პეიზაჟით

ზაფხული სადაცაა დაგვემშვიდობება...

ხვალ-ზეგ თბილისს მივემგზავრებით, დღეს კი ისევ გავისეირნებთ ტყეში.

ჩვეული სვლაგეზისგან განსხვავებით, ამჯერად სხვა მიმართულებას ვირჩევთ: გავივლით ბაკურიანს, შემდეგ გვერდს ავუქცევთ სასტუმროს, ჩრდილოეთით ავუყვებით აღმართს, გადავლახავთ წიწვოვნებით შემოსილ პატარა ქედს და გადავალთ “გადაღმა” (როგორც ბაკურიანელები უწოდებენ); გადავხედავთ გუჯარეთისწყლის ხეობას, შემდეგ 1-1,5 კილომეტრს ვივლით მაყვლიანამდე... თუ ზაფხულში კარგი ამინდები დაიჭირა, ზოგჯერ აგვისტოს ბოლოსთვის მაყვალი აქ უკვე მწიფეა, თუ არა და, გასეირნება ხომ შეგვრჩება?

მაშ დავიჭიროთ ცალ ხელში სანოვაგიანი ჩანთა, გადავიკიდოთ მხარზე ფოტოაპარატი და გავუდგეთ გზას. გავიაროთ ბაკურიანი, მერე – ვრცელი მინდორი და ბოლოს – ნელ-ნელა შევუყვეთ აღმართს... თან აქეთ-იქით გახედვ-გამოხედვა ნუ დაგვავიწყდება; ხან უკანაც მოვიხედოთ და ბაკურიანის ქვაბულს მომავლოთ მზერა – მწვანედ აბიბინებულა, კიდეებზე პანსიონატ-სასტუმროებით დამშვენებულს... მცივანო მთასაც ავხედოთ სამხრეთით დროდადრო – ღრუბელს ხომ არ დაუბურავს? მზის კაშკაშა თვალით გაბრწყინებული გარემოს ხილვა თვალს გვაჭუტინებს... მერე ისევ წინ – აღმართ-აღმართ... ბალახებში მობზუილე ფუტკრებს და მოფარფატე პეპლებს, მაჩიტას ყვავილის ნიავისგან ტოკვას, ნარის ყვავილების უამრავ სტუმარს: ხოჭოს, პეპელას, ბზიკსა თუ ფუტკარს – ყველაფერს ხარბად აკვირდები და გიხარია! ერთი საკმაოდ დიდი პეპელა ისე ესტუმრება ყვავილებს, რომ სიჩქარით არც კი დაჯდება მათზე – ფრთების ჩქარი ფრთხიალით ჰაერში ერთ ადგილას დაეკიდება, წვრილი ხორთუმით მოიხილავს ყვავილს, შემდეგ ისარივით გავარდება გვერდზე, მეზობელი ყვავილისკენ, ან უფრო შორს – წამში იკარგება თვალთაგან... ეს პეპელა სფინქსის გვარისაა, სახეობის დადგენა კი ჭირს, ამისთვის მისი დაჭერა და გულდასმით გაცნობაა საჭირო, რასაკვირველია, პეპლების სარკვევის დახმარებით.

– კიდევ ბევრია აღმართი? – შეწუხებული იჭმუხნის სახეს ლია, ჩერდება და ოფლს იწმენდს ცხვირსახოცით. – აღარ შემიძლია...

ბესიკი და დათუნა კი ჭინკებივით გარბი-გამორბიან, ხტებიან ღვარებით ფერდობზე ჩაჭრილ თხრილებზე, ერთმანეთს ეჯიბრებიან სოკოების ძებნაში.

– ქონასოკო! – იძახის დათუნა. – აგერ კიდევ მეორე!

– მე წითელი შხამა ვნახე! – ყვირის ბესიკი. – მოდით, ნახეთ, რა ლამაზია! გუდაფშუტაც ვნახე!

მერე წერწეტა წეროსწვივებიც შეგვხვდა – ერთი უკვე "ქოლგაგაშლილი", მეორე – ნორჩი. სოკოებს არ ვკრეფთ, უკანა გზობისთვის ვინახავთ, თუმცა, შესაძლოა, აღარც დაგვხვდეს – ვიღაცეების ლაპარაკი გვესმის. აგერ ერთი საკმაოდ ახალგაზრდა, მაგრამ საოცრად სქელი, ჯანიანი ქალი მიიზლაზნება აღმართში, ჩერდება, აქეთ-იქით იცქირება და გამყივანი ხმით აყრუებს გარემოს:

– სვეტა, სვეტა!.. სად დაიკარგე., შე ნაგავო!..

მერე საზაფხულო, მსუბუქ, ნახევრად გამჭვირვალე კაბას ისწორებს მუხლისთავებზე და ისევ ზოზინით აგრძელებს გზას.

ბიჭებს წელზევით გავხადეთ; სასიამოვნოდ ოდნავ გრილა.

ბესიკმა ყორნის შავი ფრთა იპოვა:

– ამით მე კალამს გავაკეთებ! წავაჭრი ბოლოს და პასტის გულს გავუკეთებ, შიგ ხომ ცარიელია.

ვუხსნი ბესოს, რომ წინათ კალამს ბატის ფრთისგან აკეთებდნენ, სანამ ფოლადის კალმების ხმარებას დაიწყებდნენ... ამასობაში ცოტა შევისვენეთ დიდი ფიჭვის ძირში.

წინ წასული დათუნა დაგვეკარგა – სულ უკან მოჩანჩალებდა, ხშირ-ხშირად ვეხმიანებოდი და ვაჩქარებდი, რომ წამოგვწეოდა, ახლა კი დაუღერია თავი და დაწინაურებულა. დავიწყეთ ყვირილი: "დათუნა!.. დათო!.." ვიღაცამ შუაგულ ტყიდან გვიპასუხა, მძლავრი ბანით შეგვეხმიანა, ვერ კი გავიგეთ, რას გვპასუხობდა: "ბა-ბა-ბა!.. ბუ-ბუ-ბუ!.."

ავჩქარდით, აღმართი ავიარეთ და გზა გავაკდა. გაზსადენი გაჰყავთ, ისეთი აჯიჯგნილ-გადათელილია ტყე, შეგეცოდება. ტრაქტორებით ნაზელი ტალახი, თუ არ გაფრთხილდი, მუხლამდე მოგწვდება. დათუნა ვიპოვეთ – ბულდოზერის კაბინაში შემძვრალა და განცხრომაშია – სხვადასხვა ბერკეტებს აწვალებს, თან ბუბუნებს, ხმიანობს (დღეს კვირადღეა და მომუშავენი არ ჩანან). ბესიკიც მაშინვე ბულდოზერისკენ იწევს, მასაც უნდა ძმის გვერდით მოკალათდეს, აბა რა!

ბიჭები ძლივს ელევიან ბულდოზერში ბღლარძუნს, ხმის იოგების საკმაო დაძაბვა დამჭირდა, სანამ ისინი მანქანას დატოვებდნენ (ბესიკი გავაფრთხილე, მაგრამ მუხლუხიდან ჩამოხტომის დროს მაინც ღრმა ლაფში სტუცა ფეხი!) და გზა გავაგრძელეთ.

დათუნა ლამაზ-ლამაზ ფოთლებს აგროვებს და აწყობს კანფეტის მოგრძო კოლოფში, იქვე ჩავდეთ ბესიკის მიერ ნაპოვნი ყორნის ფრთაც (დიაგონალურად, ისე არ ჩაეტია).

აჰა უღელტეხილიც! გადავხედეთ ქვევით გაწოლილ გუჯარეთისწყლის ხეობას, ხეობის გაღმა გაწოლილ მაღალ ქედს, მის ზედა წელში რომ ტყეს ალპური ზოლი ცვლის...

მოგვიწევს ქვევით-ქვევით დაშვება საკმაოდ ციცაბო ფერდზე, განივად მიმავალ ბილიკს გვერდს ვუვლით – ასე უფრო საინტერესოა! თან ადგილს ვეძებთ სასაუზმოდ, თუნდაც აგერ – უზარმაზარი წიფლის ქვეშ, რბილ ხავსზე – დაჯდომა კი არა, წამოგორებაც კი შეიძლება! მაგრამ ქალბატონი ლია აგვიჯანყდა – გზის პირას არ გვინდა, სოლარის ზეთისა და მაზუთის მყრალ სუნს ვერ ვიტან, მოვცილდეთ აქაურობასო.

დავეთანხმეთ: თუ ტყეში წამოხვედი სასეირნოდ, რაღა აქოთებულ ადგილას უნდა გაჩერდე, განა ცოტაა სხვა, მშვენიერი ადგილები?

ქვევით ვიწყეთ ნელ-ნელა ჩაბობღება... მალე მაყვლის ბუჩქებიც გამოჩნდა, ოღონდ ჯერ ყვავილობს და მეტად წვრილი, მწვანე ნაყოფები აქვს. ეტყობა, ამჯერად მაყვალს ვერ დავკრეფთ, ადრეა ჯერ. ცოტაც ჩავიწიეთ ქვევით და ერთი ზორბა კუნძი ვნახეთ ბილიკის ნაპირზე, ჩრდილში – საუკეთესო სუფრად გამოდგებოდა. ბიჭებმა ფიცხლად გაშალეს ამ კუნძზე გაზეთები, ზედ დავალაგეთ რაც კი სასუსნავი გვებადა: თევზის კონსერვი, მოხარშული კვერცხები და კარტოფილი, პომიდორი, ხახვი, პური და ყველი – მეტი რაღა გვინდა! გარშემო კიდევ – მაღლა აზიდული გარინდებული ნაძვები, შიგადაშიგ ფოთლოვნებიც არის გამორეული; დაბურულია ტყე, ამინდი – უკეთესს ვერ ინატრებ, ფოთოლიც კი არ იძვრის... ჩიტები გალობენ, სადღაც კოდალა უკაკუნებს.

აქ ფოტოსურათები გადავიღეთ და, ყოველმხრივ კმაყოფილებმა, გავაგრძელეთ გზა, უფრო სწორედ – ქვევით-ქვევით ბღოტვა (როცა მაღალ ბალახებსა და ქვეტყეში მივძვრებით) და სეირნობა (როცა ხშირ ნაძვნარში დაფენილ ჩამოცვენილი წიწვების რბილ ხალიჩაზე მივაბიჯებთ).

სოკოების მეტი რაა, ოღონდ სულ ფუჭი, ჩვენთვის უვარგისი სოკოებია – წვრილ-წვრილი, შეუხედავი. დათუნა საჩეჩელასოკოს მოარბენინებს ჩემთან. წიგნებით ვიცი, საჭმელად ვარგისია, მაგრამ ჩვენ არ ვკადრულობთ; ისიც არის ანგარიშგასაწევი, რომ არც არასდროს გაგვისინჯავს და ამიტომ ვერიდებით. აგერ ბესიკსაც მოაქვს ჩემთან თეთრი არყასოკო. ბიჭებმა ზოგიერთი სოკოს გამოცნობა უკვე იციან, მათ შორის – არყასოკოსიც.

– არა, ბესო, ეგ სოკო არ გვინდა, აი, თუ მაგის ბიძაშვილი – ყვითელი პაჭიჭასოკო შეგხვდეს, ჩასამწნილებლად მოვაგროვოთ!

სულ მალე ხუთიოდე ყვითელი პაჭიჭასოკო მოვიპოვეთ, აგრეთვე რამდენიმე წეროსწვივა; ღვინიოსა და ხახვილოს, ზოგიერთ სხვა ვარგის, მაგრამ დაბალი ხარისხის, სოკოს ხელს არ ვახლებთ – არის ერთი ჟივილ-ხივილი, აღმართ-დაღმართ სირბილი, გამხმარი ფოთლების შრიალი და მიწაზე დაცვენილი ხმელი ტოტების ფეხის დადგმისგან ტკაცუნი... მერე ჩავცუცქდებით

ყველანი მორიგ ნადავლთან, ფრთხილად მოვჭრით ძირში დანით, ვასუფთავებთ და ჩანთაში მივუჩენთ ადგილს...

ბიჭები ცოტა არ იყოს დაიღალნენ, ალბათ მობეზრდათ კიდეც სიარული.

– მაყვლიანთან მივედით? – წამდაუწუმ მეკითხება დათუნა.

ახლა ვხვდები, რომ ოდნავ მარჯვნივ აგვიღია გეზი – გადავადექით მაღალ, ლამაზ ქარაფს, ორი მხრიდან რომ ღრმა ხევები ჩაუდის. მშვენიერი გადასახედია აქედან, სულ არ ვნანობ, რომ გზა გაგვიგრძელდა. ცოტა ხნით ჩამოვსხდეთ ჩამოცვენილი ფოთლების მოყავისფრო-მოწითალო ხავერდოვან ხალიჩაზე, ქარი ამოვაღებინოთ დაღლილ მუხლებს...

ჰაჰ-ჰაჰ-ჰაჰ!.. – ფრთების ფართქუნით გადაგვიფრინეს შავმა ფრინველებმა. ავიხედეთ ზევით: ხეთა რტოების მწვანე მაქმანზე ალაგ-ალაგ მოწმენდილი ცის ლურჯი ნაფლეთები გამოკრთის. ერთი ცირცელი – აუჰ, რა სიმაღლეზე წასულა! – არსებობისთვის ბრძოლაში, ნაძვებში გამძვრალა მაღლა სინათლისკენ ლტოლვაში. ახლა ალბათ ნაძვების იმედით სულდგმულობს, მათ ეყრდნობა ტოტებით, თორემ გაშლილ ადგილზე რომ იდგეს ასეთი წვრილი, აზიდული ტანით, ქარის პირველსავე წამოქროლებაზე წაიჩოქებდა და გადაიმტვრეოდა...

დათუნამ კიდევ სამი ცალი დიდ-პატარა პაჭიჭასოკო იპოვა ერთმანეთის მეზობლად, ლიამ ორი ქამასოკო ნახა, უკვე გაშავებული ჰქონდათ ფირფიტები.

– ბავშვებო, ნახეთ, რა სურნელი ასდის! რომ შეგიბრაწავთ, უჰ, რა გემო ექნება!..

– მე სამი წეროსწვივა ვიპოვე! – ამაყად აცხადებს ბესიკი.

– არა, ორი! – ეპაექრება დათუნა.

უზარმაზარი წაქცეული ნაძვის ნახევრად დამპალ ტანთან ზღვა გუდაფშუტა შემოგვეფეთა. ყველანი ჩავცუცქდით და ბეჯითად ვაგროვებთ. ამ საღამოს ძღომაზე მოგვიწევს შემწვარი სოკოს ჭამა!

ნელ-ნელა ჩავდივართ ხელმარცხნივ ღრმა ხევში. ისეა ტყით ყველაფერი გადაბურული, ბუჩქნარს მხოლოდ აქა-იქ აქვს გახარების შესაძლებლობა; ჩვენ მათ ტოტებს ვებღაუჭებით.

ხევის ძირი კიდევ უფრო ჩახრამულია, მასზე ხიდივით გადაწოლილა გამხმარი ხის გლუვი ტანი. უფროსები ჩახრამულში ჩავბობღდით რის ვაივაგლახით, ბიჭებმა კი გაღმა ფერდზე გადასვლა "ხიდით" მოისურვეს – "ჩვენ ცირკისტები ვართ!". წინ მიმავალი ბესიკი გადააჯდა როგორც ცხენს ხის ტანს და ჩოჩვა-ჩოჩვით მივიდა "ხიდის" შუამდე. აქ ხის ტანი ორად იყოფოდა, ბესო ფეხზე წამოდგა და ისე გადმოვიდა გამოღმა ფერდზე. დათუნა თავდაპირველად შეჭოჭმანდა, მერე დასძლია შიში და ისიც უფროსი ძმის მეთოდით შეუდგა გადმოსვლას. ბესიკი ამხნევებდა, თან ვითომ რჩევას აძლევდა, თან დასცინოდა: "აჩუ-აჩუ!"; თან აბნევდა და ხელს უშლიდა. დათუნა "ხიდის" შუამდე მივიდა, აქ წამოდგომა გაუჭირდა, არადა, გადამჯდარი წინ ვეღარ წაიწევდა... თან ბესიკმა გაუჭირვა საქმე, ყვიროდა: "მამიკო, ნახე, დათომ შარვალი გააფუჭა!". ბოლოს დათუნამ ივაჟკაცა, წამოდგა და ხის ტანზე ფეხით გადმოვიდა მეორე ნაპირზე ხრამისა... დანარჩენებმა მისი სიყოჩაღე ტაშით დავაჯილდოვეთ.

– გადმოვედი, გადმოვედი! – ამღერდა გახარებული დათუნა.

– მე ბოლომდე ფეხით გავალ! – წამოიძახა ბესიკმა და მართლაც ცქვიტად გადავიდა "ხიდით" მეორე ნაპირზე, შემდეგ უკანვე დაბრუნდა, თან რაღაც უსიტყვო მელოდიას მღეროდა, როცა წონასწორობის შესანარჩუნებლად ხელები განზე ჰქონდა გაშლილი და ფეხებს მორიგეობით ფრთხილად ადგამდა ერთიმეორის წინ.

– ყოჩაღ, ბიჭებო! – შევაქე მე.

– ყოჩაღ, ჩემო ბაჭიებო! – მიეფერა ლიაც.

ახალი გატაცებით ვეძებთ სოკოს, მაგრამ თეთრი არყას მეტს ვეღარაფერს ვნახულობთ.

– ნაძვებს ტოტები გადაუწიეთ, მის ქვეშ იცის! – ყვირის დათუნა.

– ყვითელი პაჭიჭასოკო შორიდანვე კარგად მოჩანს, – მცოდნე კაცის იერით ამბობს ბესიკიც. – ერთს რომ ნახავ, იმასთან კიდევ იქნება ერთი-ორი მისი ძმაკაცი.

ბესომ ზურგჩანთა წამართვა და თვითონ მოიკიდა, ჯოხდაბჯენილი დიდად კმაყოფილი მიაბიჯებს.

უკვე სწორი მიმართულება ავიღეთ მაყვლიანისკენ, ვიცანი გარემო. აქ გამეჩხერდა ტყე, გავაკდა; ბალახით დაფარულ პატარ-პატარა მდელოებს გადავივლით. ზოგან ჭყანტობია, ჭყაპაჭყუპით, ხტუნვა-ხტუნვით ვძლევთ ამ წინაღობასაც. ერთი ხის ძირში ზღარბი დავინახე. სამწუხაროდ, მკვდარი იყო. ბავშვებს შეეცოდათ და კარგა ხანს ზღარბზე ლაპარაკობდნენ, მისი დაღუპვის მიზეზი აინტერესებდათ...

– ზღარბუნია რომ ცოცხალი ყოფილიყო, ხომ წავიყვანდით შინ? – შემომანათა მუქი თაფლისფერი თვალები დათუნამ.

– ზღარბის სახლი ტყე და მინდორია, ჩვენთან რა უნდა აკეთოს? – ვპასუხობ დათუნას. – ვინ მოუვლის, ვინ აჭმევს? ან მაგის სამყოფი ჭიაღუას შოვნა არ გინდა?

ბავშვებმა გულმხურვალედ დამიწყეს მტკიცება, რომ ყურადღებასა და ზრუნვას არ მოაკლებდნენ ზღარბუნიას, თუკი ის შინ ეყოლებოდათ.

– კი, ბატონო, თქვენ გესიამოვნებათ მისი მოვლა-პატრონობა, მაგრამ ერთი ზღარბუნიასთვისაც გვეკითხა, მას ესიამოვნებოდა კი მეათე სართულზე ქალაქში ცხოვრება? მისი სახლი აქ არის, ტყეში, და ცოდოა მისი აქედან მოცილება.

ბავშვები დამეთანხმნენ, რაღა თქმა უნდა; გაიხსენეს თბილისში, დიღმის დასახლებაში, კინოსტუდიასთან დაჭერილი პატარა კუც, რომელიც მერე გავუშვით ჩემი დაჟინებული თხოვნით – ბიჭებს უნდოდათ შინ წამოყვანა. ახლა კი აღიარეს, რომ მაშინ მე ვიყავი მართალი და ტყუილად მსაყვედურობდნენ.

ამასობაში მივედით კიდეც გაზსადენამდე, გადავკვეთეთ იგი და ოღროჩოღრო ტყიან ფერდობზე გზის გაგრძელება ვარჩიეთ ტრასაზე ტალახის ზელას. კიდევ ცოტა ვიარეთ და წინ ხეთა შორის განათდა – გუჯარეთისწყლის ხეობას გადავადექით! აქედან ადრე ჩრდილოეთით მეტად ციცაბოდ ეშვებოდა ბილიკი გუჯარეთისწყლის ტყიან ხეობაში – ტიმოთესუბნისა და წაღვერისკენ. ამჟამად აქ ტრაქტორებს გაუკვალავთ გზა და მიწაში ჩასაყრელად გამზადებული გაზსადენის მილები ყრია.

– აქ მაყვალს რა უნდა! – ეჭვობს ლია და მორზე ჯდება.

– მწიფეზე რა მოგახსენო, მკვახე კი იქნება უეჭველად, პირველად კი არ მოვდივარ აქ! – ვპასუხობ მე და ხელმარცხნივ საკმაოდ ციცაბო ფერდობზე შეფენილი მეჩხერი ტყისკენ ვიღებ გეზს. დათუნაც ამედევნა, ერთად მივარღვევთ ალაგ-ალაგ წელამდე ბალახს, რომელშიც ჭინჭარს საპატიო პირველი ადგილი უკავია.

აგერ უზარმაზარი ნაძვი წაქცეულა – ფესვები მაღლა ამოუჩრია, მიწაც წარუტაცია და ასე წარმოქმნილ თითქმის შვეულკედლებიან პატარა გორკაზე რაღა არ ხარობს: ბალახები, ბუჩქები და პატარა ხეებიც კი. რაღა თქმა უნდა, ჭინჭარიც დაუპატიჟებლად დასახლებულა, მასთან ერთად კი – ჟოლო! ჟოლოს საკმაოდ მძლავრი რამდენიმე ბუჩქი ჯერ სიმაღლეში წასულა, მერე კი ალბათ ქარისგან გადმოხრილა და ქვევიდან რომ შეხედავ, ლალის ძვირფასი ქვებივით ანათებს მსხვილ-მსხვილი მწიფე ნაყოფი!

თუ მაყვალი არ არის, ჟოლოს მაინც დავკრეფთ! მაგრამ იმ ჟოლომდე მიღწევა არ გინდა? ვეჭიდები ბალახ-ბულახებს, ფესვებს, შინდანწლას ტოტებს და ნელ-ნელა ზევით მივძვრები თითქმის შვეულ კედელზე; ეს ეშმაკის ფეხი დათუნაც რომ მომყვება?!. მე მაინც უფრო მაღლა, სულ მაღლა ავძვერი, ჭინჭრები ფრთხილად მივწი-მოვწიე, ზოგიც ფეხით მოვთელე და ქვემოდან შემოჩერებულ დათუნას ვაწვდი მოკრეფილ ნაყოფებს. დასუსხვას, რა თქმა უნდა, ვერ გადავურჩი, მაგრამ არას ვნაღვლობ – ზაფხულის განმავლობაში ტყე-ველში ხეტიალისას შეუძლებელია, ჭინჭარმა არ დაგსუსხოს, მეც ისე შევეჩვიე, არად ვაგდებ და, გარდა ამისა, ამბობენ, სასარგებლოც ყოფილა.

ჟოლო რომ მოვკრიფეთ (არც ისე ბევრი გამოვიდა, როგორც მოველოდით), ახლა იქვე ახლომახლო მაყვლიანის უბედურად მჩხვლეტავ ბარდებს ვესტუმრეთ – ორი-სამი კვირის შემდეგ მომსვლელი ნამდვილად გაიხარებდა, ახლა კი ვნახე რამდენიმე შეთვალული ნაყოფი. ლიასთვის საჩვენებლად მაინც ხომ აღმოვაჩინე!

ლია ძველებურად იჯდა კუნძზე, ბესიკი კი ქვებს ესროდა გაზსადენის მილს და მისი ჟღრიალით ერთობოდა.

– თქვე ზარმაცებო, რომ დაყუდებულხართ აქ ბერებივით, გაიარ-გამოიარეთ, ხედავთ, მაყვალი დამწიფებას იწყებს! – გადმოვაგორე ხელისგულზე ხუთიოდე მარცვალი.

ქალბატონმა ლიამ ცხვირი აიბზუა, – ეს რა ბლომად მოგიკრეფიათო, – დაცინვით ჩაიბურტყუნა და ისევ ისე დარჩა კუნძის კვარცხლბეკზე წამოსკუპებული ცოცხალ ქანდაკებასავით.

ბავშვები ავიყოლიე და იქვე ქვეტყეში ვიშლიგინეთ, ერთ ჭიქამდე შავი ნაყოფი მაინც შევაგროვეთ. მერე ქალბატონ ლიას გვერდი დავუმშვენეთ (დიდ კუნძზე ყველანი დავეტიეთ) და ვუყურებდით ქვევით მიმავალი გაზსადენის ტრასით გადაჯეგილ ტყეს, უფრო ქვევით კი – გუჯარეთისწყლის ზურმუხტისფერ ხეობას. ცოტა ადრე რომ გამოვსულიყავით შინიდან, შეიძლებოდა ჩავსულიყავით ასე ტყე-ტყე ბილიკით საავტომობილო გზამდე, მერე გზით – წაღვერამდე, იქიდან კი – გუგული-მატარებლით ან ავტობუსით დავბრუნდებოდით ბაკურიანში... ბიჭები აღფრთოვანდნენ ამ "დედამიწის გარშემო" მოგზაურობით, მაგრამ გვიანი დროის გამო ეს საქმე მომავლისთვის გადავდეთ.

ახლა კი უნდა ვიჩქაროთ უკან დაბრუნება, დაღამებამდე იქნებ ტყიდან გასვლა მოვასწროთ. ბიჭებს უფრო ის ადარდებთ, თუ დაგვიბნელდა, გზა-გზა დატოვებულ სოკოებს ვეღარ მოვძებნითო. დიახ, უნდა ვიჩქაროთ! გადავწყვიტეთ, უმოკლესი გზით გვევლო – გაზსადენის ტრასას გავუყევით. თქვენ გგონიათ, ლაფი ვზილეთ? არა, მილზე შევდექით დიდ-პატარა და ცირკის ჯამბაზებივით, ხელების რხევით საკმაოდ სწრაფად მივიწევთ წინ. გაზსადენის უკვე ყოველმხრივ გამზადებული უგრძესი მილი ალაგ-ალაგ დევს ქვემოდან შემოდებულ ხეთა მორებზე და საკმაოდ გრძელი ნაწილები ჰაერშია გამოკიდებული და შუაში ჩაღუნული, სიარულისას ყოველი ფეხის ნაბიჯზე მელოდიურად "მღერის" და შესამჩნევად ქანაობს კიდეც. ეს ეშმაკის ფეხი ბესარიონი რომ არ იშლის ცელქობას – წინ გარბის, მერე ჩერდება, გაცინებული, და ძალად აქანავებს მილს – ისედაც შეშინებულ ლიას კიდევ უფრო უხეთქავს გულს და აყვირებს... წინდახედული

დათუნა ჩემს უკან მოდის, ხანდახან მეხვეწება, ხელი შემაშველეო, თუ მილი განსაკუთრებით მაღლაა ჰაერში დაკიდებული.

ნელ-ნელა გული მოგვეცა, უფრო თამამად მივდივართ მილზე, თან გვიხარია ჩვენი სიმარჯვე.

ბულდოზერით ჩათხრილი კედლიდან წყალი მოჟონავს, კედლის თავზე ლამაზი ფოთლებია სხვადასხვა მცენარეთა, უკვე საშემოდგომოდ წითელ-ყვითლად შეფერადებული. დათუნას გამჭრიახ თვალს ერთიც არ გამოეპარება და ხშირ-ხშირად მთხოვს, მოვწყვიტოთო, თუ თვითონ ვერ შესწვდება, და ფაქიზად ალაგებს კოლოფში.

ერთ ადგილას გზა ნაკადულით ჩაჭრილ პატარა ხევს ჰკვეთს და ამ ხევის ზედ პირზე უზარმაზარი ძველთაძველი კუნძია ნაძვისა. კუნძების მეტი ამ ტყეში რა არის, მაგრამ ეს მაინც გამოირჩევა – მასზე დასახლებულა მარწყვის ღონიერი, გალაღებული ოჯახი და თითქმის დაუფარავს ფოთლებით! მაღალ ღეროებზე ატაცებული მსხვილ-მსხვილი ნაყოფები ისე ლამაზად მოჩანს, რომ მოწყვეტა დაგენანება; დათუნა მათგან პატარა კოხტა თაიგულს აკეთებს და გზას განვაგრძობთ.

გზა კი ცოტა არ იყოს მოგვბეზრდა კიდეც თავისი მონოტონურობით – მიდიხარ, მიდიხარ მილზე; სულ ფეხქვეშ იყურები, თან მილი ქანაობს, მიიმღერი გასართობად... მალე მკვეთრი მოსახვევია, აღმართი იწყება, მილიდან გზაზე უნდა გადავიდეთ. და უცებ მე და დათუნამ აღმოვაჩინეთ მაყვალი, – გზის პირას, დაბურულ ბუჩქებში დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა შავად მბზინავ ნაყოფებს, – ერთი ჭიქა მოვკრიფეთ! არც ისე ბევრია, რაღა თქმა უნდა, მაგრამ მაინც სასიამოვნოა, რომ არც სულ მთლად ხელცარიელნი დავბრუნდებით შინ.

აუჰ! ავედით ქედის უნაგირზე, ეს-ესაა დაღამებას იწყებს. ბავშვები გვაჩქარებენ, დაბნელებამდე უნდათ დატოვებული სოკოების ნახვა. ბიჭების გასახარად "მათი" წეროსწვივები მოთმინებით ელოდნენ, მაღალ ფეხებზე კოხტად შემდგარნი. ბლომად შემოგვხვდა დაღმართში მიმავლებს ქონასოკოებიც, სამწუხაროდ, უკვე საკმაოდ დაჭიანებულნი.

გავედით ველზე, დაბაში სინათლეები ჭიატებს უკვე, მწუხრი წყნარად წვება ირგვლივ... ფეხს სულ უფრო ვუჩქარებთ, ცოტა შიმშილმაც შეგვახსენა თავი და უცებ...

და უცებ შევდექით.

– კვიცუნია! – იყვირა დათუნამ. – ნახე, რა ლამაზია!

– შეგეშალა, დათო, ძაღლები დარბიან! – უმტკიცებს ბესიკი.

– არა, ორი კვიცუნიაა, კარგად შეხედე!

ვეშურებით შინ დროულად მისვლას და დასვენებას, მაგრამ გული როგორ მოგითმენს, რომ არ შეჩერდე და არ დატკბე იმ მშვენიერი სურათით, რომელიც მოგვიმზადა ბუნებამ დღის დასასრულს!

ხელმარცხნივ, მაღლა, სულ მაღლა, გამოკიდებულია კაშკაშა ნამგალა მთვარე.

მარტო ცის ხილვა ღირს ერთ რამედ!

დასავლეთით იწვის ჰორიზონტი – უკვე ჩასვენებული მზე წითლად ავარვარებს; ამ გიზგიზა მეწამულ დასალიერს მაღლა თანდათან ერევა ფორთოხლისფერი, შემდეგ გადადის ყვითელში; მერე ეს ყვითელი ბაცდება, ნელ-ნელა იქცევა ნაზ ცისფრად, კიდევ უფრო ზევით კი ცა კრიალა ლურჯია. და ამ სილურჯეში სამხრეთით გამოკიდებულია მთვარის ვერცხლის საყურე, ცნობისმოყვარედ დაჰყურებს მუქი ლურჯი მთების ძირში მიყუჟული ბაკურიანის სინათლეებს, რომლებიც მუქ ფონზე მბრწყინავ ძვირფას თვლებად კიაფობენ. უფრო ქვევით მუქი მწვანე ველი გადაშლილა; რაღაცით გახარებული, გალაღებული ცხენები დარბიან წინ და უკან, ორ მათგანს კი წამითაც არ სცილდებიან გვერდიდან, საყვარლად მიკუნტრუშობენ პატარა კვიცები...

ისევ დავიძარით შინისკენ, დაღლილნი და კმაყოფილნი. არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა და მაინც რა კარგი დღე იყო, ძალიან კარგი!

ხვალ-ზეგ თბილისს მივემგზავრებით...

მომავალ წელსაც ზაფხულში აქეთ გამოვწევთ, თუ ღმერთმა მშვიდობა ინება, მაგრამ გული გვწყდება მაინც – გვგონია, რომ ასეთი ლამაზი საღამო აწი აღარასდროს გამეორდება!

მოცეკვავე ხე

ზაფხულში, ბაკურიანში ოჯახთან ერთად დასვენებისას, თაბახის უბრალო ფურცელზე პასტიანი კალმისტრით მაქვს გაკეთებული ერთი უბრალო ჩანახატი. აგვისტოს მიწურულის იმ დღეს ჩვენი – ჩემი, ლიას, თოთხმეტი წლის ბესიკისა და ცამეტი წლის დათუნას – ბოლო გასეირნება იყო ტყეში, მეორე დღეს თბილისს ვბრუნდებოდით. შემოდგომის დადგომის მანიშნებელი იყო მდელოებზე ნაღველას ლურჯი ყვავილებისა და კუნძებზე მანჭკვალას გამოჩენა. მოვაგროვეთ მანჭკვალა, ყვითელი პაჭიჭასოკოც, დათვისსოკოც, დავკრიფეთ მარწყვის ფოთლებიც გასახმობად...

პირველ ჩანახატში ასახულია ხის ფუღუროში ამოსული მარწყვი, რომელსაც ჩამოუშვია ლერწები – "დესანტი" – მიწაზე; იქ მარწყვის ორი-სამი ახალი ბუჩქი დამკვიდრდება!

მეორე ჩანახატში გამხმარი, გადაჭრილი ნაძვის ხე დამიხატავს, რომელსაც ორი ტოტი შერჩენია, და გვერდზე ირონიული პასაჟიც მიმიწერია: "ეს კუნძი ტრიბუნაზე დგას და მარცხენა ხელის აწევით ესალმება მშრომელებს, მარჯვენათი კი ამაყად მოუყრია დოინჯი!".

ახლა რომ ვაკვირდები, სხვა აზრი გამიჩნდა: ეს ხე – ცეკვავს!

ცალი "ხელი" მაღლა აქვს ამართული, მეორე – წელზე შემოუდვია და როკვით იკლაკნება თუ იგრიხება, სურს, ჩვენც გაგვამხიარულოს!

ისევ დავცქერი გაყვითლებულ ფურცელს და ვფიქრობ: "ეს გამხმარი ხის საწყალი მონარჩენიც კი ცეკვავს და ჩვენ, ადამიანებს, რაღა დაგვემართა – ხალხო, გაიღიმეთ! ხშირ-ხშირად გაიღიმეთ!".

ნახვამდის, ბაკურიანო!

– ხვალ თბილისში მივდივართ! ხვალ თბილისში მივდივართ!.. – მღერის დათუნა და საწოლზე მალაყს გადადის.

ტყეში გუშინდელი წოწიალის შემდეგ გვარიანად დაღლილებს გვიან გამოგვეღვიძა. ბესიკს ახლაც სძინავს. არა, შევცდი, დათუნას ხმაურზე ცალი თვალი გაახილა და ისევ დახუჭა.

– ადექით, უკვე თერთმეტი საათია, ფაფა გაცივდა!

ნეტა ფაფა არ მეხსენებინა! ორივენი აჯანჯლებენ ადგომას, ჭიდაობაც კი წამოიწყეს, რომელიც სადაცაა პატარა ჩხუბშიც შეიძლება გადაიზარდოს, ამიტომ ჩემი ჩარევა გახდა აუცილებელი.

– არ წაგიყვანთ სახატავად, არც ეზოში გაგიშვებთ!

გაჭიანურდა, უზომოდ გაიწელა ჭამაც, ჩაცმაც, სახატავი რვეულებისა და ფანქრების ძებნაც.

– მალე მოდით, მე სადილს დაგახვედრებთ! – ამ სიტყვებით გამოგვაცილა ქალბატონმა ლიამ.

გავეშურეთ კოხტაგორის ძირისკენ, იქიდან მშვენიერი ხედი იშლება ბაკურიანისა, დავხატავთ და თბილისში წავიღებთ სამახსოვროდ. ცოტა მოგვიანებით კი მოგვიწია შინიდან გამოსვლა; მაინც აუჩქარებლად მივდივართ, დიდი ველი უნდა გადავიაროთ. წრიულ გზაზე მიმქროლავი მანქანები ჩაგვიქროლებენ. მზით გახურებულ თავებზე სახატავ რვეულებს ვიფარებთ (ქუდების წამოღება დაგვავიწყდა, მზე კი მაგრად აჭერს) და აჰა, ტრამპლინებამდეც მივაღწიეთ. აქედან საბაგირო გზა ადის მაღლა, ამჟამად გამორთულია. ჩვენ ფეხით სავალ ბილიკს დავადექით, აღმართზე სულ ასიოდე მეტრი გავიარეთ და მერე გადმოვხედეთ ველსაც და ბაკურიანსაც – მშვენიერი ხედია!

ტყის პირას მოვკალათდით, დავიწყვეთ მუხლებზე სახატავი რვეულები და შევუდექით მუშაობას. ბიჭები ფანქრებით ირჯებიან, მეც. მე შემდგომ აკვარელით ვაგრძელებ ფანქრით მონიშნულის დამუშავებას, ბიჭებს კი რა გააჩერებს ერთ ადგილზე დიდხანს – ხან პეპლებს დასდევენ, ხან ჯოხებს იჭრიან, ხან ერთმანეთს ემალებიან...

ბედი არ გინდა?!. პეიზაჟის დასრულებას არც ბევრი რამ უკლდა, როცა მოულოდნელად ამოვარდნილმა ქარაშოტმა და გრუხუნმა გვამცნო წვიმის მოახლოება... მართლაც, მზე ბზიკივით იკბინებოდა დღეს, წვიმა სადაცაა დასცხებდა. ეცლია, დალოცვილს, კიდევ ერთი საათი, რა იქნებოდა! თუმცა, შინაც შეიძლება პეიზაჟის დასრულება და იქნებ უკეთესიც კია – უფრო განაზოგადებ, თანაც შენს გემოზე დაასრულებ, ნატურის მონა არ იქნები.

ამ ფიქრებში ვარ, თან გამალებით ვმუშაობ ფუნჯით და ამ დროს უცებ შხაპუნა წვიმამ დასცხო! ძლივს მოვასწარი ტყეში, ერთი უზარმაზარი წიფლის ქვეშ შეფარება.

– ბესო, დათუნა!.. ჩემთან მოდით, ჩქარა! – ვუყვირი ბიჭებს, რომლებიც სადღაც ახლომახლო დასდევენ ერთმანეთს, მესმის მათი ყიჟინა.

კარგა ხანმა გაიარა, სანამ ბესიკი და დათუნა ჩემთან მოირბენდნენ – ხმა ჩამეხლიჩა კიდეც ყვირილით. ამ მაიმუნებმა ყველაფერი გართობა-თამაშად უნდა აქციონ და თბილისში წასვლის წინ მოინდომეს მაინცდამაინც გაცივება...

ოდნავი ნიავია, ისმის წვიმის გაბმული, მონოტონური შრიალი – ხეთა ფოთლებს მილიონობით წვეთი "ბომბავს". ქვევით, მიწაზე, ხიდან ჩამოვარდნილი მსხვილი წვეთები ყრუდ ეცემიან გამხმარ ფოთლებსა და ბალახებზე. ცაში განუწყვეტლივ გრგვინავს, გუგუნი ტალღასავით გადაედინება – ხან მიწყნარდება, ხან მძლავრობს; წვიმაც ხან შენელდება, ხან ისე დაუშენს, რომ ჩვენი მფარველი წიფლის ქვეშაც აღწევს – ბიჭები თავზე სახატავ რვეულებს იფარებენ და მე მეკვრიან. ხის მსხვილი ტანი გადმოხრილია და მის ქვეშ მიყუჟულები წესით არ უნდა ვსველდებოდეთ, მაგრამ წვეთები ტოტიდან ტოტზე, ფოთლიდან ფოთოლზე ხტებიან და გვერდიდან აღწევენ ჩვენამდე. თან ნიავიც გაძლიერდა და ჩვენსკენ მოაქვს ცივი წინწკლები...

აგვაძაგძაგა, კიდევ უფრო მივეკარით ერთმანეთს. ქოლგა მაინც წამოგვეღო, თუმცა არც ის გვიშველიდა. ვინ იფიქრებდა, დღეს ასეთი თქეში იქნებოდა, გუშინ რა წყნარი საღამო იყო... ცნობილია მთის ხასიათი – ამინდი წამიერად შეიძლება შეიცვალოს.

შორეული მთები სულ ღრუბლებით დაიბურა, ბაკურიანიც დაბურუსდა. ველის მწვანე სათიბზე (უკვე გათიბულზე) ჯოგი გაფანტულა ლამაზად, მაგრამ ვინ არის დამხატავი!

გრგვინვა-გრუხუნმა აღმოსავლეთით გადაინაცვლა, აქ წვიმა მხოლოდ ოდნავ ცრის.

– აბა, ბიჭებო, მოვცოცხოთ შინისკენ! გზაში გავხურდებით, იქნებ გაცივებას გადავურჩეთ!

სველი ბალახები გადავთელეთ, მერე ატალახებულ ბილიკზე თავქვე დავეშვით და მალე ასფალტიან გზაზე გავედით.

შუა გზაში ვიყავით, როცა ისევ დაუშვა წვიმამ – დასცხო გახელებით, დაუნდობლად, ეშხიანად! სახეზე ღვარი ჩამოგვედინება, თვალებში ძლივს ვიხედებით... ბიჭები თავზე იფარებენ სახატავ რვეულებს, მე კი დახვეული ფურცელი იღლიაში ამოვიჩარე – წვიმისგან მაინც ვერ დამიფარავს და იქნებ როგორმე აკვარელი მაინც გადავარჩინო... ხან სირბილით, ხან ჩქარი ნაბიჯით მივფრატუნობთ.

ტალახიანი აღმართი რომ ავათავეთ ჩვენი ბინის წინ., მზემ გამოიჭყიტა, თუმცა წვიმა ისევ ცრიდა.

– გაჩერდით, გაჩერდით! გაიხედეთ კოხტაგორისკენ!

ბიჭები შეტრიალდნენ.

აღმოსავლეთით ზღაპრულ თაღად გადაირკალა ორმაგი ცისარტყელა – ერთი ხასხასა და მეორე მკრთალი ფერადოვანი ზოლები.

ვდგავართ გალუმპულები და თავაღერილნი გავცქერით ბუნების საოცრებას... რა ლამაზია!

ასე საზეიმოდ გვემშვიდობება ბაკურიანი მომავალ სტუმრობამდე...

ნახვამდის, ბაკურიანო!